



ისტორიული გეგვიდრაობა

სამეცნიერო-პოპულარული ჟურნალი, იანვარი, 2010 წ. ფასი 3 ლარი



9 ქართულ
მეფე-
ეთაპართა
ნაჩილუბი

18 გვარდია და
პოლიცია
პირველ
რესპუბლიკაში

21 ქართული
ხელნაწილების
მინიატურები

26 სტუმრად
სტალინთან

37 ივარიის
კულტურული
როლი
რუსეთის
ისტორიაში

42 საბჭოთა
ქვეყნების
გვირი
ქართული
გენერალი

47 სერგო
ზაქარიაშვილის
ხსოვნა

53 საქართველოში
ვიღვინაკი
კამანია იმ
ჯაჭვის მხიკა
რგოლია,

53 როგორ
ბოლოს
ანტიქრისტანს
მისაღებად
მოეზადება
ნაბოგადგანს

**რა გითხრათ?
რით გაგანხროთ? 4**



სარჩევი

■ ბედნიერი ერი ილია ჭავჭავაძე: რა გითხრათ? რით გაგახაროთ?	4
■ ბედნიერი ერი ვის ნათესა ვეძიო? (ვიმონილვა 1879 წლისა)	6
■ დიპლომატიის ისტორიიდან ქართულ მეფე-მთავართა წერილები	9
■ მაგულიშვილი დიმიტრი ყიფიანი: ყაზარგობა (მოგონებათა ფრაგმენტები)	14
■ ახალი ისტორია აკაკი რაშივილი: გვარდია და პოლიცია პირველ რესპუბლიკაში	18
■ ფოლკლორები შალვა ამირანაშვილი: ქართული ხელნაწერების მინიატურები	21
■ მართალი ისტორია გვჩივდება ნიკო ბერძენიშვილი: სტუმრად სტალინთან	26
■ ერთმორწმუნეობის შესახებ ქირიონ II: „ივერიის კულტურული როლი რუსეთის ისტორიაში“	37
■ ჩვენი ისტორია საბჭოთა ქვეყნის გვირი ქართული გენერალი	42
■ მაესტრო სერგო ზაქარიაძის ხსოვნას	47
■ მწვანელები მამუკა გიორგაძე: საქართველოში მიმდინარე კავშირი იმ ჯაჭვის მხრივ რბოლია, როგორც ბოლოს ანტიქრისტის მისაღებად მომზადება წარმოადგენს	53
■ ო,ენაგ, ჩემო! ხელისუფლება ახსურდული განათლების რეფორმის „ეორა ეტაპზე“ გადადის	58
■ რეტრო ქველი ქართული ტრადიციები	60
■ მემკვიდრეობის შესახებ წინაპართა ქსილი, ანუ მე, გურამი, ჯოჯოლა და ჩვიანები	63
■ უცხო თვალთ გიულდენბერგის მოგზაურობა საქართველოში	70

გამომცემელი: არასამეწარმეო იურიდიული პირი „ისტორიული მემკვიდრეობა“
მთავარი რედაქტორი თემურ ძორიძე
მისამართი: თბილისი, ამბროლაურის ქ. № 166/5 ტელ.: 38-41-97



დასრულდა საქართველოს ისტორიის კიდევ ერთი გაუხარელი წელიწადი. დამარცხებული ქვეყანა, გალატაკებული მოსახლეობა, უცხოეთში ლუკმაპურის საძებრად გადახვენილი ქართველობა გაურკვეველი მოლოდინით ხვდება 2010 წელს.
 „რა გითხრათ? რით გაგახაროთ?“
 — მწუხარედ კითხულობდა საუკუნის წინათ ილია ჭავჭავაძე. რაოდენ გულსაკლავია, რომ კითხვის ნიშნებით დამძიმებული ეს შეძახილი დღესაც არ კარგავს პირვანდელ სიმწვავეს.

ილია ჭავჭავაძე — „მარად და ყველგან“ ქართველი ერის მოსარჩლე და მოჭირნახულე, ჩვენი „მიძინებული მეობის“ ფხიზელი ჭკუა და გონება, კვლავ დაჟინებით გემოდღვრავს და გვასწავლის: „ჩვენი თავი ჩვენადვე გვეყუდნესო“...
 „მითხარით, რამდენად გნამთ ილია ჭავჭავაძე და გეტყვით, თქვენ თვითონ როგორი ქართველი ხართო“, — წერდა ჩვენი ერთი თანამემამულე.
 მართლაც, ილია და საქართველო მარად ერთიანი და განუყოფელი უნდა იყოს.

ილია ჭავჭავაძე რა გითხრათ? რით გაგახაროთ?

აჰა, ერთი კიდევ ახალი წელიწადი!.. რა მოვულოცოთ ჩვენს თავს, ქართველნო? რა გვაქვს დღეს სასურველი, რომ დავიკვებოთ და შევირჩინოთ, რა გვაქვს ხვალ სანატრელი, რომ ვინატროთ და მოვილოდინოთ? უკან მივიხედავთ ამ ახლო ხანებში და ისეთი არა გვრჩება რა, რომ თავი მოვიწონოთ ან ნანვითა ვთქვათ: „ჰოი, წამო სიხარულისავე, ესე სწრაფად სად წახვედი!“ წინ ვიყურებით და ხვალინდელის ნისლში იმისთანა არა მოსჩანს რა, რომ გული გულის ადგილასვე დაგვრჩეს, ან ნატვრით ვთქვათ: „მოვედინ, დღეო სიხარულისაო!..“ რა გითხრათ? რით გაგახაროთ?


ნუთუ ისევ ძველებურადვე თავი უნდა დაგიკრათ და მოგახსენოთ: „შემოდგე ფეხი, გწყალობდეთ ღმერთი...“ სულ წყალობა ღვთისა და წყალობა ღვთისა, ერთხელ ჩვენ თითონაც თითი გავძრათ, ერთხელ ჩვენ თითონაც მივდგეთ-მოვდგეთ. წყალობა ღვთისა კარგია, მაგრამ რა ქნას მარტო წყალობამ, თუ ღვთის მიერ ნაწყალობებს თითონ ადამიანი არა ჰრწყავს, არა სხლავს, არა ჰფურჩქნის, არ უვლის, არ ჰპატრონობს. ღმერთმა, რაც წყალობა იყო, უკვე მოიღო ჩვენზე დაწარჩენი თქვენ იცით და თქვენმა კაცობამაო. რა კაცობა გამოვიჩინეთ?.. რა გითხრათ: რით გაგახაროთ?

ჩვენთვის ღმერთს არა დაუშავებია რა, არა დაუზოგვია რა, არა დაუკლია რა; თუ ქვეყანაზე ერთი-

ორი კუთხეა იმისთანა, რომ კაცს ეთქმოდეს, — ქრისტე-ღმერთმა თავისი კალთა უხვევისა აქ დაიბლერტაო, იმათში უკანასკნელი საქართველო არ არის. რაც ღვთის შემძლებელობით არის და არა კაცისათი, ის ყველაფერი უკვე მოგვმადლა ღმერთმა. ხელთ გვიჭირავს ეს მშვენიერი ქვეყანა, რომლის მნახავთ შეუძლიანთ სამართლიანად სთქვან: „სხვა საქართველო სად არის, რომელი კუთხე ქვეყნისა. ამ სამოთხე ქვეყანაში მარტო ქართველს უგუზდება სული, გული ელევა, ხორცი აღნება... რა გითხრათ? რით გაგახაროთ?“

ტყე-მინდორი, მთა-ბარი, მიწა-წყალი, ჰავა-ჰაერი იმისთანა გვაქვს, რომ რა გინდა სულო და გულო, არ მოიხვეჭო, არ იშოვო, არ გამოიყენო. აქ, ჩიტის რძეს რომ იტყვიან, ისიც იშოვება, ოღონდ ხელი გასძარ, გაისარჯე, იმხნევე, მუცელსა და გულთა-თქმას ბატონად ნუ გაიხდი. იცოდე, დღეს მძლეა მძლეა გარჯა, შრომა და ნაშრომის გაფრთხილება, შენახვა, პატრონობა, გამოზოგვა საჭიროებისამებრ და არა გაუმაძღარ სურვილისამებრ. ვართ-კი ასეთნი?.. რა გითხრათ? რით გაგახაროთ?

რა არ გადაგვხდენია თავს, რა მტრები არ მოგვსევინან, რა ვაივაგლახი, რა სისხლის ღვრა, რა ღრჭენა კბილთა არ გამოგვივლია, რა ნისქვილის ქვა არ დატრიალებულა ჩვენს თავზე და ყველას გაუფძელით, ყველას გაუზმარდით, შევი-



ნახეთ ჩვენი თავი, შევირჩინეთ ჩვენი ქვეყანა, ჩვენი მიწა-წყალი. ლანგთემურებმა ჩვენს საკუთარს სისხლში გვაბანეს და მაინც დაფრჩით და გამოვცოცხლდით. შაჰ-აბაზებმა ჩვენის კბილით გვაგლეჯინეს ჩვენი წვრილშვილნი და მაინც გამოვბრუნდით, მოვსულიერდით. ალა-მაჰმად-ხანებმა პირქვე დაგვამხეს, ქვა-ქვაზედ არ დაგვიყენეს, მოგვსრნეს, მოგვჟულიტეს და მაინც ფეხზედ წამოვდექით, მოვშენდით, წელში გავსწორდით. გავუძელით საბერძნეთს, რომსა, მონღოლებს, არაბებს, ოსმალ-თურქებს, სპარსელებს, რჯულიანს და ურჯულოს და დროშა ქართველობისა, შუბის წვერით, ისრით და ტყვიით დაფლეთილი, ჩვენს სისხლში ამოვლებული, ხელში შევირჩინეთ, არავის ნავალეზინეთ, არავის დავანებეთ, არავის შევავინებინეთ. ცოდვა არ არის, ეს დროშა ეხლა ჩრჩილმა შესჭამოს, თავგმა დაგვიჭრას!.. დრო-ჟამი ამას გვიქადის... რა გითხრათ? რით გაგახაროთ?

**ქრისტე-ღმერთი ჰვარს
 უხვა ქვეყნისათვის და
 ჩვენს ჰვარს ვეხვით
 ქრისტესათვის.**



**ამ პატარა საქართველოს
გადავუღალეთ მკარდი და
ამ მკარდზედ, როგორც
კლდეზედ, დავუდგით
ქრისტიანობას საყდარი,
ქვედ ჩვენი ძვლები
ვიხმარეთ და პირად ჩვენი
სისხლი, და ბჭითა
ჯოჯონებითისათა ვერ
შეგუსრას იგი. გავწყდით,
გავიჟღიბანიტ, თავი
გავინიკრეთ, სოლ-შვილინი
გავინიკრეთ, უსწორო ოვაბი
ვანწორეთ, სორსი მივახიტი
სულითის და ერთთა გუჯა
იკაა ქრისტიანობა
შვიინახეთ, არ გავაქრეთ ამ
პატარა ქვეყანაში,
როგელსას ჩვენს
სამეგობლოს, ჩვენს მამულს
— სამართლიანის
თავმორნეებით ვეკახით.**

ცოდვა არ არის, ეს ერი მოსწყედეს! ცოდვა არ არის, ეს ლომი კოლომ საბუღარად გაიხადოს! ცოდვა არ არის, მელა-ტურამ გამორღინას როგორც მძოვრი, როგორც ლეში! რათ? რისთვის? ვის რა ვირი მოვპარეთ?.. რა გითხრათ? რით გაგახაროთ?

ყველა ეს შევძელით და საკითხავად საჭიროა, — რამ შეგვაძლებინა? რამ გვიხსნა? ჯვარცმულნი ქრისტესთვის როგორ გადავრჩით? ნამებულნი და სისხლ-მთხვევლნი მამულისათვის რამდა გვაცოცხლა, რამ გვასულიერა? მან, რომ ვიცოდით — იმ დროს რა უნდოდა, რა იყო მისი ციხე-სიმაგრე, მისი ფარხმალი. ვაჟკაცობა უნდოდა, ვაჟკაცნი ვიყავით. ხმალი უნდოდა, ხმლის ჭედვა ვიცოდით. ომის საქმეთა ცოდნა უნდოდა, ომის საქმენი ვიცოდით. აი, რამ შეგვაძლებინა, რამ გვიხსნა, რამ შეგვიხსნა!.. იმ დროთა ჩარხზე გაჩარხულნი ვიყავით, იმ დროთა ქარ-ცეცხლში გამოფოლადებულნი, იმ დროთა სამჭედურში ნაჭედნი. „სიღბო გვექონდა ნაქსოვისა“ — ვით ქრისტიანებს „და სიმტკიცე ნაჭედისა“ — ვით მემორებსა და მამულიშვილებს. ამით გავიტანეთ თავი, დროთა შესაფერი

ლონე ვიცოდით, დროთა შესაფერი ხერხი, დროთა შესაფერი ცოდნა გვექონდა, დროთა შესაფერი ხერხი, დროთა შესაფერი ცოდნა გვექონდა, დროთა შესაფერი მხნეობა და გამრჯელობა. ნავიდა ის დრო: დაჩლუნგდა ხმალი, გაუქმდა ვაჟკაცობა. ეხლა ხმალი თაროზე უნდა შევდვათ, აღარაფრის მაქნისია; ეხლა ვაჟკაცობა ომისა კი არ უნდა, რომ სისხლსა ჰღვრიდეს, ვაჟკაცობა ომისა კი არ უნდა, რომ სისხლსა ჰღვრიდეს, ვაჟკაცობა უნდა შრომისა, რომ ოფლი ჰღვაროს. კიდევ ვიტყვით, ქვეყანა ეხლა იმისია, ვინც ირჯება და ვინც იცის ნესი და ხერხი გარჯისა, ვინც უფრო უფრო თხილდება ნაშრომს, ვინც იზოგავს ნაღვანს. დღეს მძლეობა-მძლეობა მართო ის, ვინც მცველია და ბეჯითი სულითა და ხორციტა, ცოდნითა და მარჯვენიტა. გეჭირს-კი დღეს რომელიმე ეს დროთა შესაფერი სიკეთე?.. რა გითხრათ? რით გაგახაროთ?

**ხელიანა მტარა ვერ
დაგვათმოგინა, ვერ
ნაგვართვა ჩვენი მინა-
წყალი, ჩვენი ქვეყანა.
ხელიანს მტარს
გაუქალიტ, გადავრჩით.
ქვეყანა და სხელი
შვიინახეთ, სხსენაგალი არ
ამოვიკვით, შვირჩინეთ,
საქოლავი არავის
აპაგვიინეთ.**

ხმლით მოსეულმა ვერა დაგვაკლო-რა, — შრომით და გარჯით, ცოდნით და ხერხით მოსეული-კი თან გაგვიტანს, ფეხ-ქვეშიდამ მიწას გამოგვაცლის, სახელს გაგვიქრობს, გაგვიწყვეტს, სახსენებელი ქართველისა ამოიკვთება, და ჩვენს მშვენიერს ქვეყანას, როგორც უპატრონო საყდარს, სხვანი დაეპატრონებინან. შრომასა და გარჯას, ცოდნასა და ხერხს ვერავინ და გაუძლებს, თუ შრომა და გარჯა, ცოდნა და ხერხი წინ არ მივაგებეთ, წინ არ დავახვედრეთ, წინ არ დაუწყენეთ. ვართ კი ყოველ ამისთვის მზად? ან გვეტყობა, რამიმე, რომ ყოველივე ეს ვიცით და ვემზადებით?.. რა გითხრათ? რით გაგახაროთ?

ეხლაც ომია, ხოლო სისხლის

ღვრისა-კი არა, ოფლის ღვრისა, ომი უსისხლო, მშვიდობიანი, წყნარი. ამ ომმა არც ბუკი იცის, არც ნალარა, უბუკ-ნალაროდ სთესავს, უბუკ-ნალაროდ მკის. კოკისებურ, მხაპუნა ნიაღვარს კი არა ჰგავს, რომ მთა და ბარი თან წაილოს, მოარღვიოს, მოღაროს და მოგრაგნოს, „მდუმარე წვიმისაებრ ნაყოფის გამომცემელია. არც რბევა იცის, არც ძარცვა. ეს მის ბუნებაში არა სწერია, თუ თითონ ადამიანმა გესლი უღმობელის სიხარბისა შიგ არ ჩაანვეთა, ბუნება არ მოუნამლა, არ მოუშხამა. ეს ომი შრომისაა, და ვითარცა შრომა — პატიორსანია, ნამუსიანია და ისეთივე თავმოსაწონებელი, თავ-გამოსაჩენი, როგორც უწინ თოფისა და ხმლის ომი იყო. ვაჟკაცობა ამისთანა ომში ბევრით წინ არის სისხლის ომის ვაჟკაცობაზე. ვაჟკაც გულადზე მშრომელი სამის გაფრენით მეტიაო, — იტყობა გლეხკაცი თავისებურად ზედგამოჭრით, თუ მართალს ათქმევინებთ. რა გლეხკაცი, თითონ დღევანდელი დღე ამას გვეუბნება, ამას ჰლაღადებს და ჩვენ გვესმის კი ეს ლაღადი? ვაი, რომ არა!.. მაშ, რა გითხრათ? რით გაგახაროთ?

არ ვიცით — რანი ვყოფილვართ, არ ვხედავთ — რანი ვართ, ვერ გამოგვისახია — რანი ვიქნებით! ყურებში ბამბა გვაქვს დაცული და თვალებზე ხელი აგვიფარებია. არც არაფერს ვხედავთ, არც არაფერი გვესმის. უზარმაზარი თხრილია ჩვენ, ქართველების, წინ და აინუნშიაც არ მოგვდის. ამ თხრილის პირას ვდგევართ და საკმაოა ხელი გვეკრან — და შიგ გადავიჩეხებით დედაბუდიანად. ორბი, არწივიც კი ველარ გვიპოვის, ველარ დასწვდება ჩვენ ძვლებს, რომ გამოხრან, გამოსწინკონ, ისეთი ღრმაა ეს თხრილი, ისეთი უძირო, ვდგევართ და ულონოდა ვბზუით: „მე ვარ და ჩემი ნაბადიო?“ და ამ ბზუილიდამ არა გამოდის-რა. იქნება იმიტომ, რომ ყველა ბუზი კი ბზუის, ფუტკართან-კი ყველა ტყუის. ახალო წელიწადო, თუ რამ შეგიძლიან, თვალი აგვიხილეთ, ყურებიდამ ბამბა გამოგვაცალეთ, ფუტკრისაგან გვასწავლეთ დროთა შესაფერისი სამამაცონი ზნენია, რომ ჩვენმა შემდეგმა მაინც აღარა სთქვას: რა გითხრათ? რით გაგახაროთ?

(1897 წ., 31 დეკემბერი)

ვის ნათესა ვაკით?

(თბილისი 1879 წლის)

აი, მოსწყდა ერთი წელიწადი კიდეც აწმყოსა და მიერთო იმ ვეშაპს, რომელსაც წარსულს ეძახიან და რომელსაც ამოდენა დრო და ჟამი გადაუყლაპავს და მოუნელებია. ნავიდა ძველი წელიწადი და მოვიდა ახალი. რომელი ერთი მოგილოცოთ, მკითხველო: ძველის წასვლა, თუ ახალის მოსვლა? ადამიანთა ცხოვრება საზოგადოდ და ჩვენი საკუთრივ რომ რიგიანად აგებული იყოს და თავისად მიმავალი, ძველს უნდა რაიმე სიკეთე დაეთესა, რომ ახალს ეხეირებინა, რადგანაც წესიერად მოწყობილ ცხოვრებაში დღევანდელი დღე შვილია გუშინდლისა და დედაა ხვალისა. მაშინ, რასაკვირველია, ძველს მადლობით გავისტუმრებდით და ახალს იმედით და ნატვრით მივეგებებოდით. მაგრამ კაცი ბჭობს და ღმერთი კი იცინისო, ნათქვამია.

სხვისა არ ვიცით და ჩვენ კი ამოდენა ხანია ქვეყანაზედ დაგვოგავთ, ამოდენა ხანია ჩვენს თვალწინ ერთი წელიწადი მეორესა სცვლის, და ჩვენს ბედს ისე უმუშავნია, რომ არც ერთხელ საბუთი არა გვექონია ან წარსულს ნაღვლით გამოვსალმებოდეთ და ან მომავალს სიხარულით მივეგებებოდეთ. ამოდენა წელიწადებს გაუვლია-მეთქი და მათგანი ერთი იმისთანა არ შეგვხვედრია, რომ ნუგუშით გაგვეჩერებოდა მასზედ თვალთ და მადლიერის გულით გვეთქვას: „იყავ და განგრძელდიო. ყოველ ახალის წლის მოსვლასაც ბევრჯერ მივეგებებივართ რაღაც იმედითა და ნატვრითა, მაგრამ მოსულა, ახალი და ფუჭად ჩაუტარებია „იგი ნატვრა, იგი იმედი“.

ჟამთა ცვლას ჩვენის ბედის ცვლა არ მოჰყოლია, თითქო დროთა მდინარება ჩვენთვის არ არსებობსო, თითქო ყველასათვის მოძრაობსო და მარტო ჩვენთვის კი შემდგარიო, არც წინ მიდის, არც უკანაო. ამდენმა გაცუდებამ იმედისამ და ნატვრისამ იქამდინ მიგვიყვანა, რომ ჩვენს თვალწინ ერთი წელიწადი მეორეზედ მიდის და მოდის და არც ნაღველი გვრჩება წარსულის სიკეთისა და არც ნუგუშით მომავალის იმედისა. ამ ყოფამ დაგვიღალა გული, ამოდენა ტყუილმა ლოდინმა დაგვლია და აი, ამ-ჟამად, როცა დროთა ბრუნვამ ძველსა და ახალის შუა ამართულს ქედზედ დაგვაყენა, საიდანმაც წარსულსაც გადავყურებთ და მომავალსაც, — ჩვენ გული არ გვიცემს არც მისთვის, რომ წარსულს გავტიროდეთ და არც


მისთვის, რომ მომავალს შევხაროდეთ.

თუმცა ასე აგვიცრუა გული ათასმა მაგალითებმა, ბევრმა უნაყოფოდ ჩავლილმა და მოვლენილმა წელიწადმა, მაგრამ სიმართლე გვაიძულებს, ვსთქვათ, რომ ეს უკანასკნელი ოთხი-ხუთი წელიწადი როგორღაც, ცოტად თუ ბევრად, სანუგეშო იყვნენ. ნამეტნავად ეს ძველი 1879 წელი ღირსშესანიშნავი წელიწადი იყო ჩვენთვის და ქართველმა მემამტიანემ რომ ამ წელიწადს მხარი აუქციოს, არ უნდა ეპატივოს. ამ წელიწადმა ცხადის მაგალითებით დაგვიმტკიცა, რომ ქართველობამ, აქამდის ერთმანეთზედ დაშორებულმა, აქამდის ცალ-ცალკედ მოარულმა იგრძნო, რომ ეგრეთ ყოფნა მწვადსაც სწვავს და შამფურსაცა, თვითოეულს კაცსაც

ავნებს და მთელს საზოგადოებასაც; იგრძნო ეს ტკივილი და მალამოც უპოვა. იგრძნო რომ ღონე ერთობაშია, ერთად თავ-მოყრაში, ერთად საერთო უღელის წევაში, ერთმანეთის მხარის მიცემაში. იგრძნო და გაშალა ხელი კიდეც, რომ დაქსაქსული, გაფანტული, ცალცალკე მოარული ღონე — ქონებითი თუ გონებითი — ერთს კვალში ჩაეყენებინა საერთო და საყოველთაო მოქმედებისათვის. ჩვენ ამ მაგალითებთაგანს ორიოდეს დავასახელებთ, რადგანაც ჩვენთვის ამ-ჟამად საჭიროა ის კი არა, რა გაკეთდა, არამედ ის არის საჭირო, გაკეთებული რამან შეჰქმნა, რომ გააკეთა და საიდან წარმოსდგა.

შესდგა ჯერ თავად-აზნაურთა საზოგადოება ღარიბ მოსწავლეთა შემწეობისათვის. ამ საზოგადოებამ 1879 წ. გამართა ტფილისში ქართული შკოლა, სადაც სწავლა დედაენის შემწეობით არის მომართული და სადაც ოთხმოცამდე ყმაწვილნი სწავლობენ და ამათში ოც-დათორმეტს, თუ ცოტა მეტ-ნაკლებს ბინაცა აქვთ აჩენილი. შესდგა საზოგადოება წერა-კითხვის გამავრცელებელი ქართველთა შორის, რომელსაც მინიჭებული აქვს უფლება, რომ სასოფლო და პირველდანყებითს შკოლებში სწავლა დედაენის შემწეობით აწარმოოს.

ძველი თბილისის ხედი





თუმცა ამ საზოგადოებას ჯერ თავი არაფრით გამოუჩინია, მაგრამ ტვირთი მისი მეტად მძიმეა და საგანი მეტად რთული და ამის გამო „აქ სინყნარე გმობილი სჯობს სიჩქარესა ქებულსა. ამ საზოგადოების რთულისა და მძიმე საქმის ჯეროვანს კვალში ჩაყენება ეგრე ადვილი არ არის, რომ სამს-ოთხს თვეში თავი გამოეჩინა. ამ საზოგადოებას წინ დიდი მანძილი აქვს გასავლელი. დიდს მანძილს კაცი ჭენებით ვერ გაივლის. დიდს მანძილს ზომიერი და მტკიცე ნაბიჯი უნდა. ამით ჩვენ იმისი თქმა კი არ გვინდა, რომ ფენის აჩქარება ამ საზოგადოებისათვის მავნებელი იყოს ყოველ შემთხვევაში. თუმცა არ არის სასურველი ეს საზოგადოება ისე აუჩქარდეს თავის საქმეს, რომ ზედ ნააკლას არსებითი საგანი, მაგრამ არც ის არის სანატრელი, რომ მეტისმეტმა სინყნარემ ობი მოჰკიდოს იმ დედა-აზრს, რომლითაც იგი საზოგადოება უნდა სულდგმოვლობდეს. — ამავე 1879 წ. შესდგა ქართულის თეატრის დასი, მერე იმისთანა, რომ უკეთესი ნატვრა — ჯერ-ხანად მაინც — მეტისმეტი ხარბობა იქნება ჩვენის მხრით.

ჩვენ მარტო ეს სამი მაგალითი ჩამოგიტვალეთ არა იმისათვის, რომ მაგის მეტი სანუგეშო არა მომხდარიყოს რა ჩვენს შორის ამ უკანასკნელ დროს. მაგრამ ეგ სამი მაგალითიც საკმაოა მისთვის, რის თქმაც გვინდა. ყოველივე ეს, რაც ზემოთ გაკვირით მოვიხსენიეთ, მით არის შესანიშნავი და ძვირფასი ჩვენთვის, რომ ქართველობის საკუთარის თაოსნობით, ღვაწლით, შეწირულობით და ხელით აშენდა და დამკვიდრდა. განა ბევრს წელიწადებს ჩამოგვითვლით ამ უკანასკნელს ოთხმოცის წლის განმავლობაში, რომ რომელიმე მათგანი ამ მხრით თავმოწონებით გვერდით დაუდგეს წარსულს წელსა? არა მგონია. ეს წელი შესანიშნავია, როგორც დრო, როცა ჩვენმა საკუთარმა თაოსნობამ თითქმის პირველი ფეხი აიდგა; როცა ჩვენმა ქართველობამ პირველ ხმამაღლა სთქვა: კმარა, დროა ჩემს თავს მევე მოვუაროო.

რამ გამოაფხიზლა ქართველობა? რამ აუღორძინა თვითმოქმედებითი ძალი? ამის აღსახსნელად პატარა შორიდან დავინყებთ ლაპარაკსა, უფრო იმისათვისა, რომ თუ

ძველი თბილისის ხადი



თვალთ არა, სუნით მაინც ავილოთ, რომელი ცხოვრების ძარღვი გვაქვს ჩანყვეტილი დროთა ბრუნვისაგან.

ჩვენი უპაუკაბა მუხინ დაინყო, როცა ჩვენი ქვეყანა დაირღვა და განანიღდა სამ საეფოლ და სუთს სამთავროვოდ. ამ დარღვევაზე არა მხოლოდ უკუბრუნდებიან ქვეყნის მკვიდრები, არამედ უცხოელებიც, რომლებიც ახლა ჩვენს მიწაზე დადგნენ. ჩვენს მიწაზე დადგნენ უცხოელები, რომლებიც ახლა ჩვენს მიწაზე დადგნენ. ჩვენს მიწაზე დადგნენ უცხოელები, რომლებიც ახლა ჩვენს მიწაზე დადგნენ.

მას დღეს აქეთ თვითოეული დღე თითოს რასმე სიკეთეს ხელიდან გვაცლიდა. ეს სახარო უბედურება, რომელიც თანდათან უფრო და უფ-

რო გვიჯდებოდა სულსა და ხორცში და გვხრწნიდა თავიდან ფეხამდე. იგრძნეს მაშინვე ჩვენმა მამა-პაპებმა და მათგან უკეთესებმა ზედ შეაკლეს თავი ჩვენს ქვეყანასა, რომ ერთობა ხელ-ახლად ჩამოეგდოთ. ბევრმა სახელოვანმა მეფემ დალია ამაზედ თავისი სიცოცხლე, ბევრმა თავგამოდებულმა მამულის-შვილმა დაანთხია ამისთვის სისხლი, მაგრამ გარედამ მტერმა და შიგნით უკეთურთა ბზარვამ და ლალვამ იმოდენა ჯაფა, სისხლის ღვრა, თავგანწირვა, — ამოდ ჩაუტარეს დარღვეულობით დაუძღურებულს ქვეყანასა და ერთხელ ზურგშემოქცეულს ბედს პირი ჩვენკენ ველარ აქნევენეს. ეგ შეერთების ყოვლადმხსნელი სურვილი თუმცა ველარ განახორციელეს, მაგრამ ანდერძად კი მაინც შერჩათ გულში ზოგიერთს ძველთაგან შთომილსა. ხოლო ჩვენი უბედურება ის იყო, რომ მაგ ძველთაგან ცოტანილა შეგვრჩენენ. დროთა ბრუნვამ, სხვა ნიავქარის ქროლამ, სუსტებს გული შეუცვალა და ჩვენს დროსათვის დარჩა იმ ძველთაგან ძალიან მცირე გუნდი, რომელთაც გული კიდევ უცემდათ ქვეყნისათვის. დრომ ისე იმძლავრა იმათზედაც, რომ ჩუმად, ხმაამოუღებლივ უნდა მიმჯდარიყვნენ თავ-

ვის უსიხარულო ჭერქვემ და იქ ეგლოვნათ, იქ ეტირნათ თავისის ქვეყნის პირქვე დამხოზა, მერე ისე, რომ ცრემლი თვალზედ არავის შეემჩნია. გულში ჰქონდათ-მეთქი ის მაცხოვარი ნყურვილი შეერთებისა, მაგრამ დრომ ისეთი თავზარდი დასცა, რომ შიშობდნენ არამც თუ ემოქმედნათ, რამე, არამედ ერთმანეთის ნახვასაც კი ერიდებოდნენ. ეგრე ეგ უკეთესნიც დაჰშორდნენ ერთმანეთსა და დღე-და-დღე კლებაში შედიოდნენ. კლებულობდნენ იმიტომ, რომ ის ყოვლად-მხსნელი სურვილი მარტო იმათ გულში ტრიალებდა და შიშით თავი გარეთ ვერ გამოეყო, რომ გავრცელებულიყო მათ მიმდევართა შორის და მემკვიდრეობით გადასულიყო მომავალთა გულში. ამ სახით, ის სურვილი ცოტად-ლა ბჟუტავდა ზოგიერთა გაცალკევებულს გულში, როცა მოედანზედ გამოვიდა სხვა ახალი მოზარდი თაობა. ახალი თაობა მოესწრო და ის თითქმის განელეზული, მიღეული სურვილი ერთობისა და საზოგადოებრივის კავშირისა კვლავ გაფუჟდა, აღორძინდა ჩვენ დაფუყებულს გულში და აჰა, ლამის ნაყოფიც გამოიღოს. ამ ღვანლს ვერავინ შეეცილება ყმანვილ-კაცობასა, რომელმაც, რაც კი შეეძლო, თავი არ დაზოგა და პირქვე დასამხოზლად მიწურვილი სურვილი კვლავ ფეხზედ წამოაყენა. ბევრს რასმე ემდურებთან ყმანვილკაცობას, ზოგს სამართლიანად, ზოგს უსამართლოდ, მაგრამ აქ მოხსენებულს სამსახურს კი ჩვენის ქვეყნის



ქველი თბილისის ხაღი

წინაშე ვერავინ ვერ ჩამოართმევს. ყმანვილ-კაცობამ ხელი წაავლო პირველ ხანშივე მას, რახედაც შესწყდა ჩვენი ცხოვრება, მან დააყენა ჩვენში ფეხზედ ქვეყნის სიყვარულიც, მამულის-შვილობაც. ერთსა და მეორესაც, რაც შეეძლო, გზა გაუკაფა, ფეხი აადგმევინა, ერთის სიტყვით, ჩვენ, ერთმანეთზედ ზურგმექცეულნი, კვლავ ერთმანეთისაკენ მიგვახედა. დიახ, ყმანვილ-კაცობის მაღლობელნი უნდა ვიყვნეთ, რომ ჩვენ საერთო, საყოველთაო სურვილი გაგვიახლა, საერთო გულის-ტკივილი ჩავვისახა, ჩვენის თავის იმედი მოგვცა და ერთობ გამოგვადვიდა, გამოგვაფხიზლა. ერ-

თობის მღალადებელთა არ გაუცუდდათ ღალადება და აი, დღეს იმასა ვმკით, რაც ყმანვილკაცობის უანგარო ღვანლით წინა წლებში დათესილი იყო.

გვეტყვიოთ, სამკალი ჯერ მაგოდენა არა არის რაო, რომ ეგრე თავმონონებით გამოდიხართ და აზვიადებთო. მართალია, ქართული თეატრი, ქართული შკოლა, წერაკითხვის გამავრცელებელი საზოგადოება და სხვა ამ-გვარი ისეთი დიდი რამ არ არის, რომ ჩვენი ფარხმალი ძირს დავსდოთ, მარტო მაგათ შევაჩერდეთ და მაგაზედ მეტი არა ვინდომოთ-რა. სურვილი ჩვენი ზღვაა და მაგ-გვარის კოვზით ეგ ზღვა არ დაიღევა. მაგრამ ყოველს ამაში ჩვენთვის ძვირფასი ის არის, რომ ერთიც, მეორეც, მესამეც ჩვენის საკუთარის თაოსნობით და ღვანლით არის მოყვანილი და ერთმანეთისათვის საერთო გულისტკივილით შემზადებული.

ეს ფრთამესხმული საკუთარი თაოსნობა, ეს ერთმანეთისათვის გულის-ტკივილი, ეს ფეხადგმული თვითმოქმედებითი ძალი, — ის წერგია, რომელმაც უნდა ამოხეთქოს ყოველივე, რაც ჩვენთვის სანატრელია. ეს წერგი დარგულია ჩვენში ჩვენის ყმანვილ-კაცობის ხელით — წარსულში, და მომავალის დროების მოღვანეთა იგი უნდა ჰრწყან თავის მხურვალე ოფლითა. წარსულმა ეს უანდერდა მომავალსა, ეს ლარი გაუზა გზის საჩვენებლად.

(1879 წ. 31 დეკემბერი)



ქველი თბილისის ხაღი



ქართულ მეფე-მთავართა წერილები

მრავალი საუკუნის განმავლობაში საქართველო ძლევამოსილად უმკლავდებოდა მაჰმადიანურ შემოტევებს. იყო დრო, როდესაც ჯვაროსნული ომებით ქანცგანწყვეტილი ქრისტიანული ევროპა დასახმარებლად უხმობდა ქართველ მოლაშქრეებს. არსებობს ცნობები, რომლებიც ადასტურებს იერუსალიმის ქრისტიანი მეფის — ბოლდუინ მეორის ინკოგნიტო შეხვედრას დავით აღმაშენებელთან. ამ შეხვედრამ მრავალი სიკეთე მოუტანა ჯვაროსან რაინდებს. მაგრამ დროთა მსვლელობამ ისტორიის ჩარხი უკულმა შეატრიალა და ახლა უკვე ყოფნა-არყოფნის ზღვარზე მდგარი ქართველი მეფეები საჭიროებდნენ საქრისტიანო სამყაროს თანადგომას. ეს განსაკუთრებით აუცილებელი შეიქმნა მონღოლთა შემოსევის დროიდან. აქედან მოყოლებული, ჩვენში მუდამ ღვიოდა ერთმორწმუნეთა დახმარების იმედი. მეჩვიდმეტე-მეთვრამეტე საუკუნეებში ქართულ სამეფო-სამთავროთა მესვეურებს გაცხოველებული მიმონერა ჰქონდათ ვატიკანთან, პარიზთან, ვენასთან, მადრიდთან და სხვა მსხვილ ევროპულ ქალაქებთან. ამ წერილებიდან კარგად ჩანს ორმხრივ ურთიერთობათა რეალური შესაძლებლობები და პერსპექტივები. მაგრამ, სამწუხაროდ, ცივი პრაგმატიზმის ნასაზრდოები ევროპული დიპლომატია მუდამ თავს არიდებდა რეალური ნაბიჯების გადადგმას, რამაც მომავალში დიდად განაპირობა ქართულ სამეფოთა სტრატეგიული ორიენტაციის ჩამოყალიბება.



რუსუდან მეფე წერილი რომის პაპის ჰონორიუს მესამის პიპართ

უნმიდესს პაპას, მამას და ყველა ქრისტიანების მთავარს, წმიდა პეტრეს საყდარზე მჯდომარეს. ჩვენ მდაბალი რუსუდან აფხაზთა დედოფალი, თქვენი ერთგული მხე-

ვალი და ასული უმდაბლესად თავს გიკრავთ და მოგესალმებით.

როგორც უდიდესი და უმაღლესი ბრძანდებით, ისე ღვთისაგან იმედი მაქვს, უფალმა მეგისრულოსთ ყოველი თქვენი გულითადი. გულ-მონყალე ხართ და იკითხავთ ჩვენს ამბავს, ვაუწყებთ თქვენს სინმიდეს, რომ ძმა ჩემი ქართველთა მეფე მიიცვალა და მისი სამეფო მე მერგო. ან ვითხოვთ თქვენს კურთხევას ჩვენთვის და ყველა მეფე ქვეშევრდომ ქრისტიანეთათვის. დამიეტში მყოფის თქვენის ელჩისაგან მივიღეთ თქვენი დიდებული რჩევა და ბრძანება, რომ ჩემი ძმა ნასულიყო ქრისტიანების შესანევენელად. ისიც ამ ზრახვასა და ნასვლის მზადებაში იყო, როდესაც ბოროტნი თათარნი შემოვიდნენ ჩვენს ქვეყანაში. ეს იქნება თქვენც შეიტყვეთ, დიდი უბედურება მიაყენეს ჩვენს ერსა და დაგვიხოცეს ექვსი ათასი კაცი. ჩვენ მათ არ ვუფრთხილდებოდით, რადგან ქრისტიანები გვეგონა; მაგრამ როდესაც ვსცანით, რომ კარგი ქრისტიანები არ იყვნენ, მაშინ შევკრიბეთ ყოველი ჩვენი ძალა და წინ აღვუდექით, ოცდახუთი ათასი კაცი გაუზწყვი-

ტეთ, ბევრიც დავატყვევეთ და დანარჩენი მათი მხედრობა ჩვენი ქვეყნიდგან გავდევნეთ. აი, ამის გამო აქ დავრჩით და თქვენის ელჩის ბრძანებისამებრ ვერ წამოვედით.

ხოლო ან დიდად განვიხარეთ, რა შევიტყვეთ, რომ თქვენის ბრძანებით იმპერატორი სირიაში უნდა წავიდეს წმიდა ადგილების დასახსნელად. გთხოვთ გვაცნობოთ, თუ როდის უნდა გამოიაროს იმპერატორმა, რათა ჩვენც წმიდა ადგილების დასახსნელად გავგზავნოთ ჩვენი მხედართმთავარი ივანე მთელის ჯარით იმ ადგილს, საცა თქვენ ინებებთ. გრეთვე გაუწყებთ, რომ ამ ჩვენმა მხედართმთავარმა და ჩვენის სამეფოს სხვა მთავრებმა მიიღეს ჯვაროსნობა და წასვლას ელიან. ამისთვის ვევედრებით და ვსთხოვთ თქვენს უწმიდესობას, რათა მოგვენეროთ და გვიბოძოთ თქვენი კურთხევა ჩვენ, აღმოსავლეთში მყოფ ქრისტიანებს. ამ წერილის მომტანს, ჩვენს საყვარელს დავითს, ანის ეპისკოპოსს, ისე ერწმუნეთ ყველაფერში ვითომც ჩვენის პირისაგან გსმენოდეთ. თქვენთა წმიდა ლოცვათა შინა მოგვიხსენიეთ.

მ. თაპარაშვილი

ისტორია კათოლიკობისა ქართველთა შორის, გვ. 7-8.

XV საუკუნე გიორგი მერვე წერილი ბურბუნდის მთავრის პიპართ

ყოვლად ბრწყინვალე ბურგუნდის დუკას, მე, გიორგი საქართველოს მეფე, მრავალს მოკითხვას მოგახსენებ. ამ წიგნს გწერთ, რათა სცნოთ, რაც ვწყავით ამჟამად აღმოსავლეთში. ან უწყოდეთ, რომ ყველა ამ მხრის ქრისტიანე მთავრებმა ერთმანეთს შორის ჩამოვადეთ მშვიდობა და ზავი და შევიციცნით, რათა ყველა ჩვენი ძალით და ცდით ვეომოთ ოსმალებს, მეტადრე იმათ, რომლებიც არიან კონსტანტინეპოლში, რადგან ქრის-



ტიანებს ძლიერ მტრობენ. ამ კავშირის გამო ყველა ჩვენთაგანმა ჯარი მოამზადა, მე თითონ პირადად 40.000 კაცი თუნდა წავიდე, დავით ტრაპეზუნტის იმპერატორი შეგვიპირდა და მზად აქვს 30 ხომალდი 20.000 კაცით. სამეგრელოს მეფე ბენდია მზად არის მთელის თავისი ჯარით. ყვარყვარე საქართველოს მთავარი თვით მოდის 20.000 ცხენოსნით. ანაკოფიის მთავარი რაბა (ფაბია) შემოგვპირდა წამოსვლას თავისი ძმებით, თავადებით და მთელის თავისის მხედრობით. მცირე სომხეთის ბატონი ბერდებეკ ჩვენის ლაშქრობასათვის შემოგვპირდა 20.000 კაცს. ხსენებულ კავშირში არიან კვალად სხვა ერნიც — გიტარანები და სხვანი, ეგრეთვე თათრების სამი ძლიერი მთავარი, რომლებიც მზად არიან დაუწყონ ჩხუბი ოსმალებს, ესე იგი, კოსტანტი ნეპოლის მფლობელ ოსმალებს. იმათგანი ერთი არის ყარამან, მეორე ისმაელ-ბეგი, შვილი უწინდელის მთავრისა, მესამე ჰასან-ბეგ მესოპოტამიის მეფე, შვილი ყარაილუკისა, რომელიც ძლიერი და დიდი მტერია კოსტანტინეპოლელი ოსმალებისა და მზად არის ყველა თავისი დანაპირები აღასრულოს. აქ ხსენებულთა ამის შესრულება ერთმანეთს შეეფიცეთ. მუხანათი სიკვდილით უნდა დაისაჯოს, იმ პირობით კი, თუ თქვენ ლათინებიც ჩვენთან ერთად იქმნებით და თქვენის მხრით ოსმალებს ომს დაუწყებთ.

გარნა თუ არ ისურვეთ ეს ომი, მაშინ სრულებით ვალდებულნი აღარ ვიქნებით, შევასრულოთ ის, რასაც ერთმანეთს შევპირდით. ამიტომ გვედრები, ყველაფერს თავი დაანებოთ და ამ ომს მიაქციოთ ყურადღება და ჩემსავით არც უკან დაიხიოთ ასეთი წმიდა საქმისათვის რომელსამე სიძნელის გამო. უკეთუ ყურადღება მიმექცია სხვადასხვა სიძნელის გამო. უკეთუ ყურადღება მიმექცია სხვადასხვა სიძნელისათვის, თავის დღეში ვერ დავემორჩილებოდი ბატონს ჩვენს პატრიარქს, რომლის შემწეობით და ბრძანებით ჩვენს შორის მშვიდობა დამყარდა, დაიდვა ეს კავშირი, ან თუმცა ამ მორიგებამ ზოგიერთ საქმეში მაზარალა, მაგრამ მაინც კი მოხარული ვარ, რადგან ამის მაგიერად ღვთისაგან მოველი სულიერ სასყიდელსა. ან სხვას არაფერს გნერ, რადგან ჩვენს ბატონ პატრი-

არქთან ერთად ვგზავნი ჩემს ელჩსა, რომლისაგან ყველაფერს შეიტყობთ და რომელსაც გავედრებ. მას მოუსმინეთ. გთხოვ, თქვენი პასუხი წერილით გამოათანოთ, რათა ვსცნოთ თქვენი აზრი და გარდაწყვეტილება. ქრისტეს მიერ მშვიდობით ბრძანდებოდეთ. დაინერა ჩვენს ბანაკში ახლოს კარავისა. 1459 წლის ნოემბრის 5.

ყვარყვარე ათაბაგი წერილი ბურბუნდიის მთავრის მიმართ

ყოვლად ბრწყინვალე ბურგუნდიის დუკას. მე, ყვარყვარე საქართველოს მთავარი, სიყვარულით მოგიკითხავ.

დიდად ვნატრობ თქვენს დამეგობრებას, რადგან შევიტყე, რომ ძლიერ მორწმუნე ქრისტიანე ხართ და მარადის ნატრობთ ჰქმნათ იმისთანა შესანიშნავი საქმე, რომელიც შეეხება ჩვენის წმიდა სარწმუნოების პატივსა და დიდებას, როგორათაც ესა ჰყვეს თქვენთა წინაპართა. მეც ქრისტიანე ვარ და ამ უწმიდესი სარწმუნოების დასაცვლელად და მისი დიდებისათვის მზად ვარ თავი დავსდვა; ამიტომ ჩემ წინაპართა კვალს მივსდევ და მათ მსგავსად სიამოვნებით ვეომები ურწმუნოთ. მამიჩემის სიკვდილის შემდგომ ხშირად მომიხდა მათთან ომი და, ღვთის მაძლით, ბევრჯერაც გავიმარჯვე მათზე და ბევრი მათი ქალაქიც დავიპყარი. გასულ წლებში მეზობელ ქრისტიანე მთავრებთან ომი რომ არ მომხდენოდა, უფრო მომეტებულად გავიმარჯვებდი ურწმუნოებზე, ხოლო ან ბატონი ჩვენი პატრიარქის ლუდოვიკეს ბრძანებით შეეურიგდი ყველა ჩემს მეზობელს ქრისტიანე მთავრებსა და გარდავსწყვიტე მთელი ჩემი ღონე და შეძლება მოვიხმარო ოსმალების წინააღმდეგ, როგორათაც დავპირდი ჩვენს ბატონ პატრიარქს. თვით მევე უნდა წავუძღვე ჩემს 20.000 ცხენოსანს საომრად ურწმუნოთა წინააღმდეგ. ამის ადვილად აღსრულებისათვის არა მარტო შეეურიგდი, არამედ პირობაც შეეკარი და კავშირი დავადგინე ამ ქვეყნის ყველა ქრისტიანე მთავრებთან, რათა ესეთის ჩვენის შეერთებულის ძალით შევებათ და ვსძლიოთ ოსმალთა, რომელთაც

დაიპყრეს კოსტანტინეპოლი, ხოლო კავშირი ვყავით: მე, გიორგი საქართველოს მეფემ, დავით ტრაპეზუნტის იმპერატორმა, ბენდია სამეგრელოს მეფემან, რაბია ანაკოფიის (აფხაზეთის) მთავარმა და ბერდებეგ მცირე სომხეთის ბატონმა. ამათ გარდა ჩვენი მოკავშირენი სხვანიც არიან. ის მოკავშირენი თუმცა ურწმუნონი არიან, მაგრამ ძლიერ მთავრებად ითვლებიან და დიდი მტრები არიან კოსტანტინეპოლელი ოსმალებისა. ისინი არიან შემდეგნი: ყარამან, ძველი მართველის ისმაილ-ბეგის შვილი, და ჰასანბეგ, უწინდელი ყარაღუკის შვილი. რადგან ჰასან-ბეგ აქეთ მხარეს კოსტანტინეპოლელი ოსმალების საზღვარზედ არის, დაგვიპირდა, რომ გზა მოგვცეს, რათა ანატოლია დავიპყრათ და თვითონაც უნდა მოვიდეს ჩვენთან ყოველი თავისი ჯარით ასაღებად ბერსის ქალაქისა, რომლის დაპყრობაც თვითონ უნდა, ესეთი კავშირი მასთან იმ პირობით დავდევით, რომ მუდამ იქნეს ქრისტიანების დიდი მეგობარი; ეგრეთვე უკეთუ თქვენ, ლათინის მთავრები და ერი, წამოხვალთ იერუსალიმის წმიდა ადგილების დასაპყრობად, ის ვალდებულა ყველანაირად შეგენიოსთ თქვენ, რაოდნათაც კი შეუძლია.

აგერ 50 წელიწადია, ესეთი მშვიდობა და ერთობა, რომელიც ან ვყავით, არ გაგონილა ჩვენს ქვეყანაში. ეს ვყავით ჩვენის ბატონის პატრიარქის ბრძანებით და ჩაგონებით და ეგრეთვე თანახმად წერილისა, ბატონის პაპისა, რომელმაც მოგვწერა და გვაუწყა, რომ მან თავის ქალაქში ყველა ლათინის მთავრები უნდა შეეკრიბოს და რჩევა ჰქმნას, რათა მოემზადონ ურწმუნოებთან საომრად. ხოლო დიდად ვნატრობთ, რომ თქვენც შემოგვიერთდეთ ამის აღმასრულებლად.

ამიტომ ბატონ პატრიარქთან ერთად ვგზავნი ჩვენს ელჩებს, ყველა ლათინის მთავრებთან და უფროს ერთად თქვენთან, რადგან შევიტყვეთ რომ დიდი ხანია ძლიერ ნატრობთ წმიდა ადგილების დაპყრობას. ან ჩვენის ელჩებისაგან სცნობთ, თუ ჩვენ ყველანი რაოდნად მოწადინებულნი ვართ ამ სარწმუნოების საქმეში და თუ მისთვის რა გავაკეთეთ ამ დროებში. კვალად დიდად ვნატრობთ და გვედრებით, ჩვენს ელჩებს ყველაფერი კარგად



შეატყობინოთ, თუ მზად ხართ ჯვაროსანთა ომის დასაწყებად, რათა მათაც გვაცნობონ, თუ რა დროს უნდა შევიჭურნეთ საომრად. ამასაც გპირდებით, რომ ერთის ზაფხულის განმავლობაშივე დავიპყროთ მთლად ანატოლია და ყველა ქვეყნები, რომელიც კოსტანტინეპოლელ ოსმალოს ამ მხარეს უჭირავს, ხოლო იმის მეორე კერძო ადგილები, რომელიც საბერძნეთია და რომელსაც შავი ზღვა ჰყოფს, თქვენ დაგიტოვოთ; მისი ალება ადვილი იქნება, რადგან, როდესაც ოსმალეთი ესე ორ ჯარს შუა მოექცევა, ველარ გაუძაღდება, მალე დაიძლევა და ამნაირად მის სახელს ქვეყანაზე მოვსპობთ. ამიტომ სხვა ყველა ლათინის მთავრებზე უმეტესად თქვენ გვედრებით, რათა ამისთვის იფიქროთ და იზრუნოთ და ხელიდან არ გაუშვათ კაი შემთხვევა, რომელსაც გაძლევთ; არც დამცირებად მიიჩნით ჩვენი მომხრეობა, ვინაიდან ყველაფერი დაგვიტოვებია და სარწმუნოების სასარგებლო საქმეს დავსდგომივართ. უკეთუ ან დაიზარებთ და ყურადღებას არ მოაქცევთ ამას (რაც ღმერთმა ნუ ინებოს), მაშინ სრულებით აღარაფერს ვიქმთ, რადგან იმ პირობით, შევერთდით ურწმუნოებთან საომრად, უკეთუ თქვენც, მთავარნი ლათინნი ჩვენთან შეერთებულ იქნებით. თვინიერ ამისა ყოველი ჩვენი ხელშეკრულობა უქმია, რადგან ყველა ჩვენი რჩევა და გადაწყვეტილება დამყარებულია ბატონი პაპის წერილზე, რომელიც ჩვენმა ბატონმა პატრიარქმა მოგვიტანა და რომელიც მის ნამდვილ წერილად მიგვაჩნია.

დასასრულ, უწყოდეთ კარგად, რომ თუ ახლა ჩვენთან ერთად არაფერს იმოქმედებთ, შემდეგში, კიდევაც რომ გულით მოინდომოთ, ვერაფერს გაარიგებთ, რადგან უსჯულო ოსმალეთი მუდამ დღე ძლიერდება და ველარც შევიძლებთ შემდეგში გულმოდგინედ შეერთებას, როგორც ახლა ვართ. თუმცა ბევრი რამ მიხდოდა მომენერა, მაგრამ ეს ვიკმარე, ზოგსაც ჩემი ელჩი მოგახსენებს. უსმინეთ ყველაფერი უეჭველად. ეგრეთვე დაგავედრებ მას. ქრისტეს მიერ ბრძანდებოდეთ მშვიდობით.

დაიწერა ქარციხეს (ახალციხეს), 1459 წ. ნოემბერს.

**ნიკოლოზ ტფილელი
სიტყვა, თქმული
რომის პაპის -
პიო მეორის წინაშე**

თქვენ წარმოგზავნეთ ჩვენდამი მინორიტების წესის ბოლონიელი ლუდოვიკე, რომელმაც მოგვახსენა, რომ თქვენ ნახვედით მანთოვას ქრისტიანებთან კრების მოსახდენად, რათა-მაჰმედს, ოსმალების იმპერატორს, ომი დაუნყოთ და ნატრობთ, ჩვენმა მთავრებმაც ახიაში ომი აუტეხონ, როდესაც ევროპაში შეებმით. ეს ამბავი ძლიერ ესიამოვნათ ჩვენს მთავრებს, რადგან

**მათ სქულსთ ოსმალები და
თქვენ უყვარხართ და
პატივს გსვამენ ისა,
როგორც ქრისტეს
ნასვალსა:
მზად არიან თქვენი
ბრძანების
აღსრულებისათვის.**

ჩვენს მთავრებს ერთმანეთში მძულვარება და ომი ჰქონდათ, მაგრამ თქვენმა ნუნციომ რა უბრძანა, მაშინვე შერიგდნენ და ან მზად არიან დაუნყოფონ ომი ოსმალებს, როდესაც კი თქვენ უბრძანებთ. 120.000 მეომარნი მზად არიან ეომონ მაჰმედ იმპერატორს ახიაში, ვიდრე ჰელესპონტამდე, თრაქიამდე და ბოსფორამდე, როდესაც თქვენ ინებებთ და თუ თქვენც დასავლეთელებთან ერთად ეომებით ოსმალებს. ამიტომ წარმოგვგზავნეს და ეგრეთვე მისთვის, რათა ვემთხვიოთ თქვენთა ფერხთა, ვითარცა ამ ქვეყანაზე ღვთის ნაცვლისას. ეგრეთვე გაუნწყებთ, რომ

**ჩვენთან შეერთებულნი
არიან ბენდია აფხაზთისა
და სამეგრელოს მეფე,
ბაგრატ (მეფე)
ივრიქალებისა, რომლებსაც
ან უწოდებენ გიორგინაებს,
და მამია გარკიო გურიელი...**

ან მხოლოდ ამას გთხოვთ, რომ ლუდოვიკე, რომელმაც აქ მოგვიყვანა, დაადგინოთ პატრიარქად იმათზე, ვინც აღმოსავლეთში რომის წესს მისდევენ და თქვენ საყდართან შეერთებულნი არიან.

**ალექსანდრე პირველი
წერილი მოსკოვის
მთავრის იოანე
გასილის კის მიმართ**

დიდ მეფეს და ბატონს, დიდ მთავარს მდაბალი თაყვანისცემა. უწყებული იყავ, რომ შორეული ქვეყნიდან (მაგრამ) აზრით ახლო მყოფი მდაბალი (მცირე) ყმა შენი ალექსანდრე სალამს (თაყვანისცემას) მოგიძღვნი. ბრმათათვის სინათლე, ლაჟვარდოვან ცის ვარსკვლავო, ქრისტიანების იმედო, ჩვენი სარწმუნოების (სიმკაცრე) ბურჯო, ყოვლად ბრწყინვალე ხელმწიფე, ყველა ხელმწიფეთათვის კანონო, ლტაკთა დასაყრდენო და მუსლიმანთათვისაც კი იმედო, კუთვნილ ქვეყნის მრისხანე უზუნაესო მთავარო, ქვეყნის მყუდროება (წმიდა) ნიკოლოზისათვის აღთქმის მიმცემო. კეთილშობილ ხელმწიფეთა ლოცვითა და ბედნიერებით ჩვენ აქ ივერთა ქვეყანაში ჯანსაღად ვართ, თქვენს ჯანსაღად ყოფნასაც რომ გავიგონებდეთ ღვთის მადლით. და კიდევ გვეუნყოს — მრავალი თაყვანისცემით თქვენს კარზე წარმომივლენია ნარიმანი, დამიანე და მათთან ერთად ხოზემარუმი შაქელი, თქვენი ჯანმრთელობის გასაგებად. ღმერთმა ბედნიერი ყოს ჩვენი ელთობა. ღმერთმან ქნას მუდამ ბედნიერად ყოფილიყო. თქვენი ყმობის უღირსი ალექსანდრე. ხოლო დაინერა ოთხმოცდათერთმეტსა წელსა, იანვარში.

**სიმონ პირველი
წერილი რომის პაპის -
პავლე მესამის მიმართ**

სიმონ, წყალობითა ღვთისათა, ქართველთა მეფე სრულიად ივერიისა და აღმოსავლეთისა, — ყოვლად მაღალს, დიდად ბედნიერს, ყოვლად წმიდა და ნეტარს ჩვენს ბატონს, ჩვენს წმიდა მამას პაპასა, რომელიც ხართ ოქროს ნალარა დიდის რომისა, ღვთის მიერ ჩაგონებულო არლანო, პეტრეო მსაჯულო და ზეცის სუფევის კლიტეთა მქონებელო, პავლეო ნათესავთა მოძღვარო, რომელიც ამაღლდა მესამე ცამდე და მოისმინა კაცთაგან გამოუთქმელი



სიტყვანი; მქადაგო ყოვლისა ქვეყნისა, მნათობო ეკკლესიათა, საცა იპოებიან საფლავნი და წმიდა ნაწილნი მოციქულთანი; მფლობელო კათოლიკე ეკკლესიისა, მმართველო დიდისა და განთქმულის რომისა, მზეო მთელის დასავლეთის მანათობელო, უდიდესო მთავარო, რომის პაპო, ვითარცა სილიბისტრე, წინასწარმეტყველო მეფეთა, ბატონო მფლობელო, სულიერო მამაო, უწმიდესო პაპო, — დაბლად მუხლმოდრეკილი ვეამბორები თქვენს წმიდა მარჯვენასა. კურთხეულ იყოს მამა ღმერთი, ძე და სული წმიდა ყოვლად წმიდა უბინო ღვთისმშობლისათანა.

მივიღეთ თქვენი უწმიდესი და პატრიოსანი წერილი, რომელიც მოგვიტანა ერმიადინელმა ტერ იაკობმა, დიდის სკვიტის პროკურატორმა. რადგან მისი წაკითხვა არ შეგვეძლო, მანვე პირად მოგვითხრა, რაიც დიდად სათნო გვეყო. განუზომელად განვიხარეთ თქვენის უპატრიოსნებისა და წმიდა მეუფეობის გამო, რომ ხართ მეფეთა სამკაული, გამარჯვება და დიდება; რაის გამო დიდად გულნებიერი მადლობა შევსწირეთ ყოვლის მპყრობელ ღმერთსა, დედოფალსა ჩვენსა ღვთის მშობელსა ქალწულს მარიამსა და ცხოველმყოფელსა ჯვარსა. ინებოს და მოგვანიჭოს ყოვლად ძლიერმა ღმერთმა ჩვენ და ყოველ ქრისტიანეთა უდიდესი ძლიერება და მრავალი გამარჯვება უსჯულო აგარიანთა ზედა; ეგრეთვე თუ ჩვენ და თუ ყოველ მართლმადიდებელ ქრისტიანეთ ალგვიმატოს იმედი, ნუგეშინისცემა და დიდება და არცხვინოს იგინი, რომელნიც არ აღიარებენ. ჭეშმარიტ სარწმუნოებასა. ვევედრებით ყოვლად სახიერ ღმერთსა, დაიცვას თქვენი უწმიდესობის დიდა საბრძანებელი და თქვენის წმიდა ლოცვით ჩვენც გვიხსნას მტერთა უსამართლობისაგან.

ეგრეთვე ვაუწყებ თქვენს სინმიდესა, რომ ნეტარმა მამაჩემმა, წმიდა მეფე ლუარსაბმა, როგორც შეიტყობდა თქვენი სინმიდეცა, სარწმუნოებისათვის გვირგვინი მიიღო ღვთისაგან, ვინაიდან იესო ქრისტეს სიყვარულის გამო მოიკლა ბრძოლაში უსჯულოთა აგარიანთაგან; მან ირჩია თავისი სისხლის დაღვრა და წამება, ვიდრე მათი ბოროტი ნების ასრულება. ამის შემდგომ, ღვთის შეწევნით, ჩვენ

მივიღეთ ტახტი ჩვენის მამისა და მას აქეთ დღე და ღამე არ მოგვისვენია არაოდეს ომისაგან თვით ავდრებშიაც კი. რა ბრძოლა, შეწუხება და გაჭირვება არ გამოვიარეთ ქრისტეს სიყვარულისათვის! დავწყულდით ომში, ტყვედ დაგვიჭირეს სპარსელებმა და ჩაგვადგეს საპყრობილეთი. გარნა ღვთის ნებით და შემწეობით, ეგრეთვე თქვენის ლოცვითა, გავთავისუფლდით ტყვეობისაგან და კვალად აღვედით ჩვენს ტახტზე და ხელახლავ დავიწყეთ ომი; მრავალგზის შევებით ოსმალებს. ვგონებთ, თქვენც შეიტყობდით, რაოდენი შეწუხება და ტანჯვა გამოვიარეთ! მაგრამ მაინც გული არ გავიტიხებთ. ჩემ თავს გავსწირავ ერთიანად და ეგრეთვე ჩემს ქორთა შვილსაც; დავღვრი ჩემს სისხლსა ვიდრე უკანასკნელ წვეთამდე ჯვარცმულის იესო ქრისტეს და ღვთის სიყვარულისათვის; ვიდრე პირში სული მიდგია, ხელს არ ავიღებ ოსმალების წინააღმდეგ ომზე და არაოდეს უქმად ვყოფ იმ დაუფასებელ სისხლსა, რომელიც იესო ქრისტემ დაღვარა ჩემთვის.

ან, ყოვლად უწმიდესო ბატონო, რადგან ყველა ქრისტიანების თავი ხართ და ყველაფერი თქვენს ხელშია, მოეცით ძალა და შეწევნა ქრისტიანეთა ერთა და დაიხსენით; ღმერთი სამაგიეროდ მოგაგებს ზეციერ სასუფეველსა, ვიდრე ცოცხალ ვართ, ღვთის შეწევნით და თქვენის წმიდა ლოცვის ძალით, არაოდეს აღვასრულებთ აგარიანთ ნებას. მაგრამ არ ვიცით მომავალში რა მოგველის და რა იქმნება. ამიტომ ვშიშობთ, სახიერება სირეგვნედ არ გარდაიქცეს და უსჯულოებაში არ ჩავცვივდეთ. ამიტომ მოვასხენებ თქვენს უწმიდესობას, შეენიეთ, უყავთ ნყალობა ქრისტიანებს და დაიხსენით უსჯულოთა ხელთაგან. გვედრები და გთხოვ, თქვენს წმიდა ლოცვებში ნუღარასდროს დაგვივირწყებთ. ეგრეთვე ნუ დაივიწყებთ ჩვენთან მონერას, რათა ვიცოდეთ თქვენი და თქვენის კეთილის ქრისტიანე ერის კარგი ამბავი. ჩვენი გულის ყველა ნატვრას მღვდელი ტერ იაკობ მოახსენებს თქვენს სინმიდესა. თქვენი წმიდა ლოცვა იყოს მარადის ჩვენთან. სულით და გულის თქვენი მეგობარი. ამინ!

წელსა 7104, ქრისტეს აქეთ 1546, 9 ინდიქტიონსა.

თეიმურაზ პირველი წერილი რომის პაპის ურბან მეორის მიმართ

რომის დიდს მწყემსსა.
სახელითა მამისათა და ძისათა და წმიდისა სულისათა. აღვიარებთ და თაყვანს ვცემთ იმავე ერთარსებას, ერთს ღვთაებას და ერთს სუფევასა. სიხარულით სავეე მოგმართავთ და ვისწრაფვით თქვენის სინმიდისადმი, რადგან სარწმუნოება და სწავლა-მოძღვრება, რომელიც მოციქულებმა ასწავეს, განუხრწნელად დავიცვით და, ეგრეთვე, კვალად აღვედით ჩვენს ივერიის სამეფო ტახტზე. აღმოსავლეთიდან გწერთ რომს, საიდგანაც, როგორც მზე, დიდად ბრწყინავთ და ანათებთ მთელს ქვეყანას და, ვითარცა ქერაბიმი და სერაბიმი, სჭვრეტთ ყოვლად წმიდა სამებასა, აგრეთვე ჰფენთ სოფლად ნათელს, რომელსაც ღვთის მიერ ღებულაობთ. თქვენ ხართ პატრივი ქრისტესი და საფუძველი სარწმუნოებისა, რაც წინასწარმეტყველთა და მოციქულთა ჰქადაგეს, თქვენ ყოველივე უწყით. პეტრემ განასწავლა სოფელი და განაბრწყინა. ესევე ვალდებულება გაძევსთ თქვენ. აღჭურვილი ერთისა და იმავე ძალითა თქვენ ხართ ყველაზე უდიდესი და უმეტესად ამაღლებული მწყემსი. ამწერილით მოკრძალებულნი წარვსდგებით თქვენს წინაშე და რიდითა და მისალმებით ვემთხვევით თქვენს მოციქულებრივ ფერხთა, ვინაიდგან ყველას უკვდავების ნყალს ასმევთ საუკუნო ცხოვრებისათვის. ვითხოვ თქვენგან კურთხევას და ცოდვების შენდობას, რადგან თქვენ ხართ სვეტი სარწმუნოებისა, მთავარი მთელი ქვეყნისა და უპირველესი საყდარი ყოველთა. დარწმუნებული ვართ, რაც უნდა გთხოვოთ, ყოველსავე სიამოვნებით მოგვანიჭებთ.

**ღვთის შეწევნით და
თქვენის უწმიდესობის
ლოცვა-ქუარსებით
მივიღეთ მეფობა. ან
გთხოვთ, თქვენის
ბრძანებით დაგვაშტკისოთ,
ჩვენს ჩვენის მხრივ
გპირდებით მოკრძალებას
და პატივისცემას.**



ოსმალებთან და სპარსელებთან მუდამ უთანხმოება გვაქვს და ხშირად ჩხუბი მოგვდის მათთან. მაგრამ ღვთის შენეებით არც ერთ მათგანს დავემორჩილეთ. მხოლოდ თქვენი ქვეშევრდომნი ვართ, რაც გნებავს, გვიბრძანეთ და ყველაფერს აღვასრულებთ. როგორათაც ღმერთი მამა ყველა არსთა, მსგავსათვე თქვენც ხართ მამა ყოველთა მორწმუნეთა. თქვენის შუამდგომლობით მსურს დაკავშირება ისპანიის მეფესთან. ამის შესახებ მას მივწერეთ. ამიტომ გვედრებით და გთხოვთ, თქვენც ეცადოთ, რათა ამა დათანხმდეს. მღვდელი ნიკიფორე მოგართმევს ამ წერილს, რომელიც აღვწერეთ ძლიერ მარტივად. ან ჩვენი უდიდესი ნატვრა ეს არის, რომ შევიქმნეთ სათნო საყოფელი თქვენის უნმიდესობისა. თქვენ ხართ პირველი საყდარი და გაქვს უსახლგრო ხელმწიფება. გვიბრძანეთ და ყველაფერში დაგემორჩილებით.

ქართლით, 20 ნოემბერს, 1622.

**მორე ვარილი
რომის პაპის -
ურბან მერვის მიმართ**

ჩვენ ბატონს ურბან მერვეს, უუმაღლესს მრწემსსა.
თეიმურაზ-ხან, ივერიელთა მეფე. დიდ მადლობას ვუძღვნით თქვენს უნმიდესობას თქვენის ლოცვა-კურთხევისათვის. მივიღეთ თქვენის უნმიდესობის წერილი პატრი პეტრე და პატრი იაკობ თეათინელი მონაზონებისაგან. როგორც იყო ამ ხანებში ესენი მშვიდობით მოვიდნენ აქ, ვითარცა სანატრელ იყო. ჩვენც ეს მამები დიდის სიამოვნებით და წმიდაამბორისყოფით მივიღეთ და მივაგეთ ყოვლნაირი პატივი: არ დავზოგეთ არავითარი სამსახური, რაც მათ ეჭირვებოდათ. ეგრეთვე ვუბოძეთ საუკეთესო ადგილი თავიანთ სადგომად და ერთი ეკკლესიაც. რათა თავისუფლად იყვნენ და ღმერთი ადიდონ დღედაღამ ღვთის ტაძარში; ყველა ჩვენ ქვეშევრდომთაც ვაცნობთ ჩვენი სურვილი, რომ გვნებავს ამ მამებმა უშიშრად და თავისუფლად აღასრულონ ღვთის მსახურება თავიანთი სჯულისა და წესისამებრ, რათა არავინ გაბედოს მათი შეურაცხყოფა და რაიმე ვნე-

ბის მიყენება. მათსავე ვუბრძანეთ ყველას, რომ მათ მოეპყრან კრძალვით, გულუხვად ემსახურონ და აღმოუჩინონ შემწეობა, რათა უფრო ადვილად ემსახურონ ღმერთსა და ილოცონ ჩვენთვის.

რაიცა შეეხება, უნეტარესო მამაო, თქვენს წერილსა, რომლითაც გვითვლით ჩვენის ერთითურთ გულმოდგინედ და მორჩილებით მოვუსმინოთ ამ მამებს მოღვრება, მტკიცედ და შეურყევლად დავრჩეთ ქრისტეს სარწმუნოებისა და უფლის გზაზედ. ამისა უნდა მოგახსენოთ, რომ ყოვლის მპყრობელ ღმერთს მუდამ ჟამს მადლობას ვწირავთ, რადგან დიდი კონსტანტინეს დროდგან ვიდრე აქამდე, ქრისტეს სარწმუნოება და მისი სიყვარული ისე შეუცვლელად დავიცევით, თითქოს ღვთის მიერ ჩვენს გულში ღრმად აღბეჭდილი ყოფილიყოს ის სიყვარული და ის სარწმუნოება. მართალია, ჩვენი სამეფო 1614 წლიდან ვიდრე 1628 წლამდე ხელში ჩაუვარდათ უწყალო სპარსელებს, რომელთაც ერთიან მოაოხრეს და ყოველგვარი უბედურება შეამთხვიეს, მაგრამ მაინც კი სარწმუნოება შეურყევლად და მტკიცედ დაიცვა. ჩვენც დიდად ვიმეცადინეთ, რათა არავითარი მწვალებლობის შეცდომილება შემორეოდა ჩვენს სარწმუნოებას. ეგრეთვე დიდი სასოება გვაქვს ღვთისა, რომ ამავე სარწმუნოებაში მტკიცედ დავრჩეთ და განუხრწნელად დავიცვათ იგი ვიდრე ქვეყნის აღსასრულამდე. ამას ვსასოებთ მეტადრე ახლა, როცა ღვთის ნყალობით და თქვენის უნმიდესობის მამობრივის ლოცვა-კურთხევით მშვიდობიანად ვიმყოფებით ჩვენს სამეფოში. აი, ეს ქრისტიანე სარწმუნოება იყო მიზეზი იმისა, რომ ერთხელ დედა ჩვენი ნავიდა სპარსეთის მეფესთან სათხოვნელად, რომ ყველა მის ხელში ჩავარდნილ ქართველებს, რომლებსაც სარწმუნოების უარი ეყოთ, შესძლებოდათ თავისუფლად და უშიშრად დაბრუნებულიყვნენ სამშობლოში და შესდგომოდნენ თავიანთ უწინდელ სარწმუნოებას. მაგრამ, საუბედუროდ, სულ სხვა მოხდა; იმ უსჯულო სპარსელების მეფემ, რა ვერ დასძლია მისი სიმტკიცე და სიყვარული ხორცის სინმიდისა და სარწმუნოები-

სათვის, ჯერ დაატყვევა, შემდგომ თუ ჩემზე და თუ დედაჩემზე გაბრაზებულ-განძვინვარებულმა მეფემ და მისმა უღმობელმა ერმა მწარედ დაუნყეს ტანჯვა მას და ასე დატანჯულმა სული განუტევა. ერთი წელიწადია, რაც ისპანიიდან წმიდა აგვისტინეს წესის ყოვლად პატივცემულმა მამა ამბროზიომ მოგვიტანა მისი გვამის ნაწილები. ამ სიკეთისათვის ჩვენც უხვად დავასაჩუქრეთ მამა იგი: მივეცი თ მამული, რათა საცხოვრებლად საკმაო შემოსავალი ჰქონდეს, ეგრეთვე ვუბოძეთ ადგილი, რათა შესაფერი ეკკლესია აიშენოს და როგორც სასუფეველის სავანეში, მუდამ ილოცოს ჩვენთვის.

რაც შეეხება ჩვენის სამეფოს ანმყო მდგომარეობას, ძლიერ სამწუხაროა. თვით ეს თეათინელი მამებიც თვალთ ხედვენ თუ ხისა და თუ ქვის შენობათა ნანგრევებსა. ამის შესახებ ყველაფერს თვითვე მოახსენებენ თქვენს უნმიდესობას. მაგრამ ყველაზე უფრო სატირელ მდგომარეობაში ჩვენი ეკლესიებია, რადგან

**მტრებმა არა მარტო
წაიღეს კვირფასი წმიდა
ჭურჭლები, არამედ ყველა
შესამოსლები, სამკაულები
და თვით ხატების კი
წაიღეს და ასე ერთიან
გაქარხნეს. ამის გამო
დიდად ვევედრებით თქვენს
უნებარესობას, სხანებულ
ამაგს უმოვნოთ ყველა ის,
რას ეჭირვებათ თავიანთი
ეკლესიის
საჭიროებისათვის და
შესამკობლად, რათა
უპეტანის სიადვილით
გაეხსნასთ გზა
სანატრალის
შეპრთებისათვის.**

დასასრულ, უკეთუ ჩვენში თქვენი უნმიდესობისათვის რაიმე სამსახურის მიგება შეგვიძლია, გთხოვთ გვიბრძანოთ და, რაც კი შეგვიძლია, ვეცდებით, ყოველივე მაშინვე აღვასრულოთ, რათა სიკეთისათვის მაგიერი მოგაგოთ.

საქართველო, 5 იანვარს, 1629 წ.

დიმიტრი ყიფიანი ყაზარქოვა (მოგონებათა ფრაგმენტები)

საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის მიერ წმინდანად შერაცხული დიმიტრი ყიფიანის (1814-1887 წწ.) „მემუარები“ მრავალმხრივ საყურადღებო წიგნია. იგი ძვირფას ცნობებს გვანჯდის არა მხოლოდ ავტორის პირადი ცხოვრებისა და მრავალმხრივი საზოგადოებრივი მოღვაწეობის შესახებ, არამედ შთამბეჭდავად აცოცხლებს მეცხრამეტე საუკუნის ქართული ყოფის უმნიშვნელოვანეს მოვლენებს. როგორც ცნობილია, სრულიად ახალგაზრდად დ. ყიფიანი მთელი არსებით ჩაერთო 1832 წლის შეთქმულებაში. ამის გამო ის დააპატიმრეს და ერთხანს გადასახლებაშიც ამყოფეს. ვფიქრობთ, ჩვენი მკითხველისთვის უთუოდ საინტერესო იქნება იმის შესახებ, თუ როგორ ისჯებოდნენ თავის დროზე ცარიზმის წინააღმდეგ შეთქმული ქართველი მოღვაწეები. ეს შესაძლებლობას მოგვცემს, გარკვეული პარალელები გავავლოთ წარსულსა და თანამედროვეობას შორის, აგრეთვე, დიდად დაგვეხმარება, უკეთ გავაანალიზოთ ეპოქის სამართლებრივი თავისებურებანი.



1832 წლისთვის საკმარისად მოიყარეს თავი ისეთმა პირებმა, რომელთაც ასე თუ ისე შეეძლოთ სჯა სხვადასხვა საქმეებზე და გავლენაც ჰქონდათ იმ წრეში, რომელსაც ისინი ეკუთვნოდნენ.

ამათ ემატებოდა პეტერბურგიდან ჩამოსული ყმანვილკაცობა, გვარდიისა და არმიის ქართველი ოფიცრები.

კავშირი ამ პირთა შორის უფრო ადვილი ხდებოდა მით, რომ ეს განათლებული ყმანვილკაცობა შედარებით ნაკლები იყო და, ასე ვთქვათ, უფრო მეტად მოთაკილე კლასს ეკუთვნოდა.

აი, ამ ახალი ელემენტებიდან გამოეყო რამდენიმე ჯგუფი, თითოეული მათგანი საკუთარი აზრით, საკუთარი უკმაყოფილების მიზეზითა და საკუთარი სანადელოთ.

შეხვდნენ თუ არა ერთმანეთს ეს ჯგუფები და თუ გაუზიარეს ერთმანეთს გულში-ნადები, იწყო დუღილი იმათმა ტვინმა და ამნაირად შესდგა წრე შეთქმულებისა.

ამ წრის შედგენილობის სხვადასხვაობა და მიმართულება ვერ შეუნწყობდა ხელს იმას, რომ რაიმე საერთო მოქმედების გეგმა გამოემუშავებიათ, მათ არც საერთო ხელმძღვანელი ჰყავდათ; ამ ჯგუფებს საერთო მოლაპარაკებაც კი ერთხელაც არა ჰქონიათ. ცალ-ცალკე

ჯგუფებად შეიკრიბებოდნენ ხოლმე და გამოსთქვამდნენ მას, რაც გულში ჰქონდათ.

ერთი ამისთანა საიდუმლო მოლაპარაკება მოხდა გუბერნატორის სადგომის ქვედა სართულში, რომელშიაც ამჟამად მის მაღალ ყოვლად უსამღვდელოება საქართველოს ეგზარხოსი ცხოვრობს, იმ ოთახებში, გუბერნატორის ძმას, თავადს იასე ფალავანდიშვილს რომ ეჭირა.

აქ ვნახე მე ის პირველად და უკანასკნელადაც 1832 წელს.

შესახედაობა ჰქონდა ძალიან რიგიანი, მაგრამ ტყუილად კი არ არის ნათქვამი, გარეგნობა ატყუებსო. ეს შესახედავით ასეთი მორიდებული, სათნო ადამიანი, დაუძინებელი მტერი აღმოჩნდა ყოველი წესწყობილებისა და ამასთან, ისეთი სისხლისმსმელი ადამიანი, რომლის მსგავსი ჩემს სიცოცხლეში არავინ არ შემხვედრია.

მისი ალგზნებული სიტყვები იმდენად მძვინვარე და იმდენად შეუბრალებელი იყო, რომ იქ დამსწრეთა უმრავლესობამ დიდი ზიზღი იგრძნო იმ საქმისადმი, რის ჩადენასაც ის ურჩევდა და ყოველი მისი რჩევა სრულიად უკუაგდეს.

ამ ყრილობის შემდეგ განვლო რამდენიმე კვირამ, რა ხნის განმავლობაშიც ფალავანდიშვილმა შე-

ატყო ყველას, რომ გული აუცრუვდათ დაწყებულ საქმეზე, რომ აღარ იკრიბებიათ და იმის შიშით, რომ გამცემი ვინმე არ გამოჩნდესო, თითონ გადანყვიტა შეეტყობინებია მთავრობისათვის. 1832 წელს, დეკემბრის დამდეგს ყველანი დააბეზულა მთავრობასთან, რის გამოც მაშინვე დაიწყეს დაპატიმრება.

ამ საქმის გამოსაძიებლად დანიშნულ კომისიას არ შეუწყვეტია თავისი სხდომები მთელი ერთი წლის განმავლობაში.

სანამ მოვიხსენიებდე, თუ რითი დაბოლოვდა ეს საქმე, სამართლიანობის დასაცავად მოვალეობასა ვგრძნობ, გაიმბოთ აქ ერთი რამდენადმე საინტერესო და სამოძღვრო ფაქტი, რომელიც იმ დროს მოხდა.

რა თქმა უნდა, რომ ყველა დაბეზლებული დააპატიმრეს, სანამ საქმე გათავდებოდა. მაგრამ არც ციხეში, არც საპყრობილეში, არამედ ოფიცერთა პოკროვსკის ყაზარმებში, ავლაბარში; ამიტომ დაერქვა ამ საქმეს ყაზარმობა.

ამ ყაზარმებში ჩასვეს, არ მახსოვს კარგად, ორმოცი კაცი თუ მეტი, როგორც თავად-აზნაურისშვილები, ე.ი. ცოტად თუ ბევრად საპა-



ტიო პირები. ხოლო ვინ რამდენად იყო დამნაშავე, ეს შემდეგში გამოჩნდება.

პირველად ყველანი სათითაოდ ჩასვენოთ და მიუყენეს ღარაკი იხავეოთ. ამ ღარაკების ყოფა ჩვენ ყოფაზე უარესი იყო, რადგან მთელი საათობით გაუნაკრავლად და ხმის ამოუღებლად უნდა მდგარიყვნენ.

ორიოდე თვის შემდეგ ეს წესი შეცვალეს დარაჯების სასიამოვნოდ: დარაჯი დააყენეს დერეფანში და პატიმართა ოთახებს კი კლიტე დაადეს.

ამ ყაზარმების დროებით კომენდანტად გამწესებული იყო პოლკოვნიკი შოსტენკო. ყველას განურჩევლად დიდის ყურადღებით ეპყრობოდა, თავისი სამსახურის უვნებლად.

პირველ ხანებში ჩვენ ძალიან კარგად გვეპყრობოდნენ. თითონ ასწრებდნენ ჩვენს სურვილებს, გვაჭმევდნენ კარგად, დილაზე ვისაც რა იამებოდა, იმას გვაძლევდნენ, ვის ჩაის, ვის ყავას და მე კი კაკაოსა, სალამობით კი ყველას ჩაის.

მხოლოდ ერთხელ კი ამ კაკაოს თაობაზეც მისცა თავისთავს ნება შოსტენკომ და მკითხა: — საიდან გაგიჩნდათ ასეთი ჟინი კაკაოს დალევისათ?

— ეს ჟინი კი არ გახლავთ, პოლკოვნიკო, ექიმმა მიბრძანა ვსვა, როგორც წამალი, მე გული მტკივა.

მაშინ მართლა მე, 18 წლისას, გული მტკიოდა.

მას შემდეგ შოსტენკო უფრო მეტის ყურადღებით გვექცეოდა.

სამი თვის შემდეგ გამოგვიყვანეს ამ ფრიად მძიმე მარტობიდან და ორ-ორი და სამ-სამი ჩაგვსვეს ერთ ოთახში. ეს ჩვენთვის დიახაც უფრო ასატანი იყო, რადგან გარდა იმისა, რომ ერთი ბედის ამხანაგებთან მუსაიფი შეგვეძლო, წიგნების ძლევაც დაგვიჩვენეს. წასაკითხავად გვაძლევდნენ სულის საცხონებელ წიგნებს, რაც მოიპოვებოდა მაშინდელ შტაბის ბიბლიოთეკაში, ნება დართეს ოჯახებიდანაც ახლა უფრო სხვადასხვა საჭმელები გამოგზავნათ და, აგრეთვე, საცვალიც.

ყველა ამას ჯერ, რასაკვირველია, კარგად გასინჯავდნენ ხოლმე და მერე დაგვირიგებდნენ.

ამისთანა ყოფაში რომ ვყავდით, თვით ჩვენმა დარაჯებმაც იცვალეს ფერი ჩვენს წინაშე. უფრო გულკეთილად გვეპყრობოდნენ.

ერთი სიტყვით, ჩვენ არ ვიყავით იმ სამსუხარო მდგომარეობაში, ჩვენ ოჯახებს რომ ეგონათ, სანამ ჩვენსას გაიგებდნენ რასმე ჩვენი ეფრეიტორისა თუ უნტერ-ოფიცრის პირით.

აქ უნდა მოვიყვანო ერთი ფრიად სამსუხარო შემხვევა. მას აქეთ ორმოცდაათმა წელმა განვლო და თავისი შემადრწუნებელი შთაბეჭდილებით ახლაც აღმოუფხვრელია ჩემი მეხსიერებიდან.

მე და ჩემი ამხანაგი სასწავლებლით და სამსახურებთან. ავთანდილაშვილი, ორივე ერთ ოთახში ვისხედით და როგორც იყო ვაჩანჩალებდით ჩვენს დროს.

ერთ დილას, რომელიც ალბათ უბედურ დღეთ იქნებოდა აღნიშნული გამოჩენილი ვარსკვლავთმრიცხველ ტიხო-დე ბრაგეს მიერ, შემოაღეს ჩვენი ოთახის კარები და შემოგვიყვანეს პატიმრად მესამე ამხანაგი. არასდროს არ გვენახა ჩვენ ის კაცი და შესახედავად ფრიად საინტერესო გვეჩვენა.

ტანად ძალიან მაღალი, არწივისებური ცხვირი, კეთილი, ძალიან კეთილი, როგორც ჩვენ გვეჩვენა, სახე, ხოლო თავდაჭერილი, მტკიცე გამომეტყველებისა; წელში იყო ცოტა მოხრილი და ღრმად მოხუცებული. ერთბაშად ვიგრძენით, რომ პიროვნება იყო ღირსი პატივისცემისა და როგორც კი დავრჩით მარტო, გავუბით ერთმანეთს ლაპარაკი:

- ვინა ბრძანდებით?
- მე ბარძიმ ამილახვარი გახლავართ.

— თქვენ ვილა ბრძანდებით? ჩვენ ვუთხარით ვინც ვიყავით.

— როგორ, თავადო, რა მიზეზითა ბრძანდებით აქა? განა თქვენც გქონდათ მონაწილეობა?

— არაფერი არ ვიცი! დამიბარეს ქალაქში და აგერ დამაპატიმრეს.

ასე უკმეხად წარმოთქმული პასუხიდან ცხადი იყო, რომ გვერიდებოდა და ჩვენც თავი მივანებეთ, აღარ ვანუხებდით კითხვებით.

ის სულ არ გველაპარაკებოდა. ჩვენ მხოლოდ დილის სალამს ვაძ-

ლევდით. სადილობის დროს შესაფერ სიტყვებს ვეცყოდით და დასაძინებლად გამზადებულნი გამოვეთხოვებოდით.

ძალიან ვწუხდით, რომ რამდენიმე კვირის განმავლობაში ჩვენ ვერა ვპოულობდით რაიმე საგანს, რომ გაგვება მასთან მუსაიფი.

მსოფლმხედველობა მისი და ჩვენი სრულებით სხვადასხვა იყო; ჩვენდა სამსუხაროდ, ერთი სიტყვას არ იცოდა რუსულად, მე და ავთანდილაშვილი კი რუსულად ვლაპარაკობდით.

გვიხდებოდა ლაპარაკი ხანდახან, კვირეში თუ ორ კვირეში ერთხელ საპიორის ბატალიონის ერთს უნტერ-ოფიცერთან, როცა ის ჩვენს კამერაში შემოდოდა დასათვალიერებლად.

ეს უნტერ-ოფიცერი, სამსუხაროდ, სახელი აღარ მახსოვს, ძალიან კარგად გვეპყრობოდა და ხშირად გვეგზავნებოდა ჩვენს ოჯახში რისამე დასაბარებლად და, როცა სადარაჯოთ მოვიდოდა, ამბავს გვატყობინებდა.

ორიოდეჯერ გვკითხა თავადმა ბარძიმმა, რას ელაპარაკებით ამ სალდათსაო და ჩვენც ვუთხარით, რასაც ველაპარაკებოდით.

ერთხელ მორიგე ოფიცერს უთხრა თავადმა, გენერლის ნახვა მინდაო, იმ გენერლისა, გამოსაძიებელი კომისიის თავმჯდომარედ რომ იყო დანიშნული და ამის შემდეგ თავადი გაიყვანეს ჩვენი კამერიდან.

მერე მე და ავთანდილაშვილიც ერთმანეთს დაგვაშორეს.

მე გადამიყვანეს იმ კამერაში, სადაც ისხდნენ მეფე ერეკლეს ასულის — თეკლეს ძენი, თავადნი ალექსანდრე და ვახტანგ ორბელიანები.

განვლო ექვსმა თვემ, რომ არ მენახა არც ავთანდილაშვილი, არც ბარძიმი და არც ის გულ-კეთილი ჩვენი უნტერ-ოფიცერი.

მხოლოდ ექვსი თვის შემდეგ შემოვიდა ჩვენს კამერაში ეფრეიტორი, რომელშიც მე ძლივს ვიცანი ის უნტერ-ოფიცერი, მეტისმეტად გამხდარი, მიხრწნილი და პატივ-აყრილი.



აღმოჩნდა, რომ იმ დარბაისელმა თავადმა, მსცოვანმა მოხუცმა და-აბეზლა თურმე ის უბედური უნტერ-ოფიცერი გენერალთან, რომ ვითომ ჩვენი გაპარვისთვის შემწეობას გვპირდებოდა.

საიდან გამოიტანა ამ მახეზლარმა ეს დასკვნა, რომ ჩვენ გაპარვას ვაპირებდით, როცა რუსულად ერთი სიტყვაც არ იცოდა და ჩვენ კი უნტერ-ოფიცერს მხოლოდ რუსულად ველაპარაკებოდით?

მაგრამ არავის არ მოუვიდა თავში ჩვენ დაგვიტხოვდნენ და იმ დარბაისელ მოხუცებულს ცარიელი სიტყვით დაუჯერეს. უნტეროფიცერი დამნაშავედ იცნეს. ახადეს პატივი და „როზგით“ ისე დასაჯეს, რომ ექვს თვეს საავადმყოფოში ინვალიდობა და სიცოცხლე სუა.

გამომძიებელ კომისიას შეადგენდნენ გენერლები: ბაიკოვი, ვოლხოვსკი და პოლკოვნიკი ტრიტილევიჩი.

ამ კომისიის დაარსების სამი თუოთხი თვის შემდეგ პეტერბურგიდან კომისიის თავმჯდომარედ მოვიდა გენერალი ჩევიკინი, შემდეგში გზათა მინისტრი.

აღმოსავლეთის ხალხის თქმულებით, ადამიანი, რომელსაც აგებულობაში რაიმე ხინჯი აქვს, თითონ არის ღვთისაგან დასჯილი და იმას მოსამართლეთ ყოფნა ხალხში არ შეუძლიანო.

ჩევიკინს ჰქონდა მეტად შესამჩნევი ხინჯი, რომელსაც მხოლოდ საფლავი გაასწორებდა.

ამის თავმჯდომარეობით კომისიაში დაყარდა ახალი წესი, რომლის განსხვავებულად წინა მიღებული აღაღიანური და, ასე ვთქვათ, განათლებული მოწყობისაგან.

ნამება რაიმე იარაღით არც ჩევიკინის დროს იყო, მაგრამ შემოიღეს ფეხების დაბრაგუნება, დაყვირება, შეტევა: ხან ერთს გაიყვანდნენ კამერიდან, ხან მეორეს და ცალკე დამწყვედვდნენ, ცარიელ ხმელ პურზე, ერთი დღით კი არა, მთელი კვირაობით და თვეობითაც.

ეს ტანჯვად არ მიაჩნდათ და მთავრობასაც არ შეეძლო ამაზე თვალყურის დაჭერა, რადგან გამოძიება თუმცა კი წარმოებდა მთელი

კომისიის მიერ, მაგრამ წარმოებდა საიდუმლოდ.

ზემოთა ვთქვი, რომ ამ გამოძიებაში გასტანა ერთი წელიწადი-მეთქი.

მეწინააღმდეგე ჩემს თავს ახლაც ისე ვიყო დარწმუნებული, რომ პირველად შემდგარ კომისიას რომ ეწარმოებინა გამოძიება უჩვეულოდ, ჩვენი საქმე იმნაირად დებოლოვდებოდა, ხოლო ერთი ორად უფრო ადრე. ამით დაპყრობილიც უფრო ადრე მორჩებოდნენ თავის წვლებს და ხაზინასაც იმათ შენახვაზე ნაკლები ხარჯი მოუვიდოდა.

ახლა კი, საქმე ამით არას დაჰკარგავს, რომ პირდაპირ გამოძიების შედეგზე გადავიდეთ.

საქმეში გარეული იყო ას კაცზე მეტი, უმეტეს ნაწილად ისეთები, რომელთაც საზოგადოებაში თვალსაჩინო ადგილი ექირათ და რაიმე მნიშვნელობა ჰქონდათ.

გამომძიებლის შემდეგ მოვატახული წინააღმდეგობის გადარწმუნებით იყო: აღმინისტრაციული წესით დასჯა, რას დაყარა იყო ხალხი იპარატორის ნიკოლოზ კავლას კის ნებაზე, რომელმაც ჩვენ საქმეში თავისი სიღიწჯე, გეგური საპარტლიანობა გამოიჩინა და დანარჩენი კი, თუ არა ვსდები, თორავატი თუ სავატი ქაში საპარტალი იყვნენ მიხეპულნი და იმათზე მოიღეს სამხადრო საპარტალი, გენერალ დ.დ. ასლანტიშვილის თავმჯდომარეობით.

ვეცდები, მოვიგონო, რა გადაწყვიტეს პირველი კატეგორიის დამნაშავეთ ე.ი. უმრავლესობას:

1. ბატონიშვილი ოქროპირი გაიგზავნა საცხოვრებლად ქალ. კოსტრომაში.

2. თავადი დიმიტრი იულონის ძე გრუზინსკი — სმოლენსკში.

3. და მისი, კნიაჟნა თამარ იულონის ასული დასტოვეს თბილისში, პოლიციის ზედამხედველობაში.

4. კნეინა მანანა მირმანოვის ასული ორბელიანისა — აგრეთვე, თბილისში პოლიციის ზედამხედველობაში.

5. მეფის ასული თეკლე ირაკლის ასული გაგზავნეს ქალ. კალუგაში, მაგრამ ღრმად მოხუცებულობის გამო მალე დააბრუნეს თბილისში.

5. მეორე მისი ძე, გვარდიის პორუჩიკი თავადი დიმიტრი ვახტანგის ძე ორბელიანი, აგრეთვე, გაგზავნილი იყო ქალ. კალუგაში, შემდეგში ფელდმარშალმა თავადმა ბარიათინსკიმ ამისი ქალი ცოლად შეირთო.

7. გენერალ-მაიორი თავადი ალექსანდრე გარსევანის ძე ჭავჭავაძე, შემდეგში გენერალ-ლეიტენანტი და წევრი კავკასიის უზენაესი მართველობისა, გაიგზავნა ქალ. ტამბოვში.

8. პორუჩიკი თავადი გრიგოლ დიმიტრის ძე ორბელიანი, შემდეგში გენერალ-ადიუტანტი, გენერალი ინფანტერიისა, გადაიყვანეს სამსახურში იმავე ჩინით, პირველ ქვეითი ჯარის კორპუსში.

9. პორუჩიკი თავადი გიორგი რევაზის ძე ერისთავი. ჯერ ლეიბ-გუსარი, შემდეგში გენერალი კავალერიისა, ატამანი ყაზახთა ჯარისა, იმავე ჩინით გადაიყვანეს არხანგელ-გოროდის მოდარაჯე ჯარის ერთ-ერთ ბატალიონში.

10. პრაპორშჩიკი თავადი გიორგი დავითის ძე ერისთავი (გლუხარჩი) შემდეგში კავკასიის ნამესტნიკის თავადი ვორონცოვის ჩინოვნიკი სხვადასხვა მინდობილობათა. გადაიყვანეს იმავე ჩინით პირველ ქვეითთა ჯარის კორპუსში, სადაც გრიგოლ ორბელიანი იყო.

11. თბილისის გიმნაზიის მასწავლებელი ზაქარია სტეფანეს ძე ავთანდილაშვილი, შემდეგში დეისტვიტელნი სტატსკი სოვეტნიკი და კავკასიის ნამესტნიკის საქმეთა მწარმოებელი. გაიგზავნა ქ. პერმში.

12. მე, ამ სტრიქონების დამწერი, გამგზავნეს ქალ. ვოლოგდაში.

13. კანცელარისტი იოსებ ქრისტეფორეს ძე მამაცაშვილი, შემდეგში დეისტვიტელნი სტატსკი სოვეტნიკი და თბილისის გუბერნიის საგლეხო საქმეთა სასამართლოს წევრი, გაიგზავნა ქალ. ვიატკაში.

14. პრაპორშჩიკი თავადი დავით ჯორჯაძე — მეხუთე ქვეითთა ჯარის კორპუსში.

15. ქალ. თეირანში რუსეთის სა-



ელჩოს კანცელარიის მოსამსახურე სოლომონ რაზმაძე, — ერთ-ერთ შუა რუსეთის გუბერნიამი.

16. დუშეთის მაზრის მმართველად ნამყოფი ტიტულიარნი სოვეტნიკი დიმიტრი პაუშენკო ქალ. ასტრახანში.

17. მაიორი თავადი ლუარსაბ ივანეს ძე ორბელიანი.

18. პორუჩიკი თავადი ანტონ აფხაზი.

19. პრაპორჩიკი თავადი ბიძინა ერისთავი.

20. პრაპორჩიკი თავადი მიხეილ ერისთავი.

21. ჩინოვნიკი მე-14 კლასისა თავადი ივანე ერისთავი.

22. თავადი ბარძიმ ამილახვარი.

23. პრაპორჩიკი თავადი თეიმურაზ ამილახვარი.

24. მთავარმართველი ერმოლოვის დროს თბილისის პოლიცემისტრად ნამყოფი კოლეჟსკი სოვეტნიკი ანდრეი იაკობის ძე მელნიკოვი.

25. თბილისის გუბერნატორად ნამყოფი დიეტს. სტატს. სოვეტნიკი პეტრე დემიანეს ძე ზავილეისკი.

დაამათ გარდა კიდევ 70 თუ 80 კაცი, რომელთა სახელები სრულებით აღარ მახსოვს.

არც ეს ვიცი და არც მესმის, რა მიზეზით იყვნენ საქმეში გარეულნი ეს სამი რუსი ჩინოვნიკი: პაუშენკო, მელნიკოვი და ზავილეისკი.

მხოლოდ ვალად ვრაცხ ჩემს თავს, იმათზე ისა ვსთქვა, რაც მქონდა გაგებული.

გაუიწადლ საზოგადოებაში ივათი ჩაპუტასია იყო სრულიად უკრახველი. პაუშენკოს უსქაროდნენ, როგორც ნიჭიერ და საგაგალითო პატიოსან ჩინოვნიკს.

მელნიკოვზე ამბობდნენ, როგორც მრისხანე და პატიოსან პოლიცემისტერზე, ახლაც რომ ახსოვთ თბილისში იმ დროის მოხუცებულებს. და ისე რომ მოქცეულიყო, როგორც იქცეოდნენ ტიტულიარნი სოვეტნიკები, გამდიდრება ადვილად შეეძლო, მაგრამ სამსახურიდან რომ გამოვიდა, სიღარიბეში ჩავარდა.

ზავილეისკიზე ამბობდნენ, რომ ის დამეგობრებული იყო ორს გამოჩენილ ქართველთან: ერთი იყო თავადი

ალექსანდრე გარსევანის ძე ჭავჭავაძე, რომელიც ზემოთ მე-7 პირად არის მოხსენებული და მეორე — საქართველოს უზენაესი მმართველობის პროკურორი სტატსკი სოვეტნიკი იაგორ ჭილაშვილი, რომლის ჩარევა ამ საქმეში იქნებ ბევრსაც უნდოდა, მაგრამ ამაოდ.

ამისთანა მეგობრობა თუ მართლა იყო, ეს უნდა გვიმტკიცებდეს ზავილეისკის პირად ღირსებებს, რადგან ჭავჭავაძე და ჭილაშვილი მაშინ იყვნენ იშვიათი პირნი თავისი მაღალპატიოსნებითა და რაინდული კეთილშობილებით.

დამავინყდა მეტქვა, რომ ადმინისტრაციული წესით დასჯილებაში მოჰყვა იასე ფალავანდიშვილიც. სასამართლოს კანონით, რასაკვირველია, უდიდეს სასჯელს მიიღებდა, როგორც ყველაზე მძვინვარე შეთქმული, საშინელი განზრახვებით, მაგრამ პატივი დასდეს იმის მიერ დაბეზლებას მთავრობასთან და ფინლანდიის კორპუსში დანიშნეს უნტერ-ოფიცრად, სადაც ის დაიღუპა. როგორც მახსოვს ქალ. არხანგელსკში.

ამრიგად ის გახდა თათრის მოლლა-ზაჰანის ბაღის თანაზიარი, როგორც იქვე იყო გაგაულოვანი.

შემდეგ, იმ 12 თუ 13 კაცში, რომელიც სამართალში იყვნენ მიცემულნი, უმაღლესი სასჯელი მიეცათ 6 კაცს, სახელდობრ:

1. არტილერიის პორუჩიკს თ-დელიზბარ შანშეს ძე ერისთავს, პატივი აჰყარეს და სამსახურში გაგზავნეს სალდათად ფინლანდიის კორპუსში. შემდეგ ერისთავმა დამისახურა ჩინები და ორდენები, პოლკოვნიკის ჩინით იყო გორის მაზრის უფროსად და სამსახურიდან გადაყენებული, გენერალ-მაიორის ჩინით გარდაიცვალა.

2. უფროსი ძე მეფე ერეკლეს ასული თეკლესი, პოდპორუჩიკი თ-დი ალექსანდრე ვახტანგის ძე ორბელიანი, იმავე ჩინით გაამწესეს ალექსანდროვის ფორტში, კასპიის ზღვის აღმოსავლეთის კიდეზე და რამდენიმე წლის შემდეგ დააბრუნეს სამშობლოში.

3. უმცროსი ძმა მისი, პაჟად ნამყოფი, თ-დი ვახტანგ ვახტანგის ძე ორბელიანი (ჩვენი სასიქადულო

პოეტი) გაგზავნეს ქალ. კალუგაში, თავის დედასთან ერთად და ორივენი რამდენიმე ხნის შემდეგ სამშობლოში დააბრუნეს. შემდეგ გენერალ-მაიორის ჩინით ნალჩიკში იყო სამხედრო ოლქის უფროსად.

4. გვარდიის როტმისტრი თ-დი მაკარი (მამუკა) თომას ძე ორბელიანი ჩარიცხეს კავკასიის სამხედრო სახაზო ყაზახთა ჯარში. იყო პოლკის უფროსად ერთ დროს. შემდეგ გუმბრში იყო მაზხრის უფროსად, გარდაიცვალა გენერალ-მაიორის ჩინით.

5. თათარი მოლლა-ზამან გაგზავნეს არხანგელსკში, სადაც მდინარე დვინაში დაიხრჩო.

6. თბილისის გიმნაზიის მასწავლებლად ნამყოფს სოლომონ ივანეს ძე დოდაშვილს მასწავლებლის ნოდება აჰყარეს და გაამწესეს ვიატკაში კანცელარიის მოხელედ. ნება ჰქონდა სამსახურში წარჩინების მიღებისა, ხოლო არა უადრეს ათი წლისა, მაგრამ იქვე გარდაიცვალა.

დანარჩენნი სამართალში მიცემულნი რამდენიმე ხნით სამშობლოდან განდევნეს.

ამით ცხადია, რომ რუსოფობი ურკვორტი უსირცხვილოდ სტყუოდა, როცა 1866 წელში ამბობდა, რომ რუსეთის მთავრობამ 30 წლის წინად ამ საქმის თაობაზე სიკვდილით დასაჯა 40 ყმანვილი კაცი, საქართველოს საუკეთესო გვარიშვილებისაო.

ახლა იმის მეტი აღარა დამრჩენია რა გავიმეორო, რომ ამას ვწერ ისე, როგორც მახსოვს. ხოლო ვისაც სურს უფრო ახლო, დანვრილებით გაიცნოს ეს საქმე, შეუძლიან მიმართოს „არქეოგრაფიული კომისიის აქტების“ VIII ტომს.

ჩემი მონაწილეობა 1832 წლის უთქაშულაგაში

წარსული, 1831 წლის ნოემბერში იყო ჩემთან ჩემი ამხანაგი მასწავლებელი ავთანდილაშვილი, რომელსაც როგორღაც შევჩვივე ჩემს მარტოობაზე, რომ მე სრულებით არა მყავს ნაცნობები, რომლებთანაც შემძლოს თავისუფალი დრო მხიარულად გავატარო და რომ ამიტომ ხანდახან ვგრძნობ მეტისმეტ მოწყენილობას.

ავტ. — რას მომცემ რომ გაგაცნო ისინი, რომლებთანაც მე ვარ მეგობრულ დამოკიდებულებაში!

აკაკი რამიშვილი გვარდია და პოლიცია პირველ რეისებში

აკაკი რამიშვილი იყო დამოუკიდებელი საქართველოს მთავრობის პირველი თავმჯდომარის ნოე რამიშვილის ვაჟი. ის 1921 წლიდან იმყოფებოდა ემიგრაციაში. სხვადასხვა დროს ცხოვრობდა საფრანგეთში, პოლონეთსა და ინგლისში.

1947 წლიდან იყო დიდი ბრიტანეთისა და ჩრდილოეთ ირლანდიის გაერთიანებული სამეფოს მოქალაქე.

აკაკი რამიშვილი 1992 წელს დაბრუნდა პარიზში, სადაც სიცოცხლის ბოლო წლებში სათავეში ედგა ლევილის ქართული კერის ასოციაციას.

2000 წელს ქართულ ენაზე გამოიცა მისი წიგნი „ჩვენი შეცდომები. 1918-1921“, სადაც ობიექტურად არის გაანალიზებული პირველი

რესპუბლიკის საზოგადოებრივ-პოლიტიკურ ცხოვრებაში არსებული პრობლემები.

ამჯერად მკითხველს ვთავაზობთ დასახელებული ნაშრომის იმ ფრაგმენტებს, რომლებშიც საუბარია მაშინდელი სახალხო გვარდიისა და პოლიციის შესახებ.



აკაკი რამიშვილი

როგორი იყო, ზოგადად, სახალხო გვარდია? უნდა ითქვას, რომ თავის ისტორიაში ქართველ ერს არასოდეს ჰყოლია ასეთი სამარცხვინო სამხედრო ძალა.

როცა გაბოლშევიკებული რუსის ჯარისკაცები კავკასიის ფრონტს ტოვებდნენ, თბილისის შეგნებული მუშები თვითონვე შეუდგნენ წესრიგის დაცვას და იმ დროს დიდი სამსახური გაუწიეს ქვეყანას. 1917 წლის 12 მარტს მათ ქართული ჯარის ერთი ერთეულის დახმარებით, თითქმის უბრძოლველად ჩაიგდეს ხელში თბილისის არსენალი უამრავი საწყობებით. ამით მათ ერთი დღით დაასწრეს ბოლშევიკებს არსენალის აღება.

მაშინ თბილისის მუშათა და ჯარისკაცთა საბჭომ ნოე ჟორდანიას მეთაურობით ამ მუშებს მიანდო არსენალის დაცვა, ცოტა ხანში წითელ გვარდიად გადააქცია და რევოლუციის წითელი დროშაც გადასცა. მეთაურად დაინიშნა გაბოლშევიკებული სტუდენტი ვალიკო ჯუღელი, ხოლო მუდმივ თავმჯდომარედ — ნოე ჟორდანია. მაშასადამე, თბილისის მუშათა და ჯარისკაცთა საბჭომ ხელში ჩაიგდო შეიარაღებული ძალა. ჯუღელი არ იყო ჯარში ნამყოფი და არც მეთაურობის არავითარი გამოცდილება არ ჰქონდა.

პირველ თვეებში წითელი გვარდიის მუშებმა და გლეხებმა უდაოდ დიდი სამხედრო დახმარება გაუწიეს სამშობლოს, განსაკუთრებით მაშინ, რო-

დესაც, 1918 წლის გაზაფხულზე თურქეთი შემოესია ამიერკავკასიას და განადგურებას უპირებდა. ამ დროს, საქართველოს, ფაქტობრივად, ჯარი არ ჰყავდა, მოხალისეთა და ოფიცერთა ერთი ბატალიონის გარდა.

მაგრამ თანდათანობით ხალხური გვარდიის ხასიათი იცვლებოდა. ჯერ კიდევ 1918 წლის მარტში თბილისის მუშათა და ჯარისკაცთა საბჭომ ჯაგშნოსანი მატარებლების და ავტომობილების უფროსად ცნობილი ყაჩაღი ვალოდია გოგუაძე დანიშნა. როდესაც ვალოდია გოგუაძე ქართულ სოფელს მოუახლოვდებოდა, ზარბაზანს ესროდა გლეხის ქოხს. საცოდავმა სოფლებმა უკვე იცოდნენ, რომ სასწრაფოდ უნდა მიერთმიათ მისთვის ბლომად საჭმელ-სასმელი, თორემ, ვაი, მათს ბედს. ასეთი ყაჩაღობა გვარდიაშიც გავრცელდა და ჩვენი პატიოსანი მუშები და გლეხები თანდათან ყაჩაღებად იქცნენ.

1918 წლის ივნისის დამლევს, როდესაც ჟორდანია-ჯუღელმა მთავრობა გადაატრიალეს და ხელში ჩაიგდეს ხელისუფლება, მეორე დღესვე, ჟორდანიამ გამოსცა კანონი, რითაც გვარდიას გადაეცა 50 მილიონი მანეთი. ეს ის თანხა იყო, რომელიც თავად-აზნაურობამ ქართველ ერს შესწირა! ამას მოჰყვა გვარდიის რეორგანიზაცია, რაც დამყარებული იყო ფრანგი სოციალისტის ჟან-ჟორესის ახალი ჯარის თეორიასა და შვეიცარიის მილიციის მოდელზე. გვარდი-

ის გენერალურ შტაბში არც ერთი მხედარი არ იყო. მასში ნამდვილი მარქსისტი ინტერნაციონალისტი ქართველები, რუსები, სომხები და თათრები მონაწილეობდნენ. ისინი ადგენდნენ მხოლოდ ბატალიონებს და არ ჰყავდათ არც პოლკები, არც ბრიგადები და არც დივიზიები. გვარდია, ომის დროს, ჯარისგან სესხულობდა პოლკოვნიკს ან გენერალს, რომელსაც წოდებას ართმევდნენ და მხოლოდ გვარით მიმართავდნენ. გვარდიაში არ ხდებოდა არავითარი სამხედრო მომზადება და არ იყო დისციპლინა. გვარდიელებს თოფი და სამხედრო ფორმა შინ ჰქონდათ და მათი სწრაფი მობილიზაცია თავად რეგიონებში ხდებოდა.

ომში განვევის ბრძანებას იძლეოდა ნოე ჟორდანია. ბატალიონი ასეთ ბრძანებას რომ მიიღებდა, გვარდიელები ორ ან სამი საათი კამათობდნენ იმაზე, შეესრულებინათ ბრძანება თუ არა.

თუ გლეხთა აჯანყებებს გვარდია განსაკუთრებული სისასტიკით ახშობდა, გარეშე მტრის წინააღმდეგ იგი ორგვარად იქცეოდა: დღის განმავლობაში კარგად იბრძოდა, მაგრამ როდესაც დაღამდებოდა, გვარდიელები ტოვებდნენ ფრონტის ხაზს და ორი ან სამი ვერსით უკან იხევდნენ, გლეხების ქოხებში დასაძინებლად — აქუფრო თბილაო. მეორე დღით, მტერს უკვე დაკავებული ჰქონდა მათი წინა დღის პოზიციები და,



ამით, საშიშროებას უქმნიდნენ მათ გვერდით მებრძოლ რეგულარული ჯარის ერთეულს.

მაგრამ გვარდიელები უფრო უარეს-საც აკეთებდნენ. როდესაც ვიმარჯვებდით, ერთბაშად გადანყვეტდნენ, ჩვენ ჩვენი გავაკეთეთო და შინ ბრუნდებოდნენ! ისიც უნდა ითქვას, რომ გვარდიის უღისციპლინობა, ჯარსაც გადაედებოდა ხოლმე და ომის დროს ფრონტს საფრთხე ექმნებოდა.

როდესაც გვარდიის ერთეული, თავისი წითელი დროშით, სოფელში გამოჩნდებოდა, გლეხები მხოლოდ რამდენიმე ხნის შემდეგ ხვდებოდნენ, რომ ეს ბოლშევიკები კი არა, სახალხო გვარდია იყო.

გენერალი კვინიტაძე ამტკიცებს, რომ ზოგიერთ გვარდიელს ერთ ჯიბეში მენშევიკური პარტიის საბუთი ჰქონდა, ხოლო მეორეში კი ბოლშევიკების საბუთი.

საქართველოს სამეფოს არსებობის დროს ჩვენი გლეხები, მეფეების დასახმარებლად, თავად აგროვებდნენ ხოლმე გლეხთა დამხმარე ჯარს და მათი დახმარება არაერთხელ გადამწყვეტი ყოფილა გამარჯვებისათვის. ჩვენი გლეხები, ხშირად, მოხალისეთა ჯარს ქმნიდნენ. მათ ჰქონდათ ამის უნარი. ჩვენი გლეხები ყოველთვის სანიმუშოდ იბრძოდნენ, ისე, როგორც მეომარი ქართველი ერის შვილებს შეეფერება.

ეს თვისება გენეტიკური კოდით გადადის მამიდან შვილზე. ყოველ ქართველში ეს კოდი შენარჩუნებულია მემარცხენე მენშევიკების ბატონობისა და ბოლშევიკების 70-წლიანი ტერორის მიუხედავად.

მემარცხენე მენშევიკებს ძალიან უნდოდათ ამომეშალათ ჩვენი ერის მხსნიერებიდან შოთა რუსთაველის ტრადიციები და ჩაენერგათ კლასთა ბრძოლის თეორიები, რაც ისტორიულად საქართველოსათვის უცხო იყო. მემარცხენე მენშევიკებმა ერთი რამ კი ნამდვილად შეძლეს: 1921 წელს ჩვენი ჯარი, და განსაკუთრებით გვარდია, სუსტად შეებრძოლა წითელ არმიას, რაც ჩვენი ისტორიისათვის გაუგონარი რამ იყო. ამდენი დეზერტირი არასოდეს გვყოლია. ტრადიციულად, ქართველი კაცისათვის ეს სირცხვილი და თავის მოჭრა იყო. ასეთი გლეხი სოფელში კი არ დაბრუნდებოდა, არამედ თავს მოიკლავდა.

ამ მხრივ, დიდი ზიანი მოგვაცენეს მემარცხენე მენშევიკებმა და შემდეგ მათმა შემცდარმა ძმებმა — ბოლშევიკებმა.

რაოდენ უხერხულიც უნდა იყოს ჩემთვის, არ შემიძლია არ შევეხო შინაგან საქმეთა მინისტრის ნოე რამიშვილის როგორც მიღწევებს, ასევე შეცდომებს, რათა ყველამ გაიგოს სიმაართლე.

შინაგან საქმეთა სამინისტრო დიდი სამინისტრო იყო, რამდენიმე განყოფილება ჰქონდა: საგანგებო რაზმის, საქველმოქმედო განყოფილება, ტელეფონისა და ტელეგრაფის განყოფილება.

აქვე იყო საგანგებო განყოფილება, რომლის ფუნქციაც იყო სომეხი ლტოლვილების თანდათანობით დაბრუნება სამშობლოში. სწორედ ამ განყოფილების დამსახურებაა დამოუკიდებლობის დროს 400.000 სომეხი ლტოლვილის სომხეთში დაბრუნება.

უკვე დავრწმუნდით იმაში, რომ საგანგებო რაზმმა, თავისი 2500 კაცით სანიმუშოდ შეასრულა თავისი მოვალეობა. ბოლშევიკებს შიშის ზარს სცემდათ ნოე რამიშვილისა და საგანგებო რაზმის ხსენება.

გარდა ამისა, სამინისტროში იყო სახელმწიფო კონტრაზვერვის განყოფილება, რომელიც ზედმინწივით შედეგიანი გამოდგა. როცა კონტრაზვერვის დეპარტამენტი ნოე რამიშვილს წარუდგენდა ხოლმე საბუთს ბოხოლა ბოლშევიკების საქციელზე, იგი დაუყოვნებლივ აპატიმრებდა მათ ადმინისტრაციული წესით და ასამართლებდა სავლელ სასამართლოში, რომელიც მის დაქვემდებარებაში იყო.

რაც შეეხება საქველმოქმედო განყოფილებას, მას პირადად ნოე რამიშვილი ხელმძღვანელობდა. იგი პირველი მსოფლიო ომის დროს, 4 წლის განმავლობაში თანამშრომლობდა ილია ჭავჭავაძის საქველმოქმედო საზოგადოებასთან.

ამით ზედმინწივით კმაყოფილი იყო და როდესაც შინაგან საქმეთა მინისტრი გახდა, თვითონვე გახსნა ასეთი განყოფილება სამინისტროში. იგი თავად იღებდა გაჭირვებულებს და მათ ისეთი ღმობიერებით ექცეოდა როგორც, ამას აკეთებდა ილიას საქველმოქმედო საზოგადოებაში. არასოდეს არ აინტერესებდა ადამიანის ეროვნება, მეგობრულად გამოიკითხავდა მის გაჭირვებას. ამის შემდეგ, იმედდაკარგული კაცი ნოეს კაბინეტიდან აღფრთოვანებული გამოდიოდა.

შინაგან საქმეთა სამინისტროში იყო, აგრეთვე, ჯანდაცვის დეპარტამენტი და ტელეფონისა და ტელეგრაფის განყოფილება. უნდა ითქვას, რომ სამ წელიწადში თითქმის ყოველ სოფელში იყო გაყვანილი ტელეფონი.

აქამდე ნოე რამიშვილის შეცდომებზე არ გვისაუბრია.

ახლა შევეხებით თვით შინაგან საქმეთა სამინისტროს მოქმედებას, სადაც საოცარი სურათი მოჩანს. 1919 წლის ოქტომბრის დამფუძნებელი კრების სხდომის ოქმში აღწერილია ეროვნულ-დემოკრატიული ფრაქციის შეკითხვა ნიკოლოზ ჩარკვიანის დაპატიმრების შესახებ.

თურმე გვარდიელებს ჩარკვიანი შინაგან საქმეთა მინისტრის დაუკითხავად დაუპატიმრებიათ. მიუხედავად ამისა, მინისტრმა შეუძლებლად ჩათვალა ჩარკვიანის განთავისუფლება, მაშინაც კი, როცა მისი უდანაშაულობა გაირკვა.

ჩარკვიანის გათავისუფლების მომხრენი იყვნენ ეროვნულ-დემოკრატიების სახელით იოსებ მაჭავარიანი, ხოლო სოციალისტ-ფედერალისტების სახელით — შალვა მესხიშვილი, სამსონ დადიანი და შალვა ნუცუბიძე.

ვალეკო ჯუღელისა და გიორგი



თბილისი, 1920 წ. სახალხო გვარდიელები

გვაზავას დასკვნაც დაახლოებით ასეთივე იყო: „რა იქნება, რომ ეს ერთი კაცი გამოუშვათ, ვის რას ავნებს, რას დაგაკლებთ“;

ახლა ვნახოთ რა პასუხი გასცა ნოე რამიშვილმა: „ქუთაისში მოკლეს ლეჩხუმის მაზრის კომისარი ონიანი. ჩვენი ცნობით მკვლელობაში მონაწილეობდა ნიკოლოზ ჩარკვიანი და გამოცემული იყო ბრძანება მისი დაპატიმრების შესახებ. იგი შემთხვევით თბილისში შეიპყრო სახალხო ვეითრდიამ. ეს საკითხი ჩვენზე გადმოვრიცხეთ და საქმე გადაეცა თბილისის საოლქო სასამართლოს პროკურორს.

გამოძიების დროს შესაფერი საბუთები არ ყოფილა წარდგენილი და პროკურორმა ვერ შეძლო სამართლისთვის ამ საქმის გადაცემა.

ჩვენ ვიცოდით, რომ ჩარკვიანი ამ მკვლელობაში ნამდვილად მონაწილეობდა. ის იყო რეციდივისტი 1905 წლიდან და ამიტომ მისი განთავისუფლება გასაგებ აღმფოთებას გამოიწვევდა. სამინისტრო და მთავრობა იმ აზრის იყო, რომ შესაფერისი ზომები მიღებულიყო ადმინისტრაციული წესით“.

ამაზე, ეროვნულ-დემოკრატიის ალექსანდრე ასათიანის პასუხი ასეთი იყო: „ეს დაპატიმრება მოხდა არა სახელმწიფოს, არამედ არასათანადო, კერძო უწყების — სახალხო გვარდიის მიერ, რომელსაც ნოე ჟორდანიას მთავრობის თავმჯდომარეობის პერიოდში უფრო დიდი უფლებები მიეცა, ვიდრე რეგულარულ ჯარს ჰქონდა. ჩარკვიანის დაპატიმრება არ ყოფილა არც გვარდიის შტაბის, და არც მთავრობის თავმჯდომარის განკარგულება. ეს ნაბიჯი გვარდიის ერთ ნაწილს თურმე საკუთარი ნებით გადაუდგამს. ამიტომაც მოვითხოვ იუსტიციის მინისტრის პასუხს“.

შალვა მესხიშვილმა განაცხადა: „ჩვენს ახლადშექმნილ რესპუბლიკაში ჯერ კიდევ არ არის განმტკიცებული ელემენტარული მოქალაქეობრივი უფლებები და სათანადო ორგანოები ვერ დგანან ჯეროვან სიმაღლეზე. ბატონი რამიშვილი ცდილობდა აეხსნა, თითქოს აქ ადმინისტრაციული წესით დატუსაღების წინააღმდეგ იყო ლაპარაკი. ეს სინამდვილეს არ შეესაბამება.

ადმინისტრაციული წესით დატუსაღება უნდა ემორჩილებოდეს რაიმე ნორმებს და იგი კანონის ფარგლებში უნდა იყოს ჩამოყალიბებული. თანამედროვე ხანაში, როცა ცხოვრება აფორიაქებულია, შეიძლება საჭირო იყოს, რომ შინაგან საქმეთა სამინისტროს მიეცეს უფლება ისარგებლოს ადმინისტრაციული დატუსაღებით. მაგრამ რადგანაც მოქალაქის პიროვნული ხელშეუხებლობა არ უნდა იყოს უსაფუძვლოდ შელახული და მისი მოქალაქეობრივი უფლებანი უზრუნველყოფილი უნდა იყოს, ის დანებს უნდა იქონიებდეს, რომლებსაც მინიჭებული აქვთ ადმინისტრაციული წესით დატუსაღება, განსაკუთრებული სიფრთხილითა და კანონის ფარგლებში უნდა მოქმედებდნენ“.

ნოე რამიშვილი სწორედ ამ წესს არ ემორჩილებოდა. მაგალითად: მან დააპატიმრა ის თავადები, რომლებმაც გაბედეს გენერალ კრეს ფონ კრესენშტაინთან საჩივრის შეტანა მათ საკუთრებაში არსებული მიწების „უკომპენსაციოდ“ ჩამორთმევის შესახებ; ვალიკო ჯუღელის ინტრიგების გამო უსაფუძვლოდ გააჩხრეკინა გენერალ გიორგი მაზნიაშვილის ბინა; ყველაზე მეტად აღმაშფოთებელი ის იყო, რომ მან დაუჯერა შინაგან საქმეთა სამინისტროს შურიან მოხელეებს და უსამართლოდ დაატუსაღა შალვა მაღლაკელიძე, ერთა-

დერთი ნიჭიერი და პატიოსანი თანამშრომელი, რომელიც მას ოდესმე ჰყოლია ამ სამინისტროში.

ასეთი შეცდომები, სამწუხაროდ, მას ბევრი ჰქონდა. ძალიან ვწუხვარ ამას, მაგრამ როგორც უკვე მოგახსენეთ, სიმართლის ცოდნა აუცილებელია.

დაბოლოს, მამაჩემის, ნოე რამიშვილის ყველაზე დიდ დანაშაულად მიმაჩნია:

1. საქართველოს პირველი მთავრობის გადატრიალებისას გენერალ კვინიტაძეს არ დაუუკავშირდა და არ სთხოვა კონსპირატორების დაპატიმრებისათვის ჯარის დახმარება;

2. 1920 წლის 7 მაისს ნოე ჟორდანიასა და ლენინს შორის ხელშეკრულების გაფორმებისას არ დაიხმარა საგანგებო რაზმი და არ გაასამართლებინა ნოე ჟორდანიას სავსე სასამართლოს;

3. როდესაც ნითელმა არმიამ დაიკავა აზერბაიჯანის ტერიტორია და 1920 წლის 7 მაისის ხელშეკრულებაზე ხელმოწერის დროს დაიწყო შემოტევა საქართველოზე, 40.000-იანმა ქართულმა ჯარმა გენერალ კვინიტაძის მეთაურობით უკუაგდო მათი შეტევა და 40 კილომეტრით შეიჭრა აზერბაიჯანში. ამ დროს, 18 მაისს ნოე ჟორდანიამ უბრძანა გენერალ კვინიტაძეს შეეჩერებინა ჩვენი ჯარის შეტევა და უკან დაეხია საქართველოში.

ამ უმძიმესი ეროვნული დანაშაულის საწინააღმდეგოდ ნოე რამიშვილმა არ მიიღო არავითარი ზომები;

4. როდესაც ნოე რამიშვილმა დააჭრინა ილიას მკვლელობის შეთქმულების მონაწილეები ფილიპე მახარაძე და ბერბიჭაშვილი და მკვლელობის გამოსაძიებლად საკითხი წარუდგინა დამფუძნებელ კრებას, გამოიყო საგანგებო კომისია. ამ დროს კი ნოე ჟორდანიამ ფარულად გამოაშვებინა ციხის უფროსის დამნაშავეები და თავის მძღოლს თავისივე სახელმწიფო მანქანით ჩააყვანინა ვლადიკავკაზში.

რატომ არ დაიხმარა ნოე რამიშვილმა საგანგებო რაზმი და სავსე სასამართლო ნოე ჟორდანიას წინააღმდეგ?

ასეთი შეცდომებისათვის ნოე რამიშვილს გარკვეული პასუხისმგებლობა ეკისრება საქართველოს დამოუკიდებლობის დაკარგვისათვის. არადა, დამოუკიდებელი საქართველო მისი ცხოვრების უმთავრეს მიზანს წარმოადგენდა.

თბილისი, 1920 წ. სახალხო გვარდიელები



ფო

შალვა ამირანაშვილი ქართული ხელნაწერების მინიატურები

საქართველოში წიგნის მხატვრულ გაფორმებას ისეთივე მნიშვნელობა ჰქონდა, როგორც არქიტექტურას, კედლის მხატვრობასა და ლითონის პლასტიკას. ქართული შემოქმედების თავისებურება ხელოვნების ამ დარგში მოცემულია ისეთივე სიძლიერით, როგორი სიმკვეთრითაც გამოიხატა იგი ქართული ხელოვნების სხვა დარგებში.

ქართული მინიატურა და ძველ ხელნაწერთა მხატვრული დეკორი უფრო ნაკლებად არის შესწავლილი, ვიდრე არქიტექტურა და კედლის მხატვრობა.

ქართულ ხელნაწერთა უმრავლესობაში დაცულია ძვირფასი ცნობები წიგნის დანერის ადგილის შესახებ, მითითებულია კალიგრაფის, მხატვარ-მინიატიურისტის სახელი, აღნიშნულია ტექსტის გადანერისა და ილუსტრაციების შესრულების ზუსტი თარიღი, ხშირად მოხსენიებულია, აგრეთვე, ხელნაწერის შემკვეთი და სხვ. ეს ცნობები მტკიცე საფუძველს ქმნის ძველი საქართველოს წიგნის ხელოვნების განვითარების ისტორიის დასადგენად.

ბიზანტიური და სომხური მინიატურებისაგან განსხვავებით, რითაც ასურათებდნენ, ძირითადად, სასულიერო ლიტერატურის ნაწარმოებებს, ქართველი მინიატიურისტები ასურათებდნენ საერო ლიტერატურის ნაწარმოებებს, როგორც ირანულიდან ნათარგმნს, ისე ორიგინალურს. ქართული მინიატიურების ეს ორივე ჯგუფი მკვეთრად განირჩევა სტილითა და მხატვრულ-ტექნიკური ხერხებით, რის გამოც თითოეული ჯგუფი ცალკე უნდა იქნეს განხილული.

წიგნის ილუსტრაცია და დეკორი მჭიდროდ დაკავშირებულია წიგნის შინაარსთან. ძველი საქართველოს უმნიშვნელოვანესი კულტურული ცენტრები, სადაც ითარგმნებოდა და ინერებოდა კიდევ ფეოდალური ლიტერატურის ორიგინალური ნაწარმოებები, ამავე დროს მხატვრულ ცენტრებსაც წარმოადგენდა. წიგნის გაფორმების ხელოვნების სფეროში მრავალი მხატვრული

მოვლენის გასაგებად საჭიროა მხედველობაში მიღებულ იქნას, აგრეთვე, ის კულტურული ცენტრებიც, რომლებიც საქართველოს ფარგლებს გარეთ არსებობდა.

ძველი საქართველოს კულტურულ ცენტრებს ეკუთვნის მონასტრებთან არსებული სკოლები და აკადემიები. აქ ასწავლიდნენ წერაკითხვას, გალობას, სახარების განმარტებას, აგრეთვე, კალიგრაფიას, წიგნის მხატვრული შემკულობის ხელოვნებას, მხატვრულ ოქრომჭედლობასა და სხვ. ქართული მონასტრები VI ს. შუა წლებში აღმოცენდა, ამ დრომდე ქართველი ბერები თავშესაფარს აღმოსავლეთის სავანეებში პოულობდნენ.

პეტრე ქართველმა V ს. პალესტინაში ააგო ქართველთა სავანე და სასტუმრო, სადაც ქართველები და ბერძნები პოულობდნენ თავშესაფარს. ალბათ, ეს ის მონასტერია, რომელიც პროკოპი კესარიელის ცნობით, განაახლა ბიზანტიის კეისარმა იუსტინიანემ (De aedificiis, V). V საუკუნის ბოლოს წმ. საბა განმმედილის ლავრაში მრავალი ქართველი მონაზონი იყო. ნყაროების მოწმობით, პალესტინაში ქართველთა სავანე სულ ოცამდე იყო, მაგრამ ისინი სათანადოდ შესწავლილი არ არის.

სირიაში, ანტიოქიის მახლობლად, შავ ანუ საკვირველ მთაზე, VI საუკუნეში, ქართული მონასტერი არსებობდა. სვიმონ მესვეტესთან (VI ს. დამლევით) მოდიოდნენ ქართველები; ზოგი მათგანი მონასტერში რჩებოდა.

მცირე აზიის ბითვინიაში, ულუმბოს მთაზე, IX საუკუნეში ქართველებს სამი ეკლესია ჰქონდათ: ღვთისმშობლის ტაძარი (ანუ ქუაბი),



შალვა ამირანაშვილი

წმ. კოზმან-დამიანეს ეკლესია და ლავრა კრანია. აქ მოღვაწეობდა განთქმული ილარიონ-ქართველი. ბიზანტიის იმპერატორმა ბასილიმ 876 წელს, კონსტანტინეპოლის მახლობლად, ჰრომანას ხეობაში ააშენა მონასტერი, სადაც დაკრძალეს ილარიონის ნეშტი. XII საუკუნეში წმ. ხორას მონასტერში (კაპრიე-ჯამი) ქართველთა კოლონია არსებობდა.

სინას მთაზე ქართველი სამონასტრო კოლონია აღმოცენდა X საუკუნის შუა წლებში. ქართველთა აქ დამკვიდრებას ხელი შეუწყო იმ გარემოებამ, რომ არაბებმა IX და X საუკუნეებში დაიწყეს პალესტინაში საბასი და ხირიტონის ლავრის მონაზონთა შევიწროება.

982-985 წლებში ათონზე დაარსდა ივერიის მონასტერი, რომელსაც უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა ქართული კულტურისა და ხელოვნების ისტორიაში. აქ ჩამოყალიბდა განსაკუთრებული სკოლა, რომელმაც საკუთარი მიმართულება შექმნა არა მხოლოდ სასულიერო ლიტერატურის დარგში, არამედ წიგნის მხატვრული გაფორმების სფეროშიც. ამ სკოლამ ისეთი განთქმული მეცნიერები, ფილოლოგები და მთარგმნელები მოგვცა, როგორიც იყვნენ ექვთიმე და გიორგი მთაწმიდელები და სხვ.

XI ს. პირველ ნახევარში იერუსალიმში დაარსდა წმ. ჯვრის მონასტერი. 1083 წელს ბულგარეთში, ს. ბაჩკოვის მახლობლად, გრიგოლ ბაკურიანმა დააარსა მონასტერი. მისი მთავარი ტაძარი აგებული იყო ღვთისმშობლის მიძინების სახელზე, ხოლო ორი მცირე ტაძარი — იოანე ნათლისმცემლისა და წმ. გიორგის სახელზე, ქართულ, ბერძნულ და სომხურ ენებზე დაწერილი წესდების თანახმად (შენახულია ბერძნული და ქართული ტექსტები). მონასტერი აგებული იყო მხოლოდ და მხოლოდ ქართველებისათვის და მხვა ეროვნების იმ პირთათვის, რომელთაც ქართული ენა და წერა-კითხვა იცოდნენ. მონასტერს ძველად დიდი სახელი ჰქონდა მოხვეჭილი; აქ დაიწყო მოღვაწეობა ცნობილმა ფილოსოფოსმა — ნეოპლატონიკოსმა იოანე პეტრიწონელმა. ქართული მატრიანე გვაუწყებს, რომ კუნძულ კვიპროსზე არსებობდა ქართული მონასტერი ჟალია, განახლებული თამარ მეფის მიერ.

საქართველოს სამონასტრო ცხოვრებას საფუძველი ჩაუყარეს VI საუკუნეში სირიელმა მამებმა; როგორც კ. კეკელიძემ გამოარკვია, ისინი უმეტესად სირიელები კი არა, ქართველები იყვნენ და მოღვაწეობდნენ სირიის მონოფიზიტურ მონასტრებში; ისინი ცამეტი კი არა, როგორც ჩანს, გაცილებით მეტი იყვნენ რიცხვით; რიცხვი ცამეტი შემდეგ არის შემოღებული, ქრისტეს და მისი თორმეტი მოციქულის ანალოგიით. მონოფიზიტთა სასტიკი დევნის გამო, ბიზანტიის ხელისუფლების მხრივ, სირიელი მამები ცალკე ჯგუფებად ილტვოდნენ საქარველოში. პირველი ჯგუფი დაახლოებით 520 წ. მოდის საქართველოში, მეორე 543 წ. მესამე 545 წ. და უკანასკნელი 571 წ. X საუკუნეში შედგენილი იყო ამ მამათა „ცხოვრებანი“, რომლებშიც ისინი, ალბათ მეტი ეფექტისათვის, სირიელებად არიან წარმოდგენილნი, რომელნიც საქართველოში სვიმეონ მესვეტეს ლავრი-

დან მოვიდნენ; ამასთანავე არაფერია ნათქვამი მათი მონოფიზიტური რწმენის შესახებ. საქართველოს ისტორიაში განსაკუთრებით გამოირჩეოდა თავისი მნიშვნელობით და ავტორიტეტით დავით-გარეჯის უდაბნო განცალკევებული სამონასტრო კომპლექსებით (ნათლისმცემელი, დოდო, ბერთუბანი, ნამებული და სხვ.) და შიომღვიმის ლავრა.

თბილისის საამიროს არსებობის დროს და შემდეგ საქართველოს უმნიშვნელოვანესი სამონასტრო ცენტრები ტაო-კლარჯეთის მხარეში იმყოფებოდა. ამ მხარის მონასტრების დამაარსებელი გრიგოლ ხანძთელი იყო. იგი წარჩინებულია წოდებული იყო და იმ დროისათვის მშვენიერი განათლება ჰქონდა მიღებული. ოცდაორი წლის ახალგაზრდა, იგი მიემგზავრება კლარჯეთში, სადაც ხუთ მონასტერს აარსებს მამათა და დედათათვის. გრიგოლი 861 წ. გარდაიცვალა ღრმა მოხუცებულობაში (102 წლისა).

გრიგოლ ხანძთელის მიერ დაარსებულ მონასტრებს შორის უმნიშვნელოვანესი იყო შატბერდის მონასტერი, ღვთისმშობლის სახელისადმი მიძღვნილი. ეს იყო ქართული ფეოდალური კულტურის ერთ-ერთი უდიდესი ცენტრი. აქ ითარგმნა და დაიწერა ძველი ლიტერატურის ბევრი შესანიშნავი ნაწარმოები. 973 წელს აქ იქნა შედგენილი ეგრეთ წოდებული შატბერდის კრებული, რომელშიც ბერძნულიდან თარგმნილ ნაწარმოებთა გარდა (ეპიფანე კვიპრელი, „თორმეტთა თეალთათვის“, ნემესიოს ემესელი, „ბუნებისათვის კაცისა“ და სხვ.) მოცემულია წმ. ნინოს ცხოვრება. 897 წელს აქ იყო გადანიშნული და დასურათებული ჰადისის (ზემო სვანეთი) სახარება, 936 წელს აქ გადაიწერა მეორე სახარება, რომელიც 940 წელს შემკულ იქნა მინიატურებით; 973 წ. გადანიშნულ იქნა პარხალის სახარება და სხვ.


სამონასტრო მოღვაწეობის მნიშვნელოვან ცენტრებს წარმოადგენდნენ იზხანი და ტბეთი.

ომკში გადანიშნულია მრავალი ძვირფასი ხელნაწერი, განთქმული დაბადება (978), ეფრემ ასურის ქადაგებათა კრებული და სხვ. დავით კურაპალატის მიერ X ს. მეორე ნახევარში აგებული სახული, უმოკლეს ხანაში საქართველოს ერთ-ერთი უდიდესი სამონასტრო ცენტრი შეიქმნა.

ტაო-კლარჯეთის სამონასტრო ცენტრებს უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა ქართული კულტურის ისტორიაში; IX-X საუკუნეებში ქართულ ხელნაწერთა უმეტესი რიცხვი საქართველოს ამ კუთხეში იყო შექმნილი. აქ წარმოიშვა ძველი ქართული ლიტერატურის თავისებური მიმდინარეობა, აქ გამოიმუშავდა ქართული ენის გრამატიკული ნორმები, ლიტერატურულ ნაწარმოებთა განსაკუთრებული სტილი და სხვ.

ტაო-კლარჯეთიდან იყო გამოსული მრავალი განთქმული ჰიმნოგრაფი, რომლებიც ეროვნული დღესასწაულებისა და წმიდანების აღსანიშნავად საგალობლებს ქმნიდნენ. ამ ნაწარმოებთა ნაწილი, ტრადიციული თემის მიუხედავად, პოეტური ღირსებებით გამოირჩევა. განთქმულ ჰიმნოგრაფთა რიცხვიდან აღსანიშნავია: იოანე მინჩხი, იოანე მტბევარი და განსაკუთრებით მიქელ მოდრეკილი; ამ უკანასკნელის „სტიქარონი — მწუხრად საგალობელი მუხლნი“ ქართული სასულიერო ჭეშმარიტ ანთოლოგიად ითვლება.

X საუკუნიდან, როგორც კ. კეკელიძის მიერ არის დადგენილი, ქართული საეკლესიო პოეზია ზურგს უქცევს ბიზანტიურ „იამბიკოთა“ შაბლონურ ნორმებს, და იღებს საერო ხალხური პოეზიის ნორმებს, და იღებს საერო ხალხური პოეზიის რიტმისა და მეტრიკის ელესენტებს. ვინმე ფილიპეს მიერ X საუკუნეში შედგენილია ცამეტსტრიქონიანი იამბიკო, რომელიც დაწერილია თექვსმეტმარცვლიანი სილაბურ-ტონური საზომით. იგი პირველ რითმოვან ლექსს წარმოადგენს. კ.



კეკელიძის სიტყვით, იგი გარდამავალ ხიდს წარმოადგენს სასულიერო პოეზიიდან საეროზე, რადგან მასში პირველად არის გამოყენებული თექვსმეტმარცვლიანი სილაბურ-ტონიური ლექსი, რომელიც გაბატონებული იყო შემდეგი საუკუნეების საერო პოეზიაში.

შატბერდის მონასტერში 897 და 940 წლებში დასურათებულ იქნა ორი შესანიშნავი ხელნაწერი, რომელთა მინიატურები წიგნის მხატვრული გაფორმების პირველ ფურცელს შლიან ძველ საქართველოში.

საქართველოს უდიდეს სამონასტრო ცენტრს XII ს. პირველი ნახევრიდან გელათის მონასტერი წარმოადგენდა. იგი აშენებულია 1106-1125 წლებში დავით აღმაშენებლის მიერ. საქართველოს ფარგლებს გარეთ არსებული სხვადასხვა სამონასტრო ცენტრიდან მეფემ აქ შეკრიბა სწავლული და სახელოვანი ადამიანები.

ისტორიკოსი გელათს მეორე ათენს „სხუად ათინად“ უწოდებს; შავთელი თავის ქებაში გელათს „ელადად“ იხსენიებს. გელათში დაარსებული იყო აკადემია, რომელსაც ქართული კულტურის სტორიაში ისეთივე დიდი მნიშვნელობა ჰქონდა, როგორც ბიზანტიისათვის კონსტანტინე IX მონომაქის მიერ დაარსებულ მანგანის აკადემიას. კონსტანტინეპოლიდან პეტრიწონის სკოლის მეშვეობით, საქართველოში შემოტანილი ფილოსოფიური მოძღვრებანი — გელათის, იყალთოს და გრემის ქართულ აკადემიებში ვითარდება. არსენ იყალთოელი (დაახ. 1050-1126) — სახელოვანი ღვთისმეტყველი და ფილოსოფოსი, არისტოტელეს მიმდევარი, რომელმაც განათლება მანგანის აკადემიაში მიიღო, მოღვაწეობდა შავ მთაზე გამოჩენილი მეცნიერის, ეფრემ მცირეს (დაახ. 1025-1100) ხელმძღვანელობით, შემდეგ კი საქართველოში. მან ქართულ ენაზე თარგმნა სახელგანთქმული პატრიარქ ფოტის თხზულებანი — „დიდი სჯულისკანონი“, „დოგმატიკონი“ და სხვ. დიდი კვალი დატოვა ქართულ ფილოსოფიურ აზროვნებაში კონსტანტინეპოლის იმავე აკადემიაში განსწავლულმა იოანე პეტრიწმა (დაახ. 1050-1130); იგი ცნობილი ბიზანტიელი ფილოსოფოსის, შემდეგში გაძევებულის, იოანე იტალის მოწაფე იყო. აკადემიის დამთავრების შემდეგ იოანე პეტრიწმა ვერ ჰპოვა



აკაკი ხორავა, შალვა ამირანაშვილი და კონსტანტინე გამსახურდია

თანაგრძნობა და იძულებული გახდა საქართველოში დაბრუნებულიყო. საქართველოდან ის ბულგარეთში მიდის გრიგოლ ბაკურიანის მიერ დაარსებულ მონასტერში (პეტრიწონის სავანე), სადაც მასწავლებლობს მონასტერთან არსებულ სემინარიაში. იოანე აქაც ვერ პოულობს შესაფერის პირობებს თავის სამეცნიერო მოღვაწეობისათვის და საეკლესიო წრეების კონსერვატივობით შევიწროებული, საქართველოში ბრუნდება, სადაც ახლად დაარსებულ გელათის აკადემიასთან განაგრძობს თავის ლიტერატურულ და ფილოსოფიურ მოღვაწეობს. აქ დაასრულა მან თავისი სიცოცხლე.

იოანე იმ ფილოსოფიური სკოლის ტიპიური წარმომადგენელი იყო, რომელიც ცდილობდა ორიენტაციის მიზნისა და პლატონიზმის შეერთებას (მიქაელ პსელოსი და იოანე იტალი). პეტრიწმა საქართველოში არა მხოლოდ ფილოსოფიური მიმართულება, არამედ სპეციალური ფილოსოფიური ტერმინოლოგია, ენა და სტილი შექმნა. ნეოპლატონიკოსების ნაწარმოებთა თარგმანებს მან საკუთარი კომენტარი დაურთო და იგი თავისი მოცულობით ბევრად აღემატება დედანს. ამ კომენტარებს, რომელიც ავტორის ღრმა ცოდნას, მისი აზროვნების ორიგინალობასა და სიმახვილეს ამჟღავნებს, უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა ქართული ფილოსოფიური აზროვნების განვითარებისათვის.

გელათის აკადემიამ დიდი როლი შეასრულა ქართული კულტურის ისტორიაში. გელათი დიდი მხატვრული ცენტრი იყო, სადაც ძველი ქართული ხელოვნების მრავალი შე-

სანიშნავი ნაწარმოები შეიქმნა; აქ არის შესრულებული დიმიტრი I დროს ხახულის ხატის მოჭედობა, რომელმაც მსოფლიო სახელი მოიხვეჭა.

ისტორიული ცნობების საფუძველზე შესაძლებელია ვივარაუდოთ, რომ V საუკუნეში საქართველოში უკვე არსებობდა მხატვრულად გაფორმებული ხელნაწერები, რომლებსაც, სამწუხაროდ, ჩვენამდე არ მოუღწევიათ. მეფე ვახტანგ გორგასალის მიერ (V ს.) შემკული სახარება, რომელიც შიომღვიმის მონასტერში ინახებოდა, დღემდე არ არის აღმოჩენილი.

მინიატურის ხელოვნების უადრეს ძეგლად ე. წ. ჰადიშის სახარება უნდა ჩაითვალოს, რომელიც 897 წელს გადაწერილი იყო შატბერდის მონასტერში. ამ ხელნაწერის ერთ-ერთ ფურცელზე გამოსახულნი არიან ლუკა და იოანე მახარებლები, რომელნიც წარმოდგენილნი არიან მუქ-ცისფერ არეზე მდგომნი, დახურული წიგნებით ხელში. ორივე მახარებლის იკონოგრაფიული ტიპი მკვეთრად განსხვავდება შუა საუკუნეებში გავრცელებულ მახარებელთა ტიპისაგან. იოანე გამოსახულია უწვერო ჭაბუკის სახით, ხუჭუჭა ქერა თმებით, მას ღია ფერის კვართი და ბაცი-ვარდისფერი ჰიმატიონი აცვია. მახარებელი ლუკა წარმოდგენილია მოხუცად, ჭალარა თმებით და გრძელი ჭალარა წვერით. ფიგურების დაყენებას სიცოცხლეს ახასიათებს, იგრძნობა ელინისტური ხელოვნების ტრადიცია. წერის მანერა მოხდენილია, ფაქიზი; ფერების გამა ნათელია. მახარებელი მარკოზი მუხლებზე გაშლილ გრაგნილზე წერს; მის წინ პატარა მაგიდა დგას საწერი მოწყობილობით, მაგიდის უკან ჯვარია. მინიატიურის არე ცისფერია. მარკოზის სახე დროთა ვითარებაში დაზიანებულია; თმა დახუჭუჭებული აქვს, წვერი ბაცი და მოკლე. მათე მახარებლის გამოსახულება არ შენახულა; შეიძლება ვიფიქროთ, რომ იგი, ისევე როგორც მარკოზი, გამოსახული იქნებოდა მჯდომარე პოზაში.

მახარებლების გარდა, ხელნაწერში მოცემულია კამარების მხატვრული გაფორმება კორინთული კაპიტელებით; ზოგი კამარის ქვეშ გამოსახულია ფრინველები (მტრედები),



ტოტი ბრონეულის ნაყოფით და სხვ. ერთ დიდ კამარაზე შენახულია ეგრეთ ნოდებული „ცისარტყელისებრი ორნამენტი“, რომელიც შედგება შენახულია ეგრეთ ნოდებული „ცისარტყელისებრი ორნამენტი“, რომელიც შედგება ცისარტყელის ტონებში მოცემული რომბებისაგან; ფერები მუქიდან უფრო ბაცზე გადადის. ეს აღმოსავლური წარმოშობის დეკორი გვხვდება რაბულას მიერ 586 წ. გადანერილ სირიულ სახარებაში, ეჩმიადინის სახარებაში, VIII-IX საუკუნეთა ბევრ კაროლინგურ ხელნაწერში, 904 წლის ქართულ ფსალმუნში (№38) და სხვ. მე-5 ფ. გამოსახულია ძველი ტიპის სალხინობელი კონუსის მსგავსი თავსაბურავით, მის აქეთ-იქით გამოსახულია მცენარეები პირობითი დეკორაციული აფერადებით. ამ მოტივს ცოტად თუ ბევრად ახლობელი ანალოგიები აქვს დასავლეთის ხელოვნებაში (კარლოს დიდისთვის. მონაზონ — გოდესკალის მიერ 781-783 წლებში გადანერილი სახარება) და აღმოსავლეთის ხელოვნებაში (ეჩმიადინის 989 წ. სახარება).

იკონოგრაფიული თვალსაზრისით, ჰადიშის სახარება გამოირჩევა მახარებელთა იკონოგრაფიული ტიპების სიძველით და შერეული რედაქციით, რადგან ერთ და იმავე ხელნაწერში ზოგი მახარებელი წარმოდგენილია მჯდომარე პოზაში, ზოგი კი ფეხზე მდგომი. მახარებელთა გამოსახულების მსგავსი რედაქცია ახასიათებს მონაზონ რაბულას 586 წ. გადანერილი სირიული სახარების რედაქციას. შეიძლება დადგენილად ჩაითვალოს რომ მახარებლის მჯდომარე ფიგურა გვიანი ანტიკური ხელოვნების გავლენით წარმოიშვა, რადგან მას საფუძვლად უდევს ხელნაწერში ტექსტის დასაწყისში მოთავსებული ავტორის პორტრეტის იკონოგრაფიული ტიპი.

ბიზანტიურსა და ქართულ ხელოვნებაში მჯდომარე მახარებლის გამოსახულება XI საუკუნიდან გაბატონებულია როგორც მინიატიურებში, ისე კედლის მხატვრობაში. მეორე რედაქცია, როგორც ეს თავის დროზე აღნიშნა ი. სტრუიგოვსკიმ, წარმოშვა სირიულ-ეგვიპტურ ხელოვნებაში (ეპისკოპოს მაქსიმიანეს სავარძელი რავენაში, ბეტმანის დიპტიქი და სხვ; ეჩმიადინის 989 წ. სახარება, როსანოს სახარება და

სხვ.). მას, უეჭველად, საფუძვლად უდევს გვიან ანტიკურ ხელოვნებაში მეტად გავრცელებული ორატორის გამოსახულება; მახარებელი არა მხოლოდ ავტორია სახარებისა, იგი ქრისტეს მოძღვრების მქადაგებელია. მჯდომარე მახარებლის იკონოგრაფიული ტიპი ალექსანდრიულ ტრადიციას უნდა მიეკუთვნოს, ფეხზე მდგომისა კი — სირიულს.

ჰადიშის სახარების მინიატიურების შესრულების ტექნიკის დეტალური შესწავლა ადასტურებს, რომ მხატვრულ-ტექნიკურ მეთოდს საფუძვლად უდევს ფერწერის ძველი ხერხი, რომელიც გვიან-ელნიური ხელოვნებიდან გამომდინარეობს. აქ ვერ ვხედავთ ბიზანტიურ ფერწერაში მეტად გავრცელებული დეტალების გამოძერწვას საერთო მუქ ფუძეზე (სანკირი), შუქ-ჩრდილები დაწერილია ერთდროულად ღია ფერებით. წერის მანერა მაღალ მხატვრულ დონეზეა.

ჰადიშის სახარების მინიატიურებს ენათესავება ბერთაში გადანერილი სახარების მინიატიურები, რომლებიც ამერიკელ მისიონერებს 1830 წ. შეუძენიათ ყარსში. ხელნაწერი შემკულია კამარებით და მახარებელთა გამოსახულებით, რომლებიც მოთავსებულია ძველი ტრადიციის თანახმად ხელნაწერის დასაწყისში. კამარების მოყვანილობა მოგვაგონებს ადრეული ხანის ქართულ, სირიულ და სომხურ ხელნაწერებში გავრცელებულ ტიპს, რომლის ნიმუშები ამომწურავად მოყვანილია სირარბი დერ ნერსესიანის მიერ. აღნიშნავ მხოლოდ, რომ ქართულ კამარებს საკუთარი სახე აქვს, მოკლებული იმ სიმძიმეს და პროპორციათა სიდაბლეს, რომელიც სირიულ და სომხურ ძეგლებს ახასიათებს. ამიტომ დეკორის საერთო ნიშნების ფაქტი, რაც ერთი ეპოქის სხვადასხვა ქვეყნის ხელოვნებას ზოგადად ახასიათებს, საშუალებას არ გვაძლევს ქართულ ძეგლს აღმოსავლური წარმოშობის დედანი მოვუძებნოთ. მახარებელთა გამოსახულებანი ფერწერის მანერით და სტილით სავსებით ენათესავება ჰადიშის სახარების მინიატიურებს. ქართველ მხატვარს აქ მიუმართავს წერის რთული მანერისათვის, რაც აშკარად ეტყობა მახარებელთა სამოსლისა და სახის წერის მანერას. მახარებლები წყვილ-წყვილად არიან გამოსახულნი მთელი ტანით, თითქოს

ერთიმეორეს ესაუბრებიან. აღსანიშნავია, იკონოგრაფიული მხრითის გარემოება, რომ თანახმად ადრინდელი ტრადიციისა, ჰადიშისა და ბერთის სახარებაში მახარებელი იოანე წარმოდგენილია უწვერულ-ვაშო ჭაბუკის სახით. განსხვავება ამ ორ ძეგლს შორის იმაშია, რომ მჯდომარე მახარებლის ტიპი არ არის (ჰადიშის სახარებაში მარკოზ მახარებელი ზის და წერს). ფერწერის მაღალი ოსტატობა ახასიათებს ორივე ძეგლს.

ბერთის ანდერძში აღნიშნულია, რომ ხელნაწერი გადანერილია ვინმე „გლახაკ გაბრიელის მიერ ლავრასა შინა დიდსა ბერთას“. დამატარებელი ცნობა მოიპოვება ანდერძშივე „სალოცვლად მეფეთა ჩვენთა სუმბატ ერისთავთა ერისთავისათვის და შვილთა მათთათვის დავითისთვის და ბაგრატისთვის“. რ. ბლიეკის აზრით აქ უნდა იყოს მოხსენიებული სუმბატ III (+ 988) ერისთავთ-ერისთავი, რომელსაც ორი ძე ჰყავდა ბაგრატ II (+ 988) და დავით IV (+ 992/944). მაგრამ ეს მოსაზრება მცდარია. ეს არ უნდა იყოს ტაოს შტოს სუმბატ I ერისთავთ-ერისთავი (+ 928-958), დოლისყანის მამულებელი, რომელიც მოხსენიებულია ჯრუჭის სახარების მინაწერში, ვინაიდან მას შვილი დავითი არ ჰყოლია. თუ მხედველობაში მივიღებთ საისტორიო წყაროებში მიღებულ წესს, მეტადრე სუმბატ დავითის ძის ქრონიკას, ყოველთვის, ჯერ პირველ რიგში, მოხსენიებულია უფროსი ვაჟი და შემდეგ უმცროსი, მაშინ ჩვენი ვარაუდით ბერთის სახარების მინაწერებში მოხსენიებულია ბაგრატიონთა კლარჯეთის საგვარეულოს წარმომადგენელი სუმბატ I (+ 889), რომელსაც ჰყავდა უფროსი შვილი დავითი (+ 943) და უმცროსი ბაგრატ (+ 909). ამრიგად, ბერთის სახარება გადანერილია IX საუკუნის მინურულში და ამით აიხსნება მისი ნათესაობა ჰადიშის სახარებასთან. ბერთის სახარება გადანერილია სუმბატ I სიცოცხლის პერიოდში 889 წლამდე, რვა წლით უფრო ადრე, ვიდრე ჰადიშის სახარება.

უფრო ძვირფას ცნობებს, საქართველოს კულტურისა და მხატვრული დონის შესახებ ადრეული შუა საუკუნეების ხანაში, გვანავდის მესამე ხელნაწერი სახარების ანალიზი, რომელსაც მისი დაცვის ადგილის მიხედვით, ჯრუჭის სახარება ეწო-

დება. ხელნაწერი გადაწერილია იმავე შატბერდის მონასტერში 936 წელს და დასურათებულია „კამარათა მწერლის“ თევდორეს მიერ 940 წელს.

ხელნაწერში შენახულია მახარებელთა გამოსახულებები; მახარებლები წარმოდგენილი არიან ფეხზე მდგომნი კამარიან მოჩარჩოებაში წიგნით ხელში: მათე, მარკოზი (ფ. 94), ლუკა (ფ. 144), იოანე (ფ. 228, ტაბ., 97).

ეს ტიპი, როგორც დ. აინალოვმა აღნიშნა, სირიული ნიმუშებიდან მომდინარეობს. იგი გვხვდება X საუკუნის ხელნაწერში №98 (საეკლესიო მუზეუმის ფონდი), ეჩმიაძინის სახარების (989) სამ მინიატიურაში და სხვ. მახარებელთა ყოველ გამოსახულებას ერთვის განკურნებათა სცენები, გარდა მათეს გამოსახულებისა (ფ. 8 დაკარგულია). აღნიშნული სცენების რედაქცია მომდინარეობს ადრეულ-ქრისტიანული ხელოვნების ნაწარმოებებიდან და მოგვაგონებს კატაკომბები მხატვრობას, რავენის მოზაიკებს. უახლოეს პარალელს წარმოადგენენ განკურნებათა სცენები რავენისა და პარიზის დიპტიქებზე.

მარკოზის გამოსახულებას ერთვის „შობითგან ბრმის განკურნება“ (ტაბ. 96), წარმოდგენილი 93 ფურცელზე, ლუკას გამოსახულებას — „ემმაკეულის განკურნება“ (ფ. 143), იოანესას — „განრღუეულის განკურნება“ (ფ. 228).

ხელნაწერის დასაწყისში გამოსახულია ძველი ტიპის კამარები კორინთული და იონიური რიგის კაპიტელებით. როგორც ქართულ, ისე ბიზანტიურ მინიატიურებში, უფრო გავრცელებულია კორინთული ორდენი, თავისი დეკორაციულობის გამო. განსაკუთრებული ყურადღების ღირსია კამარების მსგავსი არქიტექტორული დეკორაციები, რომლებიც სვეტების ხან ერთ, ხან ორ წყვილს ეყრდნობიან. მახარებლები გამოსახული იყვნენ მუქი-ცისფერი ფარდის არეზე, რომლებიც მხოლოდ იოანეს ფიგურის ზურგსუკან არის შენახული. არქიტექტურულმა არემ თავისი ფორმით და სტილით შეინარჩუნა კავშირი რეალურ არქიტექტურასთან, ჯერ კიდევ არ არის დაკარგული არქიტექტორული ფორმის გაგება, რომელიც შემდეგში წმინდა დეკორაციულ მოტივად იქცევა.



არქიტექტურა თავისი სტილით მოგვაგონებს კონსტანტინე დიდის შვილების განთქმული კალენდრის არქიტექტურას (IV ს.). ეს სტილი გვხვდება აგრეთვე თესალონიკეს წმ. გიორგის ეკლესიის მოზაიკებში.

„განკურნებათა“ ყველა სცენაში, ქრისტე უწვერო ჭაბუკადაა წარმოდგენილი, ისე როგორც მიღებული იყო ანტიკური ტრადიციებით გამსჭვალულ ადრეულ-ქრისტიანულ ხელოვნებაში.

ამ პერიოდში არა მხოლოდ ქართულ ხელოვნებაში, არამედ ბიზანტიურსა, აღმოსავლურ ქრისტიანულსა და დასავლეთ ხელოვნებაში წვეროსანი ქრისტეს გამოსახულების ეგრეთ წოდებული ისტორიული ტიპია გაბატონებული. მხოლოდ დასავლეთის ხელოვნების ძეგლებში თითქმის XII საუკუნემდე გვხვდება ზოგჯერ, გამონაკლისი სახით; უწვერო ქრისტეს გამოსახულება X საუკუნის ქართულ ხელოვნებაში გვხვდება როგორც გამონაკლისი ერთეული მოვლენა, რაც მხოლოდ იმ ფაქტით შეიძლება აიხსნას, რომ მინიატიურისტმა ძველი ნიმუშის პირი გადაიღო.

ამრიგად, შეიძლება დადგინებოდ ჩაითვალოს, რომ მინიატიურისტი თევდორეს 940 წელს შატბერდის მონასტერში ხელთ ჰქონდა სახარების უძველესი დასურათებული ხელნაწერი, რომელიც შეიძლება V-VI საუკუნეებით დათარიღდეს.

შატბერდის მონასტერში, გრიგოლ ხანძთელის „ცხოვრების“ ტექსტის მონაწილით, ძლიერ ძლიერ ძველი ხელნაწერები ინახებოდა, რომელნიც მონასტრის დამაარსებლის სიცოცხლეშივე უკვე ვერ აკმაყოფილებდნენ ახალ მოთხოვნილებებს.

ჯრუჭის სახარების მინიატიურების არქიტექტურული ფონის ანალიზი, „განკურნებათა“ სცენების იკონოგრაფია, მახარებელთა და ქრისტეს ტიპები ადასტურებენ ამ მოსაზრებას. ამ დროის დათარიღებული და ამავე ხანისთვის მიკუთვნილებული შემკული ხელნაწერები, როგორც მაგალითად, როსანოს სახარება, ვენის დაბადება, რაბულას სირიული სახარება (586 წ.), ეჩმიაძინის სახარების სირიული მინიატიურები, შესაძლებლობას გვაძლევენ გადავჭრათ საკითხი იმ დედნის წარმოშობის შესახებ, რომლითაც სარგებლობდა მინიატიურისტი თევდორე.

ამ მინიატიურების შესრულების ტექნიკა მკვეთრად განსხვავდება ზემოთ ჩამოთვლილი ძეგლების მხატვრულ-ტექნიკური ხერხებისაგან, სადაც ჯერ კიდევ ცოცხალია ელინისტური მხატვრობის ტრადიციები. ქართული ხელნაწერის მინიატიურების შესრულების გრაფიკული მანერა, ნაოჭების სქემატურობა, წერის ფაქტურა სულ სხვა მხატვრულ ტრადიციას მოწმობს. განსაკუთრებით დამახასიათებელია სახეების წერა. მინიატიურისტი წვრილი ბენვის კალმით მეტად ფაქიზად ხატავს ყველა დეტალს, ღანვებზე ნითურობას გადმოგვცემს ნითელი ლაქის სახით, თვით სახეს კი არა ფარავს ხორცისფერი ტონით.

X საუკუნის დამლევს ეკუთვნის ეტრატზე შესრულებული სამი მინიატიურა, X ს. სახარებიდან, რომელზედაც გამოსახულია მარკოზი, ლუკა (ტაბ. 99) და იოანე. მახარებლები გამოსახულნი არიან მთელი ტანით, ოდნავ მობრუნებულნი მაყურებლისაკენ, ხელში წიგნები უჭერნიათ. ბიზანტიური წარმოშობის მინიატიურების წრისათვის დამახასიათებელი გამოძიწვის რთული ხერხების, თანდათან გამობაცების, წერის სქელი ფაქტურის მაგიერ, ამ მინიატიურებში სჭარბობს ძირითადი ტონით მოდელირება, უმეტეს შემთხვევაში ერთი ძალით. ამ მხრივ ისინი მოგვაგონებენ დავით-გარეჯის უდაბნოს X-XI საუკუნეების დასაწყისის ქართული კედლის მხატვრობის გარკვეულ ჯგუფს, რომელსაც ფერწერაში ჯერ კიდევ არ ემჩნევა ბიზანტიური მანერის გავლენა.



ქართული ისტორიოგრაფიის კორიფეები — ნიკო ბერძენიშვილი და სიმონ ჯანაშია 1945 წელს, ომის დამთავრების შემდეგ, შემოდგომაზე, იოსებ სტალინმა თავის აგარაკზე დაიბარა. ეს შეხვედრა შედგა შავი ზღვის სანაპიროზე, სოჭის მახლობლად, მაცესტაში, 1945 წლის ოქტომბერში.

დელეგაციაში შედიოდნენ რესპუბლიკის მაშინდელი ხელმძღვანელი კანდიდ ჩარკვიანი, მკურნალი ექიმი, პროფესორი მიხეილ წინამძღვრიშვილი, ისტორიკოსები — სიმონ ჯანაშია და ნიკო ბერძენიშვილი.

ამ საინტერესო სამდღიანი (20-23 ოქტომბერი) შეხვედრის თაობაზე აკადემიკოს ნიკო ბერძენიშვილის დღიურები და შთაბეჭდილებები კორნელი კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ინსტიტუტშია დაცული.

ეს არის ფრიად საინტერესო და საყურადღებო მასალა, რომელშიც ნათლად ჩანს სტალინის გონიერება, მისი აზროვნება და ხასიათი. ნიკო ბერძენიშვილის წყალობით, შთამომავლობას ბევრი ახალი აღმოჩენის გაკეთება შეუძლია ამ

პიროვნებასთან დაკავშირებით. მაგალითად, რა აზრის იყო სტალინი საქართველოს ისტორიის ამა თუ იმ საკითხზე, ცალკეულ პიროვნებებზე, ორჯონიკიძის მიერ საქართველოს საზღვრის შეცვლაზე, ტაო-კლარჯეთზე, ახალგაზრდობაზე, ისტორიულ მეცნიერებაზე, სომხების დამოკიდებულებაზე ისტორიისადმი, ებრაელების როლზე ომში, გერმანელებზე, ამერიკელებზე, ინგლისელებზე, იტალიელებზე, თურქეთსა და აზერბაიჯანზე და სხვ. ბერძენიშვილის დღიურების გაცნობით სრულიად განსხვავებული სტალინი წარმოდგება ჩვენს წინაშე, რომელიც მკვეთრად განსხვავდება იმ პორტრეტისაგან, რომელსაც ხრუშჩოვიდან მოყოლებული ქმნიდნენ სტალინის მტრები. ნ.ბერძენიშვილის დღიურები და შთაბეჭდილებები შეკრიბა ან განსვენებულმა ისტორიკოსმა, პროფესორმა ედიშერ ხომტარია-ბროსემ და 1998 წელს გამოაქვეყნა ჟურნალ „ცისკარში“, ხოლო 2003 წელს გადაბეჭდა გაზეთმა „საქართველოს რესპუბლიკამ“.

ფფიქრობთ, ჩვენი ჟურნალის მკითხველებიც დიდი ინტერესით გაეცნობიან მას.

ნიკო ბერძენიშვილი სტუმრად სტალინთან

ეს იყო 1945 წლის ოქტომბერში. დიდომგადახდილი და გამარჯვებული ამხანაგი სტალინი ზღვის პირას ისვენებდა. ჩვენი წიგნი „საქართველოს ისტორია“ წაეკითხა ამხანაგ სტალინს და ავტორებთან შეხვედრა საჭიროდ დაენახა.

14 ოქტომბერს ამხ. კ. ჩარკვიანმა ან განსვენებული აკად. ს.ჯანაშია და მე თავისთან გვიხმო. ამხ. სტალინმა სთქვაო, — „თუ ავტორები გაიზიარებენ, საქართველოს ისტორიის შესახებ რამოდენიმე შენიშვნა მაქვსო“, — თავისთან მივიპატიჟებთ, თუ სურვილი გაქვთო.

19 ოქტომბერს გავემგზავრეთ და ოცში უკვე ამხანაგ სტალინის სტუმრები ვიყავით.

ჩვენი სტუმრობა 3 დღეს გრძელდებოდა. 23 ოქტომბერს უკან წამოვედით და ვიტყვი სხვების სახელითაც, გვწყინდა, რომ ასეთ მასპინძელს ვეთხოვებოდით.

დატვირთული მოვდიოდით ამხ. სტალინის საჩუქრებით — სახელმძღვანელო აზრებით საქართველოს ისტორიაზე, ქართულ კულტურაზე, ლიტერატურაზე, სალიტერატურო ენაზე, ქართველი ერის განვითარების პერსპექტივაზე.

კერძოდ, ჩვენი საუბრის საგანი ამხ. სტალინთან იყო:

— ქართველთა წარმოშობისა და მათი მონათესაობის საკითხი ძველი აღმოსავლეთის კულტურულ ხალხებთან;

— საქართველოს ფეოდალური მონარქიის ხასიათის საკითხი, კერძოდ, საუბარი შეეხო, მახსოვს, დავით აღმაშენებელზე;

— საქართველოს გვიანფეოდალურ ხანა, ანუ ქართველთა ბრძოლა დაბალი კულტურის ხალხთა (ოსმალურ-ყიზილბაშურ) გარემოცვასთან;

— ერეკლეს ბრძოლა საქართველოს გადარჩენისათვის და თავდადების როლი სახელმწიფოებრიობის დაცემაში;

— ქართული საზოგადოებრიობის წარმოქმნა-ჩამოყალიბების საკითხი ცარიზმის წინააღმდეგ ბრძოლის პირობებში.

„სტალინი განუხრელად ქართველი პატრიოტი იყო“...

19.10. გამგზავრების დათქმული დღე. „ელეთ-მელეთები“ მომდის. არავის ვუზიარებ, რომ აღარ მოენწყოს ჩვენი სტუმრობა, ხომ მკვეხარობად ჩამომერთმევა. პირი გავითქვი: ქუთაისში ბარათაშვილის დღეს უნდა დავესწრო, მოგვავლინეს სიმონ და მე...

19.10. სადგურზე, წინამძღვრიშვი-



ლი სტეტოსკოპით... ამხ. კანდიდიც მოვიდა. ექსპრესი თბილისი-სოჩა. ამხ. კანდიდის ტაქტიანი უბრალოება-გულითადობა ჩემს ღელვას ანელებს... მაიმედებს ამხ. კანდიდისეული დახასიათება: ჩვენი მასპინძლის „ეპიური უბრალოება“...

დაკვირვებული, ნიჭიერი, საქმიანი კანდიდი გვესაუბრება მეოთხე, სტალინის ხუთწლედით გათვალისწინებული სამუშაოების შესახებ. სასიხარულო პერსპექტივა...

20.10. წვიმიანი დილა. გაგრაში, ეს ადგილები, სამოთხეს რომ ჰგავს, ჯერ არ მინახავს. სადღაც აქ დაამარცხეს ჯიქებმა დადიანისა და გურიელის შეერთებული ლაშქარი... სასიამოვნო სანახაობას ანელებს მოლუშული დღე. ზღვა დაღვრემილია, თუმცა არ შფოთავს. გა-

ვიარეთ ბზიფი, კოლმეურნეობა „განთიადი“ (პილენკორო)... შფოთვა სულ უფრო და უფრო შემიდგა: საცაა მივალთ. ზოგჯერ არა მჯერა, ვერ წარმომიდგენია, რომ ჩვენი დროის უდიდეს ადამიანს ვნახავ... ადლერი, ხოსტა, მაცესტა, გვირაბი... ამხ. კანდიდი ვერ გვანუგეშებს: „ვფიქრობ, დღესვე მიგვიღებს ამხ. სტალინი“. ჩვენ გვერჩვივინა გადაგვედო ხვალისათვის... განაჩენგამოტანილივით ვარ გაბრუებული. ჩემი ჩემოდანი სასირცხო მეჩვენება: იქ ნიგნები აწყვია. წამოვიღე, რომ ამხ. სტალინთან საუბარში გამომადგებოდა... სვიმონს, ჩვეულებრივ დინჯს, ვუყურებ. ამასაც ლელვა ეტყობა და მე რალა მომივა...

სოჩა – სადგური. კოკისპირული ნვიმა. გენერალ-ლეიტენანტი ვლასიკი და სხვები გავიცანით. ავტობუსში ჩავსხედით. მცირე ხნის შემდეგ მაცესტაში ვიყავით – „დაჩა №1“. ალაყაფი. პროფ. მიხეილ წინამძღვრიშვილი უკან ჩამორჩენაში მეჯობრება. კობტა, ორსართულიანი სახლის წინ გავჩერდით, ვესტიბიულში შევდივართ. ჩემზე წინ შესულები პალტოებს იხდიან, ვილაცას ხელს ართმევენ... სტალინი. ამხ. კანდიდმა ჩვენი თავი გააცნო. წინამძღვრიშვილს გაუღიმა. ხელი ჩამოგვართვა და ვლასიკას მიუბრუნდა: „ორი ოთახი მაღლა, ორი ქვემოთ მოამზადეთ“. (სტალინი მოღლილი მეჩვენა. მეწყინა...) ამხ. ჩარკვიანი და წინამძღვრიშვილი ზევით მოეწყვენ, მე და სიმონი – ქვევით. უნდა დავისვენოთ.

სულ მცირე ხანი გავიდა და ამხ. კ. ჩარკვიანი შემოვიდა: ამხ. სტალინი გვთხოვდა...

როცა (ქვემოთ სართულში) მივედი, ამხ. სტალინი წინამძღვრიშვილს ესაუბრებოდა, ფეხზე იდგა. „დაბრძანდით, მე მიჩვეული ვარ ფეხზე დგომას“. დავჯექით. დგას, ყალიონს აბოლებს, ილიმება – „მაჭავარიანი გახსოვთ?“ ეკითხება წინამძღვრიშვილს. „არა“. „ჰმ... არ გახსოვთ“... „მე რამდენიმე შენიშვნა მქონდა თქვენს ისტორიასთან დაკავშირებით, უფრო ზუსტად, ორი ძირითადი შენიშვნა“.

ჩვენი ნიგნი წინ უდევს, გადაშლის. არ აკმაყოფილებს დასაწყისი თავი. მეტ გაბედულებას და გარკვეულობას სცნობს საჭიროდ ქართველთა მონათესავეობა-წარმოშობილობა-იგივეობის შესახებ წინა აზიის უძველეს კულტურულ ხალხებთან: სუმერ-სუბარხეთა-ურარტუსთან.



კაბანოვიჩი, სტალინი, კოსტიოვი და ვოროვილოვი. 1934 წ.

კართაგენი („კართაშენი“) არ მიაჩნია ებრაელთა მონათესავეებად... ასევე ლიბიელები, ბასკები, ეტრუსკები... „ბერძნები გვიან მოვიდნენ. ეგვიპტელები მათ ავარებს, რაზბონიკებს უნოდებდნენ... ყველაფერი ეს შესასწავლია... მეტი გაბედულობა საჭირო. აღმოსავლეთის ისტორიის შესასწავლად თქვენ უკეთესი პირობები გაქვთ, ვიდრე დასავლეთ ევროპელთ. კავკასიური ენები, ეთნოგრაფია... ზედმეტი პიეტეტი გჭირთ ევროპელთა მოსაზრებების მიმართ... (საბუთიანი გაბედულება მეცნიერებაში, დაურიდებლობა გაბატონებული აზრების დარღვევაში). სომხები გვიან, ალბათ, მეჯლოგები, — ურარტუ დაიჭირეს, მოსახლეობა გამოაძევეს ან მათვე შეერივნენ“...

მარის თეორია ენის სტადიალობის შესახებ არა სწამს. ენის საკითხი ხალხთა მონათესავეობის გასარკვევად-დასადგენად უმთავრეს საკითხად მიაჩნია... ენის სტრუქტურა უაღრესად ინდივიდუალურ და მყარ მოვლენად წარმოუდგენია. იტაცებს ქართულის განსხვავებულობა, კითხულობს ქართულისა და მთიანეთის იმიერკავკასიის ხალხთა ენების ურთიერთ დამოკიდებულების შესახებ...

ენის ფორმირებულობა ათასეულ წელთა შრომის ნაყოფად წარმოუდგენია. იგონებს იმის შესახებ, მარმა რომ მას ორი წერილი მისწერა გრძელი პერიოდებით და აწეული სტილით... არ მიპასუხნიაო. სცნობს მანც, რომ მარს ბევრი რამ საყურადღებოც აქვს.

პავლოვი სწამს, ორბელის ფიზიო-

ლოგობას ეჭვის თვლით უყურებს. მეორე ორბელი, „სიძველეებს რომ აზის“, კიდევ უფრო არა სწამს...

ბერუცუნა კომაროვი ორბელს გვჩრიდაო აკადემიის პრეზიდენტადო (კომაროვი „სიტყვით გამოსვლა არ შეუძლია, მოხსენება შეუძლია“)... ძველი აკადემიკოსები არც ისე შეუვალ წმინდანებად წარმოუდგენია.

ჩვენი ისტორიის მეორე საკითხი ესაა მისი ბოლო. ჩანს ტექსტი ისეთ შთაბეჭდილებას ვერ ახდენს მკითხველზე, ჩვენ რომ გვინდა. საჭიროდ მიაჩნია, ბოლოში ითქვას საქართველოს არჩევანის შესახებ, რომ საქართველოს ფეოდალურმა დაშლილობამ და რთულმა საგარეო პირობებმა ბოლო მოუღეს, რომ ოსმალეთი და ირანი ყოველად მიუღებელი იყვნენ: ირანის ხელქვეშ საქართველოს ფერეიდნელობა ელოდა, ოსმალეთის ხელქვეშ – ტურეჩინა – (ფეოდალური ურთიერთობის ყველაზე ბარბაროსული ფორმა...), რომ რუსეთი (არჩევანი), მართალია, ბოროტება იყო, მაგრამ იმ ისტორიულ პირობებში – უმცირესი. არაფერი გვეთქმის, სავსებით სწორი შენიშვნაა („ის იყო ბოროტება, მაგრამ იმ ისტორიულ პირობებში ის იყო უმცირესი ბოროტება“). სწორად მიმჩნია ჩემი ფორმულა, რომ საქართველო ევროპული ქვეყანა იყო და რომ ის კვლავ დაუბრუნდა ევროპული განვითარების გზას...

(მაშასადამე, მე დამჭირდება მთელი აბზაცი ბოლო სპარსეთ-ოსმალეთის უკულტურობისა, საქართველოს ევროპულობისა და რუსეთ-



თან მისი დაკავშირების პროგრესულობის შესახებ).

ნიგნს ფურცლავს... „ერეკლე კარგი კაცი იყო, საქართველოს გაერთიანებისათვის იბრძოდა...“ წინამძღვრიშვილი გათამამდა (საუბარში მონაწილეობა თუ სურდა, მიეღო.): „მგონია, რომ აქ ერეკლე არასაკმარისად გამოკვეთილად ნაჩვენები“. რა გაეწყობა: მკითხველის შეუვალი უფლებაა. ამხ. სტალინი არ დაეთანხმა. წინამძღვრიშვილი მიღუშდა...

საკადე სნამს, თუმცა მის შეცდომებს კარგად ჰხედავს (ანტონოვსკიას რომანი მოსწონს).

ორი-სამიოდე გრამატიკული ხასიათის შეცდომა აღნიშნა. კახური კილოს გავლენაც აღნიშნა: „კიდევ“ ნაცვლად „კი“-სა. ტერმინი „ჭიდილიც“ მიუღებლად მიაჩნია მე-14 საუკუნისათვის... რუკების ფერებში მიცემას სცნობს საჭიროდ: სამთავროების საზღვრებს...

დავით აღმაშენებელი მოსწონს... სადილზე მიგვიწვია. მსახური ქალი სუფრას შლის... ამხ. სტალინი დადის... გორის სასულიერო სასწავლებელს და სემინარიას იგონებს. წინამძღვრიშვილიც ცდილობს მოიგონოს რამე წარსულიდან... ფერადე, მახათაძე, აბაშიძე, ქელბაქიანი, ქოქიაშვილი... (შემთხვევები: „ფერადე — გლახაკი, მახათაძე — დამცველი, სინდისიერი, აბაშიძე — ჟანდარმი, სემინარიელებმა შეხვედრა რომ მოუწყეს „შედღუხით“...), ილურიძე — საინტერესო ტიპი. კეთილი, პროგრესული, ოდნავ ახირებული: „რუკები მოგვცა დასახატავად. კარგად დავხატე. აილო ჩემი ნახელავი. აქებს, ცამდე აყავს. თან თვალს მადევნებს. მე თავი გამოვიდე... გაათავა. დამიძახა: „ეს მე გაქებდი, უბედურო“ და ერთი დამინერა: ჩანს ჩემი თავგამოდება არ მოენონა“.

იგონებს სხვადასხვა შემთხვევებს, ეპიზოდებს. წინამძღვრიშვილიც გაიხსენებს ქოქიაშვილის (ქიხიყელი, ყოვლად უნიჭო, მშრომელი) თავგადასავლებს. „ნიგნს თავში იცემდა, რომ შინაარსი დახსომებოდა. (გამოცდების წინ ღვთისმშობელს შეევედრა: თუ ხვალ დამეხმარები და გამოცდას ჩამაბარებინებ, კელაპტარს დაგინთებო. ჩაიჭრა, მოვიდა და ღვთისმშობელს უთხრა, კელაპტარს კი არა ჩემ... დაგინთებო“.

სტალინი გაიხსენებს შემთხვევას



სტალინი და კალინინი

ერთი სემინარიელის კეთილშობილი საქციელის შესახებ. მას აკრძალული ნიგნი (ლეტურნო) დაუჭირეს. ნიგნი სტალინის იყო. ის ყმანვილი არ გატყდა. სტალინმა ურჩია, გატეხილიყო; არა ქნა. „ის ლოთი ერთი ვინმე იყო. არავის სჯეროდა, რომ ნიგნი მისი იყო, მაგრამ რას იზამდნენ, არა ტყდებოდა. გარიცხეს, მაგრამ უფლება დაუტოვეს გამოცდების ჩაბარებისა მასში“. მადლობა უთხრა სტალინს — „წავალ, ჩემს ნებაზე ვიქეიფებ მასამდელო...“

სადილი გააწყვეს... ხუთნი ვართ. სტალინმა თეფშებს ხუფები ახადა, ღვინოებსაც გადახედა. კონიაკი დაისხა. შემოგვთავაზა. მიგვიწვია. დაჯდა და სადილს შეუდგა. ჩვენც ასევე მოვიქეციით.

* * *

გვმასპინძლობს ამხ. სტალინი, გვთავაზობს, თამაძობს, ოხუნჯობს მოკლედ (გაჭიანურებული არა უყვარს რა). შიგადაშიგ საქმიანი საუბარიც ჩამოვარდება კანდიდსა და ამხ. სტალინს შორის. ბასრივით ჰკვეთს (ყოველი აზრის დოკუმენტირებულია აუცილებელი მოთხოვნილებაა. „მე ვფიქრობ“-ს საბუთი უსარგებლო ლაყაბის სინონიმი...“) ამხ. კანდიდი საქმიანად, ტაქტიანად, საბუთებით და მტკიცედ უდგას. ამხ. სტალინს მოსწონს ის... საქმიდან უმაღლეს მადლობაზე გადადის. სადღეგრძელოს გვიშენს — (სადღეგრძელოები სუფრაზე მსხდომთ არ სცილდება). სადილი გავათავეთ, დასასვენებლად წავედით. რა დამასვენებს. სიხარულის მღელვარებამ ისე მო-

მიცვა, რომ მხრებში ფრთებსა ვგრძნობ. არც სიმონს აქვს დასვენების ხალისი. ვსაუბრობთ შთაბეჭდილებებზე...

მსაათზე ისევ ამხ. სტალინთან ვიყავით. ჩაი გაეწყობ; ჩვენი ისტორიის გარშემო საუბარი გრძელდება. საკითხი ისევ უძველეს ნაწილს შეეხება: გაცვებს, როდის იკითხა ეს ლიტერატურა აღმოსავლეთის ისტორიიდან... სახელმძღვანელო მითითებებს იძლევა... რუკების საკითხს კვლავ ეხება (სიმონის თხოვნით): — საჭიროთ მიაჩნია, კრიტიკული მიმოხილვა ჩაერთოს (პეტიტიო), საქმიანი კრიტიკით ახლო აღმოსავლეთის ისტორიის ინდოევროპეისტულად გამშუქებელთა თეორიებისა (კითხულობს, თუ სადაა ჰროზნი, არ მოსწონს ლემან ჰაუპტი)...

ჩაის მოვრჩით. კანდიდი თავის ოთახში გავიდა (რალაც სურდა, მოეტანა). სიმონმა ისტორიის რუსული თარგმანი მიაართვა ამხ. სტალინს. მან ეს საქციელი ისე გაიგო, თითქოს მისი შენიშვნები ჩვენ მისაღებად არ მიგვაჩნდეს. ღიმილით იკითხა. სიმონმა შესაფერად უპასუხა. ამხ. სტალინმა მაშინ სთქვა: „თქვენ კარგი ნიგნი გამოგივით“. ჩვენთვის ამაზე უფრო მაღალი შეფასება წარმოუდგენელია. ჩვენი სიხარულიც გასაგებია. ჯერ კიდევ ჩაის დროს ამხ. სტალინმა შენიშნა, რომ ნიგნის აპრობირების შესახებ იქ არაფერია. ეს არ მოენონა. მოითხოვა, რომ ეს ნიგნი აპრობირებული იყოს სახ. კომისართა საბჭოს მიერ. ამხ. სტალინის განცხადებით, დღესდღეობით, რა თქმა უნდა, არავითარი საბჭოთა კავშირის



ხალხთა ისტორია არ არსებობს.

23.10. 3 საათია. ამხ. სტალინთან გამოსამშვიდობებლად მივდივართ. (დანარჩენს თბილისში ჩასვლისას დავენერ).

(სსრკ ხალხთა ისტორია შემუშავდება მას შემდეგ, რაც თითოეული რესპუბლიკის ისტორია შემუშავებული იქნება. სიმონის შენიშვნაზე, რომ „საბჭოთა კავშირის ისტორიის“ მუშაკნი (ავტორები, პროფესორები, ლექტორები) ამ ისტორიაში ახალ შინაარსს არა სდებენ, არამედ რუსეთის ისტორიას ჰგულისხმობენ და რომ, მათი აზრით, გამოდის, მხოლოდ სახელი შეიცვალა, — სტალინიმ დაურთო: „დაახ, რუსეთის ისტორია უკრაინისა და ბელორუსიის გარეშე“. ხოლო სახელის შეცვლის შესახებ ღიმილით და არცთუ უირონიოდ შენიშნა: „დაახ, იმ სახელწოდების შეცვლა ჩვენ ორი რევოლუცია დაგვიჯდა, მაგრამ რევოლუციები ხომ სახელის გადაარქმევისათვის არ ხდება“. (აზრი ეს იყო, შეიძლება, სიტყვასიტყვით არ იყოს გადმოცემა).

ლაპარაკი იყო ურარტუს სომხურ თეორიაზე. სტალინის აზრი ნათელია: სომხეთ მოსვლამდე იქ მაღალი კულტურის ხალხი ცხოვრობდა, მომთაბარე სომხები მოვიდნენ. სომხურ თეორიას საფუძველი არა აქვს. სომხები ინდოევროპული ენის ხალხია, „ქართველებში აღრეულნი“. ამხ. სტალინის „გრუზინი“ უფრო ფართე ცნების შემცველია, ვიდრე ჩვენ გვესმის, უფრო ფართე, ვიდრე ქართ-ზან-სვანური. ამხ. სტალინი გრძნობს საჭიროებას ამ ტერმინის გაფართოებისას (ისტორია მეცნიერებაა, ჭეშმარიტებაა, ის საფუძვლიანი სილოგიზმია, რეალური და არა ფორმალური და ამდენადვე, ის თანამედროვეობასთან სრულ თანხმობაშია. მეცნიერს უნდა დაჰქონდეს უნარი ამ თანხმობის აღმოჩენისა...).

ჭეშმარიტებაა — ტერმინი „ქართველი“ უნდა გაფართოვდეს. ეს აუცილებელია, როგორც ისტორიული მეცნიერების თვალსაზრისით, ისე ადრინდელი საქართველოს პოლიტიკის თვალსაზრისით... (ჰკითხავდა სიმონს: შეიძლება — ხეტსკო-გრუზინისკაია გრუპპა ნაროდოვ).

სიმონი შეყოყმანდა: გრუზინისკაია — ერთობ გაბედული ეჩვენა. ჩაიღიმა სტალინიმ...

ერთხელ სთქვა (არ მაგონდება, რას მოაბა) „საქართველო ხომ დამოუკიდებელია ეკონომიურადაც და კულტურულადაც“ — სახელმძღვანელო გამოთქმა.

აინტერესებს ტფილისის მოსახლეობის შედგენილობა, ქართული მოსახლეობის მოძრაობა ტფილისში... როცა ამხ. ჩარკვიანი უთხრა, რომ ქართველები მეტნი არიან, ვიდრე სხვა რომელიმე ერის მცხოვრებნი, მან შენიშნა: „და მაინც ქართველები არ არიან აბსოლუტური უმრავლესობა“ აინტერესებს ქართველთა ჩამოსახლების საქმე ახალციხის მხარეში, ქლუხორის, იალბუჯის, ახალი ხევის რაიონებში.

აინტერესებს, შრომობენ თუ არა აჭარლები, ქობულეთელები, მათი ქალები... აღნიშნავს, რომ აფხაზები უსაქმეოები არიან...

ინონებს ჩვენი მთავრობის ღონისძიებებს სამხრეთ ოსეთისა და აფხაზეთის სკოლებში (გაქართულებას).

ქებით იგონებს ჩრდილო ოსების ყოფაქცევას ამ ომის დროს, აღნიშნავს აღმამფოთებელ ქცევას ჩაჩან-ინგუშებისას და მათ ღირსეულ დასჯას...

ოსმალეთის ემისრების მუშაობის შედეგი ყოფილა იმ უბედური ადილელების თუ ჩაჩან-ინგუშეთის ასეთი ქცევა... ეხლა კი ოსმალეთი დანვა და ორივე ფეხი აიშვირა... (აღნიშნავს სპარსეთ-ოსმალეთის უკულტურობას) როგორც ახლა, ისე მთელი გვიანდელი ეპოქის სიგრძეზე (ამ გარემოებას მე უნდა ხაზი გავუსვა ისტორიაში).

აინტერესებს ჩვენი ენათმეცნიერება, ახლო აღმოსავლეთის შესწავლის საქმე (აქედან ჩვენ სახელმძღვანელო დასკვნები უნდა გავაკეთოთ). აინტერესებს ჩვენი უნივერსიტეტი, მისი ხარისხობრივი მაჩვენებლები (ასე გრძნობს: სურს გაიგონოს, რომ ჩვენი უნივერსიტეტი არც ერთ პირველთაგანს არ ჩამოუვარდება...).

აინტერესებს ჩვენი მედიცინა (უკმაყოფილოა მოსკოველი ექიმებით: საძაგელ სერვილიზმს იჩენენ). აინტერესებს ქართული მეცნიერება საერთოდ, გვაქვს თუ არა მეცნიერების ყოველ დარგში შემუშავებული ტერმინოლოგია...

აინტერესებს ქართული ლიტერატურული ენა:



მოლოტოვი და სტალინი

საჭიროდ და დროულად მიაჩნია ენის უნიფიკაცია, ილია, ვაჟა — საფუძველი უნდა იქნეს უნიფიცირებული ენისა (გმობს კონია რეფორმატორობას, მისი ალაგმვა საჭიროდ მიაჩნია. უნონებს კონიას მუშაობის უნარს, მხატვრულ ალღოს).

საჭიროდ მიაჩნია გამოყენებითი გეოლოგია-მინერალოგია (თვალჭრელიძე), მაგრამ ასევე საჭიროდ მიაჩნია თეორიული გეოლოგია (ჯანელიძე).

სერვილიზმით დავადებული ექიმების მსხვერპლი გახდა შერბაკოვი. მკვლელი ექიმების მსხვერპლი შეიქნა გორკი...

სძულს სტალინის ზოგადი ფრაზები, უსაბუთო მსჯელობა... „ეს სენი უმთავრესად კომუნისტებს სჭირთ: მსოფლიო მასშტაბით მსჯელობა უყვართ, დიალექტიკურ მატერიალიზმზე მსჯელობენ და საბუთიანს კი ორ სიტყვასაც ვერ იტყვიან, ნიგნიერს ოქმსაც კი ვერ შეადგენენ. ორგანიზატორობის პრეტენზიებიც აქვთ... „იგონებს ბუხარინის პრეტენზიებს. „შარვალი ვერ აუნევიან, მუდამ ჩავარდნილი ჰქონდა, არ მახსოვს, სხდომაზე ვყოფილიყოთ და ან კალომი, ან პალტო, ან ქუდი სხვისი არ ჩაეცვას და ასეთი საწყალი ორგანიზატორობას იჩემებდა“...

საჭიროდ მიაჩნია ამხ. სტალინის ჩვენი ახალგაზრდობის სწავლის დაგეგმვა. „ჩვენ ხომ სახელმწიფო მეურნეობას ვგეგმავთ, მეურნეობა კი, ადამიანის გარეშე არსებობს?“. არაფერი აქვს იმის საწინააღმდეგო, რომ ჩვენი ახალგაზრდები საექიმო ფაკულტეტს ეტანებიან, მაგრამ საჭიროდ მიაჩნია სხვა ფაკულ-



ტეტების გაძლიერება: იურიდიულის, ისტორიულის, საინჟინეროსი. „ჩემმა ქალმა აიჩემა, მინდა საინჟინროზე შევიდეო. მე კი დავატანე ძალა და საისტორიოზე შევიყვანე. ეს მეტად საჭირო დარგია. კარგ პოლიტიკურ მოღვაწეებს ჩვენ აქედან მივიღებთ“.

საჭიროა იურიდიული დარგის გაძლიერება. ჩვენ მრავალი იურისტი გვჭირდება. საქმიანი საბუთების წესისაებრ შედგენა, გამოთქმის სიზუსტე, ასე უგულვებყოფილი რომაა, უნდა შემოვიდეს... (ჩვენი მხედრები ომს შეეჩვივნენ, ომის საქმე ისწავლეს, ხოლო დიპლომატიის კი არა იციან რა და ხშირად სახიფათო შეცდომებს უშვებენ...).

(ამხ. სტალინი ყოვლად უცხოა უხეში დაძალებისაგან კოლმეურნეების მიმართ. დაინტერესება, მატერიალური დაინტერესება აქ გადაწყვეტი ხასიათის მოვლენა უნდა იყოს).

არ მოსწონს ამხ. სტალინს სომეხთა ტრავმა ისტორიაში (საერთოდაც აღნიშნავს, სომეხთა ამ მხარეს) და ხსნის ამ გარემოებას იმით, რომ ისტორიის მიერ სომეხები განუხილველნი არასოდეს ყოფილან, ავადმყოფური ისტორიზმი სჭირთ.

ოსმალეთის ჩამორჩენილობას აღნიშნავს, ადარებს საბჭოთა აზერბაიჯანს და უკანასკნელი სამჯერ უფრო მაღლა მდგომად მიაჩნია...

კავტანოვის ავტორიტეტულობაზე ჩვენი უნივერსიტეტის შეფასების საქმეში ელიმება... არც ვილაც მადიარის ავტორიტეტულობის სწამს ბიოლოგიის თუ ქიმიის დარგში (სიმონმა რომ მოიტანა)... საერთოდ, ავტორიტეტებს არ სწყალობს... მას სულ სხვაგვარი საბუთები სჭირია. ეს საბუთიანობა თვითონვე ხშირად სახუმაროდ გამოაქვს.

22.10. 5 საათზე უსტალინოთ ვისაუბრეთ. კორიდორში გამოვიდა და შემთხვევით ამხ. სტალინს შევეყარე. ხელში გაზეთი მეჭირა. შემომხედა, გამიღიმა, მკითხა: „რა ამბავია, ქვეყანაზე“. „მშვიდობა — მეთქი“, მოვახსენე მეც ღიმილით. „სჭამეთ რამე.“ — „დიახ, გეახელით-მეთქი“. „არა მჯერა“, — მიპასუხა და დაურთო: „დოკუმენტი სადაა?“ — გაიცინა და წავიდა.

აინტერესებს ამხ. სტალინს სიმღერა. მოსწონს განსაკუთრებით



ვოროშილოვი, მოლოტოვი, სტალინი და ეჟოვი

გურული სიმღერა. აღნიშნავს, რომ სიმონიშვილი გურული სიმღერის კარგი მცოდნეა, მაგრამ სწუხს, რომ სახალხო სიმღერა გურულებს კამერულ სიმღერად გადაუქცევიათ...

მოსწონს პაჭკორიას თაოსნობა გუნდის ორგანიზებაში.

აინტერესებს ამხ. სტალინს ქართული ეთნოგრაფია (სახველი იარაღის ისტორია). ისტორიული პრობლემების გადაწყვეტისას ეთნოგრაფიის დიდ მნიშვნელობას აღიარებს...

აინტერესებს ჩვენი არქეოლოგია. დიდად მოეწონა ნივთები. ყურადღებით ისმენს ბაგინეთის გათხრების შესახებ ცნობებს... საჭიროდ ცნობს არქეოლოგიური გათხრების კიდევ უფრო მეტ ინტენსივობას, კერძოდ, დასავლეთ საქართველოში...

* * *

ოსმალეთის საქართველო, ჩანს, ღრმად სტიკვია... იშხანს ეძებს რუკაზე (სურათი ვაჩვენეთ)... აქ სიტყვაძუნნობს. თაყაიშვილის წიგნს — „არქეოლოგიური ექსპედიცია თორთომის ხეობაში“ — ათვალთვრებს... „ეს ყველაფერი ეხლა განადგურებული იქნება“... ლაპარაკობს ლაზთა შესახებ. მათი ენის შესახებ ჰკითხულობს. აღნიშნავს მათ ზღვაოსნობას, გამრჯელობას... აღნიშნავს ქართულ მოსახლეობას სმირნის ახლო, სტამბოლის ახლო...

ახასიათებს ქართველ ტომებს: ქიზიყელებს, ქართლებს, განსაკუთრებით უყვარს გურულები. 1902 წლიდან იგონებს გურული მუშების გამბედაობას, 1905 წლიდან გურული გლეხების გულწრფელობას, მენშევიკთა გურულ შედეგნილობას (იგონებს ნოე ჟორდა-

ნიას: „ნოე-პეტრეს“, „ნოე-ხუნხუზას“, ბენია ჩხიკვიშვილს, კარლო ჩხეიძეს — პატოსნების ნიმუშად, აკაკი წერეთელს, ლორთქიფანიძეს, არსენიძეს).

იგონებს კამათს გურიაში (ჩოხატაურში, ხიდისთავში). იგონებს თავუნას, ნიჭიერ კაცად სთვლის: „დიახ, ის მხოლოდ იურისტი იყო“, — შენიშნავს ამხ. ჩარკვიანს, რომელიც თავუნას იუმორისტობას აღნიშნავს მხოლოდ...

კუე-ს ლექსს (თავუნას მიაწერს) იხსენებს იმის საილუსტრაციოდ, თუ როგორ მოქნილი და მომჭირნეა ქართული ენა, ქართული ზმნა: გავა, ჩავა, წავა, ავა, მივა, დავა...

იგონებს თავის ბავშვობას, ხელის ტკივილს, ხალხურ მკურნალობას (თურმანიძეს), სასულიერო სასწავლებელში შესვლის მიზეზს (ჩარკვიანი ხუცესი ცხრამუხიდან და სტალინის მამა).

სემინარიაში ცხოვრებას იგონებს. ქელბაქიანს, ქოქიაშვილს...

იგონებს თავის ავადმყოფობას (ტიფს, შებრუნებით) ციხეში, გადასახლებაში...

იგონებს ტურუხანის მხარეში ცხოვრებას. გაყინვას, 18 საათს ძილს...

იქაური გლეხების ცხოვრებას. მეფის მოხელის მისვლას, ნელინადმი ერთხელ გამოთრობას...

იგონებს ანეკდოტს იმის შესახებ, თუ გლეხი როგორ უფრო ძვირად აფასებს ოთხფეხ საქონელს, ვიდრე ქალს. ჯავრებს მოხისელებს (დანა ერდოზე, ძროხა დასაკლავად კიბეზე მიყავთ. ჩვენი მამა-პაპა ასე შეებოდაო...).

იგონებს მოპასანის მოთხრობას



იმის შესახებ, რომ საფრანგეთშიც გლეხი ხბოს უფრო ძვირად აფასებს, ვიდრე საკუთარ ქალს...

ახასიათებს პოლიტიკოლოგები: კარლო ჩხეიძეს, ხომერიკს, რამიშვილს, ჟორდანას, წერეთელს... ახასიათებს რუზველტს, ჩერჩილს, ეტლის, ტრიუმენს, ბორნსს, ბევენს...

აღნიშნავს რუსის ჯანმრთელობა-გაუტეტხლობას, გერმანელთა ჯანსაღობას, ინგლისელ-ამერიკელების ჯანსაღობას (მათ კარგ კვებას, რეჟიმს, ჰიგიენას — აბაზანა დღეში სამჯერ), ამერიკელთა მოუხემობას (ტექნიკაში), იტალიელთა ჩიოობას, ხოლო ტექნიკაში წარმატებულობას. გერმანელთა დიდ დამშევას, სუროგატებით კვების შედეგად დასუსტებას. სტალინგრადელი გერმანელების ტყვეების ნახევარი განყდა: ნაშიმშილევზე საქმელი ვერ იგუეს...

რუმინეთს დიდ მომავალს უქადის; მდიდარი ქვეყანა (ტყე, პური, ღვინო, ნავთი, ნახშირი).

აინტერესებს საქართველოში სარწყავები (რუკაზე ეძებს), დადებითად უყურებს სამგორის პრობლემას (მოითხოვს მხოლოდ, რომ ბამბა საქართველოშიაც სთესონ)... აინტერესებს საქართველოს შექმნილი რაიონები... აინტერესებს მეტალურგიის, ავტომობილების ქარხნისა ქუთაისში, ელექტროენერჯის საკითხები...

ჩაი და ჩაის რაიონები, მათი მომარაგება.

აინტერესებს მეცნიერ-მუშაკთა ცხოვრებისა და მუშაობის პირობები... ამისთვის მოვიცლით ეხლაო... „ჩვენ ვერ შევძელით საჭირო ყურადღება მიგვექცია მეცნიერ-მუშაკებისათვის, უმუშევრად დარჩენილები ისინი ჩუმად იხოცებოდნენ“.

იგონებს (არ ვიცი რასთან დაკავშირებით) ლადო კეცხოველის ძმას ვანოს, სძულს ის „უსინდისო“, თავს რომ ბოლშევიკს უწოდებდა — „რა ხუნა“...

ეთანხმება ჩარკვიანს, რომ დღეს კახეთი ისევ უმდიდრეს კუთხედ რჩება საქართველოში. მაგრამ ციტრუსების განვითარებით, უნდა ვიფიქროთ, რომ დასავლეთ საქართველო ჩამოართმევს მას პირველობას...

სწუხს ზაქათაღის შესახებ. სერგოს ამტყუნებს. ეროვნული საკითხისადმი კომსომოლური მიდგომის შედეგაო, ბორჩალოს გადა-

ცემა სურდა სომხებისთვისო...

როგორ უყვართ ამხ. სტალინი. როგორ ეხუმრება ხოლმე სუფრის გამმლელ ქალს... როგორ ზრუნავენ, რომ არ შეანახონ ამხ. სტალინი...

იკითხავს რასმე. პასუხებს თითქო არც გისმენს. ბასრი პასუხი უმალ მზადაა...

ღია ქართლური სიცილი... დაუნდობელი კრიტიკული გონება სამართებელივით სჭრის...

„მარქსი სცდილობდა კომუნებს, რომ სიმპატიით უყურებდა აბსოლუტიზმთან ბრძოლაში. აბსოლუტიზმი პროგრესის თვალსაზრისით უფრო მისაღებია — სახალხო ძალებს აერთიანებს, კლასთან ბრძოლის არეს აფართოებს, კლასთა ბრძოლას აღრმავებს...“

სანყალი ივანე მრისხანე — „ორ კაცს სიკვდილით დასჯიდა, ორ თვეს ლოცულობდა... რომ გაბედულად დაეკრა, შეიძლება 1605-1613 წლის ამბები არც კი დატრიალებულიყო...“

„ქრისტიანობა მონობას ანგრევდა და ფეოდალურ ურთიერთობას ასაფუძვლებდა. აზნაურთა როლი — სამხედრო, სამეურნეო (მეურნეობის წამყვანი, გაუმჯობესების შემომტანნი), საზოგადოების შემდულაბებელი...“

სტალინი და ეკლესია:

„ომს (ანათემას) ვუპასუხეთ ომით. დღეს სამღვდლოება სულ სხვა რიგად იქცევა და ჩვენც ჩვენი პროგრამის თანახმად, სარწმუნოების თავისუფლების შესახებ თავისუფლება მივანიჭეთ ეკლესიასაც“...

იგონებს ამხ. სტალინი გურულეებს: ანთაძეს (დემონსტრაცია რომ დახვრიტა), გუნთაიშვილს — ვაჟკაცს და გულნრფელ კაცს. მისი გადარჩენა სასურველი იყო (ის ჩვენ დროს დახვრიტეს).

სამწუხაროდ, სტალინის არც სახე (სურათი), არც მთავარი რამ მისი ხასიათისა არ იცის ფართე მასამ. არც არავინ ცდილა, გადმოეცა მისი ეს ნიშნები, რომელნიც, ჩემი აზრით, ყველაზე დამახასიათებელია...

ფენომენალურია სტალინის აზროვნებისათვის დამახასიათებელი განსჯის სისწრაფე. ყოველი ახალი ცნობა, რა დარგისაც უნდა იყოს, მას ელვის სისწრაფით გადააქვს მეცნიერული და პრინციპული კრიტიკის საცდელ ქურაში და ჭეშმარიტების ულმობელობით ამ ცნობის უტყუარ შეფასებას იძლევა...

სტალინის ფოლადს ადარებენ. ასევე არ ილუნებო. და აქ უფრო სტალინის ხასიათის სიმტკიცეს, მის პრინციპულობას უსვამენ ხაზს... მაგრამ ეს მხოლოდ ერთი მხარეა. შეიძლება შედარების უფრო შორს წაყვანა: სტალინი არა მარტო ფოლადივით უდრეკია, არამედ ფოლადივით ელასტიკურიცაა, მისი გონებრივი აპარატი იმ ფოლადს უფრო ჰგავს, რომელიც იმისათვის მოიდრიკება, რომ უმალვე გასწორდეს, რომელიც მოდრეკილი არასოდეს დარჩება... ფოლადური მედგრობა, ფოლადური პრინციპულობა, ფოლადური ელასტიურობა... მიუმატეთ ყველა ამას სტალინი ოხუნჯი (დაუნდობელი, როგორც საკუთარი თავის მიმართ, ასე სხვის მი-



ПОД ВОДИТЕЛЬСТВОМ ВЕЛИКОГО СТАЛИНА—ВПЕРЕД К КОММУНИЗМУ!



მართ), სიცოცხლით სავსეს, ეპიურად მარტივი და თქვენ წინ წარმოსდგება გენიოსი, რომელიც ისე შეენის მომავალ მსოფლიოს, როგორც დიდი რეჟისორი მის მიერ დადგმულ ხელოვნების შედეგს...

„რამდენი მინა მოდის კოლმეურნეობის ნევრზე საქართველოში“. ამხ. კანდიდი მოახსენებს, „რიცხვი ზუსტად არ მახსოვს, მაგრამ მეტად მცირე, 1-3 ჰექტარამდე“. ამხ. სტალინი აღნიშნავს, რომ სარატოვის ოლქში კოლმეურნეზე 23 ჰა მოდის, ხოლო ციმბირში ზოგან 170 ჰექტარიც (ამიტომ, თუ ტერიტორია გვექნება, ჩვენ თამამად შეგვიძლია დავასახელოთ იმოდენივე ტერიტორია, რამდენიც ეხლა გვიჭირავს).

იგონებს ვ.ეგნატაშვილი... (იმერლობა-ამერლობა...)

იგონებს რაჭველებს (ორჯონიკიძესთან ერთად 1926 წელს შოვიდან რომ მოდიოდნენ...): — „ჩვენ ეხლა დავიწყეთ, საით მივეჩქარებითო“ — და ეს 5 საათს სმის შემდეგ...

მე-19 საუკუნის საქართველოს ისტორია სტალინის მიხედვით: საქართველოს საზოგადოებრივი ზრდა და ბრძოლა ცარიზმის წინააღმდეგ. პირველი ფორმულა შეიცავს საქართველოს განვითარებას „ქართლ-კახეთ-იმერეთ-სამეგრელოდან“ — საქართველომდე, საქართველოდან (საქრისტიანოდან) — საქართველომდე (ეროვნული მომენტით), ფეოდალური ურთიერთობიდან ბურჟუაზიულ ურთიერთობამდე, ყმაგლეხიდან — პროლეტარიატამდე, ხელოსან-ვაჭრიდან — კაპიტალისტამდე...

მეორე ფორმულა შეიცავს ქართული საზოგადოების ბრძოლის სხვადასხვა ეტაპებს ცარიზმის წინააღმდეგ.

ბრძოლა ცარიზმის წინააღმდეგ ქართველი ფეოდალებისა. ბატონიშვილები, თავადები (ხალხის სახელით ცდილობენ გამოვიდნენ... „ფეოდალურ მონარქისტული“ ოპოზიცია) ამ მოძრაობის დასასრული 1832 წლის მარცხი... გლეხთა ბრძოლა ცარიზმის და ბატონყმობის წინააღმდეგ (ნამყვანია გლეხური მოძრაობა 1841 წ., 1856 წ.).

თერგდალეულთა ბრძოლა ცარიზმის წინააღმდეგ...

ერის (ბურჟუაზიულის) შექმნისას-ნაციონალიზმში — (ბურჟუაზია და მისი ბრძოლა ცარიზმის წინააღ-



მდეგ) პროლეტარიატი (ინტერნაციონალიზმი) და მისი ბრძოლა ცარიზმის წინააღმდეგ...

ბურჟუაზიულ კლასს რომ გაემარჯვა, მივიღებდით დამოუკიდებელ ბურჟუაზიულ საქართველოს, პროლეტარიატმა გაიმარჯვა და მივიღეთ დამოუკიდებელი სოციალისტური საქართველო საბჭოთა კავშირში...

ერეკლეს ანდერძის გამრუდება იქნებოდა, ბურჟუაზიას რომ გაემარჯვა: „ნამდვილი დამოუკიდებელი ბურჟუაზიული საქართველო ვერ იქნებოდა და თავისი შემოქმედებითი ძალების გამლას ქართველი ხალხი ვერ შეძლებდა...“

სტალინით ისტორია პატრიოტული უნდა იყოს. (ღრმა სიმართლეა. პატრიოტიზმისა და ისტორიის ურთიერთობის შესახებ სადაც მაქვს შენიშვნა, სადაც ეს დებულებაა ნავარაუდევუ. (ლაპარაკი ეხება „უმცირეს ბოროტებას“, საქართველოს რუსეთთან შეერთებას, რუსეთის პროგრესულ როლს (ობიექტურად) და ასე გაშუქებული საქართველოს ისტორია — „განა საკმარისად პატრიოტული არ იქნება“ და დაურთო: ამავე დროს უნდა მოცემული იყოს ქართული საზოგადოების ზრდა ცარიზმთან განუწყვეტელი ბრძოლის პირობებში (ლეიტმოტივი).

ამხ. სტალინის ისტორიული შეხედულებებიდან „ჩამორჩენილს სცემენ“ (ცარისტული რუსეთის გამო აქვს გამოთქმული) ყველაზე

ნათლად ჩვენს ისტორიაში გამოდგება — მე-19 საუკუნის ისტორიაში...

ისტორია პატრიოტული მეცნიერებაა...

იმ გაგებით, რომ პატრიოტია საზოგადოების ნამყვანი კლასი, მონინავე კლასი, შემოქმედი კლასი...

უმცირეს ბოროტება — (ის მანც ბოროტებაა, თუმცა უმცირესი). ერეკლეს უმჯობესი გამოსავალი არ ჰქონდა... „კნიაზია დოკონალი გოსუდარსტვენოსტ გრუზიი“.

დასკვნა: თუ ეს იყო ბოროტება, მაშ ერეკლეს ანდერძი ყოფილა ბრძოლა იმისათვის, რათა ეს ბოროტება, რომელიც თან ახლდა (უკეთ, თან მოყვა) ქართველთა მრავალსაუკუნოვან ლტოლვას რუს ხალხთან კავშირისას, თავიდან მოცილონ. ესე იგი ბრძოლა თავისუფლების მოპოვებისათვის რუსეთთან კავშირის შენარჩუნებით. ერეკლეს ეს ანდერძი დიდმა ბარათაშვილმა განჭვრიტა, ხოლო პროლეტარიატმა პრაქტიკულად განახორციელა.

პრინციპს უცხო ძალის მოხმარების მიუღებლობა-მისაღებლობას განსაზღვრავს მიზანი. თუ ის პროგრესულ მიზანს ემსახურება, მისაღებია და — პირუკუ...

ქრისტიანობის როლი ემსახურებოდა ფეოდალური ურთიერთობის განმტკიცებას და მონობის მოსპობას. აქედან დასკვნა: ქრისტიანობა ახალი (პროგრესული) საზოგადოების რელიგია, დიდი პროგრესული ძალაა.

მნიგნობართუხუცესი — დავითის — „სამუალება, როგორ მოვუაროთ სულიერებას“, დავით აღმაშენებელი — „აბსოლუტიზმი ერთი საათით“ (მეც ამ აზრის ვიყავი).

ეჭვობს, რომ ტფილისში იმ ტიპის კომუნა იყო მე-11 საუკუნეში, როგორც დასავლეთ ევროპის ქალაქ კომუნები... (დიახაც, საეჭვოა: ტფილისი და ქართველი ქალაქები რომ ასეთები ყოფილიყო, დავითის აბსოლუტიზმი ერთსაათიანიც არ იქნებოდა)...

„მე აბსოლუტიზმს ვემხრობი“ — მარქსის შეცდომას აღნიშნავს. მარქსი ქალაქ კომუნების მხარეზე ჩანს მათი ბრძოლის დროს აბსოლუტიზმთან. ქვეყნის გაერთიანება კლასთა ბრძოლის გაფართოებასა და გაღრმავებას უწყობს ხელს...

ოსმალური და ერანული კულტუ-



რისა არა სწამს (მარქსს ეთანხმება: ბარბაროსული საფეხური ფეოდალური ურთიერთობისა). მართლაც და ფეოდალური ურთიერთობის დაბალი საფეხურია, მაშ რა, — როდესაც მინის კერძო საკუთრებაც კი (რა თქმა უნდა, ფეოდალური) ვერ შემუშავებულა და, სადაც ხანი თუ ფაშა მოხელეს ვერ გაცვილებია, ფეოდალი ვერ გამხდარა, სადაც ფეოდალური ეტიკეტიც კი ვერ შემუშავებულა...).

„ხალხი გადაასახლეს და კულტურულად მთელი საფეხურით უკან დასწიეს“, — ამბობს სპარსელებზე (ლაპარაკი ეხება ფერეიდნელებს).

და განა ასევე არ დაემართა ყველას, ვინც კი ერანის თუ ოსმალეთის კულტურა გაიზიარა. სამცხე-საათაბაგო, აჭარა... და დანარჩენი ქართველები ან აზერბაიჯანი...

„მაჰმადიანობამ დასძლია ქრისტიანობა... სიმარტივით, სიცხადით, პრაქტიკული ხასიათით...“

მოიგონა, თუ როგორ გაიგეს აჯანყების შესახებ მოწოდება ქართლში (დროის გარეშე). რევოლუცია დამარცხდა და ქართველები შეიძრნენ, სტალინი მოვიდა მათთან და ურჩია გამოსვლისათვის თავი მოერიდებინათ, რომ ეხლა ამის დრო აღარაა. ნაწყენები აყვედრიან: შენც თავადების მხარეზე გადასულხარო... არაფერი დაიჯერეს; მწარედ დაისაჯნენ...

გვეხუმრება: სომხებმა გაჯობეს. ამ ომში მათ გენერალი ბაგრატიონი ჰყავთ. თქვენ ქართველებს კი... კანდიდი ეუბნება, რომ ჩვენ უფრო დიდი გენერლები გყავს. წინამძღვრიშვილი მზადაა, უთხრას, რომ ეს დიდი გენერალი თვით სტალინია. ამხ. სტალინი მაინც ჰკითხულობს (ხუმრობით): თქვენ ვინა გყავთ. მე ვეუბნები: „ამას ჩვენ სომხებს დავუსახელებთ...“ იამა პასუხი. გაიღიმა... და ლაპარაკი ლესელიძეზე გადაიტანა. ნანობს მის სიკვდილს. ჩვენ ის იქ გვინდოდა მთავარსარდლად. ჭკვიანი იყო, ნებისყოფაც ჰქონდა. ქვეითი არტილერიიდან იყო გამოსული... ცუდუბრალოდ დაიღუპა თავი. ნაადრევად ადგა... შემდეგ ჰკითხულობს: თუ ჩამოვიდაო ჩანჩიბაძე...

ებრაელთა ქცევა ამ ომისას: ყველაზე ნაკლები საბჭოთა კავშირის გმირები (პროპორციულად) ამათგანაა. სამეურნეო ორგანიზაციებს



სტალინი თავის ქალიშვილთან, სვეტლანასთან ერთად

უფრო ეწყობიან... სადაც ერთი გაჩნდება, სხვებს („თავისიანებს“) შემოიკრებს. ომის საქმეს სხვებს მიულოცავენ, თბილი და უშიშარი ადგილის დაჭერას ვერაფერ მოასწრებს, უნდა ითქვას, მათ შორის შეხვედები უშიშარ მეომრებს, გმირებს, მაგრამ იშვიათად, საერთოდ კი...

ესაუბრება კანდიდს მეტალურგიულ კომბინატზე, ავტომობილის ქარხანაზე. ლაპარაკი შეექმნათ ძარაზე — ხის იქნება თუ ლითონის. კანდიდი იცავს ლითონს, დაგეგმილიც აგრეაო. სტალინმა იცოდა, ლითონი ჩვენ მიღებისათვის გჭირდებაო. კანდიდი ტყის ნაკლებობაზე მიუთითებს ჩვენში... სტალინი ტყის წესიერი მეურნეობის საჭიროებაზე მიუთითებს: დროა „ღვთისაგან გაჩენილი“ ტყის ამარა აღარ ვიყოთო“, „რაც ღმერთმა დარგო“.

კითხულობს მორწყვის შესახებ. მოხაზავს რუკაზე მოსარწყავ რაიონებს საქართველოში... სამგორზე შეჩერდება საუბარი... სტალინი მზადაა, დაიცვას სახკომსაბჭოში ეს წამოწყება, თუ საქართველო ბამბის თესვას შეუდგება...

„მე ხომ ვერ დავამტკიცებ, ორჯერ ორი სამოცდათორმეტიანო. მომეცით საკმარისი საფუძველი თავდაცვისათვის“.

ესე იგი, ბამბის კულტურა საქარ-

თველომაც იტვირთოს, ისე, როგორც სხვა სამხრეთელმა რესპუბლიკამო. ამხ. კანდიდიც სთმობს.

იგონებს ერთს შემთხვევას ავადმყოფობისას (საუბარი ეხებოდა ორგანიზმის გამძლეობას). ამხ. სტალინი გადასახლებაში გაეგზავნათ. გზაში ავად შექმნილიყო. სადღაც ქალაქის (ვოლგის აუზში) სატუსალოში იწვა. ოდნავ როგორც კი მომჯობინდა, წამოდგა, თუმცა არ ურჩევდნენ, და გზა განაგრძო. „ადგილზე მისვლა მეჩქარებოდა: უკან გამოქცევას ვეშურებოდი სამუშაოდ...“ საშინელ პირობებში მივდიოდითო. „ერთ ქალაქში გაგვაჩერეს. სატუსალოში, 25-ადგილიან საკანში 75 კაცი მოგვათავსეს. დასანოლი არ იყო. ვისხედით იატაკზე. მე 40 გრადუსი სიცხე მქონდა... უცხბათ ოფლი მომივიდა, სულ ერთიანად დავსველდი. ჩანს, კრიზისმა გაიარა. გადავრჩი. გზა განვაგრძეთ... იმ გადასახლებიდან ჩქარა გამოვიპარე“.

თავისი პოლიტიკური მოღვაწეობის მთელ სიგრძეზე ამხ. სტალინი განუხრელად ქართველი პატრიოტი იყო.

სტალინი შეკუმშული ენერგია, უშიშარი ენერგია. ის არ ზის (ჯდომა მისთვის დამახასიათებელი არაა). დგას (მოხდენილად), მიმოდის მჩატე ნაბიჯით (ჩანს მუხლი მოსდევს), კვლავ დადგება, ხშირად



აბოლებს ყალიონს, ოხუნჯობს, მსჯელობს, სულ დგას. იშვიათად დაჯდება სავარძელში. ერთი-ორი წუთით, უმაღლეს ნამოდგება (თითქოს წასცდა დაჯდომამო). ქართულ ლიტერატურაზე საუბრობდა. კონია გამსახურდიას „დიდოსტატის მარჯვენებიდან“ რალაც ადგილი გაახსენდა „მე თქვენ გიჩვენებთ“-ო და უმაღლ წავიდა. მეორე სართულიდან პირველში ჩავიდა და თავისი საწოლი (თუ სამუშაო) ოთახიდან წიგნი ამოიტანა. ამასობაში სულ ორი წუთი თუ გავიდა, მეტი არა. საინტერესო ადგილი წიგნისა უკვე ეპოვა. გადაშალა და ნაგვიკითხა და იოხუნჯა.

22.10.

დილა.

მე და სიმონი ავდექით. ადრე გვგონია. ამხ. სტალინი დიდი ხანია ამდგარა. ეზოში გამოსულა. ამხ. კანდიდი ახლავს. სტალინი ციტრუსოვან მცენარესთან დგება, რალაცს აჩვენებს. პალტო აცვია (არა ფორმის), სამხედრო ქუდი ჰხურავს, მიმოდის და ხალისიანად საუბრობს. ცოტა ხნის შემდეგ მათ ექიმი წინამძღვრიშვილი შეუერთდა (ამხ. სტალინის დაენახა და გამოეხმო). კეგლის შენობაში შევიდნენ. სტალინი ბურთი ისროლა... შემდეგ ბილიარდი ეთამაშა...

გამობრუნებულმა ჩვენს ოთახზე გამოიარა. „აი, სად დავიჭირე ესენი“-ო მოგვესალმა.

სასაუბრედ წავედით.

მასხოვს, ბელადთან სიტყვა ჩამოვარდა გ.სააკაძესა და ერეკლეზე...

სააკაძეს ბელადი მეტისმეტად ცეცხლიანობას აღუნიშნავდა, ჯიქურ მოქმედებას და ამ ნიადაგზე პოლიტიკურ შეცდომებს მიაწერდა. მაგრამ ამკარად ჩანდა, რომ ის დიდ მოურავს სიმპათიურად უყურებდა, პროგრესის მოღვაწედ უყურებდა.

და საუბრისას საკითხი დაისვა (ვგონებ წინამძღვრიშვილმა დასვა) ვინ უფრო მნიშვნელოვანია — სააკაძე თუ ერეკლე. ამხ. სტალინი დუმდა, სხვებიც (სიმონი, კანდიდი) დუმდნენ. მე უნდა მეპასუხნა. ამათი მნიშვნელობა, შედარებაც ძნელია — მეთქი; რა თქმა უნდა, ერეკლე უფრო მნიშვნელოვანია-მეთქი. და დაჯერებული (ვ)უცდიდი თუ რას იტყოდა ბელადი. „მართალია“ — არ დააყოვნა მან. ამას მოყვა ახა-

ლი „გამობტომა“ წინამძღვრიშვილის მხრით: აქ (სახელმძღვანელოში) ერეკლე ვერ არის საკმაოდ რელიეფურად ნაჩვენებო. დავდუმდით ყველანი და ვუცდიდით, თუ რას იტყოდა ბელადი (ჩემი გულის ხეთქვა გასაგებია). ამხ. სტალინი წიგნი (მისი ის ნაწილი, რომელიც ერეკლეს შეეხებოდა), გადაშალა, თითქოს იგონებდნენ წანაკითხს და სთქვა: „არა, ირაკლი აქ საკმარისად მართალია...“

რას მონიშნავს ეს. იმას, რომ ერეკლე მას ისეთ მოღვაწედ მიაჩნდა, ისეთ პროგრესულ მოღვაწედ, როგორც სააკაძე იყო და ამამი უპირატესობას ერეკლეს ანიჭებდა; იმას, რომ ერეკლე ის „დამპყრობელ-დამმონებელი“, „ხელმწიფე მხედართმთავარი“, ხალხის მტერი და მისგან მოწყვეტილი კი არ ყოფილა (რომელთა შესახებ მას საუბარი აქვს თავის მოკლე კურსის 116-ე გვერდზე), არამედ ის პროგრესული მოღვაწე, რომელმაც თავისი ძალღონე საქართველოს, მისი მწარმოებელი საზოგადოების დაცვას, გადარჩენას, აღდგომასა და გამოსხნას შეაღია...

ასე რომ, ყველა მეფე ის „კაროლი“ როდია, ქვეყნებს რომ იპყრობს... და ისტორიკოსს, მონოდებულს, იკვლიოს წარმოებისა და მწარმოებელი საზოგადოების ისტორია, კი არ ეკრძალება ასეთი „მეფეების“ ისტორია იკვლიოს, არამედ ის მოვალეა, იკვლიოს ამ „მეფეების“ ისტორია მწარმოებელი საზოგადოების თავგადასავალთან ერთად და იმდენადვე, რამდენადაც იკვლევს თავის ამ მწარმოებელ საზოგადოებას...

ამხ. სტალინის ერთი ისტორიული გამონათქვამისათვის

„Перекрывает“ — ამხ. სტალინის ამ ფორმულის მართებული გაგებისათვის აუცილებელია გვახსოვდეს მისი სახელმძღვანელო პრინციპი ისტორიულ აზროვნებაში: ისტორია კლასთა ბრძოლაა (საუბარია კლასობრივ საზოგადოებაზე). ყველაფერი ის, რაც ხელს უწყობს კლასობრივი ბრძოლის გაფართოებას, გაღრმავებას, ე.ი. საზოგადოების პროგრესს, მისაღებია, სასურველია (ასეთია, მაგალითად, ფეოდალური ურთიერთობის წარმოქმნა მონათმფლობელობის დანგრევის შედეგად, ასეთი იყო ფეოდალური ურთიერთობის ბატონყმური საფეხურის წარმოქმნა, ასეთი იყო აბსო-

ლუტიზმის სისტემის წარმოქმნა ფეოდალური დაქსაქსულობის მაგივრად, ასეთი იყო ბურჟუაზიული ურთიერთობის გამარჯვება ფეოდალური ურთიერთობაზე და ა.შ.) და, პირუკუ. აქედან ცხადია: ამ თვალსაზრისით უნდა შეფასებულ იქნას ყოველი კერძო, ისტორიული მოვლენა. კლასთა ბრძოლაში ამა თუ იმ კლასის მიერ ბრძოლის საშუალებად უცხო ძალისათვის მიმართვა, უცხო ძალის მოშველიება პრინციპულად დაუშვებელი სრულიად არაა და ჩვენის მხრით დავმობას ყველგან და ყოველთვის სრულიად არ ხვდება. თუ ასეთი რამ ისეთ მიზანს ემსახურება, რომელიც საზოგადოებრივ პროგრესს ჰგულისხმობს (კლასთა ბრძოლის გაფართოება-გაღრმავება), ის დასაშვებია და, პირუკუ, უკანასკნელ შემთხვევაში ის დანაშაულია, ქვეყნის ლალატია („ქვეყანას“, ჩვენი თვალსაზრისით, კლასობრივი ურთიერთობის პირობებში ის კლასი ასახიერებს, რომელიც უპირატესად პროგრესის მატარებელია, რომლის გამარჯვება კლასობრივი ბრძოლის გაფართოება-გაღრმავებას ჰგულისხმობს), მაგრამ უცხო ძალის მოშველიებისას აუცილებელია ამ ძალის ბუნების გათვალისწინება. თუ ის მომხმობის მიზნებს ამართლებს, მისასაღებელია, მაგრამ, თუ ასეთი ძალა კლასთა ბრძოლის საფუძვლებს ავიწროებს და ანგრევს, მისი მომწვევი (მიზნისგან დამოუკიდებლად) შემცდარია. ასეთი შეცდომა ქვეყნის წინაშე დანაშაულს უდრის. პოლიტიკური მოღვაწის შეცდომა დანაშაულისაგან ძნელად გამოსაყოფია.

მეხუთე-მეექვსე საუკუნეებში აზნაურებმა სპარსელები მოიწვიეს და მეფის (ძველი) ხელისუფლება გადააშენეს; მე-11 საუკუნეში აზნაურებმა ბიზანტიელები მოიწვიეს, ბაგრატ IV ლაშქარნი წარმართნი მოიწვია, გიორგი XI თურქები მოიწვია, დავით აღმაშენებელმა ყივჩაღები მოიწვია. ეს არის „მონვევის ყველაზე უფრო მკაფიო მაგალითი, რომელიც პრინციპული კამათის საგანი გამხდარა დავითის მომხრეთა და მოწინააღმდეგეთა შორის... მომწვევმა დავითმა კი „აღმაშენებლის“ სახელი დაიმკვიდრა“. გიორგი სააკაძემ სპარსელები მოიწვია (და ესეც პრინციპული კამა-



თის საგანი გახდა, მაგრამ, აღმაშენებლისაგან განსხვავებით, მობრლობელთ აქ ის უპირატესობა ჰქონდათ, რომ „მონვეულმა“ შაჰ-აბასმა საქართველო ამოაგდო, მაშინ, როცა დავითმა მონვეული ყივჩაღებით საქართველო „ააშენა“. ასევე ინვედნენ გიორგი III-ის წინააღმდეგ აჯანყებულნი თურქები, ხოლო გვიანფეოდალურ საქართველოში ასეთი მონვევა ოსმალებისა, მთავრობის თუ თავადების მიერ ჩვეულებრივი ამბავი იყო (ათაბაგი, გურიელი, რაჭის ერისთავი, აბაშიძე, გივი ამილახორი, აბდულა ბეგი, ქსნის ერისთავები, ალექსანდრე ბატონიშვილი ბაქარის ძე, ალექსანდრე II კახთა მეფე, თეიმურაზ, ვახტანგ IV რუსებს ინვედნენ არა მხოლოდ ოსმალ-სპარსთა წინააღმდეგ, მით უფრო ერეკლე და სოლომონ I. ორივეს მიზანი იყო „Перекрыть внутреннюю слабость“ ერეკლეს შორსმჭრეტელობა აქაც შესამჩნევია: მოსანვევ ძალას საკუთარი სარგებლობის თვალსაზრისით აფასებს და ცდილობს, ეს ძალა სასურველ საზღვრებში ჩააყენოს, რათა მაქსიმალურად სასარგებლოდ გამოიყენოს, ხოლო შესაძლებელი თუ აუცილებლად მოსალოდნელი ზიანი თავიდან აიცილოს. ეს იყო ტრაქტატი. ასე რომ, ერეკლემ უცხო ძალის მონვევა პრინციპულად დასვა და უაღრესად პრინციპულად გადაწყვიტა. მან რეალურად გაითვალისწინა მონვევის კარგი და სახიფათო მხარეები... მისი ანდერძის დამცველები ამ საქმეში იყვნენ ლიონიძე, სოლომონ II, ბარათაშვილი, ჭავჭავაძე, ხოლო მისი ანდერძის განმასახიერებელი – კომუნისტური პარტია და მისი ბელადი ამხ. სტალინი.

ტრაქტატი, ქართული თვალსაზრისით, მონვეული ძალის საქართველოს სასარგებლოდ აღაგმვა იყო. ამდენადვე, მისი დარღვევა ამ ძალის აღვირახსნა იყო... მონვევა დაპყრობადქცეული – ბოროტება...

როცა ამხ. სტალინი რუსეთის წინაბურჟუაზიულ ცენტრალიზებაზე ლაპარაკობს და ამის ერთ-ერთ მიზეზად (რომელმაც ხელი შეუწყო გაერთიანება-ცენტრალიზების პროცესის დაჩქარებას) საგარეო ხასიათის ფაქტს (მონღოლთაგან თავდაცვის აუცილებლობას) ხე-



ჩერჩილი, ტრუმენი და სტალინი. პოტსდამი.

დავს, ეს იმ ღრმა რეალურ-ისტორიული ნათელჭვრეტის შედეგად მიღებული დებულებაა, რომელიც ამხ.სტალინმა არაერთხელ გამოთქვა – „Перекрыть“-ის სახით (წერილი ბოლშაკოვს, საუბრის დროს ჩვენთან) და რომელიც იმაში მდგომარეობს, რომ საგარეო ხასიათის ფაქტების გამიჯვნა საშინაო ფაქტებისაგან, საგარეო ფაქტების მოწყვეტა ქვეყნის შინაგანი განვითარებისაგან ისტორიაში შეუძლებელია და უმართებული, რომ საზოგადოების ისტორია არაა მხოლოდ საშინაო ფაქტების ურთიერთმოქმედების შედეგი, ისევე, როგორც ეს ისტორია არც საგარეო ხასიათის მოვლენათა შედეგია მხოლოდ, რომ საგარეო ხასიათის მოვლენები ისევე ანგარიშგასანევი გარემოებაა, როგორც საშინაო ხასიათის მოვლენები, თუმცა საბოლოოდ განმსაზღვრელი ძირითადი საშინაო ხასიათის მოვლენებია. ამხ. სტალინის ეს დებულება გასაღებს გვაძლევს საქართველოს ერთი ურთულესი საკითხის მართებულად გასაგებად. ეს გახლავთ საკითხი იმის შესახებ,

თუ როგორ უნდა გავიგოთ, ანუ, რას ნიშნავს ფაქტი საქართველოს პოლიტიკური დაშლისა 15-16 საუკუნეებში. მართლაც, ეს იყო ისეთივე მოვლენა, როგორც იყო დაშლა კიევის რუსეთისა, ე.ი. იყო ეს ფაქტი იმის მაჩვენებელი, რომ საქართველო განვითარების შედეგად, სოციალური წარმატების შედეგად დაიშალა. მაშინ გამოვიდოდა, რომ კიევის რუსეთი უფრო დაწინაურებული ქვეყანა იყო, ვიდრე მეთორმეტე საუკუნის საქართველო, რომ მეთერთმეტე-მეთოთხმეტე საუკუნე ჩვენში იყო ადრეული ფეოდალიზმის ხანა...

შესანიშნავია: დავითის ისტორიკოსი მოციქულებრივ საქმედ უთვლის თავის ხელმწიფეს (დავითს) უცხო ქვეყნის დაპყრობას. მზად იყო, რათამცა ყოველი ქვეყანა შეასაკუთრა ქრისტესაო და ამიტომაც მეორე პავლე იქმნაო... თამარის ისტორიკოსი კი ასეთ რამეს მომხვეჭელობად უთვლის მეფეს (აქ ის დავითს ჰგულისხმობს) და აქებს ის სამართლიან მეფეს, რომელიც კი არ იპყრობს („შეასაკუთ-



რებს ქრისტეს“), არამედ აღადგენს დაცემულსა და დაგლახაკებულ სახლს (აქრომ იგივე „წარმართები“ და არა მაინცდამაინც ქრისტიანები იგულისხმებიან, ჩანს ჩამოთვლიდან: სახლი შორვანშეთი, დარუბანდელთა, კარნუქალაქელთა...) და სოლომონივით ბჭედა ზის შორი მათსა... ორი სრულიად საწინააღმდეგო ერთი მეორის შეხედულება, ორი სრულიად საწინააღმდეგო ერთი მეორისაგან იდეოლოგია ორი ვითარების შესაბამისი...

ორბელევი სპარსელებს ინვევენ აჯანყების დროს გიორგის წინააღმდეგ (რეაქცია).

ორბელევის საქციელი მონღოლთა მოსვლისას (გადასვლა, მიყოლა, განდიდება).

სადუნი... გივი ამილახვარი თურქებით... თეიმურაზ-ერეკლე ყიზილბაშებით...

გიორგი ბრწყინვალე მონღოლებით...

ოსები მეცამეტე საუკუნეში და ქართველი აზნაურობა.

შანშე ერისთავი, მისი ძმისწული ზურაბი და ერეკლე, ქსნის ერისთავის შვილები, ლეკები და ერეკლე.

აბდულაბეგი. ყიზილბაშები და ერეკლე.

ალექსანდრე ბაქარის ძე, ალექსანდრე ამილახვრის ძე, ლეკები და ერეკლე.

გარეშე ძალის გამოყენება კლასობრივ ბრძოლისა:

უცხო ჯარების დაქირავება (ბაგრატი მეოთხე).

უცხო ჯარების მოყვანა, შემოყვანა (ლიპარიტი), (სააკაძე).

უცხო მხარეზე დადგომა (დიდი აზნაურები, კახელი გლეხების გალეკება, სოფლელი ერი).

უცხო ბატონობის გამოყენება (მონღოლები, როსტომ ხანი, თეიმურაზი), პროგრესი, მისი პირობების უზრუნველყოფა – სახელმძღვანელო იდეა.

პრაქტიკა („Перекрыть“) ისტორიულ სინამდვილეში. შესაძლებელია. არსად სხვაგან ეს პრაქტიკა ასე ხშირად არ მოეხმაროს (საკუთარი ეროვნულის ზღვარის დაშლამდე...), როგორც საქართველოში. ქართველის თვალში, ასეთ პირობებში ეროვნული განთავისუფ-

ლება ჩინურ კედლებს არასოდეს ამოფარებია, თუმცა ქართული პოლიტიკა – ძირითადად, რა თქმა უნდა, — ქართული ეროვნული პრინციპებიდან (რა თქმა უნდა, ფეოდალურად გაგებული) ქართველობიდან გამოდიოდა. ასეთ პირობებში შემუშავდა ის განსაკვივრებელი ელასტიური პოლიტიკა, რომელსაც ასე ბრწყინვალედ მოიხმარდნენ ქართველი პოლიტიკური მოღვაწენი და რაც რუს პოლიტიკოსებს „Дьявольских дел мастер“-ობად ეჩვენებოდათ (ს. ლეონიძის დახასიათება). ალექსანდრე კახთა მეფე, გიორგი სააკაძე, ერეკლე, გივი ამილახორი, სოლომონ ლიონიძე მარტონი არ იყვნენ (ალბათ, გიორგი ბრწყინვალეც ამათი რიგისა იყო). ყველა ესენი თანაბრად მარჯვეთ ხმარობდნენ „Перекрыть“ პრინციპს ქართველობის დაცვის მიზნით.

სენტენცია: „ამ შემთხვევით უნდა ვისწავლოთ, რამდენად საშიშია უცხოელთა ჩარევა საკუთარ საქმეებში, თუნდაც დაცვისა და დახმარების მიზნით. ნათელია, რომ მათი ნდობა და მათი დაპირებების დაჯერება არ შეიძლება, რადგან ისინი თავზედურად წავლენ ნებისმიერ ბოროტებაზე, ოღონდაც სხვისი სამფლობელოები მიისაკუთრონ.“

ჩვენს ისტორიაში ცნობები იმის შესახებ, რომ მეფე თუ დედოფალები საურთიერთო ბრძოლისას უცხო ძალას მოჰმართავდნენ, არა მცირედი მოიპოვება (ლეონტიდან შემდეგ). პრინციპული დავის საგანიც, როგორც ჩანს, არა ერთხელ გამხდარა ის. უცხო ძალის გამოყენების რამოდენიმე ფორმაა ჩვენში ცნობილი... ერეკლეს ტრაქტატში (მონვეული ძალის ალაგმვა) პრინციპი მასზედ არა ნაკლებ ჰქონია გათვალისწინებული დავით აღმაშენებელს, როგორც ამას სრულიად საბუთიანად მონშობს მისი ისტორიკოსი... დავითმა შეისწავლა ყივჩაყები, გაითვალისწინა შესაძლებლობანი, სარგებელი, რომელიც უნდა მოჰყოლოდა ქვეყნისათვის მათ მონვევას და „чтобы перекрыть внутреннюю слабость в борьбе с внешними и внутренними врагами“...) გადანყვიტა მათი გამოყვანა, მაგრამ ისე მოანესრიგა მათი საქ-

მე, რომ ისინი უშიშარი იყვნენ საქართველოს განვითარებისათვის და მხოლოდ მის გაძლიერებას (შიგნით თუ გარეთ) ემსახურებოდნენ. ამ პრინციპზე დგას ისტორიკოსი: ქვეყნის (საქართველოს) თავისუფლების დაცვა, მისი სახელმწიფოებრივი გაძლიერება (გაერთიანება, განვითარება). ამ პრინციპზე იდგა ერეკლე, ამ პრინციპზე იდგა სააკაძე (მაინცდამაინც ამას ჰგულისხმობენ თბილელი, არჩილი)... მაგრამ იყვნენ მრავალნი, რომელთაც ამ პრინციპისა არა ეცხოთ რა: ოსმალეთის მოპატიჟე მთავრები (დადიანები, გურიელები, ათაბაგები), თავადები (ამილახორი, ქსნის ერისთავი, აბაშიძენი, რაჭის ერისთავი)...

ფეოდალური სახელმწიფო

მტერს მოურიგდება თითო მთავარი (როცა ცენტრი უძლურია).

მტრის მხარეზე გადადის მთავარი (როცა ცენტრი ჯერ კიდევ იბრძვის).

მტერს შემოუძღვის ესა თუ ის მთავარი (და თავისიანებს ებრძვის).

„გვაროვნული წყობილება“ და „უცხო“. უცხო მოჰყავთ, როცა გვარი დაშლის ტენდენციას იჩენს. ყველაზე მძაფრი ბრძოლები (чтобы перекрыть) აქაა სწორედ... შოლა და შარამაბალა ლუღუშაური... ასევე იშვნენ დადიან-დადეშქელიანები, ყაზბეგები, ჯაფარიძენი...

წმინდა გვაროვნული წყობისას ასეთი საკითხი („Перекрыть“) არ არსებობს... ის ჩნდება გვაროვნული წყობის რღვევის პროპორციულად. გვაროვნული წყობის ერთეულები ერთი მეორეში არც აირევიან...

მას შემდეგ, რაც გვარის მთლიანობა ირღვევა, მას შემდეგ, რაც კლასები ჩნდებიან ამ ნაძალადეგ (კლასობრივ) საზოგადოებაში (წარმოშობით ის ბუნებრივია, ათასი ძაფით გადახლართული ტრადიციით, სარწმუნოებით...) ადვილად ჩნდება ტენდენცია უცხო მოხმარებისა ამა თუ იმ პირის ჯგუფის მიერ. უცხოც ეხლა ისეთი აღარა ჩანს, როგორც ეს იყო ძველად (გვაროვნული წყობისას) განსაკუთრებით, თუ სარწმუნოებრივი ერთობაც არის, როგორც ეს იყო, ვთქვათ, დასავლეთში.

გ

კირიონ II „ივერიის კულტურული როლი რუსეთის ისტორიაში“

კირიონის აღნიშნული შრომა ქართველი და რუსი ხალხის ისტორიული ურთიერთობის ბევრ მნიშვნელოვან საკითხს მოიცავს, რაზეც ჩვენი ჟურნალის წინა ნომერში დავიწყებულ საუბარი. ამჯერად შემოკლებით გთავაზობთ მღვდელმონაზმისა და უდიდესი მამულიშვილის ზემოხსენებულ შრომაში გაშუქებულ საკითხებს, რომლებიც შეეხება XVI საუკუნის რუსეთის ყოფაში ორ შინაგან წინააღმდეგობას (პოლიტიკურსა და სოციალურს); გვაცნობს ჩვენს სამშობლოს, როგორც წმ. მიწისა და ჩაგრული აღმოსავლეთის ქრისტიანობის დამცველს, ხაზს უსვამს რა მის განუზომელ მსხვერპლს ამ კუთხით. გვაძლევს XVI-XVII საუკუნეთა მნიშვნელობის მისეულ შეფასებას საქართველოსა და რუსეთის ისტორიაში; გვიამბობს დაქსაქსვისა და მაჰმადიანებთან განუწყვეტელი ბრძოლის ნიადაგზე საქართველოს დაუძღვრებაზე, მოჰყავს ივერიის კულტურული ზეგავლენის ფაქტები, რომლებიც უკავშირდება ანტონ პეჩორელის ბერ-მონაზვნად აღკვეცის ადგილს.

ვფიქრობთ, ღვთისმსახური მეცნიერის კვლევები და დასკვნები, რომლებიც გარკვეულ საყურადღებო წყაროებსა და მეცნიერთა (მათ შორის, რუს) მტკიცებულებებს ეყრდნობა, საინტერესო იქნება ქართველი მკითხველისათვის ამ ორი ერის უძველესი კულტურულ-რელიგიური ურთიერთობის გაცნობის თვალსაზრისით.

(გაბრძელება. დასაწყისი იხ. „ისტორიული მემკვიდრეობა“ №2).



XVI საუკუნის მიწურულს რუსეთის ჩრდილო-აღმოსავლეთის მიწების გაერთიანება მოსკოვის წინამძღოლობით ძლივს ხერხდებოდა. როცა ამ მიწების გაერთიანების პროცესი დასრულდა, მოსკოვს მაშინაც კი არ ძალუძდა აღმოსავლეთში ბიზანტიის მონაცვლის საპატიო როლი დაეჩემებინა. იგი ამ დროს ორმხრივ კრიზისს განიცდიდა. მოსკოვის სახელმწიფო და საზოგადოებრივ წყობის საძირკველში ორი შინაგანი წინააღმდეგობა იყო: პოლიტიკური და სოციალური, რაც ოპრინინითა და მოსკოვის არეულობებით დასრულდა.

რუსმა მეფეებმა ჯერ კიდევ ვერ შეძლეს ორი საკითხის — ეროვნულისა და გეოგრაფიულის გადაწყვეტა. ხოლო XVII საუკუნის დასაწყისში იქიდან, რაც ადრე მიიერთეს, ბევრი რამ დაკარგეს. გამოაძევეს დნეპრიდან და ფინეთის ყურედან, დაკარგეს ჩრდილოეთისა და სმოლენსკის მიწები, რაც 1617—1618 წლების სტოლბოვისა და დეულინსკის მოლაპარაკებებით ჰქონდათ დამტკიცებული. ამ დროს მოსკოვის ტახტის

პრეტენდენტი, პოლონელი უფლისწული ვლადისლავი მოსკოვის შემოგარენში უზარმაზარი ლაშქრით იდგა. 1618 წლის ვარშავის სეიმის მიერ ამ ომის დასამთავრებლად მიცემული ერთნაირი ვადა იწურებოდა. 27 აგვისტოს მოსკოვმა ვლადისლავს ერთგულება შეჰფიცა და ბოიარებმა გეტმან ჟოლკოვსკის ნება დართეს თავისი ლაშქრით მოსკოვის სიმაგრეები დაეკავებინა. რუსეთი მთლიანად საშინაო საქმეებით იყო შთანთქმული და აღმოსავლეთის წმიდა ადგილების დაცვაზე ფიქრიც კი არ შეეძლო, სანამ რუსულ პოლიტიკურ ცხოვრებაში ბოხოქარი გარდატეხა არ მოხდა, რომელიც ისტორიაში არეულ დროებათა სახელითაა ცნობილი და სანამ იგი პეტრე პირველის გენით არ გარდაიქმნა, რომელმაც რუსეთი დასავლეთისაკენ მიაბრუნა. პეტრე დიდს ანდერძად საგარეო ხაზით მოღვაწეობის სამი ამოცანა დახვდა...

ისტორიული მონაცემები და თანამედროვეთა შეთანხმებული დამონებები უდავოდ ამტკიცებენ, რომ კონსტანტინოპოლის დაცე-

მამდე და მის შემდგომაც ქართველები და მათი გვირგვინოსნები იყვნენ ქრისტიანული აღმოსავლეთისა და მის სინმიდეთა დამცველები.

მიტროპოლიტ ფილარეტის აზრით, აღმოსავლეთის ეკლესიას მხოლოდ რუსეთი ეხმარებოდა.

უძველეს დროში, VI საუკუნის დასასრულამდე, პალესტინის მღვდელ-მონაზვნობის ისტორიიდან ცნობილია, რომ ვესსები (ქართველები), აგიოლოგ წმ. საბა განწმედლის მონაზვნობით, ღვთიური თავგამოდებით აღვსილნი მოვიდნენ კონსტანტინოპოლში დევნილ მართლმადიდებელთა დასახმარებლად და დიადი მონასტრის დაცვისას მას მნიშვნელოვანი მხარდაჭერა აღმოუჩინეს. XI საუკუნეში, ქრისტიანობისთვის უმძიმეს ეპოქაში, საქართველო მართლმადიდებლობას მხარს ყოველმხრივ უჭერდა და ქართველი ბერ-მონაზვნები სირიაში, პალესტინაში, სინაზე და სხვა ადგილებში თავგანწირვით მოღვაწეობდნენ. ქართველები ცნობილი არიან, როგორც მონასტერთა აღმშენებლები და აღმდგენნი, რასაც უდიდესი



მნიშვნელობა ჰქონდა მთელი ქრისტიანული სამყაროსათვის; ამავე დროს, აქტიურ მონაწილეობას იღებდნენ უფლის წმიდა საფლავის ტაძრის აღდგენაში, რომელიც ეგვიპტის სასტიკმა სულთანმა, ხაკემ 1010 წელს დაანგრია. XI საუკუნის მინურულსა და XII საუკუნეში მონასტრებისთვის დახმარების აღმოჩენაში განსაკუთრებული მონდომება დავით აღმაშენებელმა (1089—1125) გამოიჩინა.

წმიდა ჯვრის დაუძინებელ მტრებზე ჯვაროსანთა საყოველთაო ბრწყინვალე გამარჯვებით ფრთაშესხმულმა ქართველებმა ალექსანდრე მინაზე წასვლა გადაწყვიტეს, რათა ცხოველი მონაწილეობა მიეღოთ პალესტინელ ქრისტიანთა ცხოვრების შემსუბუქებასა და აღმოსავლეთის მოლაშქრეებთან ერთად ურწმუნოთა ხელიდან უფლის წმიდა საფლავის გამოსხნაში. თუმცა მღელვარე ზღვამ რწმენისთვის თავდადებული პირველი მამაცი მოლაშქრეები შთანთქა, ამ სტიქიურმა უბედურებამ ახალ მოხალისეთა თავგამოდება ვერ დააცხრო, რომლებმაც წმიდა მინას წარმატებით მიაღწიეს და სირიელ ქრისტიანებთან და სომეხ მთავრებთან ერთად ჯვაროსნებს მათი ღვთიური მისიის აღსრულებაში ეხმარებოდნენ. „ქართლის ცხოვრება“ ადასტურებს, რომ: მეფე დავითმა აღაშენა და შეამკო სავანეები, ყარიბთა სადგურები და მონასტრები არა მარტო თავისი სახელმწიფოს შიგნით, არამედ საბერძნეთში (ბიზანტიის), წმიდა მთაზე (ათონი), ბულგარეთში, სირიაში, კვიპროსზე, შავ მთაზე (ქანტიის ახლოს) და პალესტინაში, მაგრამ განსაკუთრებით უხვი საჩუქრები უფლის საფლავის ტაძრისა 37 და იერუსალიმის მონასტრებისთვის გაიღო; იგი შემდგომშიაც განაგრძობდა ქველმოქმედებას და სინაზე აღაშენა მონასტერი, სადაც უფალი მოესა და ელიას გამოეცხადა. სომეხი მთარგმნელი ამას ურთავს, რომ „დავითმა საჩუქრები უწყალობა ეკლესიებს კილიკიაშიც... სინაზე აღაშენა მონასტერი, რომელსაც ყოველწლიურად ათასობითა და ათი ათასობით ოქროს და რელიგიური დანიშნულების წიგნებს უგზავნიდა, ვინ მოითვლის რამდენს“.

დიდი თამარ მეფე (1189—1212 წ.) ენერგიულ მონაწილეობას იღებდა წმიდა მინის ბედ-იბლის გადაწყვე-

ტაში. სომეხი მწერალი კირაკოსი ადასტურებს, რომ თამარმა მშვიდობიანი ურთიერთობა დაამყარა დამასკოს ქვეყნებისა (სირიის) და ეგვიპტის სულთანთან, იერუსალიმის დამპყრობელ სალადინის შთამომავლებთან — გუზ-მელიქ-ქელმთან და აშრაფთან; ამასთან, თამარის სარდალმა ზაქარია მხარგრძელმა იკისრა ქალაქ ხლათის მცხოვრებთა მიერ შემთხვევით ტყვედ შეპყრობილი თავისი ძმის, თამარის სარდალ ივანეს ქალიშვილი ამ სულთანთაგან ერთ-ერთისთვის მიეთხოვებინა ტყვეობიდან ივანეს გამოსახსნელად. საქართველოში დაბრუნებისთანავე ივანე მხარგრძელმა ქალიშვილი სულთან გუზს გაუგზავნა, რომელიც ჯერ გუზს, მისი სიკვდილის შემდეგ კი აშრაფს მისთხოვდა. „სულთნების სახლში ამ პიროვნების შესვლა დიდი ბედნიერება იყო, — ამბობს იგივე კირაკოსი, — რადგან სულთნებმა მათ სამფლობელოებში მცხოვრებ ქრისტიანებს ადამიანური მოპყრობა დაუწყეს... შემსუბუქდა მონასტრებისთვის დაკისრებული გამოსაღები... სულთნებმა აკრძალეს იერუსალიმში მოსალოცად მიმავალ მათ სამფლობელოში მცხოვრებ ქრისტიანთა შეურაცხყოფა და ძარცვა; ასე ექცეოდნენ მეტადრე ქართველ ხალხს.

ამრიგად, ქართველები განსაკუთრებულ პატივში იმყოფებოდნენ და მათ (მუსულმანურ) ქალაქებში (ქვეყნებში) და იერუსალიმშიც კი, გადასახადებისაგან ათავისუფლებდნენ. ეს დედოფალი იქ (წმიდა მინაზე) დიდი პატივით სარგებლობდა. ამგვარად დამკვიდრდა მშვიდობა და მეგობრობა საქართველოსა და სულთანთა სამთავროებს შორის“.

1192—1193 წლებში თამარ მეფე და ქართველები, — მოგვითხრობს იბნ-შედადი, — სულთან სალადინს 200 ათას დინარს სთავაზობდნენ 1188 წელს მუსლიმთა მიერ იერუსალიმის აღებისას მიტაცებული ჯვარის გამო, რომელზეც მაცხოვარი იყო გაკრული, და იმავე სულთანს მათთვის წართმეული იერუსალიმის სავანეთა დაბრუნებას სთხოვდნენ. წმიდა თამარ მეფის მიერ ტრაპიზონის იმპერიის დაარსებასაც თავისი მიზანი ჰქონდა: მუსულმანურ სამყაროსთან პირისპირ მდგომს ამ სამყაროსთვის თვალი ფხიზლად უნდა ედევნებინა და აქედან ქრისტიანო-

ბისა და წმიდა ადგილების წინააღმდეგ მტრული მოქმედებების წაშლისთვის თანავე სინმიდეები დაუყოვნებლივ იარაღით დაეცვა უფლის ჯვრის მტრებისაგან.

ცნობილია, რომ 1219 წელს ჯვაროსნებმა დამიეტა აიღეს და ამით მუსულმანებს თავზარი დასცეს. ცნობა ჯვაროსანთა იარაღის უძლველობის შესახებ წინა აზიის ქრისტიანებს ელვისებურად მოედო და მათ ყურანის მიმდევრებისაგან წმიდა ადგილების გათავისუფლების იმედი ჩაუნერგა. ამის შესახებ ჯვაროსანთა საგანგებო ელჩობის მიერ ეუნყათ ქართველებს. ქართველები მიესალმებოდნენ მუსულმანებზე მათ გამარჯვებას და ურჩევდნენ, მხოლოდ ამ გამარჯვებით არ დაკმაყოფილებულიყვნენ, ხოლო თუ მუსულმანთა მთავარ ბურჯ დამასკოზე გალაშქრებას დააპირებდნენ, დასახმარებლად თავიანთ ჯარებს გაუგზავნიდნენ. ამ მიზნითვე თვით მეფე ლამა-გიორგი სალაშქროდ მოემზადა და მასთან მრავალი დიდგვაროვანიც, მაგრამ, ქართველთა და აღმოსავლეთის ქრისტიანთა სამწუხაროდ, 1223 წელს მეფე ამ სამზადისას გარდაიცვალა. იმავე ჟამს ქართველებმა მუქარის წერილი გაუგზავნეს დამასკოს მთავარს — კორადინს, რომელსაც ჯვაროსნების მიერ 1218 წელს დამიეტაზე იერიშის მიტანისას იერუსალიმის კედლების მოთხრა ეწადა. ქართველები მას წერილში კითხვით მიმართავდნენ: როგორ გაბედე ეს ქართველთა დაუკითხავადო? ამ ცნობებს XII საუკუნის ჯვაროსანთა ისტორიკოსი სანუტი ამატებს, რომ „ქართველები მეტად გაბედული მეომარი ხალხია, აქვთ გამაგრებული ციხე-სიმაგრეები, დიდი და ძლიერი ჯარი, ძალზე სახიფათონი არიან. დიდ ზარალს აყენებენ სარკინოზებს (არაბებს), ირანელებს, ლიდელებსა და ასირიელებს (სირიელებს), რომელთა გვერდით მოსახლეობენ, ყოველი მხრიდან მათით არიან გარშემორტყმულნი და რომლებთანაც გამუდმებული ბრძოლები უწევთ... ქართველები უფლის საფლავის თავყვანსაცემად მალლა აღმართული დროშებით მიემართებიან. წმიდა ქალაქში შესვლისას არავითარ გადასახადს არ იხდიან. სარკინოზები მათ განაწყენებას ერიდებიან, რადგან ისინი შინ დაბრუნებისას თავიანთ მეზობლებს (მუსულმა-



ნებს) უარესად მოეპყრობიან“. ცნობებს ქართველთა ძლევამოსილების, სიმტკიცისა და პრივილეგიების შესახებ, რომლებითაც ისინი წმიდა მიწაზე სარგებლობდნენ, თითქმის სიტყვა-სიტყვით იმეორებს XIII საუკუნიდან მოყოლებული XVI საუკუნის ჩათვლით აქ ნამყოფი ყველა მოგზაური.

XIII საუკუნის პირველი მეოთხედისა და საქართველო ძალაუნებურად ექცევა ირანის ტერიტორიაზე შექმნილ მონგოლთა სახელმწიფოს გავლენის სფეროში. ზოგიერთი იმპაინდელი ევროპელი მოგზაურისა და ისტორიკოსის სიტყვებით, ჰასან-შაჰმა სირიაში მამულუქების დამარცხების შემდეგ 1300 წელს, ჯარებს უბრძანა, თვით ეგვიპტემდე დადევნებოდნენ მათ. იერუსალიმი რომ აიღო, იგი ქართველებს გადასცა, კილიკიის ახლოს მამულუქებისთვის წართმეული მამულუქების ნაწილი — სომეხთა მეფეს, ხოლო ნაწილი — თავის ძმას მალე, XV საუკუნის შუახანებში მუჰამედ II მიერ ბიზანტიის დედაქალაქ კონსტანტინოპოლის დაპყრობის შემდეგ რომის პაპები თურქების წინააღმდეგ ქრისტიანთა ამხედრებას ცდილობდნენ. ამ მიზნით პაპმა პიუს II (1458—1464) მქადაგებელთა საძმოს ბერ-მონაზონი ლუდოვიკო ბოლონიელი აზიაში წარგზავნა, რომ ქრისტიანები თურქების წინააღმდეგ აემბოხებინათ, წმიდა მიწა და კონსტანტინოპოლი გაეთავისუფლებინათ, მაგრამ ყველაფერი ჩაიშალა.

1483 წელს იერუსალიმში იმყოფებოდა მოგზაური ბრეიდენბახი, რომელიც გადმოგვცემს, რომ „იერუსალიმში ქართველი ბევრია. მათი სამშობლო კასპიის მთის ახლოს მდებარეობს, ძალიან ძლიერი და გაბედული ხალხია, იმდენი ჯარი ჰყავთ, რომ სარკინოზებს, ირანელებს, ლიდელებსა და სირიელებს მათი განაწყენების ემინიათ. მიუხედავად იმისა, რომ ეს ხალხი ყოველი მხრიდან ურჯულოებითაა გარშემორტყმული, მისი მაინც ემინიათ და იშვიათად აწყენიან. ამ ხალხს გიორგიელებს უწოდებენ, რადგან განსაკუთრებით თავყვანს სცემენ წმიდა გიორგის, რომელიც თავიანთ მფარველად მიაჩნიათ, და ლაშქრობის წინ მსხვერპლს სწირავენ. მათი დიდი ნაწილი იერუსალიმში ცხოვრობს და ბევრი სინმიდე აქვთ, განსაკუთრებით ფლობენ გოლგოთას

და ნაპრალს კლდეში, სადაც ჯვარი იყო აღმართული და ქრისტე ჯვარცმული; ამ ადგილზე აქვთ საკურთხეველი და თავიანთი ძვირფასეულობისათვის — სათავსო. ფლობენ წმიდა ანგელოზის საყდარსაც, სადაც ქრისტე ზეთისხილის მთიდან პირველად მიიყვანეს. ბერძენთა სარწმუნოებრივი მოძღვრების მიმდევრები არიან და პაპს არ ემორჩილებიან. სასულიეროებს მრგვალი ქუდები ახურავთ, საეროებს — ოთხკუთხედი. იერუსალიმში ჯგუფებად მოემართებიან, მის წმიდა ადგილებში მალა ანეული დროებით დადიან და ყოველგვარი გადასახადებისაგან თავისუფლები არიან. სარკინოზები არავითარ უსიამოვნებას არ აყენებენ, რადგან ემინიათ, რომ, როცა თავიანთ ქვეყანაში დაბრუნდებიან, ურჯულოებს (მუსულმანებს) უარესად მოეპყრობიან. კეთილშობილი ქართველი ქალები (თავადის ქალები) ასევე მონაწილეობენ ლაშქრობებში და იარაღს ამაზონებივით ხმარობენ. მამაკაცებს თმა და წვერი აქვთ მოშვებული, არ იკვეცენ მათ და ფერად ქუდებს იხურავენ. ღვთისმსახურებისას და წერისას ბერძნულ ენასაც იყენებენ, ხოლო საუბრისას, ქალდეურს (ქართველურს), სარკინოზულს (არაბულს).

1519 წელს, ოსმანთა მიერ იერუსალიმის დაპყრობის სამი წლის შემდგომ, იერუსალიმში მოგზაური ჩუდი იმყოფებოდა, რომელმაც ისევე დაახასიათა ქართველები, როგორც ბრეიდენბახმა. 1552 წელს იერუსალიმში მყოფი მოგზაური ბართლომე დე-სოლინიაკიც ამასვე ამბობს. წმიდა მიწაზე ქართველთა გავლენის შესახებ, კერძოდ, როცა ქართველები იერუსალიმში მოდიან, თურქეთის სულთანს გადასახადს არ უხდიან, ცხენებზე ამხედრებულნი ანეული დროებით საზეიმოდ შედიან იერუსალიმში. სულთნებსა და თურქებს მათი მეტად ემინიათო.

1710 წელს პატრიარქი დოსითეოსი წერს: «ბაგრატიონთა გვარი და მათგან წარმომდგარი მეფეები ანუ ივერიის მართლმორწმუნე ხელმწიფეები ოდიტგანვე იყვნენ დამცველნი, ქომაგები და ქტიტორები წმიდა და მაცოცხლებელი საფლავისა და დანარჩენი თავყვანსაცემი პატიოსანი ადგილებისა. ეგვიპტელ სულთნებთან ბერძენ მეფეთა ომების დროს, როცა წმ. იერუსალიმის მო-

ნასტრებს საბოლოო განადგურების საფრთხე დაემუქრა, ივერიის მეფეებმა, როგორც ეგვიპტელი სულთნების მეგობრებმა, ეს წმიდა სავანეები შეინარჩუნეს და ჩვენ ისინი ქტიტორებად ვიხილეთ. არაბებისა და ეგვიპტის სულთნებთან ბერძენთა და ფრანკთა ომების დროს მონასტრები უკიდურესად მოძველდნენ და საბოლოოდ დანგრევა ელოდათ. ივერიის მეფეები კი მათ ამაგრებდნენ, როგორც ეს, სხვათა შორის, ჩანს ქართულ ენაზე შესრულებული ერთი ჩანაწერიდან, რომელიც წმიდა გოლგოთაზე ინახებოდა და მართლმადიდებელმა მეფემ, ვახტანგ გორგასალმა (V ს.) შეადგინა“.

ასე და ამგვარად, როცა რუსეთი ჯერ კიდევ ძლიერი სახელმწიფო არ იყო, მუსულმანებისაგან ქრისტიანობის ერთადერთი დამცველი მართლმადიდებელ ერთაგან მხოლოდ ქართველები იყვნენ. ქართულმა ეკლესიამ თავისი მამაცი და თავდადებული შვილები მუსულმანთაგან ქრისტიანობის დასაცავად არაერთხელ გამოიყვანა სამშობლოს გარეთ. „XV საუკუნეში, ქართველებისთვის ყველაზე მძიმე ეპოქაშიც კი, ჩვენ ვხედავთ, — ამბობს აკადემიკოსი ნ. მარი, — რომ ქართველებთან მეგობრობას უფრო აფასებდნენ და მათ, როგორც სამხედრო, ისე პოლიტიკურ მნიშვნელობას ისეთ შორეულ ქვეყანაშიც კი აღიარებდნენ, როგორც ეგვიპტეა.

ჩვენ, სხვათა შორის, ამ საკითხზე ხელთა გვაქვს ერთი იმდროინდელი საბუთი,

რომელიც იერუსალიმში სომხურ ენაზეა დანერვილი“.

მუსულმანურ სამყაროს მამაცი ქართველები და მათი მეფეები აღმოსავლეთის წმ. ადგილების დამცველებად მიაჩნდა ყოველთვის. ქართველთა პოლიტიკურ ძლიერებასა და მხედრულ დიდებას ადასტურებს არაბი მწერალი შიხაბ-ედდინ-ელკალკამანდი (†1418წ.) „სახელმწიფოები, სადაც ქრისტიანი მეფეები იმყოფებიან, — ამბობს იგი, — რომელთა შესახებ ამ (ანუ ეგვიპტის) სახელმწიფოს მიერ ინერება, სულ ორია. უპირველესი (მათგან) ქართული მართლმადიდებელი სახელმწიფოა. იგი (საქართველო) დიადი ქვეყანაა და ძლიერი სახელმწიფოა... მასში ხელისუფლება მტკიცეა... ქართული ლაშქარი ჯვრის რწმენაზე მტკიცედ დგას

და ვაჟკაცი და გაბედული ხალხისა-
გან შედგება...”

**XVIII საუკუნის მეორე ნახევარ-
შიც კი (1768 და 1770 წწ.), როცა სა-
ქართველოს მუსულმანები რკინის
სალტესავით ერტყნენ გარს, სირი-
ელ-ქალდეველ უმაღლეს სასული-
ერო პირთა და საპატიო მოქალაქე-
თაგან შემდგარი ელჩობა არაერ-
თხელ მომზადდა, რომ აღმოსავლე-
თის ქრისტიანთა ქომაგ ერეკლე II-
ისთვის გამოსარჩლება და მფარვე-
ლობა ეთხოვა. თავის დროზე, რა
თქმა უნდა, უეჭველად დაინერება
მართალი ისტორია აღმოსავლეთში
ქართველთა თავგანწირული მოღ-
ვაწეობის შესახებ და მაშინ ქრის-
ტიანული სამყარო გაოცდება იმ
უმძიმესი ისტორიული როლის გა-
მო, რომელიც უფლის განგებით და-
კისრებული ჰქონდათ ქართველებს
აღმოსავლეთის წმიდა ადგილებისა
და ქრისტიანობის დაცვის საქმეში,
გაოცდება, პატარა საქართველომ
როგორ შეძლო უფლის წმ. საკურ-
თხეველზე ამდენი მსხვერპლის მი-
ტანა. ქართულმა ეკლესიამ კაცობ-
რიობის ისტორიაში უდიდესი და
წმიდა მისია შეასრულა.**

**ცნობილი რუსი აღმოსავლეთმ-
ცოდნე, ელინური სიტყვიერების
დოქტორი, ან განსვენებული ეპის-
კოპოსი პორფირი (უსპენსკი) არ-
ქეოლოგიასა და ქრისტიანული აღ-
მოსავლეთის ისტორიის სფეროში
თავისი ხანგრძლივი მოღვაწეობის
ჟამს, როცა წმიდა მინის უამრავ
ქართულ ძეგლს ეხებოდა, უდიდეს
სიყვარულითა და დამსახურე-
ბული ყურადღებით ეპყრობოდა
მათ, რითაც ღრმა პატივისცემას
გამოხატავდა ქართველი ხალხის
წარსულის, მისი ჭეშმარიტად
ქრისტიანული ღვთისმოსაობის,
უდიდესი გარჯისა და ზრუნვის,
საეკლესიო ღვთისმეტყველების,
ხელოვნებისა და აღმოსავლეთის
წმ. ადგილებში მართლმადიდებ-
ლური ეკლესიის დაცვის გამო.**

პროფესორ ა. ცაგარელის სამარ-
თლიანი შენიშვნით, „არცთუ იშვი-
ათად, სხვადასხვა საუკუნისა, სხვა-
დასხვა ეროვნებისა და მრწამსის
უცხოელები წმიდა მინაზე ქართ-
ველთა მოღვაწეობაზე უფრო მეტს
საუბრობენ, ვიდრე ქართველები
თავიანთ თავზე...“.

**რუსეთის პოლიტიკური წარმა-
ტებები მართლმადიდებლური აღ-
მოსავლეთის პოლიტიკურ უბედუ-**

**რებათა შედეგი იყო. იმ დროს, რო-
ცა XVI—XVII საუკუნეები რუსეთის
თანდათანობით განვითარებასა და
განდიდებას უწყობდა ხელს, იმავე
საუკუნეებმა საბოლოოდ დაამსხ-
ვრიეს ძლიერება მართლმადიდებ-
ლური საქართველოსი, რომელიც
მუსულმანური ოკეანის შუაგულში
მარტოდმარტო, თანადგომის გა-
რეშე, აღმოჩნდა. ხშირად იგი მუ-
სულმანებს ერთდროულად სამ
ფრონტზე ებრძოდა და ზეადამიან-
ური ძალისხმევით წმიდა ჯვრის
დროშასა და სამშობლოს იცავდა.
ეს უიღბლო ეპოქა რომ არა, საქარ-
თველო უეჭველად დღესაც თავისი
ტრადიციული მიზნებისა და ბიზან-
ტიის ანდერძის აღმსრულებელი იქ-
ნებოდა და აღმოსავლეთში ქრის-
ტიანობის დამცველისა და ქომაგის
დიად როლს ღირსეულად გააგრძე-
ლებდა. რუსებს ქრისტიანულ აღ-
მოსავლეთში უკანასკნელ დრომდე
არც ერთი მონასტერი არ გააჩნ-
დათ და იქ, XVIII საუკუნემდე რუ-
სეთის როლისა და საგანმანათ-
ლებლო მისიის შესახებ საუბარი
უცნაურიც კი იქნებოდა. ბერძენთა
გათავისუფლების მიზნით განხორ-
ცილებული ერთადერთი კამპანია
1768 წელს, ეკატერინე დიდის ზეო-
ბისას, ყირიმელ თათართა შეუფერ-
ხებელი გათავისუფლებით დას-
რულდა. ახლაც კი, ძღვევამოსილ და
ვრცელ რუსეთს, მიუხედავად
პრესტიჟული მდგომარეობისა და
პალესტინის საიმპერატორო საზო-
გადოების ყოველნაირი მცდელო-
ბისა, საზოგადოებისა, რომელიც
უზარმაზარ მატერიალურ და მო-
რალურ მსხვერპლს გაიღებს, წმიდა
მინაზე იმ გავლენის რაღაც ნაწი-
ლიც არ გააჩნია, რაც XVIII საუკუ-
ნის მიწურულამდე შედარებით პა-
ტარა საქართველოსა და მის მართ-
ლმადიდებლურ ეკლესიას ჰქონდა.**

ამჟამად მართლმადიდებლურ
აღმოსავლეთში სრულიად სხვაგვარ
სურათია გამოკვეთილი. თუ ად-
რე პალესტინის წმ. ადგილები უპი-
რატესად ქართველებსა და ბერძ-
ნებს ეკუთვნოდათ, ამჯერად წმ. მი-
ნაზე ყოველგან კათოლიკეთა და
პროტესტანტთა კეთილმოწყობი-
ლი მონასტრები, ყარიბთა თავშე-
საფრები, მისიონერთა ბანაკები და
სასწავლო-აღმზრდელიობითი დაწე-
სებულებებია განფენილი, რომე-
ლიც წლიდან წლამდე უძრავი ქონე-
ბისა და თავიანთი აღმსარებლობის

ადეპტთა უზარმაზარი მასის უფ-
ლებათა განმტკიცებისათვის იღვ-
ნიან. კათოლიკეები და პროტესტან-
ტები წმიდა მინაზე განუწყვეტლად
ჩადიან, ხოლო მართლმადიდებელ-
თა რიცხვი ყოველწლიურად მცირ-
დება: 1840 წელს პალესტინაში მხო-
ლოდ 2 000 კათოლიკე იყო, ამჟამად
კი 25 000, ანუ მთელი ქრისტიანუ-
ლი მოსახლეობის დაახლოებით მე-
სამედია. არამართლმადიდებლური
პროპაგანდა თითქმის მთლიანად
სკოლებისა და ფართო ქველმოქმე-
დების გზით ხორციელდება. განსა-
კუთრებით მდიდრულად ინგლი-
სური და ამერიკული საზოგადოე-
ბებია მოწყობილი.

ახლა გადავდივართ შემდეგი სა-
კითხის განხილვაზე, რომელსაც
რუსულ საეკლესიო-ისტორიულ
ლიტერატურაში უდიდესი მნიშვნე-
ლობა აქვს მინიჭებული, კერძოდ:
ათონის წმიდა მთის რომელ მონას-
ტერში იყო აღკვეცილი რუსული
ბერ მონაზვნობის დამფუძნებელი,
მაღალღირსი ანტონ პეჩორელი,
ვის შესახებაც რუსული ეკლესიის
ისტორიის პატრიარქმა ე. ე. გოლუ-
ბინსკიმ უკვე უიმედო იგნორაბიშუს
გამოთქვა. ჩვენ ვფიქრობთ, რომ
პირდაპირ მინიშნებათა არქონის გა-
მო, ამ საინტერესო საკითხის ახსნა
ირიბი გზით შეგვიძლია. შევეცდე-
ბით, წამოჭრილ საკითხზე ჩვენთვის
ყველა ცნობილი თუ უცნობი მონა-
ცემი ქართული საეკლესიო და სხვა
ძეგლებიდან მოვიხმოთ. რუსული
ბერ-მონაზვნობის დამფუძნებლის
— ანტონის მატინანეში აქამდე არაა
გადაწყვეტილი მნიშვნელოვანი სა-
კითხი მისი ბერად აღკვეცის ადგილ-
სამყოფელის შესახებ. 1051 წლის
თარიღით მატინანეში ანტონის ბე-
რად აღკვეცის თაობაზე ასეა მოთხ-
რობილი: „იყო ვინმე კაცი საერო სა-
ხელით, ნოდებული ანტიპად, ქალაქ
ლიუბეჩიდან და მას ღმერთმა ქვეყა-
ნაში მიმოსვლა ჩააგონა; მან კიდევ,
წმიდა მთას მიაშურა და რა იხილა
მონასტრის ჭეშმარიტება (სიმართ-
ლე), და რა მოვლო, შეიყვარა შაო-
სანთა წესი, იმ მონასტერში მივიდა
და მის წინამძღვარს შესთხოვა ბე-
რად აღკვეცვა, მანაც კიდევ აღკვე-
ცა და სახელიც ანტონი უწოდა, და-
არიგა, შაოსანთა წესს აზიარა და მი-
მართა: „დაბრუნდი ისევ რუსეთში,
და კურთხეულ იყავ წმიდა მთისა-
გან, რამეთუ შენგან უამრავი ბერ-
მონაზონი წამოვა (გაჩნდება)“,



აკურთხა და წასვლისას მიმართა: „იარე მშვიდობით!“

უფრო დანვრილებით ცნობებს გვანდის თქმულება: „პეჩორის მონასტრის დასაბამის შესახებ“. თქმულება ღირს ნესტორს მიენერება. იგი ორი რედაქციითა ცნობილი: მოკლე და უფრო ვრცელით. მეორე რედაქციის მიხედვით ანტონი ათონზე ორჯერ იმყოფებოდა. ეს რედაქცია ადასტურებს, „რომ ანტონი ალკვეციის შემდეგ 1013 წელს ჩავიდა კიევში, ხოლო სვიატოპოლკის მიერ ბორისისა და გლების მოკვლის შემდეგ (1015 წ.) ათონზე წავიდა; როცა იაროსლავ დიდი მთავრის ტახტზე დაჯდა (1017 წ.), მაშინ ანტონი, მიტროპოლიტის კათედრაზე ილარიონის აღყვანასთან დაკავშირებით, კიევში 1051 წელს ისევ დაბრუნდა. ეკლესიის ისტორიკოსი და ღვთისმეტყველი მიტროპოლიტი მაკარი უპირატესობას მოკლე ნუსხას ანიჭებს.

XIX საუკუნის შუახანებამდე რუსულ საღვთისმეტყველო მეცნიერებაში ცნობილი არ იყო, მრავალსაგანეობიანი ათონის რომელ მონასტერში დაბინავდა და აღიკვეცა ანტიპა. ისტორიკოსი ს. მ. სოლოვიოვი ანტონის აღკვეცასთან დაკავშირებით ამბობს: „...ათონზე რუსეთიდან ერთი ქრისტიანი, ქალაქ ლიუბეჩის მკვიდრი ანტიპას სახელით გამოცხადდა და ერთ-ერთ იქაურ მონასტერში ანტონის სახელით აღიკვეცა; ესფიგმენის მონასტრის მახლობლად ზღვის ნაპირთან პირველი რუსი ბერ-მონაზვნის ქვაბულს გიჩვენებენ“. „გასული საუკუნის ორმოციან წლებში ჩვენთვის ცნობილი გახდა, — ამბობს გოლუბინსკი, — ათონის ესფიგმენის მონასტრის აქამდე სრულიად უცნობი გადმოცემა (ეს მონასტერი მდებარეობს ნახევარკუნძულის აღმოსავლეთ ნაწილში, ხმელეთიდან მეორეზე, ანუ სოლუნიდან ხილენდარის შემდეგ), რომ ანტონი სწორედ იქ იყო ბერად აღკვეცილი და რამდენიმე ხანს მის სიახლოვეს ზღვის მაღალ ნაპირზე (ზღვაზე გადმოკიდებულ მაღალ მთაზე) მდებარე ქვაბულში მონესეობდა. ამ გადმოცემას უაღრესად წესიერი ბარსკი არ ახსენებს; ეტყობა, მის დროს არ არსებობდა და ჩვენმა სწავლულებმა, გარდა გულუბრყვილო ა. ნ. მურავიოვისა, არავინ დაიჯერა. ნაკლებად განათლებულმა ხალხმა კი ირწმუნა ის, რაც გადმოცემის საწინააღმდეგოდ და-

ფარულად და არცთუ მთლად დაფარულად იყო ნაწერი“. მაგრამ თუ ათონზე საქმე ყველასა და თითოეულისათვის ყოველგვარი დაფარვის გარეშეა ცნობილი, ჩვენ რუსეთში აშკარა სიმართლე რატომ არ უნდა ვიცოდეთ?

ამგვარად, ეს გადმოცემა ესფიგმენელებმა უბრალოდ იმ მიზნით შეთხზეს, რომ თავიანთი მონასტერი რუსეთის მფარველობის ქვეშ შეეყვანათ, ჩვენი ცნობილი ხელგაშლილობით ესარგებლათ, ანდა, ყოველ შემთხვევაში, უფლება მიეღოთ, რუსეთში გადასახადები აეკრიფათ. ესფიგმენელებმა შეთხზეს გადმოცემა და დაწერეს ანტონის «ცხორება» მტკიცებულებათა მოშველიებით, რომ იგი მათთან აღიკვეცა. მაგრამ «ცხორებას» ის უბედურება ეწია, რომ მას ანტონი ათონზე 973 წელს, ჯერ კიდევ რუსეთის მოქცევამდე ჩამოჰყავს. როცა ამ «ცხორების» შემოქმედთ ამ უაზრობის შესახებ მიუთითეს, მათ მოგვიანებით მისი მეორე და მესამე რედაქცია შეადგინეს. მესამე რედაქციას, რომელიც უკვე 1863 წელს არსებობდა, ანტონი ათონზე მაინც 1012-13 წლებში ჩამოჰყავს...

თუ იაროსლავის მმართველობის მეორე ნახევარში ათონზე რუსული მონასტრის არსებობა დამტკიცდება (ათონური გაგებით ნამდვილი მონასტრის, ანდა თუნდაც სენაკის სახით), რაც სავსებით დასაშვებია, მაშინ ადვილად შესაძლოა ვარაუდი იმისა, რომ ანტონი სახელდობრ რუსულ მონასტერში აღიკვეცა.

ათონის რუსულ მონასტერში ანტონის შესაძლო აღკვეცის გოლუბინსკისეულ ვარაუდთან დაკავშირებით, საჭიროდ მიმაჩნია შემდეგი რამ შევნიშნო: ჯერ ერთი, საეჭვოა ოდესმე რუსეთის მოქცევიდან ასეთ მოკლე ვადაში ათონის რუსული მონასტრის დაარსების ფაქტი დამტკიცდეს, როცა ჯერ კიდევ ახლად მოქცეულ ქვეყანაში ბერ-მონაზვნობა ის-ის იყო ფეხს იკიდებდა. ახალგაზრდა ეკლესიაში ქრისტიანობის იდეებმა ადამიანის შინაგან მონაპოვრად გარდასახვა ჯერ კიდევ ვერ მოასწრეს და მხოლოდ იმისდა მიხედვით, თუ რამდენად გაერკვნენ და გაითავისეს ქრისტიანობის სწავლების ამაღლებული არსი, შეიძლებოდა მათში ბერ-მონაზვნური ცხოვრების მოთხოვნილება გაჩენილიყო. ეს უკვე შემდგომ

მი სულიერ-ზნეობრივი სრულქმნის სტადია გახლავთ. მეორეც: ათონზე რუსული მონასტრის (ან სენაკის) არსებობა რომც დადასტურებულიყო, მაშინაც ნაკლებად დასაჯერებელია, რომ ღირსი ანტონი, კერძოდ, მასში და არა რომელიმე ძველ, ისტორიულად ცნობილ და კეთილმონყობილ მონასტერში არ აღკვეცილიყო. უცნაურიც კი იქნებოდა, იგი ათონზე იმ მიზნით წასულიყო, რომ ბერად რუსულ მონასტერში ეკურთხებინათ, როცა ამისი გაკეთება რუსეთში იმ დროს არსებულ ერთ-ერთ მონასტერშიც შეეძლო. თუ მისთვის წმ. ათონის მთაზე ბერად შედგომას რაიმე მნიშვნელობა ჰქონდა, მაშინ იგი ალკვეციის ადგილად უდავოდ არა რომელიმე ახლად დაარსებულ მონასტერს ან სენაკს აირჩევდა, რომელთაც ბერ-მონაზვნური ცხოვრების ტრადიცია არ ჰქონდათ, არამედ ძველ მონასტერს, სახელგანთქმულს თავისი მოღვაწეობითა და ბერების სულიერი განმანათლებლობით, რომლებთანაც მას განსწავლა შეეძლო. ისტორიკოსი, მიტროპოლიტი მაკარი ღირსი ანტონის ესფიგმენში აღკვეცის შესახებ ეჭვს გამოთქვამს: „თითქოს იქ აღიკვეცა“, — ამბობს ის. ჩერნიგოვოს მთავარეპისკოპოსი ფილარეტი ანტონის ბერად აღკვეცას, მათიანის მიხედვით, მონასტრის დაუსახლებლად მიუთითებს და ამბობს: — „ათონის ერთ ერთ მონასტერში აღიკვეცა“.

ამგვარად, ღირსმა ანტონ პეჩორელმა ათონის რომელ მონასტერში მიიღო ანგელოზებრივი მონესეობა? თქმულება „პეჩორის მონასტრის შესახებ“ სწავლულთა ერთხმა მტკიცებით XI საუკუნეში მცხოვრებ ნესტორ ჟამთააღმწერელს მიენერება, რომელმაც რუსული ბერ-მონაზვნობის დამფუძნებლის, ანტონ პეჩორელის აღკვეცის არც დრო და არც ადგილი იცის. ასეთი მნიშვნელოვანი ფაქტის არცოდნა პეჩორის სავანის საძმომში მყოფი პირისთვის მიუტევებელია. ეს ვითარება მჭევრმეტყველურად ადასტურებს, რომ ნესტორი, რომელსაც ზოგიერთები „გარდასულ წელთა ამბის“ ავტორად მიიჩნევენ, XI საუკუნეზე გაცილებით გვიან ცხოვრობდა. **ნარმოშობით ლიუბეჩელი ანტიპა ბერად ან ათონის ერთ-ერთ ბერძნულ მონასტერში უნდა შემდგარიყო, ანდა ქართულ ივერთა მონასტერში.**

გაბრიელა შამდია ნოშიაძე

საბჭოთა კავშირის გმირი ქართველი გენერალი

ნოვოროსიისკის განთავისუფლების შემდეგ საბჭოთა არმიის მთავარი სამხედრო ბანაკის საბრძოლო გეგმის თანახმად გენერალ კ.ნ. ლესელიძის არმიამ შეტევა ტამანის მიმართულებით განაგრძო. ნოვოროსიისკიდან გაქცეულმა გერმანელებმა, ისარგებლეს რა ცუდი გზებითა და ხელსაყრელი გეოგრაფიული მდებარეობით, გამაგრდნენ ტამანის ნახევარკუნძულზე წინასწარ მომზადებულ თავდაცვით ზღუდეზე და დამატებით ახალი სიმაგრეებიც ააგეს.

დასასრული. დასაწყისი იხ. „ისტორიული მემკვიდრეობა“ №1-2

■ ბრძოლა ტამანის ნახევარკუნძულის გასათავისუფლებლად

ფაშისტური გერმანიის სარდლობა ცდილობდა, შეენარჩუნებინა ტამანის პლაცდარმი, როგორც თავდაცვის უმნიშვნელოვანესი დასაყრდენი და ყუბანის წინასიმაგრე. **ტამანი გერმანელთა აქტიური მოქმედების უკანასკნელი დასაყრდენი იყო სამხრეთში.**

ტამანის პლაცდარმის შენარჩუნებით გერმანელები ცდილობდნენ დაეცვათ თავიანთი ბატონობა ყირიმში, მუდმივი საშიშროების ქვეშ დაეყენებინათ ჩრდილოეთ კავკასია. ჰიტლერი და მისი გენერლები აცხადებდნენ — ტამანის პლაცდარმის შენარჩუნება საჭიროა იმიტომ, რომ იგი წარმოადგენს უმნიშვნელოვანეს დასაყრდენ ბარიერს, რომელიც ყირიმის თავდაცვას უზრუნველყოფს. გარდა ამისა, მათი აზრით, აქედან შეიძლება მუდმივი მუქარა შეექმნათ ჩრდილო კავკასიისათვის და აქძულებინათ საბჭოთა სარდლობა ჰყოლოდა აქ დიდი ძალები ფრონტის სხვა უბნების ხარჯზე.

გერმანელმა ოკუპანტებმა ტამანში შექმნეს თავდაცვის მეტად მტკიცე ხაზი, რომელსაც ჰიტლერელები „ცისფერ ხაზს“ უწოდებდნენ. ამ ხაზის მარცხენა ფლანგი აზოვის ზღვის პირს ებჯინებოდა, ხოლო მარჯვენა — შავ ზღვას. „ცისფერი ხაზის“ სიღრმე 20 კილომეტრს აღწევდა და იგი რამდენიმე კარგად გამაგრებული თავდაცვითი ზღუდისაგან შედგებოდა, სადაც ძელმიწურები, სრული პროფილის სანგრები, სანგარ-სასვლელები, ტრანშეები და საარტილერიო პოზიციები იყო.

ტამანის პლაცდარმზე გერმანელებს ჰყავდათ მე-17 არმია, 1-ლი

სატანკო არმია და რუმინელთა მე-3 არმია. ამ არმიებს ავიაციის დიდი ძალები ეხმარებოდა. ტამანის თავდაცვას ჰიტლერის ერთ-ერთი „გამოჩენილი“ გენერალი ფონ ვიტე მეთაურობდა.

1943 წლის ივნისსა და ივლისში გერმანიის სარდლობამ ტამანის ნახევარკუნძულზე დამატებით ოთხი დივიზია და მრავალი სამარშო ბატალიონი გადმოიყვანა. ამ საგანგებო ღონისძიებით ჰიტლერელებმა უზრუნველყვეს ტამანის ნახევარკუნძულზე თავიანთი ბატონობა 13 თვის განმავლობაში — 1942 წლის სექტემბრიდან 1943 წლის ოქტომბრამდე. ამ ხნის განმავლობაში მათ დაანგრეს და გაანადგურეს კულტურის ყველა კერა, საზოგადოებრივი და საწარმოო დაწესებულებები, გააპარტახეს სახალხო მეურნეობა, დახვრიტეს და აწამეს საბჭოთა ქვეყნის მრავალი უდანაშაულო ადამიანი.

ამ მეტად მძიმე და კრიტიკულ ვითარებაში გენერალ-ლეიტენანტ კ.ნ. ლესელიძის არმია გადამწყვეტი ბრძოლისათვის ემზადებოდა. ლესელიძის არმიის ნაწილებმა იმდენად ორგანიზებული, მოულოდნელი და ელვისებური შეტევა განავითარეს ანაპაზე, რომ ფაშისტებმა ევაკუაციაც კი ვერ მოასწრეს და ყველამ შავ ზღვაში პოვა სამარე.

ანაპის გათავისუფლების შემდეგ კ. ლესელიძის არმიის საბრძოლო ამოცანას ტამანის ნახევარკუნძულის გათავისუფლება წარმოადგენდა. ამისათვის გამოიყო 800 ქვემეხი და ნალმტყორცნი, 225 საარტილერიო დანადგარი და 150 თვითმფრინავი, 150 საბრძოლო ხომალდი



კონსტანტინე ლესელიძე

და ფლოტის დამხმარე გემები. ტამანის გათავისუფლების დროს სადესანტო ოპერაციების ხელმძღვანელობა დაკისრებული ჰქონდა შავი ზღვის ფლოტის სარდალს, ვიცე ადმირალ ლ.ა. ვლადიმირსკისა და ნოვოროსიისკის სამხედრო საზღვაო ბაზის მეთაურს, კონტრადმირალ ნ. ხოლოსტიაკოვს.

გენერალური შეტევა დაიწყო ბევრი სისხლი დაიღვარა ტამანის მისადგომებთან. გერმანელებმა საგანგებოდ გაამაგრეს გირლიანაიას მთის უსახელო მალღობი. მისი აღება ანაპის 414-ე ქართულ მსროლელ დივიზიას ხვდა წილად. აქ გმირობის იშვიათი მაგალითი გვიჩვენებს ქართველმა ჯარისკაცებმა და ოფიცრებმა.

1943 წ. 27 სექტემბრის ბრძანებით ლესელიძემ მე-8 და 107-ე მსროლელ ბრიგადებს დაავალა, უსწრაფესი შეტევა განეხორციელებინათ არტიშენკოს, მუშათა დაბა ვუგას მიმართულებით და დაეკავებინათ ტამანი.

1943 წლის 3 ოქტომბერს კ. ნ. ლესელიძის არმიის ნაწილები ტამანის ნახევარკუნძულზე შეიჭრნენ, სასტიკი ბრძოლების შედეგად გაანადგურეს ფაშისტთა ყველა სიმაგრე და 1943 წლის 9 ოქტომბერს მთლიანად გაათავისუფლეს ტამანი, რომელიც



389 დღე-ღამის განმავლობაში ჰიტლერელებს ჰქონდათ დაპყრობილი.

საბჭოთა კავშირის თავდაცვის კომიტეტი და პირადად ი.ბ. სტალინი ტამანის ნახევარკუნძულის განთავისუფლებას ისეთსავე დიდ მნიშვნელობას აკუთვნებდნენ, როგორსაც დონბასის, ორლოვშჩინის, სმოლენშჩინის, კიევისა და სხვა მნიშვნელოვანი რაიონებისა და ქალაქების განთავისუფლებას.

ტამანის ნახევარკუნძულის განთავისუფლებისათვის წარმოებულ ბრძოლებში აქტიური მონაწილეობა მიიღო გენერალ-ლეიტენანტ კ. ნ. ლესელიძის არმიაში შემავალმა

ანაპის სახელობის 414-ე ქართულ-მა მსროლელმა დივიზიამ, რომელსაც ნიჭიერი საბჭოთა ოფიცერი პოლკოვნიკი გიორგი ყურაშვილი მეთაურობდა.

ტამანის ნახევარკუნძულის განთავისუფლებით უდიდესი საფრთხე დაემუქრა ყირიმში განლაგებულ ფაშისტთა ჯარის ნაწილებს.

ტამანის ნახევარკუნძულის განთავისუფლებასთან დაკავშირებით კ. ნ. ლესელიძემ მთავარსარდლის ი. ბ. სტალინის მადლობა დაიმსახურა.

ქ. ანაპისა და ტამანის ნახევარკუნძულის განთავისუფლების გამო სსრ კავშირის სახალხო კომი-

სართა საბჭოს 1943 წლის 9 ოქტომბრის დადგენილებით გენერალ-ლეიტენანტ კ. ნ. ლესელიძეს მიენიჭა გენერალ-პოლკოვნიკის სამხედრო წოდება.

ქ. ანაპისა და ტამანის ნახევარკუნძულის განთავისუფლებასთან დაკავშირებით, ჩრდილოეთ კავკასიის ფრონტის სარდლობის საბრძოლო დავალებათა სანიმუშოდ შესრულებისათვის სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1943 წლის 9 ოქტომბრის ბრძანებულებით გენერალ-პოლკოვნიკი კ. ნ. ლესელიძე დაჯილდოვდა კუტუზოვის პირველი ხარისხის ორდენით.

■ უკრაინის პირველ ფრონტზე (1943 წლის ნოემბერი - 1944 წლის თებერვალი)

საბჭოთა არმიის მთავარსარდლობის ბრძანებით 1943 წლის ნოემბერში გენერალ კ. ნ. ლესელიძის არმია გადაიყვანეს უკრაინის პირველ ფრონტზე. ამ ფრონტს სახელმძღვანელო საბჭოთა გენერალი ნიკოლოზ თევდორეს ძე ვატუტინი მეთაურობდა. ლესელიძის არმიას მოქმედება კიევის ოლქის ტერიტორიაზე მოუხდა.

საბჭოთა არმიამ უდიდესი წარმატებით დაიწყო 1943-1944 წლების ზამთრის შეტევითი ოპერაციები.

1943-1944 წლების ზამთრის პერიოდში უკრაინის პირველი ფრონტის ჯარები მდინარე დნეპრის გადალახვისა და კიევის განთავისუფლების შემდეგ წარმატებით ახორციელებდნენ შეტევას, გაათავისუფლეს ათობით საბჭოთა ქალაქი და ათასობით სოფელი.

1943 წლის დეკემბრის დამდეგს გერმანიის სარდლობამ აღმოსავლეთის ფრონტზე ღრმა ზურგიდან გადმოიყვანა თავისი საუკეთესო სატანკო და ქვეითი დივიზიები და შეტევა განავითარა კიევის მიმართულებით. ფრონტის ამ ვიწრო უბანზე ჭარბი ძალების უპირატესობაზე დაყრდნობით გერმანელებმა შეძლეს ხელმეორედ დაეპყროთ ქ. ჟიტომირი, კოროსტიშევი და კიევისაკენ გამოჭრილიყვნენ. ამ რთულ პირობებში მტრის ძალებთან ბრძოლაში ჩაება გენერალ-პოლკოვნიკ კ. ნ. ლესელიძის არმია. **გერმანელთა სატანკო და მოტორიზებულ დივიზიებთან ბრძოლაში ლესელიძის არმიამ, მოიპოვა რა მთელი რიგი გამარ-**

ჯვებანი, სხვა არმიებთან ერთად აიძულა ფაშისტთა დივიზიები შეენწყვიტათ შეტევა და თავდაცვაზე გადასულიყვნენ.

საბჭოთა მთავარსარდლობის ბრძანებით 1943 წლის 23 დეკემბერს უკრაინის პირველი ფრონტის ჯარები შეტევაზე გადავიდნენ რადომიშლის სამხრეთით განლაგებულ გერმანელთა ჯარების წინააღმდეგ. სათანადო მომზადების შემდეგ საბჭოთა არმიის ქვეითმა ნაწილებმა მარჯვე დარტყმით გაარღვიეს გერმანელთა ფრონტი 80 კილომეტრის სიგრძეზე და 40 კილომეტრის სიღრმით წაიწიეს წინ.

1943 წლის 24 დეკემბერს კ. ნ. ლესელიძის არმიის ნაწილებმა გადალახეს გერმანელთა გამაგრებული თავდაცვის პირველი ზღუდე და გააფთრებული ბრძოლების შედეგად დაიკავეს სამხედრო თვალსაზრისით დიდი მნიშვნელობის რამდენიმე დასახლებული პუნქტი.

სახელმძღვანელო სარდლის მეომრები უნარიანად იყენებდნენ კავკასიისა და უკრაინის ბრძოლებში მიღებულ მდიდარ გამოცდილებას და წარმატებით ახორციელებდნენ მათზე დაკისრებულ საბრძოლო ამოცანას.

სამდლიან შეტევით ბრძოლებში უკრაინის პირველი ფრონტის ჯარებმა, რომელთა ავანგარდში იმყოფებოდა გენერალ-პოლკოვნიკ კ. ნ. ლესელიძის არმია, გაათავისუფლეს 150-ე მეტი დასახლებული პუნქტი.

მძიმე ბრძოლებში განადგურდა გერმანელთა ოთხი სატანკო დივი-

ზია, მათ შორის სატანკო დივიზია სს „რაიხი“ და ექვსი ქვეითი დივიზია; გერმანელთა 159 ტანკი, 39 თვითმავალი ქვემეხი, 52 ჯავშანმანქანა, 109 სხვადასხვა ყალიბის ქვემეხი. ბრძოლის ველზე 15 ათასამდე მოკლული გერმანელი ჯარისკაცი და ოფიცერი დარჩა.

ამ შეტევით ბრძოლებში ჩვენმა ჯარებმა ხელთ იგდეს მტრის 58 ტანკი, 21 თვითმავალი ქვემეხი, 20 ჯავშანმანქანა, 56 სხვადასხვა ყალიბის ქვემეხი, 167 ნალმსატყორცნი, 760 ტყვიამფრქვევი, 3 ათასზე მეტი შაშხანა, 15 საწყობი საომარი მასალიანად, იარაღიანად, საჭურვლიანად და სურსათიანად. ამ სახელოვანი ოპერაციების შესახებ საბჭოთა საინფორმაციო ბიუროს ცნობაში ვკითხულობთ:

„ბრძოლაში თავი გამოიჩინეს გენერალ-პოლკოვნიკ გრეჩკოს, გენერალ-პოლკოვნიკ ლესელიძის, გენერალ-პოლკოვნიკ მოსკალენკოს, გენერალ-ლეიტენანტ უმაჩენკოს ჯარებმა და არტილერიის გენერალ-ლეიტენანტ კოროლკოვის არტილერიისტებმა“.

უკრაინის პირველი ფრონტის ჯარებმა შეტევა განაგრძეს ჟიტომირის მიმართულებით. შეტევაში აქტიური მონაწილეობა მიიღო გენერალ კ. ნ. ლესელიძის არმიამ. მან უკრაინის პირველი ფრონტის ჯარებთან ერთად გაარღვია გერმანელთა თავდაცვის ხაზი და ექვსი დღის შეუპოვარი ბრძოლებით 1943 წლის 29 დეკემბრისათვის ფრონტის 300 კილომეტრის სიგრძეზე ნა-



ინია წინ 50-100 კილომეტრამდე. შეტევით ბრძოლაში ჩვენმა ჯარებმა დაამარცხეს გერმანელთა რვა სატანკო დივიზია, მათ შორის, „სს“ სატანკო დივიზიები „ადოლფ ჰიტლერი“, „რაიხი“ და თოთხმეტი ქვეითი დივიზია. გაათავისუფლეს მთელი რიგი ქალაქები და დაიკავეს 100-ზე მეტი დასახლებული პუნქტი.

შეტევითი ოპერაციების წარმატებით ჩატარებისათვის ლესელიძის არმიის მრავალმა მეზობელმა და მეთაურმა დაიმსახურა მთავრობის მაღალი ჯილდო — ორდენები და მედლები. სამშობლოს წინაშე დიდი დამსახურებისათვის საბჭოთა კავშირის უმაღლესი მთავარსარდლის ი.ბ. სტალინის 1943 წლის 30 დეკემბრის ბრძანებით 30 დეკემბერს, 22 საათზე, ჩვენი სამშობლოს დედაქალაქმა მოსკოვმა ორას ოცდაოთხი ქვემეხის ოცი საარტილერიო ზალპით სალუტი მისცა უკრაინის ფრონტის მამაც ჯარებს.

1943 წლის 31 დეკემბერს კ.ნ. ლესელიძის არმიის შენაერთებმა უკრაინის პირველი ფრონტის ტანკისტებისა და საბჭოთა არტილერიის ქმედითი დახმარებით გაარღვიეს გერმანელთა ძლიერ გამაგრებული თავდაცვა და იერიშით აიღეს რკინიგზის საკვანძო ცენტრი ჟიტომირი.

ჟიტომირის განთავისუფლებისათვის ბრძოლის დღეებში დიდი მუშაობა ჩაატარეს მე-18 არმიის სარდალმა კ.ნ. ლესელიძემ და ამავე არმიის პოლიტგანყოფილების უფროსმა ლ.ი. ბრეჟნევმა. დღედაღამ ისინი ფრონტის მოწინავე ხაზზე იმყოფებოდნენ, მტრის მასირებულ ცეცხლს არ უშინდებოდნენ, ესაუბრებოდნენ ჯარისკაცებსა და ოფიცრებს, ალაფრთოვანებდნენ მათ გერმანელ დამპყრობთა წინააღმდეგ გადამწყვეტი ბრძოლისათვის.

ჟიტომირის განთავისუფლებასთან დაკავშირებით უკრაინის პირველი ფრონტის სარდლობისადმი მიცემულ ბრძანებაში 1944 წლის 1 იანვარს უმაღლესი მთავარსარდალი, საბჭოთა კავშირის მარშალი ი.ბ. სტალინი წერდა:

„უკრაინის 1-ლი ფრონტის ჯარებმა გუშინ, 31 დეკემბერს, ქვეითი ჯარის სწრაფი იერიშისა და სატანკო შენაერთების მარჯვე შემოვლითი მანევრის შედეგად, დაიკავეს უკრაინის საოლქო ცენტრი, ქალაქი და რკინიგზის კვანძი — ჟიტომირი.



არტილერიისტების საცეცხლე პოზიციიდან მიღწევა. 1942 წ.

ქალაქ ჟიტომირის განთავისუფლებისათვის ბრძოლაში თავი გამოიჩინეს გენერალ-პოლკოვნიკ გრეჩკოს, გენერალ-პოლკოვნიკ ლესელიძის, გენერალ-ლეიტენანტ ჩერნიახოვსკის ჯარებმა და გენერალ-პოლკოვნიკ რიზალკოს ტანკისტებმა“.

1944 წლის პირველ იანვარს, 21 საათზე, სოციალისტური სამშობლოს დედაქალაქმა მოსკოვმა სამშობლოს სახელით ორას ოცდაოთხი ქვემეხის ოცი საარტილერიო ზალპით სალუტი მისცა მამაც საბჭოთა ჯარებს, რომლებმაც გაათავისუფლეს ქ. ჟიტომირი.

ჟიტომირის განთავისუფლების შემდეგ, იმავე დღეს, გენერალ კ. ნ. ლესელიძის არმიის დანაყოფებმა განავითარეს საბრძოლო მოქმედება ქ. ჟიტომირის სამხრეთით. მწვავე ბრძოლების შედეგად გაათავისუფლეს ვინიციის ოლქის რაიონული ცენტრი პოგრებიში და განდევნეს გერმანელები მნიშვნელოვანი დასაყრდენი პუნქტიდან. ლესელიძის მამაცი მეზობლები გაქცეულ გერმანელებს ფებდაფეხს სდევნიდნენ და ამოსუნთქვის საშუალებას არ აძლევდნენ.

პოგრებიშიის განთავისუფლებისათვის წარმოებულ ბრძოლებში გენერალ ლესელიძის არმიის დანაყოფებმა მოსპეს გერმანელთა ერთ პოლკამდე ქვეითი ჯარი, ხელთ იგდეს 47 ქვემეხი, 125 ტყვიამფრქვევი, 46 ნაღმსატყორცნი, 2 სანყოფი საომარი მასალიანად, 200-ზე მეტი ავტომანქანა და სხვ.

უკრაინის პირველი ფრონტის ჯარები შეტევით ბრძოლებს განაგრძობდნენ 1944 წლის იანვრის პირველ რიცხვებშიც.

ჟიტომირის დაკავების შემდეგ გერმანელებმა თავიანთ რჩეულ სა-

ტანკო და ქვეით დივიზიებს ქ. ბერდიჩევთან მოუყარეს თავი. სასონარკვეთილებამ ჩავარდნილი ფაშისტური სარდლობა ცდილობდა, გამოეყენებინა ბერდიჩევის მისადგომებთან არსებული ბუნებრივი სიმაგრეები, მოეკრიბა ძალები და შემდეგ კონტრშეტევაზე გადასულიყო. ჰიტლერელებს იმედი არ გაუმართლდათ. ლესელიძის არმიის შეტევაზე გადასული ნაწილები მოსვენებას არ აძლევდნენ გერმანელთა ნაწილებს და სასტიკი ბრძოლების შედეგად თანდათან ავინროვდნენ მათ. გააფრთხილებული და სისხლისმღვრელი ბრძოლა ბერდიჩევისათვის ხუთი დღე-ღამის განმავლობაში გაგრძელდა და საბჭოთა ჯარებმა 1944 წლის 5 იანვარს იერიშით აიღეს იგი. გამარჯვების სული და გული გენერალ კ.ნ. ლესელიძე იყო. იგი ბრძოლის წინახაზზე იმყოფებოდა და მისთვის ჩვეული მხნეობით ალაფრთოვანებდა ჯარისკაცებსა და ოფიცრებს.

ბერდიჩევის განთავისუფლების გამო უკრაინის პირველი ფრონტის სარდლობისადმი მიცემულ ბრძანებაში 1944 წლის 6 იანვარს უმაღლესი მთავარსარდალი ი.ბ. სტალინი წერდა:

„უკრაინის პირველი ფრონტის ჯარებმა 5 იანვარს, ხუთი დღის შეუპოვარი ბრძოლების შედეგად, იერიშით დაიკავეს ქალაქი და რკინიგზის დიდი კვანძი ბერდიჩევი — გერმანელთა თავდაცვის მძლავრი დასაყრდენი პუნქტი სამხრეთ-დასავლეთის მიმართულებით.

ქალაქ ბერდიჩევის დაკავებისათვის წარმოებულ ბრძოლებში თავი გამოიჩინეს გენერალ-პოლკოვნიკ ლესელიძის, გენერალ-მაიორ პერხოროვიჩის ჯარებმა, არტილერიის



გენერალ-ლეიტენანტ უარიოფილის არტილერიის ტემა და ავიაციის გენერალ-ლეიტენანტ კრასოვსკის მფრინავებმა“.

1944 წლის 6 იანვარს, პირველ საათზე, ჩვენი სამშობლოს დედაქალაქმა მოსკოვმა სამშობლოს სახელით ორას ოცდაოთხი ქვემეხის ოცი საარტილერიო ზალპით სალუტი მისცა ჩვენს მამაც ჯარებს, რომლებმაც გაათავისუფლეს ქ. ბერდინევი.

უკრაინის პირველი ფრონტის ჯარებმა 1943 წლის 24 დეკემბრიდან 1944 წლის 13 იანვრამდე წარმოებულ შეტევით ბრძოლებში უდიდესი ზარალი მიაყენეს გერმანელ ფაშისტთა ჯარებს. მათ მოსპეს გერმანელთა 2204 ტანკი, 1144 სხვადასხვა ყალიბის ქვემეხი, 625 ნაღმ-სატყორცნი, 3173 ტყვიამფრქვევი, 348 ჯავშანმანქანა და ჯავშანტრანსპორტიორი, 4686 მანქანა, 2 ჯავშნიანი მატარებელი, 27 საწყობი საომარი მასალით და სურსათით, რკინიგზის 17 ეშელონი, 28 ორთქლმავალი, 400 ვაგონი, 40 ბენზინის ცისტერნი, 3063 ტვირთსაზიდი. მარტო მოკლულთა სახით მტერმა 100 ათასამდე ჯარისკაცი და ოფიცერი დაკარგა; ნამოილეს შემდეგი დავლა: ტანკი — 316, სხვადასხვა ყალიბის ქვემეხი — 902, ნაღმ-სატყორცნი — 321, ტყვიამფრქვევი — 2000-ზე მეტი, შაშხანა და ავტომატი — 11500, ჯავშანმანქანა და ჯავშანტრანსპორტიორი — 157, ავტომანქანა — 3514, გამწვევი და

ტრაქტორი — 47, მოტოციკლი — 80, ორთქლმავალი — 20, ეშელონი — 3, 1000-ზე მეტი ვაგონი, საწყობი საომარი მასალით, სურსათითა და სხვა სამხედრო ქონებით — 230, საზიდარი ტვირთიანად — 3100, ცხენი — 3662, რადიოსადგური — 40; ტყვედ წამოიყვანეს 7000-ზე მეტი გერმანელი ჯარისკაცი და ოფიცერი.

ამ გამორულ ბრძოლებში უდიდესი წვლილი მიუძღვის გენერალ კ. ნ. ლესელიძის არმიას.

ქ. ბერდინევის განთავისუფლებაში მთავარსარდლობის საბრძოლო ამოცანის წარმატებით განხორციელებისათვის და ჯარის ნაწილებში სადამი უნარიანი ხელმძღვანელობისათვის სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1944 წლის 10 იანვრის ბრძანებულებით გენერალ კ. ნ. ლესელიძე დაჯილდოვდა ბოგდან ხმელნიცკის პირველი ხარისხის ორდენით. ქ. ბერდინევის მშრომელი მოსახლეობა უდიდესი სიხარულით შეხვდა ლესელიძის არმიის შენაერთებს, რომელთაც თავიანთი მამაცური ბრძოლებით გაათავისუფლეს ქ. ბერდინევი გერმანელთა ტყვეობიდან და მის მოსახლეობას თავისუფლება და ბედნიერი ცხოვრება დაუბრუნეს.

ბერდინევის მთელი მოსახლეობა, რა თქმა უნდა, უდიდესი სიხარულით შეეგება სახელმძღვანელო გენერალ კ. ნ. ლესელიძეს. ისინი აღმფოთებით მოუთხრობდნენ მას იმ მხეცობაზე, რასაც ჰიტლერელები

ჩადიდნენ ბერდინევი ორნახევარი წლის განმავლობაში, იმაზე, რომ ქ. ბერდინევი ფაშისტებმა დახვრიტეს 30 ათასი ებრაელი, ცოცხლად დამარხეს ათასობით ბავშვი და ახალგაზრდა.

ჟიტომირის, ბერდინევის და სხვა მრავალი ათასობით სოფლისა და დასახლებული პუნქტის განთავისუფლების შემდეგ საბჭოთა არმია შეუფერხებლად განაგრძობდა გერმანელების დევნას საბჭოთა ქვეყნის ტერიტორიიდან. „1943-1944 წლების ზამთრის კამპანიის მსვლელობაში წითელმა არმიამ მოიგო ისტორიული ბრძოლა დნებრისა და მარჯვენა ნაპირის უკრაინისათვის“.

1943-1944 წლების ზამთრის არახელსაყრელი პირობების მიუხედავად, საბჭოთა ჯარებმა გაარღვიეს გერმანელთა მძლავრი თავდაცვითი ზოლები და „...ზამთრის კამპანიის სამი თვის განმავლობაში დამპყრობლებისაგან გასწმინდეს 200 ათასამდე კვადრატული კილომეტრი საბჭოთა მიწა-წყალი. წითელმა არმიამ მტერს წაართვა 13.000-ზე მეტი დასახლებული პუნქტი, მათ შორის 82 ქალაქი და 320 სარკინიგზო სადგური“. ფაშისტური ტყვეობისაგან გაათავისუფლა მილიონობით საბჭოთა ადამიანი, საბჭოთა სამშობლოს დაუბრუნა რკინის მადნისა და მარგანეცის უმდიდრესი სამრეწველო რაიონები. **ფასდაუდებელია ლესელიძის არმიის ღვაწლი სამამულო ომის ამ უბანზე.**

■ ავადმყოფობა, ბარდაცვალება და დაკრძალვა

1943-1944 წლების ზამთრის პერიოდში მე-18 არმიის ნაწილები გააფთრებული ბრძოლებით მიინევდნენ წინ და წარმატებით ათავისუფლებდნენ საბჭოთა მიწა-წყალს. ბრძოლის ამ დაძაბულ ვითარებაში, 1944 წლის თებერვლის პირველ რიცხვებში, გენერალი კონსტანტინე ლესელიძე გრიპით გახდა ავად. ექიმები დაჟინებით ურჩევდნენ მას დროებით შეენწყვიტა მუშაობა, დაწოლილიყო საავადმყოფოში და დაენწყო მკურნალობა. სამშობლოს განთავისუფლებით გატაცებულმა გენერალმა არ მოუსმინა ექიმებს, იგი ნაკლებად ზრუნავდა თავის თავზე, დღე და ღამე ფრონტის მონინავე ხაზზე იყო და თავისი გონიერებით, მოფიქრებულობითა და

ხელქვეითებისადმი ტაქტიანი და მოკიდებულებით ჯარისკაცებსა და ოფიცრებს მტრის წინააღმდეგ გადამწყვეტი ბრძოლისათვის აღანთებდა. იმის გამო, რომ სამშობლოსათვის თავდადებულმა სარდალმა თავიდანვე შესაფერი ყურადღება არ მიაქცია თავის ჯანმრთელობას, გრიპმა გართულებული სახე მიიღო. გრიპს ანგინა დაერთო და სულ მალე სახსრების ანთებაც დაემატა. კ. ნ. ლესელიძე ლოგინად ჩავარდა. მძიმე ავადმყოფი გენერალი მოათავსეს ფრონტის ახლოს, ბერდინევიდან 6 კილომეტრის დაშორებით, პატარა სოფ. პოლიჩინცაში.

მიუხედავად იმისა, რომ სოფ. პოლიჩინცა გერმანელა განუწყვეტელი საარტილერიო ცეცხლის ქვეშ

იყო მოქცეული, ავადმყოფი ლესელიძე ყურადღებას არ აქცევდა ამას და 37-38 გრადუსის სიცხის მქონე მაინც ხელმძღვანელობდა არმიის საბრძოლო მოქმედებას. სისტემატურად ეთათბირებოდა არმიის სამხედრო საბჭოს წევრებს, დივიზიის მეთაურებს, გენერლებს, შტაბის მუშაკებს და შესაფერ დარიგებას აძლევდა მათ.

მე-18 არმიის სანიტარული სამსახურის უფროსმა, პოლკოვნიკმა კოსტემა არმიის სამხედრო საბჭოს დავალებით მოსკოვიდან და კიევიდან გამოიწვია სპეციალისტი ექიმები და მოაწყო კონსილიუმი. სასიქადულო სარდლისადმი დიდი მზრუნველობა გამოიჩინეს მე-18 არმიის სამედიცინო სამსა-



ხურის მაიორებმა პოლსტიანკომ, ინასარიძემ და ქირურგმა თამარ გოთუამ.

მიუხედავად უდიდესი მზრუნველობისა, ავადმყოფობა მეტად გართულდა. ლესელიძეს დაეწყო მარჯვენა ქვედა კიდურის ვენების ანთება. ქირურგმა თამარ გოთუამ ლესელიძის ქვედა კიდურები თაბაშირში ჩაუსვა და უმოძრაო მდგომარეობაში ამყოფა. ამ მდგომარეობაში ავადმყოფმა თითქმის ორი კვირა დაყო, რის შემდეგაც ქვედა კიდურების შეშუპება საგრძნობლად დაცხრა და ტკივილებმაც იკლო.

გენერალ კ. ნ. ლესელიძის ავადმყოფობის შესახებ მე-18 არმიის ექიმი, ქირურგი თამარ გოთუა თავის მოგონებაში წერდა:

„...ექიმების ყოველი ცდა ამაო იყო. ავადმყოფის მდგომარეობა შესამჩნევად უარესდებოდა. მას მეტად დაუსივდა ფეხი. დაეწყო ფილტვების ანთება და სახსრების საშინელი რევმატიული ტკივილები. ფეხებზე გაფუკეთეთ თაბაშირი. მთელი ღამეები არ ეძინა, დღითიღლე უფრო ნერვიულობდა და მტკიცე ხასიათი უდუნდებოდა.

— პატივცემულო კოტე, ნუ ლელავთ, ყველაფერი კარგად მიდის, რამდენიმე ხნის შემდეგ კვლავ შეძლებთ ადგომას, — ვეუბნებოდი მას...

— ეჰ, მე ხომ ვგრძნობ, რომ ცუდად არის ჩემი საქმე, — ისეთი ჩუმი და გულის სიღრმიდან ამოსული ხმით მიპასუხა, რომ მე შეძრწუნებული გამოვედი მისი ოთახიდან...

სულ გამოცვალა ავადმყოფობამ. გული გაუტყდა, განსაკუთრებით მას შემდეგ, როცა მისი შემცვლელი

ჩამოვიდა... გადაწყდა მისი ნაყვანა მოსკოვში... გამოთხოვებისას ბევრი თბილი სიტყვა მარგუნა...“.

1944 წლის 11 თებერვალს მძიმე ავადმყოფი გენერალი მოსკოვისაკენ გაამგზავრეს და 14 თებერვალს სსრ კავშირის თავდაცვის სახალხო კომისარისტის ცენტრალურ ჰოსპიტალში მოათავსეს.

ავადმყოფმა მცირე ხნით მოიკეთა. მხოლოდ ოდნავ ტკივილებს უჩიოდა მხრის არეში, მაგრამ ავადმყოფობამ მალე კვლავ იმძლავრა და მდგომარეობა უიმედო გახდა.

კომუნისტური პარტიის ერთგული შვილი, სოციალისტური სამშობლოს თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის თავდადებული ადამიანი, გენერალი კონსტანტინე ნიკოლოზის ძე ლესელიძე 1944 წლის 21 თებერვალს გარდაიცვალა.

„სიკვდილის მიზეზი: გულის მოქმედების შეჩერება, მნიშვნელოვანი დაავადებანი სიკვდილის მომენტი-სათვის: მარჯვენა ქვედაკიდურის ვენების ღრმა ტრომბოფლოზიტი, ემბლოტიზისა და ფილტვების სისხლძარღვების კრონიოსეფისა. გარდაიცვალა სსრ კავშირის თავდაცვის სახალხო კომისარიატის ცენტრალურ ჰოსპიტალში“.

გენერალ-პოლკოვნიკი კონსტანტინე ნიკოლოზის ძე ლესელიძის გარდაცვალების გამო შექმნილმა სპეციალურმა კომისიამ 1944 წლის 21 თებერვალს გახსნა განსვენებულის პირადი საიდუმლო საცავი (სეიფი), რომელშიც აღმოჩნდა კ. ნ. ლესელიძის კუთვნილი შემდეგი ნივთები და დოკუმენტები: პარტიული ბი-

ლეთი №20375; ლენინის ორდენის დროებითი მონმობა №163812; ნითელი დროშის ორდენის დროებითი მონმობა №41901; ნითელი დროშის ორდენი №24551, სუვოროვის პირველი ხარისხის ორდენის დროებითი მონმობა №1257875; სუვოროვის პირველი ხარისხის ორდენი №54; კუტუზოვის პირველი ხარისხის ორდენის დროებითი მონმობა №1257874; კუტუზოვის პირველი ხარისხის ორდენი №66. ნითელი ვარსკვლავის ორდენი №24956 და №832; ნითელი ვარსკვლავის ორდენის დროებითი მონმობა №17102; საქართველოს სსრესპუბლიკის ნითელი დროშის ორდენი №100; მედალი „მუშურ-გლეხური ნითელი არმიის XX წელი“; სახელობითი პორტსიგარი ნარწერით: სტალინელ გენერალს არტელ „ნითელი ნემსის“ ნევრებისაგან. ქ. ახალციხე; სახაზავი ხელსაწყობი, ჯიბის სახელობითი ოქროს საათი ქართული ნარწერით: კ. ნ. ლესელიძეს, სნაიპერი მექვემეხეების მომზადებისათვის; ტყავის პორტფელი ნარწერით: მე-18 არმიის სარდალს გენერალ-ლეიტენანტ ლესელიძეს არმიის მებრძოლებისაგან; ბრაუნინგის სისტემის ნადავლი რევოლვერი №982850 ექესი ვაზნით; გენერლის პირადობის მონმობა და სხვ.


ქართველი ხალხი უდიდესი მწუხარებით შეხვდა სახელმწიფო გენერლის, ქართველი ხალხის საამაყო შვილის გენერალ-პოლკოვნიკ კონსტანტინე ნიკოლოზის ძე ლესელიძის უდროოდ გარდაცვალებას.

გენერალ-პოლკოვნიკ კ. ნ. ლესელიძის სახით საქართველომ დაკარგა თავისი ერთგული შვილი, რომელმაც სამამულო ომის ფრონტზე გაამრავლა ქართველი ხალხის საბრძოლო ტრადიციები და ახალი სამხედრო სახელი მოუხვეჭა მას.

იგი დიდუბის მწერალთა და საზოგადო მოღვაწეთა პანთეონში დაკრძალეს.

გენერალ-პოლკოვნიკ კ. ლესელიძის ხსოვნის უკვდავსაყოფად თბილისში სარენაო კოოპერაციის ქუჩას ლესელიძის სახელი ეწოდა. სკვერში დაიდგა მისი ძეგლი. მის საბრძოლო ტრადიციებზე მრავალი ჯარისკაცი, სერჟანტი, ოფიცერი და გენერალი აღიზარდა.

მოამზადა
ლარიკან ანდრიაძემ



კ.ლესელიძისა და მისი მუშლის საფლავი დიდუბის მწერალთა და საზოგადო მოღვაწეთა პანთეონში



სერგო ზაქარიაძის ხსოვნას

თუ გადავხედავთ მსოფლიო კინემატოგრაფიის ისტორიას, დავრწმუნდებით, რომ ომზე უამრავი კინოფილმია შექმნილი, მაგრამ მათ შორის რამდენიმე იმთავითვე ლეგენდად იქცა. ერთ-ერთია „ჯარისკაცის მამა“, რომელმაც დროისა და სივრცის მიუხედავად, ყველა ეპოქაში ერთ-ერთი პირველი ადგილთაგანი დაიკავა სამუდამოდ. „საგულისხმო დეტალია, რომ ყველგან, სადაც კი აჩვენებდნენ ჩვენს ფილმს — უნგრეთი იქნებოდა ეს, საბერძნეთი, იაპონია თუ რომელიმე სხვა ქვეყანა, მაყურებელიცა და სპეციალისტებიც გიორგი მახარაშვილში პოულობდნენ ისეთ თვისებებს, რომლებიც დამახასიათებელია მათი ხალხისთვის; ირწმუნებოდნენ, ჩვენცა გვყავს ასეთი შესანიშნავი მოხუცებიო. ეს კიდევ ერთხელ ხაზს უსვამს იმას, თუ რამდენად ზოგადსაკაცობრიოა მოხუცი ქართველი გლეხის სახის თვისებები, რამდენად ახლობელია სრულიად სხვადასხვა ქვეყნის ადამიანებისათვის მთელ მსოფლიოში მშვიდობის იდეა“ (სერგო ზაქარიაძე).



სერგოს მამა, ბაქოს დეპოს მუშა, ნერა-კითხვის გამავრცელებელი თბილისის საზოგადოების წევრი იყო. ამ საზოგადოების ფილიალთან ბაქოში გახსნილი იყო ქართული სკოლა, მუშაობდა ქართული თეატრი და რკინიგზელთა დრამა, რომელიც ქართულ ენაზე დგამდა პიესებს. ეს საზოგადოება არ ყოფილა რევოლუციური, პროლეტარული ორგანიზაცია, იგი აერთიანებდა ნერა-კითხვის მცოდნე მუშებსა და განათლებულ მოსამსახურეებს, რითაც საზოგადოება არა მარტო იცავდა ეროვნულ თვითმყოფადობას, ავითარებდა ეროვნულ კულტურას, რაც თავისთავად უპირისპირდებოდა მეფის მთავრობის შოვინისტურ პოლიტიკას, არამედ ასე ვთქვათ ნიღბავდა თავისი წევრების კავშირს რევოლუციურ იატაკქვეშეთთან.

სერგოს მამა მუდმივად თამაშობდა დრამატულ წრეში, რომელსაც ხელმძღვანელობდა მაქსიმ გორკის ახლობელი ადამიანი, მსახიობი ვასო არაბიძე. ლამაზი გარეგნობისა და მგზნებარე ტემპერამენტის მქონე ალექსი ზაქარიაძე მთავარ როლებს ასრულებდა ეროვნულ პიესებში. პატარა სერგო ალტაცებით ადევნებდა თვალს მამის თამაშს, და ამყობდა მისით. მისი დებიუტი კი „სპირიდონ მცირიშვილი“ შედგა, რომელშიც მამამისი ტარიელ მკლავაძის როლს ასრულებდა, სერგო მონაფეების გუნდთან ერთად შემოდიოდა სცენაზე, ყვავილებით და სიმღერით თანაგრძნო-

ბას უცხადებდა შეურაცხყოფილ დესპინას.

თებერვლის რევოლუციის შემდეგ ზაქარიაძის ოჯახი ზესტაფონში გადმოსახლდა. მისი წინაპრები ადრე ლეჩხუმიდან ჩამოსულან და სიმონეთში დასახლებულან. ბაქოს სკოლიდან, სერგო ზესტაფონის რკინიგზის სასწავლებელში გადმოიყვანეს, შემდეგ კი ადგილობრივ გიმნაზიაში ჩარიცხეს.

სერგოს უთეატროდ ცხოვრება ველარ წარმოედგინა — ან უნდა ეთამაშა, ანდა მაყურებელი მაინც ყოფილიყო. მაგრამ ოჯახს უბედურება დაატყდა თავს — გარდაიცვალა სერგოს მამა. ჯერ კიდევ ბაქოში ყოფნისას სპექტაკლის შემდეგ საცეკვაო დივერტისმენტში მონაწილეობის შემდეგ გაცივდა იგი და ისევ გაუხსენა იმ სწეულებამ. სულ ოცდარვა წლის იყო. თანაც იმდენის გამომუშავებაც ვერ მოასწრო, რომ რიგიანი პენსია მაინც დაეტოვებინა დაობლებული ოჯახისათვის. სამშვილიან ქვრივ ქალს, ნათესავების დახმარებით და ქსოვით მოპოვებული გროშებით გაჰქონდა თავი.

ნახევარი საუკუნის შემდეგ, როდესაც სერგო ზაქარიაძე სპექტაკლ „დედის ფიქრებზე“ მუშაობდა, სწორედ ზესტაფონში ყოფნის წლები აქვს გადმოცემული, მისთვის ასე ნაცნობი სიტუაცია.

ალარავის ეპარებოდა ეჭვი, რომ მენშევიკებს დღეები დათვლილი ჰქონდათ. მაგრამ თუ ვინ იყვნენ ბოლშევიკები და როგორი ცხოვრე-

ბა იქნებოდა საბჭოთა ხელისუფლების დროს, ობივაცელს მკაფიოდ ვერ წარმოედგინა, თუმცა მუშები, რომელთაც იცოდნენ, რომ რუსეთში სოციალისტური რევოლუცია მოხდა, ოქტომბრის იდეებს პროპაგანდას უწევდნენ.

ზესტაფონში ჩავიდა საქართველოს განათლების სახალხო კომისარიატის ხელოვნების სამმართველოს მიერ მივლინებული ვასო არაბიძე. მისი ხელმძღვანელობით წარმოადგინეს პროფესიული სპექტაკლები, თბილისელი მსახიობების მონაწილეობით, რომლებიც საზაფხულო სეზონის დროს მარკებზე მუშაობდნენ. აქვე მუშაობდნენ უშანგი ჩხეიძე, შალვა ლამბაშიძე, დოდო ანთაძე, ცაცა ამირეჯიბი, მარო მდივანი, შალვა ხონელი.

ობოლი ბიჭის გაჭირვებას კი ისიც დაემატა, რომ თეატრში ველარ დადიოდა ხელმოკლეობის გამო. დიდი ხვენის შემდეგ ძლივს დაიყოლია დედა, რომელმაც თხოვნით მიმართა არაბიძეს მამამისი თქვენ დრამატულ წრეში თამაშობდა, თქვენი კოლეგა იყო, დარდს ნუ ჩააყოლებთ სამარეში, მზრუნველობა გაუწიეთ მის დაობლებულ შვილსო.

ამის შემდეგ სერგოს არა მარტო სპექტაკლებზე დასწრება შეეძლო, სკოლიდან მთელ თავისუფალ დროს კულისებში ატარებდა. სასკოლო სპექტაკლებში წარმატებებმა, არაბიძესთან ნაცნობობამ და, რასაკვირველია, კულისებში „ტრიალმა“ შედეგი გამოიღო, სერგოს



მისცეს ერთ-ერთი გმირის როლი სპექტაკლ „სინათლეში“.

— „თბილისის დრამატული სტუდია რეჟისორ ა. ფალავას ხელმძღვანელობით აცხადებს მიღებას...“ რა ვქნა? ვის არ დაბადებია ასეთი საბედისწერო კითხვა, გზაჯვარედინზე დგომისას. სწორედ ეს განცხადება გახდა სერგოს თბილისში ჩუმად გაპარვის მიზეზი, რადგან დედას არ უნდოდა მისი გაშვება. 1822 წლის აგვისტოში ჩამოვიდა სერგო დედაქალაქში. იმავე ზაფხულს მოსკოვიდან სამშობლოში დაბრუნდა სახელგანთქმული კოტე მარჯანიშვილი. იგი მაშინ უკვე ორმოცდაათი წლის იყო, სერგო კი თავის წლოვანებას მალავდა და თუმცა თოთხმეტისაც არ იყო, ჩვიდმეტის ვარო სტუდიაში განაცხადა. აკაკი ფალავას დრამატული სტუდიის მისაღებ გამოცდაზე მან წარმოადგინა სცენა „გადაჭრილი მუხიდან“, მაგრამ წლოვანების გამო ვერა და ვერ ხერხდებოდა მისი ჩარიცხვა. მეგობარი მსახიობები დაეხმარნენ და ბოლოს და ბოლოს „მეცა ეს მონაშობა სერგო ზაქარიასძეს მასზედ, რომ იგი ნამდვილად ირიცხება...“

სტუდიაში სერგო კარგად მიიღეს. მართალია, პატარა იყო და არავინ ემეგობრებოდა, მაგრამ პირველ ხმას კარგად ამბობდა გუნდში და ეს ძალიან მოსწონდათ. დედაც შეურიგდა შვილის გადაწყვეტილებას და მისი თბილისში ჩამოსვლის შემდეგ სერგოს ცხოვრება ნორმალურ კლასპოტში ჩადგა. ბინა რომ უშოვა, მერე მე-14 შრომის სკოლაშიც მოაწყო. ასე რომ, დღისით ის საერთო-საგანმანათლებლო საგნებს სწავლობდა, საღამოს კი სტუდიაში დადიოდა. მაგრამ ერთი ეპიზოდის შემდეგ სერგომ სტუდია დატოვა: პლასტიკის გაკვეთილის დაწყებამდე სტუდიელები გარს შემოერტყნენ მასწავლებელ ქალ ჟღენტს, რომელიც აღტაცებით ლაპარაკობდა მცირე თეატრზე. იმ მომენტში, როდესაც სერგო მათთან მივიდა, მასწავლებელმა წარმოთქვა სერგოსთვის საბედისწერო ფრაზა: „ჭიქა წყალი!“ — „ჭიქა წყალზე“ უფრო დიდი სიამოვნება რა უნდა იყოს?“ ზრდილობიანმა ყმაწვილმა ეს რომ გაიგონა, იფიქრა მასწავლებელს წყალი სწყურიაო. გაიქცა ავზისაკენ, ავსო დიდი ჭიქა და იმ დროს შემოუტანა წყალი, როცა იგი (მასწავლებელი) გაცხარებით ეკამათებოდა ერთ-ერთ სტუდიელს, რომელსაც არ მოსწონებოდა ეს სპექტაკლი.



კადრები ფილმიდან „ჯარისკაცის მამა“

გაცეცხლებულმა და დამეთანხმებით ზედმეტად „ტიმპერამენტურმა“ პედაგოგმა იმ მომენტში წყლის მიწოდება (ალბათ, დაკომპლექსებულიმაც) შეურაცხყოფად მიიღო და დაბნეულ ბიჭუნას ლანძღვა დაუნყო, „მეტიჩარა“ მონაფეს თანაც რატომღაც რუსულად ელაპარაკებოდა. სერგო ძალიან დაიბნა, მაგრამ მაინც ვერაფერს მიხვდა. „არ გნებავთ და ნუ გნებავთ“, — ჩაიბურტყუნა და უკანვე წაიღო ტოლჩია. კლასში დაბრუნება აღარ მოუწია. გარეთ გამოაბრძანეს. სერგო გაჯიუტდა, კლასი მასწავლებელს მიემხრო, მით უმეტეს, რომ სერგო თავისი წლოვანების გამო თანაკურ-

სელებთან ვერ მეგობრობდა. საქმე იქამდე მივიდა, რომ გაუნონასწორებელმა პედაგოგ ქალბატონმა ჟღენტმა ტირილი მორთო: „მაშინ მე წავალ!“... სერგო ადგილიდან წამოვარდა და გაიქცა...

1923 წელს იგი სტუდიიდან წავიდა და ზესტაფონში გაემგზავრა სკოლის დასამთავრებლად.

ორი წლის შემდეგ თბილისში რომ დაბრუნდა, სერგო ფილოლოგიის ფაკულტეტზე შევიდა უნივერსიტეტში და იმავდროულად თანამშრომლობა დაიწყო რუსთაველის სახელობის თეატრში — სტატისტიად.

იმ დროისათვის რუსთაველის თეატრში ჩამოყალიბდა ორი მამოძრავებელი ცენტრი, ორი ფიგურა, რომელიც დაუპირისპირდა ერთმანეთს და მათ გარშემო დაჯგუფდნენ თანამოაზრენი, რომლებიც სხვადასხვაგვარად აფასებდნენ ესთეტიკურ შეხედულებებს ხელოვნების ბუნებაზე და ხელოვნების საშუალებით ცხოვრების ასახვის ხერხებზე. პირველი მათგანი გახლდათ კოტე მარჯანიშვილი, მეორე — სანდრო ახმეტელი.

მარჯანიშვილი აღჭურვილი იყო თავისი დროის მონიხავე თეატრის დიდი გამოცდილებით, მას კარგად იცნობდნენ როგორც საბჭოთა კავშირში, ისე საზღვარგარეთ; სცენის რეფორმატორის, გორკის დრამატურგიის პოპულარიზატორის და ღრმა ინტერპრეტატორის სახელი ჰქონდა მოპოვებული, დაბოლოს მის აქტივში ჩაწერილი იყო ისეთი ბრწყინვალე დადგმები, როგორიც





იყო „ფუნტი ოვებუნა“, „მზის დაბნელება საქართველოში“, „ჰამლეტი“ (რომელიც 1925 წელს დადგა, მთავარ როლში უშანგი ჩხეიძის მონაწილეობით). ეს ხომ ისეთი სპექტაკლები იყო, რომელთაც საფუძველი ჩაუყარეს ახალ ქართულ თეატრს (ჩვენ კი მხოლოდ იმიტომ შევჩერდით თეატრის ამბებზე, რომ მკითხველს შეეძინას შთაბეჭდილება ვითარებაზე, რომელშიც მოხვდა სერგო ზაქარიძე, გვეჩვენებინა ატმოსფერო, რომელიც გავლენას ახდენს მსახიობის ნიჭის ფორმირებაზე).

ახმეტელს ჯერ კიდევ მცირედი მონაპოვარი ჰქონდა. განათლებით იურისტი გახლდათ, მაგრამ სტუდენტობის დროსვე გამოიმუშავდა მისი დიდი ინტერესი თეატრისადმი. 1920 წელს დადგმული ს. შანშიაშვილის „ბერტო — ზმანიით“ მან პირველად გამოიჩინა თავი როგორც რეჟისორმა. რუსთაველის თეატრში მარჯანიშვილთან ერთად, ახმეტელმა დადგა ო. უაილდის „სალომეა“, მარჯანიშვილთან ერთად მუშაობდა ჯ. სინგის „გმირზე“, „ჰერეთის გმირებზე“, შექსპირის „ვინძორელ მხიარულ ქალებზე“, ნ. აზიანის „დეზერტირკაზე“ და ა.შ.

ახმეტელმა მარჯანიშვილთან ერთად დაიწყო, აგრეთვე, მუშაობა „ლაშარაზე“, მაგრამ კოტეს ავადმყოფობის გამო მარტო მოუხდა სპექტაკლის დამთავრება. მარჯანიშვილმა არ ჩაიბარა ეს ნამუშევარი და მკაცრად გააკრიტიკა იგი. ამ სპექტაკლმა წერტილი დაუსვა უთანხმოებას მარჯანიშვილსა და

მსახიობთა იმ ჯგუფს შორის, რომელსაც ახმეტელი მეთაურობდა 1924 წელს თეატრში შექმნილ ახალგაზრდა კორპორაცია „დურუჯში“.

ზაქარიძე რუსთაველის თეატრში ახალი მოსული იყო (მარჯანიშვილის ნასვლის შემდეგ, თეატრის მხატვრულ ხელმძღვანელად სანდრო ახმეტელი დაინიშნა). მარჯანიშვილი რომ წავიდა, ამიტომ მისი პირველი ნაბიჯები სცენაზე დაკავშირებულია ახმეტელის სახელთან. მიმდინარე რეპერტუარში სერგო მასობრივ სცენებში მონაწილეობდა. როდესაც ახმეტელი შიუკაშვილის „ამერიკელ ძიას“ დგამდა, მესამე „მოქიფის“ როლში ახალგაზრდა თანამშრომელი აიყვანა, რომელსაც უკვე იცნობდა ერთი, ასე ვთქვათ, საყოფაცხოვრებო თავგადასავლით.

„თავგადასავალი“ კი ასეთი იყო. ზაქარიძემ ვერა და ვერ იშოვნა საცხოვრებელი ბინა. ჯერ იყო და მასობრივ სცენაში მასთან ერთად მონაწილე სამ ამხანაგთან ერთად ერთი პატარა ოთახი იქირავა, მაგრამ ქირის გადახდა გაუჭირდა და ისევ საძებარი გაუხდა თავშესაფარი. ბოლოს ზესტაფონელ სტუდენტებს შეეკედლა, მაგრამ არც აქ დაუყვია დიდი ხანი, ვინაიდან კულაბზიკა თავადიშვილების ოჯახმა იუკადრისა „მდაბიო“ მდგმური.

რეპეტიციის დროს, როდესაც ახმეტელი „ძერნავდა“ მასობრივ სცენას, სერგომ, სიცხიანმა დავალება სწორად ვერ შეასრულა და ამის გამო კარგადაც გაიღანძლა. მაგრამ შესვენებისას ახმეტელს უამბეს მი-

სი „თავგადასავალი“ და ავადმყოფობის ამბავი. სანდრომ მაშინვე განკარგულება გასცა, გამოეძებნათ ოთახი, მოეწყობათ საცხოვრებლად, სერგო კი დაეპურებინათ და ცხელი ჩაით მოესულიერებინათ. სეზონის ბოლომდე ეს ოთახი მისი თავშესაფარი გახდა.

ჯონ რიდის ნიგნის „ათი დღე, რომელთაც შეძრეს ქვეყნიერება“ მიხედვით მიშა ლორთქიფანიძის მიერ გაკეთებულ ინსცენირებაში ზაქარიძემ ერთდროულად ხუთი „როლი“ მიიღო. ერთ-ერთ მათგანს ორად ორი სიტყვა ჰქონდა შეკითხვაზე: „რაო, მოკლეს იგი?“ სერგოს უნდა ეპასუხა: „დიახ, მოკლეს...“ ეს ორი სიტყვა ისეთი ინტონაციით წარმოთქვა ზაქარიძემ, რომ რეჟისორმა მაშინვე შეიმუშავა მთელი პროცენიუმის გავლით მოძრაობის სცენა. მაგრამ ვერც ახმეტელის კეთილმა განწყობილებამ დააოკა სერგოს ლტოლვა სხვა ახალი ფორმებისადმი, ამიტომ როდესაც მარჯანიშვილმა ქუთაისში თეატრის დაარსება გადაწყვიტა, მასთან გადასასვლელად რუსთაველის თეატრიდან აიკრიბნენ უშანგი ჩხეიძე, სანდრო ჟორჟოლიანი, თამარ ჭავჭავაძე და სხვ.

ზაქარიძე დიდხანს არ ყოფილა მარჯანიშვილთან, მაგრამ ბევრი რამ ისწავლა მისგან. რეჟისორი დაუნდობლად წვრილდა მის მშფოთვარე, დაუოკებელ ხასიათს. მარჯანიშვილს დისციპლინებული ზემოქმედების მთელი „სისტემა“ ჰქონდა: დაუდევართ უგულვებელყოფდა, ჭირვეულებს იცილებდა ანდა ყველაფერს „ჯიბრზე“ უკეთებდა, შემდეგ კი, თუ შეამჩნევდა, რომ მსახიობი შეცდომის გამოსწორებას ცდილობდა, ყოველმხრივ ხელს უწყობდა.

პოლიკარპე კაკაბაძის შესანიშნავ კომედიას „ყვარყვარე თუთაბერი“ ორი თეთრების ოფიცრის როლია. ერთი მათგანი მარჯანიშვილმა ზაქარიძეს მიანდო. მარჯანიშვილი აღიარებდა სტანისლავსკის პრინციპს: „პატარა როლები არ არსებობს, არსებობენ პატარა მსახიობები“. როდესაც შეატყობინა, რომ ამ სპექტაკლში ერთ-ერთ ოფიცერს წვერი უნდა ჰქონოდა, სერგო მაშინვე შეეხვეწა: „თუ შეიძლება მე უწვეროდ ვიქნები“... მარჯანიშვილი დაფიქრებით მიაჩერდა და რეჟისორის თანამემნეს უთხრა: „ზაქარიძეს წვერი ექნება“.



კადრი ფილმიდან „ჯარისკაცის მამა“



სერგო ზაქარიაძე და რეზო ჩხეიძე ფილმის გადაღებისას

**დადგება ღრო და
სახელოვანი სარდალი,
მარტალი ა. როდინსკი
ბერლინის იარაღის ანგის
თხრობით გატაცებული,
„მონედი მოიყვანს“
სახელოვან მსახიობს
სერგო ზაქარიაძეს:
„თქვენ ხომ გახსოვთ,
სერგო ალექსანდროვიჩ,
როგორ შევიჭარბეთ
ფრიდრიხშტრასსაზე და
თქვენ, როგორც იქნა,
იკოვით შვილი, ვაგრაჰ,
ვაგრაჰ, რომ გვიანა“.**

სიბრზისაგან ზაქარიაძე უზარ-
მაზარ წვერს იკეთებდა და ოფლში
იღვრებოდა ცხელ ამინდში ნათამა-
შევ ყველა სპექტაკლზე. ზაფხულის
სეზონის ბოლოს ერთ-ერთ წარ-
მოდგენაზე, როდესაც სერგო სცე-
ნიდან გადიოდა, კულისებში მყოფ-
მა მარჯანიშვილმა ხელი ჩაავლო,
თვითონვე მოაძრო წვერი და უთხ-
რა: „გეყოფა და დაიხსომე: ცხვირს
ნუ ჩრი იქ, სადაც შენი საქმე არაა“.

სერგო ზაქარიაძე ცხოვრებაში
ყურადღებიანი და ფაქიზი კაცი იყო,
ტაქტიანი, უკიდურესად თავმდაბა-
ლი. სცენაზე კი ხშირად მოუთმენე-
ლი და ფიცხი სხვების მიმართ.

„მასკარადის“ დასადგმელად
მოიწვიეს მაშინ ახალგაზრდა რეჟი-
სორი გიორგი ტოვსტონოგოვი, რო-
მელმაც მანამდე გრიბოედოვის თე-
ატრში საინტერესოდ დადგა ნ. პო-
გოდინის „კრემლის კურანტები“,
ნაიდენოვის „ვანიუშინის შვილები“
და სახელი მოიხვეჭა თავის კურს-
ზე „მდაბიონის“ დადგმით თბილი-
სის თეატრალურ ინსტიტუტში.

გიორგი ტოვსტონოგოვის მიერ
წარმოდგენილი რეჟისორული ექს-
პლიკაცია უჩვეულოდ საინტერესო,
ახლებური და თავისებური იყო.
იგი შეიძლება საფუძვლად დასდე-
ბოდა სპექტაკლს, რომელიც გადა-
იქცეოდა საკავშირო სცენის მიღწე-
ვად. სამწუხაროდ, როგორც ეს თე-
ატრში ხდება ხოლმე, აღფრთოვა-
ნებით მიღებულმა სადადგმო გეგ-
მამ ვერ გაუძლო მთავარი როლის
გამო გამართულ ბრძოლას. ტოვს-
ტონოგოვი დაჟინებით მოითხოვდა
ს. ზაქარიაძეს, მაგრამ სამხატვრო
საბჭოს ზოგიერთი გავლენიანი წევ-
რის მოთხოვნის შემდეგ ზაქარია-

ძის კანდიდატურა უარყოფილ იქნა.
ტოვსტონოგოვმა ჯერ უარი თქვა
სხვა შემსრულებელზე, ხოლო შემ-
დეგ — საერთოდ დადგმაზე.

„მასკარადი“ სხვა რეჟისორმა დად-
გა. არბენინის როლი ითამაშა სახელ-
განთქმულმა ვასო გოძიაშვილმა.
მაგრამ მალე თეატრის ხელმძღვანე-
ლობამ გადაწყვიტა ს. ზაქარიაძის
შეყვანა სპექტაკლში. მას გაუჭირდა
ერთმანეთისათვის შეეთავსებინა ის,
რაც მოსწონდა გ. ტოვსტონოგოვს
და რაც მის პირად შეგრძნებებს ემ-
თხვეოდა, თანაც ახალი დამდგმელის
ინტერპრეტაციით. მან ითამაშა არ-
ბენინი საკმაოდ საინტერესოდ.

**სერგო ზაქარიაძის მიერ
შეჟენილ თანაპედროვ
გვირთა ვაგრაჰს ხსნის
ფოსტალიონი გიორგი. ეს
გვირგაზი თითქოს
ამზადდებოდა საფუძვლად
მისი „მთავარი
როლისთვის“ —
ჯარისკაცის ვაჟის, გიორგი
მასხარაშვილისათვის.**

ყველა ეს გმირი მოხუცია. თუმცა
ამგვარ როლებზე ცოტა ადრე გა-
დავიდა. 50 წლის იყო, მაგრამ ჯან-
ლონი და სიხალისით იყო სავსე. ის
წვლილი, რაც მის მიერ ნათამაშებ-
მა როლებმა შეიტანეს თეატრისა
და კინემატოგრაფიის ხელოვნება-
ში, სავსებით ამართლებს ამ ადრე-
ულ გადასვლას. როცა ასაკით შენ-
ზე უფროსს თამაშობ, იძულებული
ხარ მოძებნო ის რიტმი, რომელიც
შენში არ არსებობს.

ს. ზაქარიაძე არ ყოფილა ალმო-
დებულ ბერლინში, მას არ უბრძო-
ლია ფრონტებზე და საფრონტო
ბრიგადებშიც კი არ მიუღია მონა-
წილეობა. მარტლის ეს მოგონება
უბრწყინვალესი ნიმუშია ჭეშმარი-
ტი ხელოვნების შემოქმედების,
რომელიც უკიდურესი სიზუსტით
განასხეულებს რეალურ კავშირს
და, ამავე დროს, სიმბოლურ მნიშე-
ნელობას იძენს ხოლმე. სამაგიე-
როდ ომმა მსახიობის გულში გაია-
რა და წარუშლელი კვალი დატოვა
მის მხატვრულ შემეცნებაში, რამ-
დენიმე წლით განსაზღვრა აზრი და
ტონალობა მთელი მისი შემოქმე-
დებითი ცხოვრებისა. ეს რომ ასე
არ ყოფილიყო, განა ომის ოცი წლის
შემდეგ შეიქმნებოდა „ჯარისკაცის
მამა?“

„მე მიყვარს ეს შესანიშნავი ქარ-
თველი მსახიობი, აღფრთოვანებუ-
ლი ვარ მისი ბრწყინვალე ნიჭით.
მაგრამ საქმე მარტო ნიჭში როდია.

მარტო არტისტობაც არაა საკმა-
რისი. შენი ერის სიბრძნის, მისი სა-
უნჯეების შემკრები უნდა იყო, უნ-
და შეგეძლოს მისი საუკეთესო თვი-
სებების ხელოვნებაში გამოხატვა,
საუკუნეთა სიღრმიდან მომდინარე
ტრადიციების დაცვა. ამ აზრით ს.
ზაქარიაძის ხელოვნება ჩემთვის,
რუსი მსახიობისათვის, სანიმუშოა,
ვინაიდან იგი არის პოეტური სიმ-
ბოლო საქართველოსი, ნაციონა-
ლური ხასიათის კონცენტრირებუ-
ლი გამოხატვა. მას ახასიათებს რო-
მანტიკული ზეანეულობა და გულ-
ში ჩამწვდომი ლირიზმი, ხალისია-



ნობა და სიკეთე, ერთი სიტყვით ყველაფერი ის, რითაც ყოველთვის გამოირჩეოდა ქართული ხელოვნების ოსტატთა შემოქმედება. მის მიერ შექმნილი მხატვრული სახეები ეკრანზე და სცენაზე ერთდროულად გამოხატავდნენ სიდიადესა და უბრალოებას, ხოლო ეს თავისმხრივ ხალხის ეროვნული სულის გამოხატულებაა.

...არტისტულ წრეებში ს. ზაქარიადეს იცნობენ როგორც დაუცხრომელ მუშაკს. ვისაც კი ნილად ხვდა ბედნიერება მასთან ერთად მუშაობის, მათ იციან, თუ რა თავდავინყებით და დაუზოგავად შრომობს იგი. მისთვის არ არსებობს სხვა სიხარული, უფრო დიადი, ვიდრე შეცნობა, აღმოჩენა. ამ დაუცხრომელი წყურვილით გათანგული შემოდის იგი სარეჟიტციო ოთახში თუ თეატრის სცენაზე და ამ მუხტს სხვასაც გადასდებს ხოლმე. სწორედ ეს წყურვილი ანიჭებს მას იმ შემოქმედებით და ასაკობრივ სიჭაბუკეს, რაც ასაკს არ ემორჩილება“.

მიხეილ ულიანოვი, საბჭოთა კავშირის სახალხო არტისტი, ლენინური პრემიის ლაურეატი:

— მუდამ სხვას ასახიერებდე, და ამავე დროს, არასოდეს უარყო საკუთარი თავი — ასეთია აქტიორული პროფესიის უცილობელი კანონი.

პირველ რიგში, ეს ვლინდება ფსიქოლოგიურ სფეროში, როცა მსახიობს უნარი შესწევს, ისულდგმულოს განსასახიერებელი ადამიანის აზრებით და გრძნობებით. ასეთი ინტონაციისა და ჟესტის შემთხვევაში იქმნება ქცევის, სტილის და რიტმის თავისებურება, რომელიც განასხვავებს ადამიანებს ერთმანეთისაგან. ეს რთულია, მაგრამ მეტნაკლებად ყველა ნიჭიერი მსახიობი სძლევს მას. გაცილებით უფრო ძნელია, ზოგჯერ ლამის შეუძლებელიც, სახისათვის კონკრეტულ ეროვნული თვისებების მინიჭება.

**როდნას ფრანკობა
განიზრახს „ჯარისკაცის
გაიის“ გახმოვანება,
ს. ზაქარიადეს სთხოვს,
თვითონვე წააკითხოს
გიორგი მხარაშვილის
ტექსტი,**



კადრი ფილმიდან „არ დაიდარდო“

**და „დამტვრეული“
ფრანკობით,
„გაქართულაბული“
ფრანკობით ილაპარაკოს,
ოღონდ შეტყუალების
კოლორიტი
არ დაიკარგოსო.**

ისინი მიხვდნენ, რომ „დამტვრეული“ სპეციფიკურად ეროვნული, მკვეთრად აქცენტირებული მეტყველება, მარტო კი არ ამშვენებს მახარაშვილის სახეს, არამედ განუყოფელია მისგან, ეხმიანება მის სულს მის მდგომარეობას, მის ქცევას. უფრო მეტიც, მასში მძლავრად გამოსჭვივის სიძნელეთა გადალახვის ის დაუცხრომელი უნარი, რომელიც ახასიათებს უცნობ სამყაროში მოხვედრილ მოხუც ქართველ გლეხს. თითქოს მხედველობისთვის მიუწვდომელია და უფრო მაყურებლის ინტუიციასაა მიხედობილი იმის აღქმა, რომ ყოველგვარ იმ მძიმე განსაცდელს, რაც გიორგის თავს დაატყდა, ემატება „ქართული აზრების“ რუსულად „გადათარგმნის“ მტანჯველი სიძნელე.

„მე ჩემს თავს წავართვი რუსული ენის ცოდნა, აზრი კი დაფუტოვე, — ამბობს მსახიობი, — ამით მეტყველება უფრო ემოციური გახდა. ეს დაფუძნებული იყო ზუსტ გაანგარიშებაზე, რასაც აქტიორულ საქმეში ტაქტსა და ზომიერებას ეძახიან“ („Вечерний Тбилиси“ 1965, 12 июля). კრიტიკოსი კორაწერეთელი ზუსტ ფორმულირებას იძლევა: „ასეთი გაანგარიშების მსახიობი სიმართლის ნიბოზე გადის, რომ-

ლის ორივე მხარეს სიყალბის უფსკრულია. საკმარისია სულ მცირე შეცდომაც კი, და ყოველივე ამაოდ ჩაივლის“.

„Мой отец воевал, его отец воевал, его, его, его отец воевал...“

„იგი არასოდეს არ ზოგავს თავის ნიჭს, ძალებს, ერთნაირი გატაცებით თამაშობს როგორც პატარა, ეპიზოდურ, ასევე მთავარ, ცენტრალურ როლებს და ეს დიდი შემოქმედი არასოდეს არ ფიქრობს იმაზე, თუ რა „ზომისაა“ მისი როლი. თვით იგი, თავისი შემოქმედებითი ალღოთი „ზრდის“ როლს, დიდ მნიშვნელობას ანიჭებს იმას, თუ რა ადგილი უჭირავს მის გმირს კონფლიქტში, ბარიკადების რომელ მხარეზე იბრძვის იგი“.

ნადეჟდა შალუტაშვილი, ხელოვნებათმცოდნეობის დოქტორი, თეატრმცოდნე:

სერგო ზაქარიადის შემოქმედებითი შესაძლებლობანი მართლაც რომ არ იყო ამონურული, დაგვარწმუნა მომდევნო ორმა როლმა, რომლებიც მან 1969-1970 წლებში შეასრულა. ბეკინა განასახიერა „სამანიშვილის დედინაცვალში“, რომელიც „საკუთარ“ თეატრში დაიდგა (სწორედ მაშინ სერგო ზაქარიადე დაინიშნა რუსთაველის სახელობის თეატრის დირექტორად და მხატვრულ ხელმძღვანელად), ხოლო მეორე როლი ლევანი — ფილმ „არ დაიდარდოში“, რომელიც მოსფილმში დაიდგა.

ტრაგიკომედია იშვიათი და მერყევი ჟანრია, რომელიც ხასიათს იცვლის ამა თუ იმ ეპოქის კვალობაზე.

აქაც ზაქარიადემ შეძლო ინტუიციური ბალანსირება ტრაგედიის და კომედიის საზღვარზე, ვინაიდან პერსონაჟის ტრაგიკომიკური ბედნილობის არსი მდგომარეობს არა სიხარულის და მწუხარების სიუჟეტით განსაზღვრულ თანმიმდევრულობაში, არამედ ამ ორი განცდის ურთიერთ გადახლართვაში.

ხელოვნების ყოველი ოსტატი, რომელსაც კრიტიკოსები და ჟურნალისტები აიძულებენ (სწორედ რომ აიძულებენ) „გამაჟღავნოს თავისი შემოქმედებითი ლაბორატორიის საიდუმლოებანი“, მიმართავს ანალოგიებს, ასოციაციებს, შედარებებს და პარალელებს, რაც მხოლოდ მიახლოებით ასახავს მხატვრულ სახეზე მუშაობის ეტაპებს. ასე აიძულებს ს. ზაქარიადემ თავისი შემოქმედებითი ლაბორატორიის კარი გაეღო მაცურებლისათვის.

„რაკი ეგრეა, — გაიღიმა მან, — შევეცდები, მაგრამ წარმატების იმედი კი არა მაქვს. მე უდიდეს მნიშვნელობას ვაძლევ პირველ ნაკითხვას. ამიტომ ვიქმნი სრული განმარტოების გარემოს. პოეტი მთავაზობს თავის ლექსს, წაგიკითხავთო... არაა საჭირო! მომეცით აქ! ვინახავ. მივდივარ შინ. სიამოვნების მოლოდინი მიპყრობს, ყოველივეს ვაკეთებ, რათა სრულიად თავისუფალი ვიყო, ვიქმნი გარემო პირობებს... და მხოლოდ შემდეგ ვკითხულობ. ეს საქმის ორმოცდაათი პროცენტია.“

სრულიად სხვა საქმეა პიესის ნა-

კითხვა დასში. აქ განმარტოებაზე ლაპარაკიც ზედმეტია. მაგრამ მე მანცვიფრებს და მამრახებს მსმენელთა უმრავლესობის უყურადღებობა, არა და ისინი ხვალ-ზეგ ხომ თვითონვე უნდა ჩაერთონ ამ პიესაში და იქნებ იგი სწორედ ის სპექტაკლი იყოს, რომელზედაც დამოკიდებულია მსმენელის მომავალი, უფრო მეტიც, თეატრის მომავალიც და, ვინ იცის, საშინლად მიჭირს ამის თქმა, ეგებ მთელი თეატრალური ხელოვნებისაც.

მე ისეთი ყურადღებით ვუსმენ ხოლმე, რომ სულ უფრო და უფრო ახლოს მივიწევ ნამკითხველისაკენ! კითხვისდა კვალობაზე ჩემ თვალწინ ისახება ყველა მოქმედი პირი, მამაკაცი თუ ქალი, დიდი თუ პატარა როლები, თითქოსდა მართლაც ვხედავდე მათ, მათ დამახასიათებელ ნიშნებს. ერთისას თვალებს წარმოვიდგენ, მეორისას — სათვალეს, მესამისას — შესტიკულაციას...

ორი-სამი დღის შემდეგ ვკითხულობ როლების განაწილებას. როდესაც ჩემთვის გათვალისწინებულ როლს ამოვიკითხავ, ჰოი საშინელებაც, ვგრძნობ რომ ეს სახე, რომელიც გუშინ პიესის კითხვისას, ყველა წვრილმანიტაც კი თვალწინ მედგა, ანაზღადა გაქრა, აორთქლდა, სრულიად ვეღარ ვხედავ მას და აი ამ დროს შიში მიპყრობს: მე ვერ ვხედავ მას, მე ვერ შევძლებ მის განსახიერებას, გამოირკვევა, რომ

ყოველად უვარგისი მსახიობი ვარ... რა ვქნა? როგორ მოვიქცე?!“

ამ ნუთიდან, სპორტული ენით რომ ვთქვა, ვინცებ ტრენაჟს, შემოქმედებით ტრენირებას სახეში „შეჭრისათვის“, პირველ რიგში, ვცდილობ აღვიდგინო პირვანდელი „ხილვები“, შემდეგ კი „ხორცი“ შევასხა ამ ჩონჩხს.

ეს იმ გადასასტომ თამასას კვავს, რომელიც სულ უფრო და უფრო ზავით უნდა ავნიო. ვკითხულობ, ვსწავლობ, სადაც კი რაიმე საინტერესოს ნაპაწევადი, ვიღაც, ვიწოვავ, ვინუნავ, ვინონავ, ერთი სიტყვით, თამასას სულ უფრო და უფრო გაღლა ვწევ. ვაი, რომ ზოგჯერ ვერ გადასტავი მას, ფხს ნაშოქრავ და ჩამოაგვავ.

მაგრამ ხომ გაქვს უფლება, სამჯერ სცადო — ნუ დაიბნევი, უკან დაიხიე, გამოქანდი, გადახტი — სცადე, სცადე, სცადე! ნუ შეშინდები. პენალტის დამრტყმელ ფეხბურთელს (ვიხსენებ თბილისის მშობლიური „დინამოს“ და ამ გუნდში მოთამაშე ჩემს თავს) კარი ერთი ბენო ერვენება, ბურთი — ბევრად დიდი, მეკარე კი — ვეებერთელა, მოდი და შეაგდე, თუ ბიჭი ხარ... მეკარეს კი ჰგონია, რომ უგანიერეს კარში დგას, პენალტის დამრტყმელს უზარმაზარი ფეხი აქვს, ბურთი კი პანანინაა, მოდი და, თუ ბიჭი ხარ, მოიგერიე.

ასე ფეხდაფეხ დამყვება ეს კაცი, რომლადაც უნდა გარდავისახო. სადაც ნავალ, თან დამდევს. შემოქმედებითი ბარგით, საღებავებით სავსე „ჩემოდანივით“, რომელიც მთელი ცხოვრების მანძილზე უნდა ვატარო. ძილშიც კი ეს პერსონაჟები მესიზმრება... ღამით ცოლი მაღვიძებს: „სერგო, სერგო, ვის ელაპარაკები?“ როგორ თუ ვის, — ვეუბნები ძილღვიძილში მყოფი, — გონერილას, ნუ მიშლი, გენაცვალე, ჯერ კიდევ ყველაფერი არ მითქვამს უმადური ქალიშვილისათვის...”

მანანა ჟვანია



კადრი ფილმიდან „არ დაიღარლო“

მ

მამუკა გიორგაძე:

საქართველოში მიმდინარე კამპანია იმ ჯაჭვის მხრივ რბოლია, როგორც ბოლოს ანტიქრისტეს მისაღებად მოეზაღება ნარმოადგენს

ბოლო პერიოდში საზოგადოების ნაწილი საქართველოს საპატრიარქოსა და უშუალოდ პატრიარქ ილია მეორეს აქტიურად აკრიტიკებს. გავრცელდა არაერთი მიმართვა, რომელშიც, ძირითადად, ეკლესიის მეთაურების საბჭოთა წარსულზე და რუსეთისადმი კეთილგანწყობაზეა საუბარი. ეს პროცესი ყურადღების მიღმა არც თავად პატრიარქს დარჩენია. მის საშობაო ეპისტოლეში ნათქვამია: „კაცობრიობა ახალი ტიპის დაპირისპირებაზე — ინფორმაციულ ომზე გადავიდა, რომელიც ძირითადად მასმედიის საშუალებით ხორციელდება. ამკარაა, რომ ჩვენს წინააღმდეგ სხვადასხვა მიმართულებით მიმდინარეობს ინფორმაციული ომი და ამ ყოველივეს შესაბამისი საშუალებებით უნდა გაეცეს პასუხი“. თუმცა ამ თემაზე დისკუსიების წარმართვისგან საპატრიარქოს ოფიციალური წარმომადგენლები ჯერჯერობით თავს იკავებენ. აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით საეკლესიო ჟურნალ „სამრეკლოს“ გამომცემელს, ჟურნალისტ მამუკა გიორგაძეს ვესაუბრეთ.



მამუკა გიორგაძე

— ბატონო მამუკა, ბოლო დროს საზოგადოების ნაწილი საქართველოს საპატრიარქოს აქტიურად აკრიტიკებს. გაცნობთ თუ არა მიმართვას, რომელიც მათ საქართველოს პატრიარქს გაუგზავნეს და როგორ აფასებთ მას?

— დიახ, ჩემთვის ცნობილია ამ დოკუმენტის შესახებ. სხვათაშორის, ის ორნაწილიანია და მისი მეორე ნაწილი პირველის სულისკვეთების გაგრძელებას წარმოადგენს, მხოლოდ კითხვებით უკვე საქართველოს ხელისუფლებას მიმართავენ. პირველ რიგში, ერთ გარემოებაზე მინდა, გავამახვილო ყურადღება: თქვენ ახსენეთ, რომ პატრიარქს ამ კითხვებით „საზოგადოების ნაწილმა“ მიმართა. იგივეს ამბობენ თავად ამ კითხვარის ინიციატორებიც. ერთის მხრივ, ცხადია, რომ ადამიანთა გარკვეული ერთობა, რაოდენობრივად როგორი მცირეც უნდა იყოს იგი, თუნდაც ერთი

ადამიანი, საზოგადოების ნაწილს წარმოადგენს, მაგრამ მეორეს მხრივ, თუ ამ მოვლენის არსში უკეთ გავერკვევით და ყველაფერს ნამდვილ სახელს დავარქმევთ, საკითხის დაფარული მხარის გარკვევა უფრო გაგვიადვილებს და იმასაც შევამჩნევთ, რომ ტერმინი „საზოგადოების ნაწილი“ ამ კითხვარებისთვის განსაკუთრებული წონის მისაცემად იყო გამოყენებული. ამ შემთხვევაში საქმე გვაქვს ადამიანთა გარკვეულ კატეგორიასთან. მათთვის დამახასიათებელია ბრძოლა და დისკრედიტაცია იმ ღირებულებებისა, რომელიც არა მარტო ეროვნული თვალსაზრისით არის ჩვენთვის ძვირფასი და რომელზეც, საუკუნეებია, ჩვენი ერი დგას, როგორც თვითმყოფადი სახისა და ხასიათის მქონე, არამედ ზოგადად ადამიანური თვალსაზრისითაც, რაც ჭეშმარიტ რწმენას გულისხმობს. ყველაფერ ამას ისინი ლიბერალიზ-

მის იდეის დროშის ქვეშ ეწევიან, რასაც ჩვენში დამახინჯებული, ფსევდოლიბერალიზმის სახე აქვს. თავად ამ ორი კითხვარის შესახებ კი ვიტყვოდი, რომ მათი ცალკე, დამოუკიდებელ მოვლენად შეფასება არ იქნება მართებული. აღნიშნული დოკუმენტი იმ ჯაჭვის ერთ-ერთ მცირე რგოლს წარმოადგენს, რომელიც გარკვეული მიზნის მისაღწევად იქსოვება და, ზოგადად, ქართული ან, უფრო სწორად, ეროვნულ-ზნეობრივი ცნობიერების წინააღმდეგაა მიმართული, იმ ცნობიერების წინააღმდეგ, რომელსაც, თავის მხრივ, ფესვი სწორედ მართლმადიდებლურ სარწმუნოებაში აქვს გადგმული. ცხადია, ისმის კითხვები — რატომ? რა მიზნით? შეიძლება, ასეთი პასუხით შემოვიფარგლოთ — „ახალი ტიპის“ ადამიანის ფორმირებისთვის — ჭეშმარიტ რწმენას მოწყვეტილი, ეროვნულიდენტობადაკარგული, გულ-



და გონებადებინდული ადამიანების მისაღებად, რათა ისინი იოლი სამართავი და მოსატყუებელი გახდნენ.

— ვის და რაში სჭირდება ეს?

— თუ ძირის ძირში ჩავყვებით ამ საკითხს, მაშინ პასუხი ასეთი იქნება: იმისთვის, რისთვისაც გარკვეული ძალები სამყაროს ამზადებენ — ანტიქრისტიეს მისაღებად, რომლის ამოსაცნობად აუცილებელი იქნება სულიერი თვალი და გონება. ამას კი, თავის მხრივ, ადამიანებს სწორედ მართლმადიდებელი ეკლესია აძლევს და უნარჩუნებს. წმიდა მამების გადმოცემით, მაცხოვრის მეორედ მოსვლის წინაპირობის ერთ-ერთი გამოკვეთილი ნიშანი საყოველთაო აპოსტასია, ანუ ჭეშმარიტი სარწმუნოებიდან განდგომა. აი, ამ პროცესის გარკვეული გამოვლინებების მონმენი ვხდებით ჩვენ დღეს. მართალია, ის, რაზეც ჩვენ ვსაუბრობთ, საკმაოდ უსუსური მოვლენაა ამ ფონზე, მაგრამ გარკვეული თვალსაზრისით, მაინც მის ერთ-ერთ შემადგენელ ნაწილს წარმოადგენს. აქვე ისიც უნდა ვთქვათ, თუ რა გამხდარა, კითხვარების ავტორთა თქმით, ამ მიმართვების საბაზი. აი, რა წანამძღვარი აქვს პატრიარქის მიმართ გამოთქმულ კითხვებს: „საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის საპატრიარქო ბოლო დროს აქტიურად მონაწილეობს მიმდინარე პოლიტიკურ პროცესებში და აცხადებს, რომ არის ქართული სახელმწიფოებრიობის საფუძველი და ქვეყნის ეროვნული იდენტობის სახე. აქედან გამომდინარე, ჩვენ, მოქალაქეები, მივიჩნევთ, რომ პასუხი უნდა გავცეს საზოგადოებაში არსებულ კითხვებს, რაც ხელს შეუწყობს სახელმწიფოსა და მართლმადიდებელ ეკლესიას შორის ურთიერთობების ცხადად წარმოჩენას.“ ჯერ ერთი, არსად მსმენია, საპატრიარქო ამგვარი ფორმულირების შემცველი განცხადებით გამოსულიყოს. რაც შეეხება იმის ფაქტად გასაღებას, რომ საქართველოს ეკლესიის საპატრიარქო ამ ბოლო დროს აქტიურად მონაწილეობს მიმდინარე პოლიტიკურ პროცესებში, ეს არსებული სინამდვილის დამახინჯებული ინტერპრეტაციაა და, ალბათ, მისი ასე წარმოდგენა რალაც შორსგამიზნულ ამოცანას ემსახურება.

— თქვენ „შორსგამიზნული ამოცანა“ ახსენეთ... რა გაქვთ მხედველობაში?

— მხედველობაში მაქვს ის, რომ ეკლესიასა და სახელმწიფოს შორის არსებობს საკონსტიტუციო შეთანხმება, რომელიც შევარდნაძის დროს გაფორმდა და რომლითაც ეკლესიისა და სახელმწიფოს უფლება-მოვალეობები გამიჯნულია. ალბათ, მიმართვის ავტორებს საზოგადოებაში ისეთი შთაბეჭდილების შექმნა სურთ, რომ ეკლესია ამ შეთანხმებას არღვევს, სახელმწიფოს პოლიტიკურ ცხოვრებაში იჭრება, და საერთოდ, მათ მიზანსწრაფვაში ამკარად გამოსჭვივის იმის სურვილი, რომ ამ შეთანხმების არსებობის მიზანშეწონილობა გადაიხედოს. სხვათაშორის, უნდა ითქვას, რომ აღნიშნული საკონსტიტუციო შეთანხმება რატომღაც ძალიან ეჩხირებათ ყელში და მის წინააღმდეგ მიმართული სხვადასხვა ტიპის მოქმედებები თავს ადრეც ავლენდა. აღნიშნული სულისკვეთება კარგად ჩანს ხელისუფლებისადმი გაგზავნილ კითხვარში, სადაც აქტუალურია „სეკულარიზმის“ თემა. „საქართველოს სახელმწიფოსა და მართლმადიდებელ ეკლესიას შორის ურთიერთობა წინააღმდეგობაში მოდის სეკულარული სახელმწიფოს ძირეულ პრინციპებთან“, — ნათქვამია მიმართვაში. როგორც ჩანს, კითხვართა შემოქმედებითი ჯგუფი ამის გამო შემოფოთებულია. ძალიან საინტერესოა, რომ ხელისუფლების სხვა საქმეები მათ შემოფოთებას არ იწვევს. რაც შეეხება თავად სეკულარულ სახელმწიფოს... ვინ დაადგინა ნეტავ, რომ საქართველო სეკულარული სახელმწიფოა უკვე?! ან ვინ გამოიკვლია, რომ ჩვენს ერს ასეთი სახელმწიფო უნდა?! სად გამოიკითხეს?! თუ მათ იდეოლოგიურ პატრონებს ასე სურთ, ეს არის საკმარისი, რომ ასე იყოს?! მაგრამ აქ სხვა რამესთან გვაქვს საქმე: ამ მეთოდით, ალბათ, ცდილობენ, საზოგადოების ცნობიერებაში ეს აზრი დაამკვიდრონ. ამასთან, ტერმინი „სეკულარიზმი“, ძალიან მოკლედ რომ ვთქვათ, საზოგადოების ეკლესიის სასულიერო გავლენისგან გათავისუფლებას ნიშნავს. არსობრივად კი ეს არის სულიერებაგამოცლილი საზოგადოება, სადაც ცრუ თავისუფლების ლოზუნგით უკვე

ადვილია ღირებულებების აღრევა, ცოდვის არსის მიჩქმალვა და მისი ნორმად წარმოჩენა. არის კიდევ ერთი საკითხი, რომელიც ამ კითხვარის ხასიათთან დაკავშირებით გამოამკარავდა, როგორც გარკვეული მეთოდი: ეს არის სიცრუისა და რალაც არსებული ფაქტის კომპილაციით შექმნილი ცრუფაქტი და მერე ბრალდებად მისი მოხერხებულად გამოყენება, უფრო სწორად, კომპრომეტაციისთვის. სიცრუე თავისი ბუნებით ისეთი რამ არის, რომ ჭეშმარიტებასთან მისი შერევა ცი თავად ჭეშმარიტებას აქცევს სიცრუედ. ნახევრადსიმართლე — ეს არის ყველაზე მაცდური და მხამიანი ჰიბრიდი, ვინაიდან ძალიან ადვილია მისით საქმეში კარგად ჩაუხედავი ადამიანის ცნობიერების და აზროვნების მონამლვა. ამ მეთოდს უხსოვარ დროში აქვს გადამული ფესვი. მას ძველი დროიდანვე იყენებდნენ სპეცსამსახურები და მათ შორის საკმაოდ წარმატებით საბჭოთა სუკ-იც, ამ ხალხმა კი ვისგან გადმოიღო და აითვისა იგი, ვერ გეტყვით. ამ საკითხს იმიტომ შევეხე, რომ პატრიარქისადმი მიმართულ კითხვებში ფიგურირებს ყოფილი მღვდელმთავრის, გაიოზ კერატიშვილის დაპატიმრებისა და ამ ფაქტის უშუალოდ პატრიარქის კომპრომეტაციისთვის გამოყენების თემა. საქმე ის არის, რომ მიმართვის გამოქვეყნების შემდეგ გაიოზ კერატიშვილმა ერთ-ერთ გაზეთს ვრცელი ინტერვიუ მისცა და იქ ცხადად წარმოჩნდა, რომ სულაც არ არის საქმე ისე, როგორც ეს კითხვების შემოქმედთ სურდათ, წარმოეჩინათ. უბრალოდ, საქმეში ჩაუხედავ, მაგრამ გონიერ ადამიანს ამის შედეგ ნამდვილად შეექმნება იმის განწყობა, რომ, თუ ერთგან ასეთ სიცრუეს სთავაზობენ, მათი ბრალდებების სისწორეს აღარც დანარჩენში ენდოს.

— ბოლო დროს ხშირად საუბრობენ ეკლესიასთან ბრძოლაზე, მიმართვის ავტორები კი ამბობენ, რომ ეს არის ბრძოლა ეკლესიისთვის და არა — მის წინააღმდეგ. თქვენ როგორ ფიქრობთ, რა მოვლენასთან გვაქვს საქმე და რა შედეგის მომტანი იქნება მთელი ეს პროცესი საზოგადოებისთვის?

— მოდი თქვენი კითხვის იმ ნაწილიდან დავიწყოთ, თუ რა მოვლენასთან გვაქვს საქმე ზოგადად და

კონკრეტულად — ჩვენთან. ეს არის უფრცვლესი და უმნიშვნელოვანესი თემა და, ცხადია, ყველაფრის აქ გავრცობა შეუძლებელია. ძალიან მოკლედ კი ის შემიძლია, ვთქვა, რომ გრძელდება უხსოვარი დროიდან დაწყებული პროცესი, რასაც ბოროტის, ღმერთისა და მისი უდიადესი ქმნილების — ადამიანის წინააღმდეგ ბრძოლა ჰქვია. თანამედროვე სამყაროში ამ ბრძოლის მეტოდებმა განსაკუთრებული დახვეწილობა შეიძინა. თანამედროვე სამყაროს „დროის სულს“ ერთ-ერთი მართლმადიდებელი მამა ასე ახასიათებს: „ჩვენს პლანეტაზე მრავალი ღვთაება გაუღმერთებიათ, მაგრამ კაცობრიობის ისტორიაში ჯერაც არ არსებულა ისეთი უღმობელი და ჭეშმარიტებას დაცვილებული, უზნეო და დაცემული ღვთაება, როგორცაა „დროის სული“. თანამედროვე სამყარო მასში თავისი ყველა სწეულება, ყველა ვნება და ცოდვა, ყოველგვარი დანაშაულობანი განათავსა და ამ კერპის ყველაზე წარმართი კერპთმსახური გახდა“. მაგრამ აქვე ისიც უნდა დავძინოთ, რომ არსებობს ამ უკუღმართობის მამხილებელი ძალაც — განკაცებული ღმერთი. ამიტომ ქრისტე და მისი ეკლესიაა ის ბარიერი, რომელიც „დროის სულის“ მიმდევრებს ამხელს და ხელს უშლის, ამიტომაცაა მის წინააღმდეგ გააფთრებული ბრძოლა გაჩაღებული. იგივე ხდება ჩვენთანაც. ჩვენ, თანამედროვე ქართველებმა, კარგად უნდა გავაცნობიეროთ, რა ხდება ჩვენს ირგვლივ და, რაც მთავარია, თავად ჩვენს შიგნით: რალაც არანორმალურ მდგომარეობაში ვართ ჩაცვენილები — ამგვარი უზნეო, უხამსი, არაბუნებრივი მოვლენები ქართველ კაცს ასე მისაღებად და ნორმად არასდროს მიუჩნევიან. არსებობს ხალხი, ვინც ამ ყველაფრის დამკვიდრებას შეგნებულად უწყობს ხელს: ზოგი — მატერიალური გამორჩენისთვის, ზოგი — სნობიზმით, რომ გარკვეულ ადამიანთა წრის მარაქაში გარეულად ჩაითვალოს, მისი აზრით, პროგრესული იდეების მქონენი რომ არიან და ა.შ. სხვათაშორის, თუთბერიძის უხამსობებით პოპულარობამოპოვებულ საიტზე ერთ ჯგუფს ნაჰანყედი სახელწოდებით „ძირს ეროვნულობა, მე ვარ მსოფლიოს მოქალაქე!“ — აი, თანამედროვეობის

პროგრესულობის ერთ-ერთი გამოვლინება. იმის საღად გააზრება, რაც ამ მხრივ ჩვენთან ხდება, უნდა დაგვეხმაროს გამოფხიზლებაში და სწორი ორიენტირების შერჩევაში. ჩვენ ყველანი, განსაკუთრებით მსგავს კაპმანიებში ჩართული ახალგაზრდები, უნდა დავფიქრდეთ, რომ ის, რასაც ისინი „ნორმალურ ცხოვრებას“, „მონიავე იდეებს“, „პროგრესს“ და „ლიბერალიზმს“ (რაც სინამდვილეში ფსევდოლიბერალიზმია) უწოდებენ, სინამდვილეში სამუდამო წყვედიადისკენ მიმავალი გზაა. მართლმადიდებელი ეკლესია, რომელსაც არსებობის მანძილზე ადამიანთა გამოფხიზლებისა და გადარჩენის უცვლელი მისია აკისრია, უმთავრესი წინააღმდეგობაა ბოროტი მიზნების განხორციელების გზაზე და ეკლესიის წინააღმდეგ ბრძოლაც სწორედ აქედან გამომდინარეობს. სხვათაშორის, ერთი რამ არის აქ დასაზუსტებელი: თუ რას ვგულისხმობთ ეკლესიის წინააღმდეგ ბრძოლაში. ეკლესია თავისი არსით მისტიკური ორგანიზმია, იგია ქრისტეს სხეული და „ბჭენი ჯოჯოხეთისანი ვერ ერეოდიან მას“, მაგრამ ამ ბრძოლაში ადამიანების მისგან მოწყვეტის მცდელობები იგულისხმება. ჩვენ ხშირად არასწორად ვხმარობთ ტერმინებს, მაგალითად, როცა ვამბობთ, რომ „ეკლესიას ვიცავთ“. ეკლესიას კი არ ვიცავთ, ეკლესია თავად არის ჩვენი დამცველი, არამედ ვიცავთ ადამიანებს, ჩვენს თანამემამულეებს, მათ ცნობიერებას და მსოფლმხედველობას, რომ ეკლესიას არ მოსწყდნენ. რაც შეეხება იმას, რომ თურმე მსგავსი კაპმანიები ეკლესიის წინააღმდეგ კი არა, მისთვის ბრძოლაა, ეს ღიმილის მომგვრელია და არ ვიცი, რა დონის გონებადაბინდული უნდა იყოს ადამიანი, რომ ამ ყველაფრის ნამდვილ არსს ვერ ხვდებოდეს. ბოლოს თქვენი კითხვის იმ ნაწილსაც შევეხები, სადაც ლაპარაკია იმაზე, თუ რა შედეგს გამოიღებს ეს პროცესი ჩვენი საზოგადოებისთვის, ანუ ხალხისთვის. კონკრეტულად რა იქნება მომავალში, შედეგის თვალსაზრისით, მხოლოდ ღმერთმა უწყის. ჩვენ კი უფლის სიტყვებს უნდა მივუგდოთ ყური, ბოლო ჟამთან დაკავშირებით რომ გვეუბნება: „ვისაც აქვს, მას მიეცემა და მიემატე-

ბა, ხოლო ვისაც ცოტა აქვს, მას ისიც წაერთმევა, რაც აქვს“. ეს ჭეშმარიტ რწმენაზეა ნათქვამი და მეც მხოლოდ ეს შემიძლია, ვთქვა, რომ ამ ყველაფრის შედეგად ვილაც რწმენას დაკარგავს, ვილაც კი პირიქით, კიდევ უფრო გაძლიერდება. — **იმ თემების უმრავლესობა, რომლებზეც მიმართავთაა საუბარი, თავისთავად ძველია. როგორ ფიქრობთ, რატომ მოხდა მათი წამონევა მაინცდამაინც დღეს და რა მიზანს ემსახურება დაწყებული კამპანია?** — ამ კითხვას რომ პასუხი გავცეთ, სჯობს, ჯერ იმ ძირითად მიმართულებებს შევხებით, რომლითაც ბოლო დროს ჩვენი ეკლესიის დისკრედიტაციის მცდელობებმა იჩინა თავი. თუ უახლოეს წარსულს გადავხედავთ, რამდენიმე ძირითადი ხაზის გამოყოფა შეიძლება: ჯერ იყო და, მაშინ ჯერ კიდევ ჩვენი ეკლესიის მღვდელმსახურის ანდრეი ბოროდას თაოსნობით ეკლესიაში განხეთქილების შეტანის მცდელობის ფაქტთან გვეკონდა საქმე, რაც უშედეგოდ დასრულდა და იმ სასულიერო პირთაგან, რომლებიც იმ კამპანიას აყვენენ, ზოგმა საშინლად დაასრულა სიცოცხლე, ზოგიც გონს მოეგო და მიხვდა, თუ რა მკრეხელურ საქმეში აღმოჩნდა ჩათრეული. თავად ბოროდა, ამ საქმის მოთავე, ამერიკის ერთ-ერთ სქიზმატურ ეკლესიასაა შეფარებული. არის ისეთი შემთხვევებიც, როცა მართლმადიდებელი ეკლესიის მოწინააღმდეგე ძალები თავიანთ აგენტებს ნერგავენ ეკლესიაში, რათა შიგნიდან მოხდეს მისი დასუსტება და გახლეჩა თუ ვერა, კომპრომეტაცია მაინც. ჩანერგვისა და გადაბირების მეთოდებს სპეცსამსახურებიც მიმართავენ, თუმცა იმ ფარული ძალებისგან განსხვავებით, მათი მიზანი უფრო გაკონტროლება და გავლენის ქვეშ მოქცევაა. უნდა ითქვას ისიც, რომ რიგ შემთხვევებში ამ ორი ძალის ინტერესები ერთმანეთს ემთხვევა კიდევ, გააჩნია, ხელისუფლება თავის სპეცსამსახურებს რა ამოცანას დაუსახავს. ამ ორი ძალიდან, ცხადია, უფრო საშიში პირველია. ქრისტეს ეკლესიაში განხეთქილების შეტანის მცდელობა (ან მისი სისრულეში მოყვანა) საშინელ დანაშაულად მიიჩნევა და უმკაცრეს სასჯელსაც ექვემდებარება. დღეს ბოროდა

პატრიარქის მიმართ კითხვების კონტექსტში, ასეთ შეფასებას აკეთებს: „საბჭოთა ხელისუფლებასთან სამოცდაათწლიანი კომპრომისი ეკლესიას უკარგავს უფლებას, ქრისტეს სიტყვა იქადაგოს“. თუმცა მაშინ მას პატრიარქისადმი დაუმორჩილებლობისა და გარკვეულ ჯგუფთან ერთად განდგომის მიზეზად აბსოლუტურად სხვა რამ მოჰყავდა. განხეთქილების მცდელობაზე ვთქვით და დავამატებ მხოლოდ, რომ ეს უფრო ცალკე არსებული მოვლენა და უფრო მაღალი რანგის ოპერაცია იყო, თუმცა, თუ საკითხს ეკლესიის წინააღმდეგ მიმართული ძირეული სტრატეგიის პლანში განვიხილავთ, ისიც, რა თქმა უნდა, ამ ჯაჭვის ერთ-ერთ რგოლს წარმოადგენდა. საგულისხმოა ისიც, რომ მასში ერთი და იგივე ადამიანები ფიგურირებენ.

— რა მიმართულებებს გულისხმობთ კონკრეტულად?

— მე ძირითადად ორგანიზებული კამპანიის შინაარსის მქონე ორ მიმართულებაზე მოგახსენებთ. ესენია: ჩვენი ეკლესიის წარმოჩენა რალაც ფუნდამენტალისტურ (ამ ტერმინის ცუდი გაგებით), თანამედროვეობასთან შეუთავსებელ, მოძველებულ დოგმატებზე მდგარ ორგანიზაციად, რომელიც თურმე დასავლური ლირებულებების შესაბამის რეფორმებს საჭიროებს და ამის პარალელურად პროტესტანტული ეკლესიის, როგორც სამაგალითო მოდელის პროპაგანდის წარმოება. სახალხო დამცველის ოფისთან არსებული ტოლერანტობის ცენტრი და მისი გამოცემა „სოლიდარობაც“ ზუსტად ამას ემსახურებოდა. რა ფინანსებით გამოიცემოდა ეს ხარისხიან ქალაქზე ნაბეჭდი ჟურნალი, რომელიც, სხვათაშორის, უფასოდ რიგდებოდა, ჩემთვის უცნობია. პროტესტანტული ეკლესიის პროპაგანდირება ვახსენე და ერთი უცნაური დეტალი გამახსენდა... თუ ვახსოვთ, როცა „ნაცმოძრაობა“ აჭარაში შევიდა, ასლან აბაშიძის განდევნის შემდეგ ტელევიზიები სულ ატრიალებდნენ ერთ კლიპს — სააკაშვილის მარში ბათუმის ქუჩაში და მერე პირზე ზღვის წყლის შესხმა. ამ კლიპში იყო ერთი კადრი, რომელიც შემდეგ საერთოდ გააქრეს: ბათუმში ტრიუმფატორი სააკაშვილი თანამებძოლებთან ერთად მოდის და გვერ-



დით, ასევე ტრიუმფატორის იერით, საქართველოში პროტესტანტული ეკლესიის ეპისკოპოსი, ბატონი სონღულაშვილი მოჰყვება... რა შუაში იყო იგი, დღემდე გამოცანად რჩება ჩემთვის. მოკლედ, დავუბრუნდეთ ჩვენს თემას და აღვნიშნავ, რომ წელან ნახსენებმა მიმართულებამ, თუ მხედველობაში არ მივიღებთ ნახსენებ ტოლერანტობის ცენტრში და ბოილის ფონდში გაშინაურებულ ადამიანთა მცირე წრეს, მის შემოქმედთათვის სასურველი რეზონანსი ამკარად ვერ გამოიწვია. ახლა, როგორც ჩანს, ახალი შემოქმედებითი აღმაფრენა ენვიათ და წინა პლანზე შინაარსით „ეკლესიის საბჭოთა წარსული“ — ახალი თემა წამოსწიეს. სწორედ ამის გამოა ის ძველი თემები, რომელიც თქვენ ახსენეთ, კითხვარში თავმოყრილი. აი, ამ მიზანს ემსახურება, ჩემი აზრით, ეს კამპანია და გავიმეორებ, რომ იგი ერთი მთლიანი ჯაჭვის ერთ-ერთ მცირე რგოლს წარმოადგენს.

— როგორ ფიქრობთ, რამდენად არის პირადად მიხეილ სააკაშვილი და ზოგადად ხელისუფლება ჩართული ამ პროცესებში? ოპოზიცია ხშირად აცხადებს, რომ ისინი ილია მეორეს მისი ავტორიტეტის გამო ებრძვიან. გარდა ამისა, პატრიარქის დაბადების დღის შემდეგ, რომელიც მიხეილ სააკაშვილს მისთვის ოფიციალურად არ მოულოცავს, განსაკუთრებით აქტუალუ-

რი გახდა საუბარი მასა და პატრიარქს შორის დაპირისპირებაზე...

— ერთი მხრივ, პატრიარქის ავტორიტეტის დაცემა და შებლაღვა რომ უნდათ, რომელიც, თავის მხრივ, კიდევ უფრო დიდ — ეკლესიის ავტორიტეტთან არის მიბმული, ცხადია, მაგრამ, რაც შეეხება ოპოზიციის ბრალდებას და თავად ოპოზიციას, მე პირადად მათ იდეურად და სულისკვეთებით ეროვნულ ბრძოლასთან დაკავშირებულად ვერ განვიხილავ. მათი მოქმედებების საფუძველში არ იდო გააზრებული და სტრატეგიულად დალაგებული გეგმა, რომელიც ეროვნული და ქართული სახელმწიფოებრიობის წინაშე არსებული საფრთხეების წინააღმდეგ იქნებოდა მიმართული, რაც ასე გვჭირდება დღეს. ის პრობლემები, რაც ჩვენს წინაშე დგას, უფრო დიდი და ღრმაა, ვიდრე ამას საპოლიტიკო სარბიელი დაიტევს და, ჩემი აზრით, იმიტომაც დაასრულა ჩვენმა ოპოზიციამ ისე, როგორც დაასრულა. ამდენად, ამ შემთხვევაში ნაკლებად მნიშვნელოვანია, უყენებს თუ არა ოპოზიცია ამ სახის ბრალდებას სააკაშვილს, გნებავთ, უგულავას და გნებავთ, სხვა ვინმეს. რაც შეეხება მმართველი გუნდის ამ პროცესებში ჩართულობას, ამასთან დაკავშირებით პირდაპირ ვიტყვოდი, რომ ისინი და ამ მავნე პროცესების წარმმართველები ერთი იდეოლოგიური ფესვიდან არიან ნაკვები, ძირითადად, „თავისუფლების ინსტიტუტიდან“ რომ იღებს სათავეს. ისინი ხელისუფლებაში და ისეთ მნიშვნელოვან სფეროებში გადანანილდნენ, როგორიცაა, უპირველეს ყოვლისა, განათლების სისტემა და მასობრივი ინფორმაციის ელექტრონული საშუალებები. ფაქტობრივად, საქმე „იდეოლოგიურ მეხუთე კოლონასთან“ და მის მოკავშირე-მფარველ ხელისუფლებასთან გვაქვს. სწორედ ეს არის მთავარი და არა ის, აძლევს თუ არა სააკაშვილი ან სხვა ვინმე, მაგალითად, თუთბერიძეს პირდაპირ დირექტივას, კითხვარები შეადგინოს, თუ უხამსი, შეურაცხმყოფელი ვიდეორგოლების გავრცელებით დაკავდეს, თუ პატრიარქისკენ ცილისწამების ნიაღვარი მიუშვას. ამდენად, შეიძლება, ითქვას, რომ ეს ხელისუფლება სულისკვეთებით, მრწამსით, ცნობიე-



რებით თანამონაწილეა მსგავსი კამპანიებისა და პასუხისმგებელიც ღვთის, ქართველი ერის, ჩვენი ქვეყნის მომავლის წინაშე.

— **საუბარია იმაზეც, რომ განხეთქილება თვითონ სასულიერო პირებს შორისაც არის. საპატრიარქო ამ ინფორმაციას კატეგორიულად უარყოფს, მიიჩნევს, რომ ეკლესიაში არსებული პრობლემები მხოლოდ წმინდა სინოდის საქმეა და გარედან ჩარევა დაუშვებელია. თქვენ როგორ ფიქრობთ, ჯერ კიდევ არ არის საზოგადოება მზად ეკლესიაში მიმდინარე პროცესების ობიექტური ანალიზისთვის, თუ ეს პროცესი დაგვიანებულიც კია?**

— ვფიქრობ, ეს კითხვა არასწორ ფორმულირებებს შეიცავს. უპირველეს ყოვლისა, მხედველობაში მაქვს ნათქვამი „განხეთქილებები სასულიერო პირებს შორის.“ განხეთქილების საკითხზე ნაწილობრივ უკვე ვისაუბრეთ. კიდევ ერთხელ ძალიან მოკლედ რომ ვთქვათ, „განხეთქილებაზე“ შეიძლება, ვისაუბროთ, როცა სასულიერო პირთა ჯგუფი საყოველთაო, ანუ კათოლიკურ ეკლესიას გამოეყოფა და სქიზმაში გადის, თან გაიყოლებს მორწმუნე მრევლის ნაწილს და დაეკლესიასთან ექვარისტულ კავშირს წყვეტს. მსგავსი რამ ჩვენთან არც კი შეინიშნება. თუ აქ ლაპარაკია რაიმე პირად შეუთავსებლობაზე, პირად სიმპათია-ანტიპათიაზე იერარქებსა თუ სხვა სასულიერო პირებს შორის, ჯერ ერთი, ამის დამატურებული ფაქტები არ გვაქვს და მეორეც — ასეც რომ იყოს, ეს აბსოლუტურად სხვა ტიპის პრობლემაა და არანაირი კავშირი ეკლესიის სინმინდესთან და ერთიანობასთან არ აქვს. ასევე არასწორია ფორმულირება „პრობლემები ეკლესიაში“, ვინაიდან ეკლესიის პრობლემას შეიძლება, მოციქულთა ტრადიციებიდან გადახვევა, სწავლების დამახინჯება, მწვალებლობაში ჩავარდნა და, როგორც ზემოთ აღვნიშნე, სქიზმა წარმოადგენდეს. საქართველოს სამოციქულო ავტოკეფალურ ეკლესიას რომ ეს პრობლემები არ აქვს, ცხადია და ამდენად, საკითხის ასე დასმაც მიზანშეუწონელია. თუმცა უნდა ითქვას, რომ ეკლესია თავის წიაღში ცოცხალ ადამიანებსაც მოიცავს, რომელთა შორის სასულიერო პირები, ბერ-მონაზვნები და საერო

პირებიც იგულისხმება. ამდენად, მათი მხრიდან გარკვეულ ინდივიდუალურ გადაცდომებს, გნებავთ, შეცოდებებს თუ სხვა სახის კანონიკურ-სამართლებრივ დარღვევებს შეიძლება ადგილი მართლაც ჰქონდეს, თუმცა ამას უკვე საეკლესიო სამართალი არეგულირებს. არის საკითხები, რომელიც მხოლოდ სინოდის გასარკვევია, ასევე საკითხები, რომლებსაც ეპარქიის მღვდელმთავრის კომპეტენციაც ჰყოფნის და საკითხები, რომლებიც სამრევლო ტაძრის წინამძღვრის კომპეტენციის ფარგლებში წყდება. „გარედან ჩარევა“ ჩემთვის ცოტა გაუგებარია. თუ იგულისხმება ისეთი ტიპის მოქმედებები, რომ საზოგადოება ან მისი ნაწილი გარკვეულ მსხვილმან საეკლესიო საკითხებში საკუთარი აზრის გათვალისწინებას და გადანყეტილებებში მონაწილეობას ითხოვს, ამასთან დაკავშირებით კანონიკურ სამართალზე დაყრდნობით შემოიძლია, გითხრათ, რომ ზოგადად მიღებული საეკლესიო მმართველობის ფორმა არის დემოკრატიული, მაგრამ ეს არ ნიშნავს, რომ პატრიარქი და იერარქები, რომლებიც სინოდს შეადგენენ, ამა სოფლიდან, ერიდან იძენენ ხელისუფლებას. მათი ხელისუფლება არა რომელიმე სახელმწიფო თუ საერო მმართველობიდან გამომდინარეობს, არამედ — თვით ღმერთისგან, რომელიც თავია ეკლესიისა. მართლმადიდებელი ეკლესიის დემოკრატიული მმართველობის ფორმაზე, ჩვეულებრივ, იმისთვის ლაპარაკობენ, რომ იგი დასავლეთის ეკლესიის ერთმმართველური ფორმისგან განასხვავონ. ეს ნათქვამი გარკვეულწილად თქვენი კითხვის იმ ნაწილსაც უკავშირდება, რომელშიც ეკლესიაში მიმდინარე პროცესების ობიექტური ანალიზისთვის საზოგადოების მზაობაზეა საუბარი. ცოტა არ იყოს, უცნაური ნათქვამია. ეკლესიაში ყოველთვის ღვთისმსახურება, საიდუმლოებების აღსრულება და მრევლის ცხოვნების გზაზე დაყენების პროცესი მიმდინარეობდა და მიმდინარეობს. საზოგადოებამ ამ მხრივ რა ობიექტური ანალიზი უნდა გააკეთოს?! ხოლო, თუ იგულისხმება რომელიმე ის საფრთხე, რომელიც ეკლესიის პრობლემასთან დაკავშირებით ზემოთ ჩამოვთვალე, უკვე

გითხარით, რომ ასეთი პრობლემები ჩვენს ეკლესიას არ აქვს. ჩემი აზრით, საზოგადოებაში ასეთი ფორმულირებების დამკვიდრება და ამ მიმართულებით გარკვეული პროცესების შექმნა ან საეკლესიო საკითხების უცოდინარობის ბრალია, ან იმ მიზანს ემსახურება, რომლის შესახებაც მთელი ინტერვიუს განმავლობაში ვლაპარაკობდით.

— **სხვათაშორის, იგივე განკვეთილი მღვდლები თუ თეოლოგები, რომლებიც ამ მიმართვას უერთდებიან, საუბრობენ იმაზე, რომ სწორედ ეკლესიის შიგნით კანონიკურ საკითხებთან დაკავშირებითაც არის პრობლემები. მაგალითად მოჰყავთ მკვდრადშობილ ჩვილთა ჯოჯოხეთში მოხვედრის სწავლება და სხვ., თუმცა მათივე თქმით, ამ ეტაპზე აღნიშნული საკითხების წინა პლანზე წამოწევა და აქცენტირება არ ხდება...**

— უპირველეს ყოვლისა, ვერ დავეთანხმები განკვეთილ მღვდელთა და განსაკუთრებით „თეოლოგთა“ ასე მრავლობით ფორმაში წარმოდგენას. ხსენებულ მიმართვას ერთი მღვდლადყოფილი — ბასილ კობახიძე, ორი მღვდელი — კახაბერ კურტანიძე და ზაზა თევზაძე აწერენ ხელს. რაც შეეხება თავად თემას, თქვენ, ალბათ, მხედველობაში გაქვთ უნათლავად გარდაცვლილ ჩვილთა საკითხი, რომელიც უფრო შემოგდებულ თემას ჰგავს და მას აზრთა გარკვეული დაპირისპირება მართლაც მოჰყვა. ერთი სიტყვით, ეს იყო ერთ პერიოდში ატიხილი აჟიოტაჟი, რომლის არავითარი აუცილებლობა არ არსებობდა. ეს ცალკე თემაა და ახლა ამის განხილვას რომ მივყვით, სხვაგან წავალთ. ერთი კი შემოიძლია, ვთქვა: ეს საკითხი, ნამდვილად არ არის ჩვენი ეკლესიის პრობლემა და თუ ვინმეს სურს ამ თემით სპეკულირება და იმის წარმოჩენა, თითქოს კანონიკურ სამართლებრივ და თეოლოგიურ საკითხებზე ჩვენთან დაპირისპირებაა, ეს უკვე სხვა საკითხია და ამ ინტერვიუში საუბარი სწორედ მსგავს მიზანსწრაფვაზე, მის შედეგებსა და არსზე გვქონდა.

ესაუბრა
ნიკო ჩიჩუა
საინფორმაციო სააგენტო
„პირველი“



სელისუფლაბა აბსურდული განათლების რეფორმის «მეორე ეტაპზე» გადაღის

საუკუნეთა განმავლობაში გამდიდრებულმა განათლებისა და კულტურის უძველესმა და უმდიდრესმა ქართულმა ტრადიციებმა მრავალ განსაცდელს რომ გაუძლო და დღემდე მოვიდა, ფაქტია; სანამ ნორმალურ ქვეყანასა და ნორმალურ ერს წარმოვადგენდით, ჩვენთვისაც მნიშვნელოვანი იყო განათლებული მომავალი თაობის აღზრდა და საამისოდ მტკიცე და ძლიერი საგანმანათლებლო ბაზის ქონა. ამ საკითხთან სერიოზული დამოკიდებულება ძნელბედობის ფაშასაც არ შეუწყვეტიათ ჩვენს წინაპრებს.

XVIII საუკუნის მეორე ნახევარში საქართველოში, მიუხედავად მძიმე პოლოტიკურ-ეკონომიკური მდგომარეობისა, სწავლა-განათლებას მნიშვნელოვანი ყურადღება ექცეოდა. 1775 წელს ანჩისხატის ტაძრის ეზოში დაარსებულ ფილოსოფიურ სემინარიაში ისწავლებოდა როგორც საეკლესიო, ისე „თავისუფალი საგნებიც“: **გრამატიკა, პოეტიკა, რიტორიკა, ლოგიკა, კატეგორიები (არისტოტელესი), მეტაფიზიკა, ფიზიკა, ფილოსოფია, საღვთო სჯული, საეკლესიო ისტორია, მშობლიური ენა, არითმეტიკა, სამოქალაქო ისტორია და სხვა.** აქვე მიმდინარეობდა, აგრეთვე, პაექრობა-დისპუტები სხვადასხვა მეცნიერული ხასიათის პრობლემებზე, რაზეც დასწრება თავისუფალი იყო. სახელმძღვანელოთა ნაწილი უცხო ენიდან იყო თარგმნილი, ნაწილიც — ქართულად შედგენილი. ერთი შეხედვით, ურიცხვი მტრის გარემოცვაში მყოფი ქვეყნის ხელისუფალს საამისოდ არც დრო და არც განწყობილება უნდა ჰქონოდა, მაგრამ სემინარიის წარჩინებულ მოწაფეებს თურმე თვით ერეკლე II აჯილდოებდა. საყურადღებოა ისიც, რომ ამ სემინარიაში ბევრი ქართველი მეცნიერი, მდივან-მნიგნობარი, კალიგრაფი, მგალობელი და სხვა დარგის მოღვაწენი გამოიზარდნენ.

გარდა ფილოსოფიური სემინარიისა, იმ დროს თბილისში არსებობდა დაწყებითი სკოლების მსგავსი კერძო სასწავლებლებიც: სიონის, კალაუბნის, მეტეხის, ქაშვეთის, ანჩისხატისა და სხვ., სადაც ისწავლებოდა საღვთო სჯული, ქართული ენა, არითმეტიკა, გრამატიკა და სხვა

საგნები. მაჰმადიანთა და სომეხთათვისაც არსებობდა სათანადო კერძო სკოლები.

ახლა კი, ის, რაც ვერ წაართვეს ქართველებს ჯალალედინმა, მურვან ყრუმ, თემურ ლენგმა, შაჰ აბასმა, ჩვენ თვითონ სინით მივართვით ცხვრის ტყავში გახვეულ მტაცებელს — ინებეთ და გვიმსახურეთო.

შესაძლოა, უმადურებად და სიკეთის დაუნახავებად შეგვრაცხონ ჩვენმა „განმანათლებლებმა“ — თქვენს შვილებზე ვზრუნავთ, მონდომებული ვართ, ინგლისური ენა მშობლიურზე უკეთ „შევასწავლოთ“, კომპიუტერიც და კიდევ უკმაყოფილო ხართო.

ახლა რომ ჰყავს, ასეთი ჭკვიანი მტერი საქართველოს, ალბათ, არასდროს ჰყოლია, რადგან ამჯერად „იარალი“ ჩვენი შვილების გონებისკენაა მიმართული, თანაც ცბიერად, მეტისმეტად ზუსტად გათვლილი ბოროტებით; სწორედ ისე, ბავშვობაში ფარსმან სპარსი თიხის ჭურჭელს რომ ამტვრევდა: ქვებს კედელს ესროდა ისე, რომ ასახლექილ ქვას თიხის ჭურჭელი გაეტენა.

რით ჯობია სანტა კლაუსი ქართველ თოვლის ბაბუას? რატომ წავართვით ჩვენს ბავშვებს თოვლის ბაბუა — ქართულ ჩოხაში გამოწყობილი თეთრნაბდიანი კეთილი მოხუცი და, რატომღაც მის ბიძაშვილად გამოცხადებული (?), სანტა კლაუსი შევაჩერეთ; საინტერესოა, ვის ეკუთვნის სანტა კლაუსთან სისხლით ნათესაობის იდეა? პატარა ქართველებს ინგლისური სიმღერებით და უცხოური ტრადიციებით ვასწავლეთ ახალი წლის მილოცვა-აღნიშვნა. სკოლაში წასულს კი გოგება-

ვილის „დედა ენა“ გადავუგდეთ და სამაგიეროდ დიდი ვერაფერი რომ ვერ შევთავაზეთ, ფაქტია. ათი წლის ნაცვლად თორმეტი წელი „მივუსაჯეთ“ სასწავლებელში უაზროდ სიარული, რომელსაც, ასევე, უაზრო სახელი — საჯარო სკოლა ჰქვია და სადაც სწავლის პროცესი, ხშირ შემთხვევაში, მაღალ კლასებში ჩაშლილია. ამიტომ ისინი სკოლის ნაცვლად კერძო პედაგოგებთან ემზადებიან ეროვნული გამოცდებისათვის, რომელიც, ასევე, დიდი ვერაფერია. მისი წყალობით, ახალგაზრდა შეიძლება (შეიძლება კი არა ნამდვილად ასეა) ისე გახდეს სტუდენტი, ფილოლოგიის ფაკულტეტისაც კი, რომ არც ერთ ქართველ კლასიკოსს წესიერად არ იცნობეს, არ იცოდეს არც ერთი სტროფი ზეპირად „ვეფხისტყაოსნიდან“, ილიას, ვაჟას, აკაკის, გალაკტიონისა და სხვათა პოეზიიდან, რადგან ტესტირებული გამოცდების ჩაბარებისას ამის ცოდნა სულაც არაა საჭირო. სტროფებსა და ამონარიდებს ნაწარმოებებიდან ტესტის ავტორები თვითონ სთავაზობენ აბიტურიენტს და მის ქვემოთ პასუხგასაცემ კითხვებსაც ისეთს იგონებენ, რომ...

ერთი სიტყვით, ბოდიშს ვიხდი, მაგრამ ეს ყველაფერი გონებაშეზღუდულთა საქმეა. სადღაა მსჯელობა, მოყოლა, აზრის ზეპირად გადმოცემის უნარის შემოწმება...

ზოგადი უნარების ტესტები უფრო ლატარიის ბილეთს ჰგავს, ვიდრე საგამოცდოს — შემოხაზე და, თუ ბედმა გაგიღიმა, მოიგებ, ანუ გახდები სტუდენტი. ალბათ, ყველა ვიცნობთ ასეთ ახალგაზრდებს; მაგრამ მერე?.. რა იქნება მერე? — არც, არაფერი!!! უბრალოდ, ხელში შეგვრჩება გაუნათლებელი, უფიცი თაობა, ერთეულთა გამოკლებით, ვინც მოახერხა და ამქვეყნიდან სხვაგან წავიდა სასწავლებლად. მაგრამ, სამწუხაროდ, იქ უცხოური განათლების მიღებით მთავარის დათმობა მოუხდათ; იმისა, „ერთი რამის სიყვარული, დაფარვა რომ სჭირდება“, რა-



ზეც დოჩანაშვილი ერთ პატარა მოთხრობაში გაუცხოვლებულ ქართველ დიპლომატს მიაჩნებოდა. ეს „ის ერთი რამეა“, რამაც საქართველო გადაარჩინა, რამაც ენა, მამული, სარწმუნოება ერთ მთლიანობად აქცია. „ერთი რამ“, რაც ვერავინ ნაგვართვა, რასაც სახელი არ ჰქვია და რასაც გულით უნდა ატარებდე მუდამ.

ღმერთმა დაგვიფაროს, მაგრამ, ასე თუ გაგრძელდა, მალე ჩვილი ენას რომ აიდგამს, პირველ სიტყვას ქართულად აღარ იტყვის.

რამდენიმე წელია, რაც მორჩილად მივინდობ ჩვენს დამაქცევარს და ახლა, მგონი, ჩვენი ქვეყნის „სულელი მოკეთეც“ მიხვდა, რომ მხოლოდ უცხოეთში „უცხოურად“ საუცხოოდ განათლებული თაობებისათვის საქართველო ვერ იქნება დედასამშობლო, ქართული ენა — მშობლიური ენა და რომ ასე — დავილუპებით!

მაგრამ იხტიბარი არ გაიტყვის და თავშივე დასაღუპად განწირული აბსურდული განათლების რეფორმა კი არ უარყვეს, მეორე ეტაპზე გადადევართო, გამოგვიცხადეს. იმ თაობას რა ვუყოთ, რომელიც იმ წარუმატებელ „პირველ ეტაპში“ მოჰყვა?..

აღარ ვიცი, რა უფრო აქტუალური პრობლემაა დღეს ქართული ენისთვის — საგანმანათლებლო დაწესებულებებში მისი არასრულფასოვანი სწავლება თუ უცხო ენის აგრესიული შემოჭრა.

ფაქტია, რომ სანამ განათლების სამინისტროში არ მოვა ადამიანი, რომელიც ქართულად აზროვნებს, უყვარს საქართველო, მანამდე ეს პრობლემა არ გადაიჭრება. სახელმწიფოებრივი პოლიტიკა რომ არსებობდეს, შეიცვლებოდა სასწავლო პროგრამები, სასწავლო სახელმძღვანელოები; ასეთი რამ, რაც დღესაა, მეოცე საუკუნის 20-იან წლებში იყო.

რაც დრო გადის, ქართული ენა სულ უფრო ცოტა ვინმე იცის. ტელევიზიებში ჟურნალისტებისა და მოქალაქეების, სახელმწიფო მოხელეების მეტყველებას დავუკვირდეთ. რა გაუნათლებლობა მეფობს. ზოგიერთი გამოჩენილი მწერალი ამბობს: „**მე ვიძახი**“, თუმცა უნდა თქვას „**ვამბობ**“ (დაძახება სხვა რამეს ნიშნავს); „**მადლობა მოუხადაო**“ ხშირად გაიგონებთ, ნაცვლად იმისა, „**მადლობა გადაუხადაო**“; ნურავის ეწყინება, მაგრამ ფაქტია და უნდა



დედა ენის ძეგლი თბილისში

ითქვას, რომ ჟურნალისტების მნიშვნელოვანი ნაწილი მწყრალადაა ქართული ენის სალიტერატურო ნორმებთან. რასაც, მათდა სამარცხვინოდ, საუბრისა და წერის დროს ამჟღავნებენ, მაგრამ უფრო დიდი უბედურება ისაა, რომ ეს არ ესირცხვილებათ.

ენობრივ სიტუაციას, წესით, ენის პალატა უნდა აგვარებდეს, მაგრამ გააუქმეს. მარტო თბილისში რომ ყველაფერი ნაიკითხო (ფირნიშები, აბრები), ათი ენა მაინც უნდა იცოდეს: ინგლისური, გერმანული, ფრანგული, ჩინური, იტალიური, ბერძნული, თურქული... არადა, ჟურნალისტი ძალიან განათლებული უნდა იყოს. მას არ ეპატიება საშუალო დონე.

დღეს „ძალიან განათლებული“ ჟურნალისტები ტელეეთერიდან ან ინგლისური აქცენტით „ამტვრევენ“ ქართულს, ან ჟარგონით „ამრავალფეროვნებენ“ თავიანთ მეტყველებას.

ფაქტია, რომ ნებისმიერ ენაზე მოლაპარაკე ადამიანი საუბრისას თან აზროვნებს — მის მიერ გამოთქმული აზრი გონების ნაკარნახევია. აქედან გამომდინარე, როცა ჟურნალისტი მონიტორზე კითხვისას ერთი ამოსუნთქვით ავტომატის ჯერივით მიაყრის ერთმანეთს სიტყვებს, თუ გინდა, რომ აზრი გამოიტანო, გაფაციცებული უნდა იყო — ასე ყური გამოიბა უწერტილმძიმო წინადადებების გასაგებად.

პრესის ენას თუ დავუკვირდებით,

ენის უცოდინარობას თან ერთვის არაპროფესიონალიზმი. ჟურნალისტი იმისთვისაა, რომ რესპონდენტი — ქუჩაში გამვლელი ადამიანი იქნება თუ ცნობილი პიროვნება — რაღაცას რომ ამბობს, პირდაპირ არ დააფიქსიროს, ჩაასწოროს და გასწორებული ვარიანტი შემოგვთავაზოს. ამასწინათ ერთ ჟურნალისტს ვუსაყვედურე, ეს ინტერვიუ როგორ დაგინერია-მეთქი; როგორადაც მეუბნებოდა, ზუსტად ისე ჩავინერეო, — მიპასუხა(!).

ჩვენს ზეპირ მეტყველებას, წერით მეტყველებასა და სალიტერატურო ენას შორის ძალიან დიდი უფსკრულია გაჩენილი და ეს როგორმე უნდა შეივსოს. გამოსავალი მოიძებნება — განათლების დონე უნდა ამაღლდეს და ეს უნდა მოხდეს ოჯახშიც, სკოლაშიც, ქუჩაშიც. დღეს გაუნათლებლობაა მომეტებული. დიპლომი ძალიან ბევრ ადამიანს უდევს, მაგრამ განათლებული ცოტაა. დიპლომსა და განათლებას შორის დიდი სხვაობაა, როცა ისინი ერთმანეთის შესაბამისი გახდება, მაშინ იქნება ჩვენი საქმე კარგად.

ასე ქართულ ენასაც ემეველება — ეს ადამიანები ხომ ქართულად მეტყველებენ.

ქართული ენა უძველესი ენაა, თუ არ მოვუარეთ, მოკვდება. არადა, ვის ან რის გამო უნდა მოკვდეს? ნუთუ იმიტომ, რომ ხელისუფლებაში ის ადამიანები არიან, რომლებსაც მისი ბედი არ აინტერესებთ?!

ლარიკან ანდრიაკი

ქველი ქართული ტრადიციები სანახაობა-თამაშობანი

უხსოვარი დროიდან საქართველოს სხვადასხვა კუთხეში გავრცელებული იყო სხვადასხვა სანახაობა-თამაშობანი, რომლებიც, როგორც ჩანს, ბავშვების განსაკუთრებული სიყვარულით სარგებლობდა. ზოგიერთ მათგანზე, რომლებიც გამორჩეულად პოპულარული იყო, ქვემოთ გვიამბობთ.

„კოჭობანა“

ადრე ბავშვებში ერთ-ერთ ყველაზე გავრცელებულ თავშესაქცევს კოჭებით თამაში წარმოადგენდა. უპირატესად თამაშობდნენ ზამთარ-ზაფხულის თვეებში. როგორც კი სახლის ბანი (ადრე ბანიანი სახლები იყო) ან კედელთან მიწა შეშრებოდა, იმართებოდა კოჭობანა. მას თამაშობდნენ, აგრეთვე, ხუდავერდაშვილების (იგივე ფერიხანაშვილების, გიგოლაშვილების) გომურში ისინი, ვისაც ბედი გაუღიმებდა და გომურში შეუშვებდნენ. ცხვრის კოჭის ზედა (ვერტიკალურ) მხარეს (ღრმულის მქონეს) ჰქვია ალჩუ, სანინალმდეგო მხარეს, გლუვს — თოხანი; ჰორიზონტალურზე შენეული მხარეა ჭიკი, ხოლო ზურგი — თავი. შეიძლება ერთდროულად ითამაშოს ორმა სამმა ან ოთხმა, შეიძლება ასევე წყვილებად თამაშიც. თამაშობენ ორ-ორი კოჭით (და მეტიც).

კოჭი უნდა ეყაროს მიწაზე. თითოეული მოთამაშე ცდილობს, კოჭი ალჩუზე დასვას. ვინც ამას მოახერხებს, მონინალმდეგის კოჭს მოიგებს. წაგებული კი სხვა კოჭებით განაგრძობს თამაშს. იმ შემთხვევაში, თუკი ორივე მონანილის კოჭი ერთი ალჩუზე დაჯდება, ხოლო მეორე — თოხანზე, მაშინ ხელახლა უნდა ყარონ. ვთქვათ, ოთხი კოჭიდან ერთი დაჯდა ალჩუზე, ორი ჭიკზე დაეცა, ხოლო ერთი — თავზე, ასეთ შემთხვევაში ალჩუს პატრონი იღებს ჭიკებზე მყოფ კოჭებს, ხოლო თავანს ურტყამს კოჭს და ცდილობს, ჭიკზე გადააბრუნოს. თუ ამას მოახერხებს, იგებს და იღებს, თუ ვერ გადააბრუნებს, მაშინ ამასვე აკეთებს მონინალმდეგე.

ვინც მოახერხებს ამის შესრულებას, იმას დარჩება იგი. ასე მთავრდება თამაში.

კოჭობანას თამაშობდნენ დასხ-

ვითაც. თითოეული მოთამაშე ჩამოდის ერთ ან ორ კოჭს, განალაგებენ მწკრივზე. მწკრივიდან თითოეული მონანილე ჯილა კოჭით (შედარებით დიდი კოჭი — ტყვიანასხმული) სანინალმდეგო მხარეს გადადის. ხუთ-ექვს ნაბიჯზე გადაადგებს კოჭს. ვინც მწკრივიდან ყველაზე შორს გადაადგებს, პირველად მას ეძლევა უფლება, ესროლოს მწკრივად დანყობილ კოჭებს. თუ მოარტყამს და ერთ ცალს მაინც ერთ მტკაველზე იქით გადაადგებს, ყველა კოჭი მას რჩება. ამავე წესით ითამაშება კაკლობანა.

ვისაც ჰქონდა 500-1000-მდე კოჭი (ინახავდნენ თიხის კასრულებში, აცხებდნენ კარაქს) თამაშობდნენ ყრითაც. შეთანხმდებოდნენ, მიწაზე ერთდროულად გადაეყარათ 10, 15, 20 და ა.შ. კოჭი. ვინც მეტს დასვა მდა, მონინალმდეგის მიერ ნაყარი კოჭი მას დარჩებოდა.

„ზედადგრობანა“

თამაშში მონანილეობს 10-16 ვაჟი. მოთამაშეები იყოფიან ორ თანაბარ გუნდად. შემოხაზავენ დიდ წრეს (3-

5 მეტრის დიამეტრის), გუნდები გაკრავენ კენჭს, კენჭი ვისაც შეხვდება, არის „ზედადგარი“, ხოლო გუნდის წევრები არიან „ქვაბებში“ (ან პირიქით). ზედადგრის მონანილეები ერთმანეთზე ხელის ჩაჭიდებით აკეთებენ წრეს. მათგან ერთ-ერთი მონანილე დგას წრის გარეთ, ხელით ეხება ნებისმიერ თავის გუნდის მონანილეს. იგი ზედადგრებს იცავს. „ქვაბები“ ცდილობენ, შევიდნენ წრეში და შეაჯდნენ მწკრივში მდგომს. დამცველის მოვალეობაა, არ დაუშვას ეს და დალალოს (ფეხის შეხებით) „ქვაბში“ ისე, რომ მოთამაშეებს ხელი არ დადალოს (ფეხის შეხებით) „ქვაბში“ ისე, რომ მოთამაშეებს ხელი არ მოაცალოს. „ქვაბი“ შეიძლება გაჩერდეს „ზედადგარზე“, ვიდრე თვითონ და ის, ვისზეც ზის, არ დაილლება და არ „დანვება“ ან „ქვაბი“ არ ჩამოვარდება. დადაღვის შემთხვევაში როლები იცვლება.

„ბერიკაობა“

შეიძლება ითქვას, ეს არის ქართული ხალხური იმპროვიზაციული ნიღბების თეატრი. ტერმინი „ბერიკაობა“ განაყოფიერებისა და შვილიერების კულტის სადიდებელ სანახაობას აღნიშნავს და ნაწარმოები საერთო ქართველური ძირიდან „ბერი“ (შვილი). „ბერიკაობას“ ბერიკები ასრულებდნენ. საქართვე-





ლოში გავრცელებულ 100-ზე მეტ სიუჟეტზე შექმნილი სანახაობანი სამგვარი წყობისა იყო: კარდაკარ სიარული, მოედანზე სათამაშო და სადარბაზო. ქართლში პირველი რიგის ბერიკაობა გამოიყენებოდა.

„ბერიკაობას“ დათოგ-ბერიკულ სანახაობასაც უწოდებენ. ნიმუშები თეთრი წყაროს სოფელ დიდ თონეთში და სხვაგან აღწერილი აქვს პროფესორ დ. ჯანელიძეს.

„დათოგობა“


„დათოგობას“ თამაშობდნენ წელიწადში ერთხელ, აღდგომის წინ, დიდმარხვობის დანწყებამდე. მონაწილეთა რიცხვი განსაზღვრული არ არის, შეიძლება იყოს 100-150 კაცი; თუ მოედანი დაიტევს, 14-15 წლის ახალგაზრდამაც შეიძლება ითამაშოს.

„დათოგობა“ ტარდება მოედანზე, წრეში, რომელიც რაც უფრო დიდია, მით უფრო სახალისოს ხდის თამაშს. წრიდან გამოყოფენ დათვის როლის შემსრულებელ პიროვნებას, რომელსაც სათანადო გამოცდილება აქვს და ხუმრობა ეხერხება. „დათვის“ ამორჩევის დროს ხან ერთს მიმართავენ, ხან მეორეს და თან ეუბნებიან: არა შენ იყავ დათვი, არა შენაო. მაგრამ საბოლოოდ იმ პიროვნებას გააგდებენ მაინც წრის ცენტრში, ვინც ამ საქმის მოხელედ ითვლება. წრეში იმყოფება სიმღერის ორი დამწყები, რომელთაც ხალხი მოლექსებებს უწოდებს. ესენი ითვლებიან თამაშის ხელმძღვანელებადაც.

თამაშის დედაარსი ისაა, რომ დათვი მოწინააღმდეგეებიდან ირჩევს საცოლეს და მიჰყავს თავის სადგომში. მოწინააღმდეგეები კი ცდილობენ, იგი წაართვან. ცოლის როლის შემსრულებელიც გაქცევას ცდილობს, „დათვი“ ცდილობს, რომ „ცოლი“ არ გაექცეს ან არ მოსტაცონ. როდესაც „დათვის“ წრიდან გამოსული რომელიმე მოთამაშე მიუვარდება „ცოლის“ მოსატაცებლად და „დათვი“ თავდამსხმელს იგერიებს, „დათვის ცოლი“ ამ მომენტს გამოიყენებს და გაიქცევა. ამით მთავრდება თამაში (დ. ჯანელიძე, ქართული თეატრის ხალხური სანყისები“. თბ. 1948).

„ყეენობა“

საქართველოში ძველთაგანვე, ყველიერების დასასრულს, „შავ ორშაბათს, ეწყობოდა დიდი საზეი-



ბერიკაობა

მო სახალხო სანახაობა, რომელმაც ჩვენს დრომდე „ყეენობის“ სახელწოდებით მოაღწია

„ვასილ ბარნოვის გადმოცემით, წარსული საუკუნის 60-იან წლებში თბილისის მიდამოებში (მათ შორის, ქართლში განსაკუთრებით დიდი „ყეენობა“ იმართებოდა. აქ ყეენს კენჭის ძვალს ჰკიდებდნენ, რომლის მოძრაობით მაყურებელს ის ეროტიკულ სცენებს უმართავდა“ (ს. მაკალათია, ფალოსის კულტი საქართველოში, „იმომხილველი“, თბ. 1926, გვ. 130).

...ორშაბათ დილას სოფლებში შეიკრიბებოდნენ ბჭობის ადგილას და ირჩევდნენ კაცს, რომელიც გამოირჩეოდა სიმკვირცხლით, სიმარჯვითა და ხუმრობის უნარით. ჩააცმევდნენ ყეენს გადაბრუნებულ ტყავს, ნაბდისაგან დახვეულ ნონოლა ქუდს დაახურავდნენ. სახეს შეუმურავდნენ, ხელში მისცემდნენ ნიშნად ხელისუფლებისა ხმალს, რომელზედაც ვაშლი იყო ჩამოცმული. ყეენს ამ ერთ დღეს მეფის უფლებები აქვს. ვინც ყეენისადმი ურჩობას გამოიჩენს, სასტიკად ისჯება (მაგალითად „თვალეების დათხ-

რით“, დასჯილს თვალეებს შეუშურავდნენ).

ყეენი ვირზე შეჯდება, თავისი ამალითა და დაფნა-ზურნით სოფელს შემოივლის, შემდეგ სოფლის მალეობ ადგილზე გაიჩენს საბრძანებელს. ვინც უნდა გაიაროს მახლობლად, ყეენის მხლებლები აიძულებენ, თავყვანი სცეს ყეენს და ხარკი გადაიხადოს. ყეენი შეიძლება გამვლელს ზურგზე მოაჯდეს და ასე მანამ ატარებინოს თავი, სანამ თვითონ არ მოსწყინდება.

შემდეგ ხალხი ორ ბანაკად იყოფა, ორ მოჭიდავეს გამოყოფს, და იმართება მათი ფალანგების ჭიდაობა. ფიქრობენ, რომ, რომელი მხარეც გაიმარჯვებს, მას კარგი მოსავალი დაუდგება.

„ლახტი“

საქართველოს თითქმის ყველა მხარეში და მათ შორის, ქართლშიც, ბავშვების დამსახურებული სიყვარულით სარგებლობდა თამაში „ლახტი“. აქ მოთამაშე აუცილებლად უნდა იყოს მამაცი, გამრჯე, გამბედავი, ამტანი. წრეში მყოფი მოთამაშენი ფეხებშუა დაილაგებდნენ „ლახტს“ (ქამრებს) და იცავენ



ლახტი

მას. მოწინააღმდეგეთა ამოცანაა, წაართვან წრეში მდგომებს ქამარი ისე, რომ თვითონ არ ჩაიჭრან. თამაშის დროს იქმნება მწვავე და საინტერესო მომენტები. იმისათვის, რომ აიცილო თავდასხმები, საჭიროა საზრიანობა, გამბედაობა, გულადობა. ზოგჯერ ხდება, რომ გამოტანილია ყველა ქამარი, მაშინ იწყება „ზურგის ახურება“. ზურგით ერთმანეთს მიყუდებულნი წრეში მდგომნი თავს იცავენ „მოწინააღმდეგეთაგან“, რომლებიც „შეიარაღებული“ არიან ქამრით და ცდილობენ მათ ჩაჭრას ფეხით. ზოგიერთი გამბედავი მოთამაშე არ ერიდება ლახტის დარტყმებს წვივზე, ნამდვილ ბრძოლაში ებმება ქამრებით შეიარაღებულებთან და აქ იხლართება უამრავი საინტერესო მომენტი, როგორც არის, მაგალითად, ლახტის წართმევა, მოთამაშის წრიდან გამოტაცება, „მოწინააღმდეგის“ ფეხით ჩაჭრა და სხვ. მოთამაშეების აქტიური მოქმედება საკმაოდ რეგლამენტირებულია თამაშის წესებით, რომელიც კრძალავს ყოველგვარ უხეშობას.

ზემოთ აღნიშნული თამაშების გარდა, ბავშვებში დიდი სიყვარულით სარგებლობდა: „აფრინდა, აფრინდა“, „დანისპირაობა (დანასობია)“, „დღელამობია“, „ეს სახლ-კარი ვისია“, „ვისი მეზობლობა მოგნონს“, „თვალახვეულა“, „ორი დარტყმა“ (დვაუდარია), „გრძელი ჯორი“, „ბალიშობანა“ (თაფლის გამოღება), კაკლაობა, თვალხუჭობანა,

კენჭაობა, კატათავგობანა, ასკინკილა, ქორობია, ქუდში ჩახედაობა (ტუზო-მუზო), ციხობია, ცხენობანა, ჩილიკა-ჯოხობანა, მიშველობანა, ორმოობანა, ძიძგი ძიძგი, მამალა! და სხვა...

„ნიშხა - ნიშხა“

საბავშვო თამაშობათა შორის, რომლებიც ერთობ პოპულარული იყო, „ნიშხა-ნიშხაც“ გვინდა გამოვყოთ. იგი ასახავს კოსმოსურ მითოლოგიურ სცენას მნათობი მზისა და შავბნელი ძალის — გველეშაპის დაუცხრომელი ბრძოლისას. ამ თამაშში მზის ქალღვთაებას — ბარბარს წარმოადგენს ბარბალუკა, ხოლო შავბნელ ძალას — გველეშაპს — „ნიშხა-ნიშხა“. აღვადგინოთ თამაშის შინაარსი. ბარბალუკას და ნიშხა-ნიშხას როლების შესრულებას აქტიურ, ძლიერ და ინიციატივიან ბავშვებს აკისრებდნენ. მოთამაშეები ორ თანაბარ ჯგუფად იყოფიან და ხელიხელ ჩაბმით ერთმანეთის პირდაპირ მწკრივდებიან.

ნიშხა: — (1-ლი მწკრივიდან იძახის) ნიშხა-ნიშხა!
 ბარბალუკა: — (მე-2 მწკრივიდან უპასუხებს) ბარბალუკა!
 ნიშხა: — ქალი ვინა?
 ბარბალუკა: — მე გახლავარ, მობრძანდი და მზად გახლავარ!
 ბარბალუკას მწკრივის ბავშვები ხელჩაკიდებით მწკრივს გაჭიმავენ. ნიშხა-ნიშხას მწკრივიდან თვით ნიშხა ან სხვა მოთამაშე ბარბალუკას მწკრივისაკენ გაიქცევა, დაეძგერება, მიწოლითა და ხელჩაკიდ-

ბულთა ხელებზე დარტყმით ცდილობს, მწკრივი განწყვიტოს. თუ მან ეს შეძლო, მაშინ გარღვეული მწკრივის ერთ-ერთი მონაწილე ტყვედ მოჰყავს და თავის მწკრივში აბამს, თუ მან გარღვევა ვერ მოახერხა, მაშინ იგი ბარბალუკას მწკრივს ტყვედ დარჩება და მის მწკრივში ებმება. ამის შემდეგ თამაში ასეთივე წესით გრძელდება, მხოლოდ ახლა „ნიშხას“ მეორე მწკრივიდან იძახიან, ხოლო „ბარბალუკას“ — პირველი მწკრივიდან და ასე შემდეგ.

„ლაზარობა“

ცეცხლთაყვანისმცემლობიდან გამომდინარე რელიგიური ხალხური რიტუალი „ლაზარობა“ XX საუკუნის 30-იან წლებამდე ზოგიერთი სოფლის მცხოვრებლებს ძვალსა და რბილში ჰქონდათ გამჯდარი. როგორც კი სოფელს დიდი გვალვეები შეაწუხებდა, ქალები ერთად შეიყრებოდნენ, „ლაზარეს“ გააკეთებდნენ, სოფელში კარდაკარ დადიოდნენ და მღეროდნენ:

„ახ ლაზარე, ლაზარე!
 ლაზარე მოდგა კარსა, აბრიალებს თვალსა,
 ცხავი აცხავებულა, წვიმა გაჩქარებულა;
 ღმერთო, მოგვეც ცის ნამი, აღარ გვინდა მზის თვალი,
 ღმერთო მოგვეც ტალახი, აღარ გვინდა გორახი“.

ხოლო როცა დიდი წვიმები დაიწყებოდა, უამინდობა აღპობდა და აფუჭებდა ჭირნახულს, მაშინ ასეთნაირად მღეროდნენ:

„ახ ლაზარე, ლაზარე,
 ლაზარე მოდგა კარსა, აბრიალებს თვალსა,
 ცხავი აცხავებულა, დარი აჩქარებულა, ახ ლაზარე, ლაზარე!
 ცას ღრუბლები აჰყარე.
 აღარ გვინდა ცის ნამი, ღმერთო, მოგვეც მზის თვალი!
 აღარ გვინდა ტალახი, ღმერთო, მოგვეც გორახი!“

რიტუალის მონაწილე ქალები მოსახლეობაში შეგროვილ კვერცხებსა და ფქვილს ყიდდნენ (ზოგჯერ ცვლიდნენ) ბატკანსა და მამალზე. ბატკანს ღმერთს სწირავდნენ, მამალს — ელიას.

მანანა ჭვანია



წინაპართა ქასილი, ანუ მე, გურამი, ჯოყოლა და ჩიგინაბი

ერთმა მოულოდნელმა შემთხვევამ მე და ოპერატორ სოზარ გულბანს მოგზაურობის მარშრუტი შეგვაცვლევინა და ქციის ნაცვლად ენგურის ხეობაში წავიყვანა.

ძალიან შორს — ალბათ, იმ წინაპრებთან, რომელთა კვალში ჩამდგარა და მეც თან მივყავარ.

სამუშაო გეგმის შეცვლა ჩემი და საზოგადოება „შუმერის“ პრეზიდენტის — ჯოყოლა ჩეგინის გაცნობამ და მყისიერმა დაახლოებამ განაპირობა. თავის მხრივ, ამ დაახლოებასაც საფუძვლიანი მიზეზი ჰქონდა. საქმე ის არის, რომ ჩემს მეხსიერებაში სამუდამოდ ჩაიბეჭდა ჯოყოლას ახლო ნათესავის, ან გარდაცვლილი ჩინებული ყმის, გურამ ჩეგინის სახე. გურამს პირველად დაახლოებით 30 წლის წინათ შევხვდი მის მშობლიურ კალაში (კალა უშგულამდე 10-12 კილომეტრშია). თვალწინ ახლაც მიდგას მაღალი, ავაზასავით მოქნილი და წარმოსადეგი, მოზომილი სიტყვა-პასუხის მქონე ახალგაზრდა კაცი, მისი ბრინჯაოსფერი სახე და ფოლადისებრი სიმტკიცე. კარგ მყოფახესა და პატრიოტს, გამორჩეულ მონადირეს მურმან ლებანიძემ ხოტბა შეასხა თავის პოემაში „მოთხრობა გურამ ჩეგინაზე“. 20 წლის ყოფილა გურამი, როცა მურმან ლებანიძეს გაჰყოლია სანადიროდ მთებში.

— ის ეკლესია ადიშშია, — მითხრა ჯოყოლამ, — მაგრამ, წარმოიდგინე, რომ არც მე მაქვს ნანახი. თუმოისურვებ, წავიდეთ და ერთად ვნახოთ.

...გურამ ჩეგინამა მურმან ლებანიძე ჯიხვებზე სანადიროდ დაპატიჟა, მე კი ჯოყოლამ ეკლესიის სანახავად...

უკან ჩამოვიტოვეთ დიზი, ლახამულა, ბერო, ეცერი, ცხუმარი... აგერ უშბაც... როგორც უმეტესად, ახლაც ნისლებში შეურგავს ორკაპა წვერი... მათ დანახვაზე მურმან ლებანიძის სტრიქონები მახსენდება და საჭესთან მჯდომი, ჩაფიქრებული ჯოყოლა ჩეგინის გასაგონად ვამბობ: **„ცხუმარს და ბეროს მინდა ჩარბენა, ჩაუფუჯდე მახვშებს უღვაშებიანს, უშგულში გავყვე მირზა მარგველანს, თეთნულდის ძირში გურამ ჩეგინს“**. ვაჟკაცი მოგვარის ხსენებაზე ჯოყოლას სინათლე გადადის სახეზე, მაგრამ საუბარში მაინც ვერ ვითრევ. ის სადღაც შორსაა ახლა ფიქრებით,

ჩემი თხოვნით, სულ რამდენიმე წუთით, ლატალის თემის სოფელ იენაში ვჩერდებით. როგორც ვარაუდობენ, ტოპონიმი „იენაში“ იონა წინასწარმეტყველიდან უნდა მომდინარეობდეს, რადგან სოფელში მდგარი ეკლესია სწორედ მის სახელზეა აგებული. ამ მხრივ, იენაში ეკლესია ერთადერთია საქართველოში. გარდა ამისა, ეს მოზრდილი დარბაზული ტაძარი სხვა რამითაც იქცევს ყურადღებას:

სვანეთის თითქმის ყველა საყდარი ვულკანური ქვის, შირიმის კვადრებითაა ნაგები, რომელიც საჭრეთელ-საკვეთს ძნელად ემორჩილება. ამიტომ აქაური ეკლესიების ფასადებს, საქართველოს სხვა რეგიონების ეკლესიებისაგან განსხვავებით, ჩუქურთმები იშვიათად ამშვენებს და მათ მაგივრობას გარე მოხატულობა ასრულებს, რომელთაგან დღესაც ბევრია შემორჩენილი. აქედან გამომდინარე, ბუნებრივია, რომ სვანეთში ქანდაქარ-გალატოზებზე

პოეტი ასე გვიხატავს მის პორტრეტს: **„ის იჯდა ჩუმად, მშვენიერი ოცი წლის სვანი“, „წინ გვიზის გურამ ჩეგინი — ოცი წლის მახვში“; „ის დაყრდნობილ წერაყინს ფრთხილად, პანტერასავით აბიჯებს ლბილად“**. ვერაფერს დაუმატებ: ზუსტად გახსნილი შტრიხებია.

მახსოვს, ერთხელ გურამმა, როგორღაც, თავის წინაპრებზე ჩამომიგდო სიტყვა და მითხრა, ერთ-ერთი მათგანის სახე ჩვენი ეკლესიის კედელს შემორჩაო. უნდა ვაღიარო, რომ, ჩემდა სამარცხვინოდ, იმ ეკლესიის სახელი არ ჩავიწერე და, საერთოდ, დიდი დაინტერესება არ გამოვიჩინე.

და აი, ახლა, სამი ათეული წლის შემდეგ, ჯოყოლა ჩეგინის გაცნობამ გურამის სიტყვები გამახსენა.



ჯოყოლა ჩეგინი და ნარილის ავტორი



ხალდეს ეკლესია და ნანგრევები

მეტად, ფერმწერების შრომა ფასდებოდა, რადგან მათ, ინტერიერის გარდა, ფასადებიც უნდა აემეტყველებინათ. სვანეთის ცნობილ ფერმწერთაგან, შემონახული ნარწერებით, ცნობილია მხოლოდ ოთხი მათგანის სახელი: **დავით აღმაშენებლის მხატვარი თევდორე, დემეტრე პირველის მხატვარი მიქაელ მალაკელი, წვირმის „წმიდა გიორგის“ მხატვარი გუხაფათი, ლალამის „მაცხოვრის“ მხატვარი ნექე ქირქიშლიანი.** იენაშის ეკლესია ერთ-ერთი გამორჩეული იმიტომ არის სვანეთში, რომ ფასადების შემკობა ხუროთმოძღვარს აუღია თავის თავზე. იგი შირიმის ქვას ჯიუტად შებმია და თავისი გაუტანია.

მესტია, მულახი, იფარი, კალა... კალაში რომ არ შეეჩერდე წუთით, როგორ იქნება. ვდგავარ და ნაცნობ ეზო-კარს შევცქერე. სახლი გამოკეტილია, ეზო — ცარიელი, შუშაბანდის ერთი მინა — ჩალენილი. რა ბედნიერი წუთები მაქვს ამ სახლში გატარებული!

ვოი, გურამ!.. რა მრუდია წუთისოფელი და რა მოულოდნელიც.

ვდგავარ ახლა მისი ძველი სახლის წინ და გვერდით სხვა ჩეგიანი მყავს — ჯოყოლა. იგი ჩემზე და გურამზე გაცილებით ახალგაზრდაა, მაგრამ ჩეგთან ბეჭედი მასაც აზის — სიმტკიცე და სიდარბაისლე მისი იერიდან, მისი სიტყვიდანაც გამოსჭვივის. ჯოყოლას 3 შვილი ჰყავს: ორი ვაჟიშვილი და ერთიც ქალიშვილი. ერთხანს მოლდავეთში ცხოვრობდა და მუშაობდა. საქარ-

თველოში დიდი ხანი არ არის, რაც დაბრუნდა, ბიზნესს მიჰყო ხელი და საზოგადოება „შუმერს“ ჩაუდგა სათავეში. მისი პაპის მამა, ხალდეს დაქცევის შემდეგ, ქვემო სვანეთში, ლენტეხის რაიონის სოფელ ლეუშერში დამკვიდრებულია. ასე რომ, ჯოყოლას მშობლიური სოფელი ის არის და ამიტომაც, რომ ლეუშერის მეზობლად მდებარე მეორე სოფელ ტვიტში VII-IX საუკუნეების ნატაძრალის საძირკველზე თითქმის ხელახლა აშენებს სვანეთში ერთადერთ სამების ეკლესიას. მაგრამ ჩეგიანების ბუდე რომ ადიმ-ხალდეს თემია, ეს კარგად იცის ჯოყოლამ და ახლა ამ ბუდისაკენ მიფრინავს ჩემთან ერთად. არ ვაჭარბებ — მეც მივფრინავ, რადგან ერთმა სურვილმა გამომასხა ფრთები: რაც გურამს სიცოცხლეში დავაკელი ყურადღება, იქნებ, იმით ავანაზღაურო, რომ მის დიდებულ გვარსა და წინაპრებს მივაგო სათანადო პატივი, ჯოყოლა ჩეგთან ერთად.

...მე, გურამი, ჯოყოლა და ჩეგინები.

ხალდეს აღმართს შევუდექით. ხალდემდე, შუაგზაზე, ერთი პატარა სოფელი იფარია (და არა იფარი), სადაც მცირე ეკლესია დგას. იგი გარედანაც და შიგნიდანაც ცნობილ ფერმწერ თევდორეს მოუხატავს. კიდევ 2 კილომეტრი და ნასოფლარი ხალდეც გამოჩნდება.

...ხალდე, — სოფლის ამ დასახლებამ შეუძლებელია ქართველ ტომთა ძველი სახელწოდებები ხალდები და ქალდები არ გაგვახსენ-

ნოს. რა დროიდან და საიდან სადამდე გვიტარებია იგი!

1981 წლამდე ხალდეში ორი კომლი კიდევ ცხოვრობდა, ახლა კი მთლად დაყრუებულია — მორღვეული ყორეები, ჩამოშლილი კედლები, ჩაქცეული ჭერხობები. ეს არის ბალსზემო სვანეთის ერთადერთი უკომპო, უფრო სწორედ, კომპებდალენილი სოფელი, რომელიც, მრავალი ცდის მიუხედავად, მაინც გაუკაცრიელდა. 1876 წელს საშინელ სისხლისღვრაში დანებდა აჯანყებული ხალდე. 58 რჩეულ ხალდელ ვაუკაცს — ჩეგიანებს, გასვიანებს, ჩოფლიანებს, ჯოხაძეებს — 2000 ჯარისკაცი დაუპირისპირდა. აჯანყებულთა ერთ-ერთი მოთავე ყოფილა მომი ჩეგიანი — ჩემი თანამგზავრის ჯოყოლას პაპის პაპა. კომპებში გამაგრებული ხალდელები დიდხანს უწევდნენ წინააღმდეგობას, მაგრამ ხელისუფლებას ხევგალმა, ერთ პატარა მდელოზე ზარბაზნები აუტანია და იქიდან დაუშენია კომპებისათვის. ეს პატარა მდელო დღემდე შემორჩენილი. გასაკვირია, მაგრამ ზედ ბურქიც არ იზრდება. ამის შემდეგ ხალდელებს უკან დაუხევიათ და შხარას მასივის დასავლეთ მონაკვეთთან, ხალდეს მყინვართან გამაგრებულან. აჯანყებულები არ დამორჩილებულან და ჭიუხებში შემალულან. ისინი არც არასდროს დანებდებოდნენ, რომ ხელისუფლებას მათი ცოლ-შვილი არ ჩაეგდო ხელთ. აჯანყებულებს, რომელთაც ქუთაისში აკ. წერეთელი და ნ. ნიკოლაძე იცავდნენ, სასამართლომ ხანგრძლივი გადასახლება მიუსაჯა.

...ხალდეს ეკლესიასთან ვჩერდებით და ვათვალიერებთ. ჯოყოლა მეუბნება, რომ ეს ეკლესია სწორედ მომი ჩეგიანს აუგია აჯანყებამდე. ციმბირიდან დაბრუნებულ მომის ხალდეში მცირე ხანს უცხოვრია, მერე კი ცოლშვილიანად იფარის თემის სოფელ ფეხში დაფუძნებულა, სადაც კიდევ ერთი ეკლესია, ამჯერად მოზრდილი ჯვარ-გუმბათოვანი საყდარი აუგია (ეს მგონი, ერთადერთი გუმბათიანი ტაძარია ძველ ზემო სვანეთში). ...ჯოყოლა ხალდეს მაცხოვრის ტაძრის დაბზარულ კედლებს გულდასმით ათვალიერებს, ზომავს და მეუბნება — დიდთოვლობამდე როგორმე უნდა მოვახერხო და რკინის სალტეებში ჩავსაო.



სოფელი ადიში

ფელს იცნობდნენ. ეს სოფლები დღევანდელი დასახლებიდან ზევით, ადიშქალის ხეობის სათავეებში, ყოფილა. ერთ-ერთი მათგანი ზედ ადიშის მყინვარის ძირში არსებობდა, თურმე, და წვირმი რქმევია. ჭარმაგმა გიუნტერ ავალიანმა, ამ სოფელთან დაკავშირებით ერთი ასეთი ლეგენდა გვიამბო: სოფელში თურმე დიდძალი პირუტყვი ჰყოლიათ და სანაქებო ყველს ამზადებდნენ. ერთხელაც ეს წვირმელები ერთმანეთს გაჯიბრებიან, ვინ უფრო დიდ და სქელ წველა (თავ) ყველს ამოიყვანდა. როცა ყველი გამომშრალა და გამაგრებულა, თავები ასი მეტრის დამორებით ჩაურიგებიან და თოფის სროლა დაუწყებენ. ვის ყველშიც ტყვია ვერ გაატანდა, გამარჯვებულიც ის იქნებოდა. თოფის სროლის ექოს ადიშის მყინვარი მოუნწყევტია და მთელი სოფელი დაუმარხავს. ამ უბედურებისას მხოლოდ ერთი ყმანვილი კაცი გადარჩენილა და, დღეს რომ იფარის თემშია სოფელი წვირმი, იქაური გოგო შეყვარებია. საცოლის ნათესავეებს ქალის სხვა სოფელში გატანება არ უსურვებიათ, ყმანვილს კი უთქვამს, თქვენს თემში იმ შემთხვევაში დავრჩები, თუ მას ჩემი სოფლის სახელს დაარქმევთო. ასე დარქმევია, თურმე, წვირმი დღევანდელ წვირმს. როგორც სხვა, ისე ამ ლეგენდაშიც, შეიძლება ბევრი რამ იყოს საკამათო, მაგრამ ადიშელებისა და წვირმელების რალაც შორეულ ნათესაურ კავშირზე რომ მიგვანიშნებს, ეს უდაოა.

დღეს ადიშის თემში ერთადერთი


 ადიშქალის ხეობას იფარის თემის სოფელ ბოგრემიდან ავუყვებით. თანაც გზად ფეხის ტაძრის გადაღებაც მოვახერხეთ. ამასობაში ბინდდება და მოულოდნელ წინააღმდეგობას ვაწყდებით — ადიშეულ ადიშქალას ბოგრემიდან ჩრდილოეთით პირველი ხიდი წაულია. სხვა გამოსავალი არაა: შემოვლითი გზით, ვეება ლოდებზე, რის ვაივაგლახით გადაგვყავს მანქანა... ამ წვალეებაში ერთ საათს ვკარგავთ. უკუნი ღამე წვება, მაგრამ უკან დახევას არც ერთი არ ვაპირებთ.

ადიშქალა, რომელიც კავკასიონის უმაღლესი მწვერვალების — თეთნულდის, რუსთაველისა და პუშკინის პიკების მყინვარებით საზრდოობს, სიგრძეში 14 კილომეტრია, სოფელ ადიშამდე კი ბოგრემიდან 8 კილომეტრია გასავლელი. ადიშში გვიან ღამით ერთობ კმაყოფილნი ავდივართ — დრო მოვიგეთ და საქმეს დილაადრიან შევუდგებით. გამოვიანგარიშეთ და აღმოჩნდა, რომ თბილისიდან ადიშამდე ზუსტად 500 კილომეტრია. სიმაღლის მრიცხველსაც ვამონებთ და ვადგენთ, რომ ზღვის დონიდან 2100 მეტრის სიმაღლეზე ვიმყოფებით... მასპინძელს ტარზან ქალდანს ჩვენს ლოდინში მოთმინება დაუკარგავს და თურმე ცხენებით აპირებდა ჩამოშველებას...

 თავდაპირველად დავადგინოთ, რომელი უფრო სწორი გამოთქმაა: „ადიში“ თუ „ჰადიში“? წყაროებით დგინდება, რომ გვიან შუასაუკუნეებში ამ თემს „ჰადიში“ ერქვა, მაგ-

რამ, ადიშის მაცხოვრის ეკლესიის XI საუკუნის ნაკანრმა წარწერამ უფრო ადრინდელი „ადიში“ დაადასტურა: „ქ. მეუფეო მეუფეთაო და უფალო უფლებათაო, წმიდაო მაცხოვარო, ადიშისაო, შეინყაღე სინელი მწარედ ცოდვილი დღესა მას საშინელსა განკითხვისასა, შენსა მას დიდებით მოსვლასა, მათ დიდთა დაჯდომასა“. გარდამავალი მხედრული დამწერლობით შესრულებული ეს წარწერა ცნობილმა პალეოგრაფმა ვალერიან სილოგავამ ხსენებული ტაძრის კანკელის ანტიბლემენტის შიდა მხარეს, ალსავლის კარის მარცხენა სვეტის ზევით, სვეტის თავიდან 28-40 სმ-ის სიმაღლეზე წაიკითხა. ასოების სიმაღლე 1,5-3 სმ-ია.

როგორც ადიშის მკვიდრი გიუნტერ ავალიანი გვეუბნება, მისი წინაპრები თურმე ადიშის თემში 4 სო-



ადიშის ოთხთავი ნიკოლონის მინაწარი

და ამავე სახელწოდების სოფელია. აქ ავალიანებისა და ქალდანების 9 კომლილა ცხოვრობს, ადრე კი, თურმე, 12 გვარის ხალხი და მათ შორის ჩეგიანებიც ყოფილან. სოფლის ცენტრში მდებარე დიდი სახლის ნანგრევების კედლებზე დღემდეა შემორჩენილი თუნუქის ფირნიში, რომელზეც წერია: „ადიშის მწლიანი სკოლა“...

ახლა უფრო ძველ ამბებს შევხვებით. ადიში, უწინარესად, ცნობილია სახელგანთქმული „ადიშის ოთხთავით“, რომელიც ამჟამად მესტიის მუზეუმში ინახება. ეს ჩვენში აღმოჩენილ და მოღწეულ სახარება-ოთხთავებს შორის ჯერჯერობით ყველაზე ძველი, ვრცელი და ამასთანავე რამდენადმე განსხვავებული რედაქციის ხელნაწერია. იგი 897 წელსაა შექმნილი და 387-ე გვერდზე ინახავს XI საუკუნის საინტერესო მინაწერს, რომელიც ნუსხა-ხუცურით არის შესრულებული და ოთხთავის გადაწერის ადგილს გვაცნობს. აი, ისიც: „სახელითა არსება დაუბადებელისა ყოვლად წმიდისა სამებისაითა, მეოხებითა ყოვლადწმიდისა ღმრთისმშობელისაითა, შეწვენითა და წყალობითა წმიდათა მთავარანგელოსთაითა, მეოხებითა და შეწვენითა ყოველთა წმიდათაითა, მე ნ(ი)კ(ო)ლ(ა)ო)ს, ოდესმე ჯუმათისა მამასახლისმან, უღირსმან და სულითა სანყალობელმან ფრიადითა ხარკებითა — აღაშენენ ღმერთმან კლარჯეთისა მონასტერნი — შევიარენ და შევკრიბენ წმიდანნი ესე წიგნნი: პერველად წმიდაი ესე სახარებაი ოთხთავი, და მრავალთავი და ხელთკანონი და მამათა წიგნი და კითხვა-მიგებაი, უმეტესად — აღაშენენ შატბერდი — ესე ოთხთავი და ხელთკანონი და მამათა წიგნი მათსა ეკლესიასა“.

მამასადამე, ჯუმათელ წინამძღვარ ნიკოლაოსს ეს ოთხთავი შატბერდიდან ჩამოუტანია და ადიშის ერთ-ერთი, სავარაუდოდ, მაცხოვრის ეკლესიისათვის გადაუცია. დიდი ალბათობაა, რომ ზემოთ დასახელებული წიგნების ერთი ნაწილიც ადიშის ან სვანეთის სხვა რომელიმე თემის ეკლესიებს გადაეცა. რა სჯიდა ნიკოლაოსს, რომ ეს წიგნები ამ სიშორეზე ამოეტანა? XI საუკუნის მინურულს, დავით აღმაშენებლის ზეობის პირველსავე წლებ-



ადიში. „ცხენოსანი წმიდა გიორგი“ - „ქაშვეთი“

ში, და, ალბათ, მანამდეც სვანეთში დიდი საეკლესიო-სამონასტრო ცხოვრება იწყება. ნიკოლაოსის მსგავსი ნეტარი მამანი ამ მონასტრების სათანადო ლიტურატურით მომარაგებისათვის იღვნიან, სხვები კი უშუალოდ მშენებლობას ხელმძღვანელობენ. ადიში ერთ-ერთი ასეთი ორგანიზატორი ზევით ნახსენები სინელი ხუცესია, რომლის სახელს, „მაცხოვრის“ გარდა (აქ იგი სამ წარწერაშია ნახსენები), „თარინგზელშიც“ (მთავარანგელოზის ეკლესია) ვხვდებით: „ქ. წმიდაო მთავარანგელოზო, შეინყაღე სინელი ხუცესი, მწარედ ცოდვილი, დღესა მას საშინელსა განკითხვისასა, ოდეს ღმერთი მიავებდეს...“ ძალიან საინტერესოა ამავე ტაძრის კიდეც ერთი ნაკანრი წარწერა სინელისა, რომელიც ზვავის ჩამონოლას გვაუწყებს: „ქრისტე, შეინყაღე სინელი. იოვანეს თავისპოვასა წინადღესა თოვლმან სახლი დაარღვია და ძელნი დაღენა“.

ადიშის ეკლესიების კედლებზე არსებულ სხვა ნაკანრი წარწერებში, რომლებიც ყველა გარდამავალი მხედრული დამწერლობითაა შესრულებული, ნახსენები არიან **კვირიკე და ამროლა** („თარინგზელი“), **გიორგი ხოჭომანი და ივანე ხემკილელი** („მაცხოვარი“). ამათგან ზოგიერთი, შეიძლება კალატოზია, ზოგიერთი კი — მხატვარი (ადიშის ეკლესიებიდან ყველაზე უკეთ მხატვრობა „თარინგზელში“ და „ცხენოსან წმიდა გიორგიში“, იგივე „ქაშვეთშია“ შემორჩენილი). მაგრამ ერთია კალატოზობა და მხატ-

ვრობა, თუნდაც სამშენებლო საქმიანობის წარმართვა და მეორეა დაკვეთა და ფინანსები, ანუ ქტიტორობა. აქ უკვე ისეთი პიროვნებები იყო საჭირო, რომლებიც განსაკუთრებული ძალაუფლებით (მუშახელის გამოყვანის ძალმოსილებით) და შეძლებით გამოირჩეოდნენ.

დღეს ჩვენში გავრცელებულია მცდარი წარმოდგენა, რომ ბალსზემო სვანეთში კლასობრივი დაყოფა არ არსებობდა და ყველა ყველას ტოლი გახლდათ. გვიან შუასაუკუნეებში, როცა ერთიანი საქართველო სამეფო-სამთავროებად დაიშალა. ეს, ალბათ, ნაწილობრივ ასეც იყო, თუმცა „ვარგები“, ანუ აზნაურთან გათანაბრებული პირები (ვარგისი კაცები) მაინც არსებობდნენ.

სულ სხვა მდგომარეობა უნდა ყოფილიყო განვითარებულ შუასაუკუნეებში, ერთიანი სახელმწიფოს პირობებში, ოღონდ მაშინაც აქაური ერისთავობა განსხვავებული იქნებოდა სხვა რეგიონების ერისთავობისაგან და აი, რატომ: ცნობილია, რომ ადრეულ ხანებში ერისთავი, უწინარესად, ამა თუ იმ დიდი ხევის (პოლიტ-საზოგ. ერთეულის) სამხედრო ხელმძღვანელი იყო. სვანეთში კი სამხედრო-დემოკრატიასთან მიახლოებული საზოგადოების ნიშნები ძალიან ადრეული პერიოდის ვლინდება. ასე მაგალითად, როცა სტრაბონი ამბობს, რომ სვანებს 200-ათასიანი ლაშქრის გამოყვანა შეუძლიათო, ეს იმას გულისხმობს, რომ მოლაშქრე იყო ყველა



ჯანმრთელი კაცი: ახალგაზრდაც და ქარმაგიც. წინააღმდეგ შემთხვევაში, თუნდაც ერთ ოჯახს რომ ერთი მოლაშქრე გამოეყვანა, 200 ათასი ოჯახის არსებობა მაშინდელ, თუნდაც ტერიტორიულად ძალიან დიდ სვანეთშიც კი წარმოუდგენელი იქნებოდა. სავარაუდოა, რომ ქუდზე კაცის პრინციპი ბოლომდე მოსდგამდა სვანეთს და ერთგვარი სამხედრო-დემოკრატიული ტრადიცია ძვალ-რბილში იყო გამჯდარი. ამდენად, აქაური დიდი ხევისუფალი, უწინარესად, მაღალი სამხედრო იერარქი, მხედართმთავრული ნიჭით დაჯილდოებული პირი უნდა ყოფილიყო, რომელიც ქონებრივი ცენზით და მამულის სივრცითაც იქნებოდა გამორჩეული.

ამის თაობაზე, ბუნებრივია, სხვაგვარი მოსაზრებებიც არსებობს, ასეთი დიდი ხევისუფალი რომაა გამოსატყულები ადამის „მაცხოვრის“ ეკლესიაში და იგი არა მარტო ამ ტაძრის, არამედ სხვა ეკლესიების ქტიტორიც უნდა ყოფილიყო, ეს უდაოა. ეს პიროვნება **მიქაელ ჩეგიანია**.

ფრესკა მოთავსებულია სამხრეთ კედელზე, კარიდან აღმოსავლეთით, მაცხოვრის გამოსახულებიდან მხარმარჯვნივ. იგი სანახევროდ შებრუნებულია საკურთხევისაკენ და ორთავე ხელი მავედრების პოზაში აქვს. ეს უესტიმას გვეუბნება, რომ იგი უფალს სწირავს ამ ტაძარს. პორტრეტის მარჯვენა მხართან არის წარწერა, ოღონდ არა ნაკანრი და გარდამავა-

ლი მხედრულით, არამედ ფრესკული ასომთავრულით შესრულებული: **„ქრისტე, შეიწყალე მიქაელ ჩეგიანი. ამენ! ესე...“** დაწყებული მეორე წინადადება აღარ სრულდება, მაგრამ ეს შელესილობის დაზიანების ბრალი არ არის. მხატვარს აღარ ან ვეღარ დაუსრულებია წარწერა.

ფრესკაზე მიქაელ ჩეგიანი მთელი ტანით ყოფილა გამოსახული, მაგრამ მისი ქვედა ნაწილი დაზიანებულია და ახლა მხოლოდ 85 სმ-ის სიმაღლისაა. მას ძალიან მდიდრულად აცვია. წელში გამოყვანილ კაბაზე მრავალგან ოქრომკედი და ძვირფასი თვლები აქვს. მონითალო ქუდს ირგვლივ ბენვი აქვს შემოვლებული, ხოლო ქუდს წვერში რაღაც განსაკუთრებული ნიშანი, მაღალი იერარქის ინსიგნია აქვს დამაგრებული. ეს ჩვეულებრივი „ვარგი“ (აზნაური) არ არის. იგი დიდი ხევისუფალი — ერისთავი უნდა იყოს. მიქაელ ჩეგიანი თუ მთელ სვანეთის არა, აღმოსავლეთ სვანეთის საზოგადოების თავკაცი მაინც იყო, რომელიც ძნელბედობის ჟამსაც კი შესაშური ერთიანობით გამოირჩეოდა. ნ. ალადაშვილი და ან. ვოლსკაია მხატვრობას XII საუკუნეს განაკუთვნიებენ, მ. ბერძენიშვილი კი წარწერას, პალეოგრაფიული ნიშნებით XI საუკუნით განსაზღვრავს. ასეთ შემთხვევაში თარიღად XI-XII საუკუნეთა მიჯნა უნდა მივიჩნიოთ (დაახლ. 1085-1115 წწ.). ამრიგად, მიქაელ ჩეგიანი ერთდროულად ფრესკითა და წარწერით დამონმებული ყველაზე ძველი

ერისთავი და ქტიტორია სვანეთში. ამის შემდგომ მოდის საეკლესიო პირის, კვირიკე მამასახლისის ფრესკა და წარწერა ლატალის „მაცხოვარში“ (1140 წ.) შალვა ქიქშილიანის ქტიტორული ფრესკა და წარწერა ლალამის „მაცხოვარში“ (XIII-XIV სს. მიჯნა), დემეტრე ჩართველანის ფრესკა და წარწერა ლეხთავის (მესტია) „ლამარიაში“ (XIV ს. პირველი მეოთხედი) და სხვა.

სვანეთის ისტორიაში XI საუკუნის 80-იან წლებამდე, როგორც ერისთავები, ცნობილია მხოლოდ 3 პიროვნება: 1) **„სამნალირი“** — ერისთავი ეგრისა და სუანეთისა — ვახტანგ გორგასლის ეპოქაში; 2) ერისთავი **ზვიადი** (მარუშიანი) — XI საუკუნის დასაწყისში (იგი ნახსენებია წვირმის წმიდა გიორგის ეკლესიის წარწერაში, ასევე — ნაკიფარის წმ. გიორგის და ჟიბიანის მაცხოვრის ხატებზე); 3) დიდი ერისთავი **ვარდანი**, რომელმაც, ნიანია ქვაბულისძესთან და ივანე ლიპარიტ ბაღვაშთან ერთად, ქვეყანა აურია მეფე გიორგი II-ს — **„ვარდან გაადგინა სუანნი ავისა მოხარკულნი, დაარბიეს და ამოსწყვიტეს საეგრო“** („მატიანე ქართლისაი“).

მაგრამ სამნალირიც, მარუშიანიც და ვარდანიც წარმოშობით სვანეთიდან იყვნენ თუ არა, ეს დაუდგენელია. ისინი ხომ, სვანეთის გარდა, საეგროსაც მართავდნენ, მიქაელ ჩეგიანი კი უდაოდ ადგილობრივი ერისთავი და კონკრეტულად სვანეთის ლიდერია.

როგორც ვიცით, დავით აღმაშენებელმა ბევრი რამ შეცვალა სახელმწიფო მმართველობაში და ურჩი ფეოდალები ახალგაზრდა და ნიჭიერი გვარიშვილებით ჩაანაცვლა. ბუნებრივია, ვარდან ერისთავსა და მისი ოჯახის წევრებს მამამისის დროს განდგომილებას არ აპატიებდა აღმაშენებელი, მათ პოზიციებს დაათმობინებდა და სხვას ჩააბარებდა სვანეთს. ერთ-ერთი ასეთი დანიშნულებული დიდაზნაური იყო, ალბათ, მიქაელ ჩეგიანი, რომლის წარწერა მხატვარმა უცაბედი სიკვდილის გამო ვერ დაასრულა.

მაგრამ ჩვენ პირველსა სიტყვასა მოვიდეთ და ჩეგიანებს დავუბრუნდეთ. ადამში დღემდეა შემორჩენილი გადმოცემა, რომ, მიქაელის გარდა, ძველ დროში ხეობაში ცხოვრობდა კიდევ ერთი ჩეგიანი, ლეგენდარული ბულა — კაცი ფრიად



ადამის „მაცხოვარი“ მიქაელ ჩეგიანის ფრესკა და წარწერა



ძლიერი, შეძლებული და დიდი მონადირე. ამ გადმოცემის მთხრობლების გიუნტერ ავალიანისა და ბავჩი ქალდანის თქმით, ადიშქალაში, სოფლიდან აღმოსავლეთით, ასე 5 კილომეტრში, დღემდე შემორჩენილი დიდი ლოდებით შემოფარგლული მინდორი, რომელიც ბულა ჩეგანის მამული იყო და დღემდე „ბუღას კარვების“ სახელითაა შემონახული.

ამ ადგილამდე, სოფელ ადიშიდან 4 კილომეტრში, ჩეგანთა გვარის უფრო თვალნათელი ნაკვალევია. იქამდე მანქანა ვერ აღწევს და ჩვენც ცხენებით მივემგზავრებით.

შემოდგომის კრიალა ცა, მზიანი და წყნარი ამინდია. ხელმარცხნივ, ნაძვნარს იქით, თეთნულდის თეთრი, ქათქათა კონუსი დგას, პირდაპირ ხალდეს მრისხანე მყინვარი და რუსთაველის პიკია. მყინვარებს ლურჯი ფერი გადაჰკრავს, ყოველ 100-200 მეტრში ფერდობზე ნაკადულები ჩამორბის და ადიშქალას უერთდება. ცხენები ფრუტუნით მიდიან და ხშირად თავის აშვებას ლამობენ. „ჯგრაგ ლიჩანიში“ მივადექით. ეს X-XI საუკუნის წმიდა გიორგის სახელობის ეკლესიაა, რომელსაც „ქუდოსან წმიდა გიორგისა“ უწოდებენ. ტაძარი, უფრო სწორედ მისი ძირითადი და ძველი დარბაზი, რომელიც შირიმის კარგად გათლილი კვადრებითაა ნაგები, გარე მოცულობით ადიშის „მაცხოვარს“ (6,55X5,2მ) ჩამორჩება და „ქაშვეთისა“ და „თარინგზელის“ თანატოლია (4,9X4,2მ). ტაძარი რომ გარედანაც იყო მოხატული, ამას აღმოსავლეთის ფრონტონის ქვები მოწმობს. გვიან ხანებში, ტაძრისათვის ზერელე მინაშენები მიუდგამთ. თუ ადიშის სამხრეთ უბანში მდგარი „ქაშვეთის წმიდა გიორგი“ მახლობლად მდებარე ვერილარის მთებში არჩევზე სანადიროდ მიმავალი ვაჟკაცების სალოცავიც იყო, „ჯგრაგ ლიჩანიში“ თეთნულდისაკენ მიმავალ ჯიხვებზე მონადირეებს ულოცავდა ხოლმე გზას. თუ მონადირეები ჯიხვით დაბრუნდებოდნენ, „ჯგრაგ ლიჩანიში“ ისევ შევიდოდნენ წმინდა გიორგისათვის მადლობის სათქმელად, თან, ნათავედ არაყთან ერთად, ნანადირევის შემწვარ გულ-ღვიძლს შეატანდნენ, როგორც ყველაზე მინდა ნაწილებს და იქვე შეექცე-

ოდნენ. ასევე იქცოდნენ ქაშვეთის „წმიდა გიორგიშიც“, ოღონდ იქ ჯიხვს არჩვი ცვლიდა. ამიტომაც არის, რომ ერთ ეკლესიაში არჩვის რქებია შემორჩენილი, მეორეში კი — ჯიხვისა.

მაგრამ „ჯგრაგ ლიჩანიში“ „ქაშვეთის წმინდა გიორგიზე“ მეტად პატივდებულია ადიშში, რასაც ამ სალოცავის მეორე სახელიც „ქუდოსანი წმიდა გიორგი“ განაპირობებს. „ჯგრაგ ლიჩანიში“ მორღვეული კოშკზე მიყუდებული უზარმაზარი ფიჭვისა და ნაძვის ჭოკები, რომელთა სიმაღლე 4-დან 6 მეტრამდე მერყეობს, დღესასწაულ „ლიჩანიშობას“ გვახსენებს. ეს დღესასწაული აგვისტოში, „კვირიკობის“ დღესასწაულის შემდეგ, იმართება. აქ მოსული მლოცველმავედრებლებს. ერთი ნაწილი ოჯახში ვაჟიშვილის შეძენას შეთხოვს მთავარმონამეს, მეორე ნაწილი, რომელსაც წმიდა გიორგიმ წინა „ლიჩანიშობაზე“ შეუსმინა და ქუდოსანი გაუჩინა, ჭოკებით („ღვატებით“) მოდის. ჭოკებს წვერში სხვადასხვა ფერის ალმები აქვს მიმაგრებული. სანახაობა ერთობ თვალისმომჭრელია და მასში, თითქოს, არის რაღაც ნარმართული, კონკრეტულად ფალოსის კულტის რიტუალი. თითქოს-თქო, იმიტომ ვამბობ, რომ მას შემდეგ, რაც მიტროპოლიტ ანანია ჯაფარიძის ნაშრომს გავეცანი, ბოლომდე არ ვარ დარწმუნებული. ამიტომ, ვფიქრობ, აქ უპირანი იქნება ნაშრომის სათანადო ამონარიდის გაცნობა, რომელიც, ზოგადად, მთაში შემორჩე-


ნილ რელიგიურ დღესასწაულებს შეეხება:

„როგორც ჩანს, საქართველოში ქრისტიანობა პირველ საუკუნეებში, მოციქულთა დროიდან გავრცელდა, ხოლო IV საუკუნიდან ის შეიცვალა ქრისტიანული ეკლესიის იმ ეპოქისათვის მისაღები ფორმით და საყოველთაო ხასიათი მიიღო. პირველ საუკუნეთა ქრისტიანობას სპეციალისტები „იუდაურ ქრისტიანობას“ უწოდებენ, ხოლო შემდგომს „ელინურ ქრისტიანობას“. როგორც ჩანს, IV საუკუნიდან ჩვენში გავრცელებულმა ელინურმა მძლავრმა ქრისტიანობამ ვერ იგუა ძველი, ე.წ. იუდაური ქრისტიანობა და ამ ძველმა ქრისტიანულმა მიმდინარეობამ მთებს შეაფარა თავი. ეს რთული საკითხია და ამის შესახებ, ალბათ, სხვა გამოკვლევაა საჭირო“.

აი, ასეთი საინტერესო და ბურუსით მოსილი დღესასწაულია „ლიჩანიშობა“, რომელსაც ადიშის ეს ეკლესია მასპინძლობს. მაგრამ ჩვენ ახლა სხვა რამ უფრო გვაინტერესებს — ტაძრის ინტერიერში შემონახული გრაფიტი, ანუ ძველი ნაკანრი წარწერა. და მართლაც, დარბაზის ჩრდილოეთ კედლის შელესილობაზე, შუა ადგილას, წმ. თევდორეს ფრესკაზე, იატაკის დონიდან 170 სმ-ის სიმაღლეზე გაჭირვებით იკითხება გარდამავალი მხედრულით შესრულებული მოკლე ნაკანრი წარწერა: **„წ(მიდა)ო თ(ევდორე)ე, შე(ინყალ)ე ჩეგი“**. ფრესკასა და წარწერას ტ. შევიაკოვა და ვ. სილოგავა XI საუკუნის პირველი მე-



ადიში. „თარინგზელი“



ადიში „ჯგრაგ-ლიჩანიში“ და ჩების წარწერა

ჩაქვი

ოთხედით ათარიღებენ (იხ. კრებულის „სვანეთი“ 2008 წ. გვ. 260 და საქ. მეცნ. აკადემიის „მოამბე“, ტ. XXVII, №3, 1961 გვ. 384).

აი, ეს ჩევი შეიძლება ჩაითვალოს ჩევიანების გვარის ეპონიმად და ფუძემდებლად. სხვათაშორის, ლეგენდარული ბუღა ჩევიანის ნასახლარი, როგორც უკვე აღვნიშნეთ, აქედან შორს აღარაა.

როგორ წარიმართა ჩევიანთა დინასტიის ბედი XII საუკუნიდან XIX საუკუნის 70-იან წლებამდე? ჩევიანთა ერთ შტოს როჩაგვიანების, რუჩევიანების, ბოლოს რიჩგვიანების გვარი მიუღია. ასე მაგალითად, ცნობილია XIII-XIV საუკუნეთა მიჯნის ერთი „დანერილი“, რომელშიც **გიორგი როჩაგვიანი** თავის ოჯახს ავედრებს ლაჰილის (ლატალის თემის ერთ-ერთი სოფელი) მოხერისის მთავარანგელოზს და ამას აკეთებს **„მას ჟამსა ოდეს: ჰავისა ჟამის შემოსვლამა ქუეყანაი დააშავა“** („სვანეთის საისტორიო ძეგლები“ ტ. II, გვ. 18). 15-სტრიქონიან „დანერილში“ კაცი რომ ქვეყნის გასაჭირს გვერდს არ აუვლის, უდაოა, ის კაცი ჩვეულებრივი მოთემე არ იქნება, მაგრამ აქ სხვა ფაქტიც იქცევს ყურადღებას: ჩევიან-როჩაგვიანები ისევ აღმოსავლეთ, ანუ შემდგომი დროის ბალსზემო სვანეთის მკვიდრნი არიან, რადგან ლაჰილი ლატალის თემის სოფელია. ამის შემდეგ ჩევიანები უკვე **რუჩევიანების** გვარით გვევლინებიან. ისინი

პირველობას ერთხანს გელოვანებს უთმობენ, მაგრამ XV საუკუნის ბოლოს ისევ წინაურდებიან, თუმცა ამჯერად ბალსქვემო სვანეთში, რომლის ცენტრი ეცერი იყო. ამის დასტურია 1503 წელს შედგენილი „ნიგნი ალექსანდრე მეფისა სვანთა მიერ ჯაფარიძეთა სასისხლოს გადახდაზე“ (იხ. „სვანეთის წერილობითი ძეგლები“ ტ. I, გვ. 112-116). რაჭის მხრიდან ჯაფარიძეთა მიერ ჩაკეტილი ბალსზემო ხეობათა სვანები წერენ: **„მივედით ეცერს, რუჩევიანსა და დადიშქელიანსა შევესუენით და დადიანთან გავგზავნეთ. შევესუენით დადიანს მამიასა და ცხრა ჯორი გავგზავნეთ. ამისა აჯა ვსთხოვეთ, რომ მეფეთმეფეს პატრონს ალექსანდრესთან აჯა ეთხოვნა“** (საუბარია იმერეთის მეფე ალექსანდრე II-ზე). აქ, როგორც ვხედავთ, ჯერ რუჩევიანია დასახლებული და შემდეგ დადიშქელიანი, რასაც თავისი საფუძველი აქვს: პირველი ის, რომ ამ დროისათვის ბალსქვემო სვანეთში დადიშქელიანები ჯერ კიდევ ვერ ბობოქრობენ და რუჩევიანების მერე არიან, მეორე — ბალსზემო სვანებს განსაკუთრებით რუჩევიანის იმედი აქვთ, რომლის წინაპრები ერთ დროს მათი მეთაურები იყვნენ. გადის დრო და რუჩევიან-რიჩგვიანებს უკვე დადიშქელიანებთან უწევთ სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლა. ეს კარგად არის ასახული ბალადა „ვაცბილ-ბაცბილში“.

ჩევიანების გვარს რუჩაგვიანებისა და რუჩევიანების ფორმით ვხვდებით „სვანეთის სულთა მატინანეშიც“ XVI, XVII, XVIII საუკუნეებში. XVI საუკუნის წარმომადგენელი დიდებული ბაძუ რუჩაგვიანი იხსენებს რა მამაც და ასევე დიდებულ ოჯახის წევრებს, ასახელებს ბაბუას — დიდ რუჩაგვიან რამაზს, რომელიც შეიძლება 1503 წლის წიგნში მოხსენიებული მედიატორი იყოს. ზემოთ ნახსენებ დოკუმენტებში, კაცებთან ერთად იხსენიებიან დიდებული ქალებიც: ელენე რუჩევიანი, მანანუს რუჩევიანის, თაჯი რუჩევიანი.

ამჟამად სულ შემორჩენილია ჩევიანების 17 ოჯახი: 9 — გარდაბნისა და თეთრინყაროს რაიონებში, 3 — ქუთაისში, 1 — ლენტეხის რაიონში, 1 — მცხეთაში, 2 — მოსკოვში, 1 — კრივოი როგში. აღსანიშნავია, რომ როჩევიანების, რუჩევიანების, რიჩგვიანებისა და რიჩქვანების გვარები არსად არ გვხვდება.

საგვარეულო თავგადასავლის ამ მოკლე მიმოხილვამ ასეთ დასკვნამდე მიგვიყვანა: პირველი — ჩევიანების გვარის სახეცვლილება შუასაუკუნეების საბუთების შემდგენლებისა და გადამწერების „თვითშემოქმედების“ შედეგი უნდა იყოს. მეორე — სავარაუდოდ, როჩევიანები თუ რუჩევიან-რეჩგვიან-რიჩგვიანები ჩევიანთა რომელიმე შთამომავლის — როსტომის, ან რუჯებ-როჯებ-რეჯების შტოს წარმომადგენლები იყვნენ (როჯებ ჩევიანი // როჩევიანი). სხვათა შორის, დადიშქელიანთა გვარიც ამგვარად უნდა იყოს ნაწარმოები გელოვანიდან: დადიშქელიანი // დადიშქელიანი. სხვაგვარად წარმოუდგენელია, რადგან XI-XII საუკუნეში დამონებული ჩევიანები თუ დღევანდლობამდე შემორჩნენ, XV-XVII საუკუნეთა როჩაგვიანები და სხვები ერთიანად როგორ გადაშენდებოდნენ?! ასეც არ იყოს, უდაოა, რომ ძირი გვარი ჩევიანია და იგი საკუთარი სახელიდან — ჩევიდან არის ნაწარმოები, ხოლო „ჩევი“ წმიდა გიორგისთან არის ასოცირებული.

მე ჩემი მისია ამოვწურე ადიშიში, მაგრამ უმჯობესი იქნებოდა, ეს გაცილებით ადრე, გურამ ჩევიანის სიცოცხლეში მომეხერხებინა.

გელა ქოქიაშვილი
ავტორის ფოტოები



გიულდენშტედტის მოგზაურობა საქართველოში

უცხოელ მოგზაურთა მიერ ამა თუ იმ ქვეყნის ისტორიის შესასწავლად დატოვებულ ცნობებს უაღრესად დიდი მნიშვნელობა აქვს. ამ ცნობებში მოიპოვება უხვი მასალა ქვეყნის სოციალური ვითარების, პოლიტიკური წყობის, ეკონომიკური მდგომარეობის, გეოგრაფიული პირობების, ბუნებრივი სიმდიდრისა და სხვათა შესახებ.

მრავალფეროვანია XVIII საუკუნეში გიულდენშტედტის საქართველოში მოგზაურობის მასალები. ყველა ისინი საყურადღებო და საინტერესო ცნობებს შეიცავს საქართველოს შესახებ; ცნობილია, რომ XVIII საუკუნეში გახშირდა დაღესტნელ ფეოდალთა ყაჩაღური თავდასხმები საქართველოზე, რასაც დიდი ზიანი მოჰქონდა საქართველოს სოფლის მეურნეობისა და სამოქალაქო ცხოვრებისათვის. ლეკიანობა, უმთავრესად, წარმოადგენდა წვრილ-წვრილ გუნდებად დანაწილებული დაღესტნელი აზრაგების მიერ წარმოებულ ძარცვასა და ყაჩაღობას საქართველოში. ეს აზრაგები იტაცებდნენ ხალხს, პირუტყვს, ქონებას; განსაკუთრებით — ხვნა-თესვის, მკის, რთვლის დროს; მიჰქონდათ და მიჰყავდათ ყველაფერი, რის მოტაცებაც შეეძლოთ. მოსახლეობა მათგან დიდ ზარალს ნახულობდა, იმლებოდა მეურნეობა. გიულდენშტედტს არ გამოჰპარვია ქართული სამეფოს ცხოვრების ეს მომენტი — ლეკიანობა. იგი ბევრგან აღნიშნავს, რომ მსგავსი თავდასხმები საქართველოში თითქმის ყოველდღე ხდებოდა და ამიტომ მათ გამო საქართველოში მოგზაურობა უხიფათო არ იყო, ამიტომ იგი დაცვის გარეშე ვერ ბედავდა ექსკურსიების მოწყობას. მოგზაური ხაზს უსვამს იმ დეტალსაც, რომ დასასვენებლად დაბინავებულნი ცხენებს ვერ უშვებდნენ საბალახოდ და იძულებულნი იყვნენ, შინ გამოეკვებათ; აგრეთვე, აღნიშნავს, რომ მოსახლეობა იყრებოდა ძირითადი საცხოვრებელი ადგილიდან და სხვაგან სახლდებოდა, მაგ.: ახტალის მოსახლეობა. გიულდენშტედტი აღნიშნავს, რომ ლეკები თავს ესხმოდნენ არა მარტო მოსახლეობას, არამედ — რუსთა შეიარაღებულ მცირე რაზმებ-

საც; თბილისიდან 7 ვერსზე რუსეთის საქმეთა რწმუნებულმა გვარდიის კაპიტანმა ლვოვმა და პოლკოვნიკმა ვოლკოვმა თავდასხმის შედეგად ხალხი და ცხენები დაკარგეს. უნდა აღინიშნოს, რომ გიულდენშტედტმა, როგორც მეცნიერმა, შეძლო თავისი თვალთ ნანახი და სხვისგან ნაამბობ-გაგონილი ერთმანეთთან შეეჯერებინა და დაენერა. როგორც ჩანს, მას სანდო წყაროები ჰქონდა, მაგრამ, რადგან საქართველო მისთვის უცხო ქვეყნა იყო, ზოგი რამ ქართული სინამდვილიდან, ზუსტად ვერ გაუგია. მაგალითად, ერთგან მოგზაური შენიშნავს, რომ „სწავლა-განათლების საქმე სავალალო მდგომარეობაშია, ხოლო უბრალო ხალხთან (გლეხობასთან) — სრულიად გამორიცხული; ასე რომ, ბავშვებს ცოდნის მიღების შესაძლებლობა მხოლოდ მშობლებისგან აქვთ“. ქვეყანა იმდენადაა დასუსტებული უცხოთა თავდასხმებისგან, რომ ეს სახელმწიფო „ვერ უწყობს ხელს სკოლების, კულტურის, ხელოვნების განვითარებას“. გიულდენშტედტის ეს შენიშვნები, რა თქმა უნდა, არასწორია. ცნობილია, რომ XV-XVIII საუკუნეებში ქართული სკოლები კერძო პირთა თაოსნობით ფუნქციონერებდა. თუ XVIII საუკუნემდე სწავლის საქმეს კერძო ხასიათი ჰქონდა და დამოკიდებული იყო ამა თუ იმ განათლებული პირის სურვილზე, შემდგომ ეს სასწავლებლები სახელმწიფოს ზრუნვის საგანი გახდა. ერთი კია, რომ სკოლების კარი ყველასთვის ღია არ იყო. მაგალითად, თბილისის სემინარიამი იღებდნენ კეთილშობილთა და სასულიერო პირთა შვილებს. ქალაქის ფართო მოსახლეობას მხოლოდ პირ-

ველდნეებითი განათლების მიღების უფლება ჰქონდა. ყოველივე ამასთან ერთად, 1749 წელს აღდგენილ იქნა თბილისის სტამბა, რომელიც 60-იან წლებში ერეკლემ განაახლა, შეაკეთებინა გაცვეთილი იარაღები და 1764 წელს გადაატანინა „ეზოსა სამეფოსა“, სადაც 1772 წლამდე დაიბეჭდა რიგი წიგნებისა. მართალია, ქვეყანა ძალზე დასუსტებული იყო, მაგრამ წარმოუდგენელია, ერეკლე მეორეს ყურადღება არ მიექცია და ხელი არ შეეწყობა სკოლების, კულტურისა და ხელოვნების საერთო აღმავლობისათვის, მაშინ, როცა ცნობილია, რომ ერეკლეს სახელთანაა დაკავშირებული მთელი რიგი კულტურული ნამოწყებები. გიულდენშტედტი, ეტყობა, უფრო გატაცებული იყო მინერალთა, მცენარეთა და ცხოველთა შესახებ ცნობების შეგროვებითა და ქვეყნის ეკონომიკური მდგომარეობის შესწავლით, განათლება-კულტურის საკითხებისთვის კი თავი არ შეუწუხებია. გიულდენშტედტი ამბობს, რომ მას უჩვენეს 650-გვერდიანი ქართული ქრონიკა, რომელიც რუსეთში გარდაცვლილმა ვახტანგ მეფემ, ლეონის მეხუთე ვაჟმა და გიორგის ძმისშვილმა შეადგინა სახელმწიფოს ორივე მთავარი მონასტრის — გელათისა და მცხეთის არქივებიდან. რა თქმა უნდა, იგულისხმება „ქართლის ცხოვრება“ ვახტანგ VI-ის თაოსნობით შემოწმებულ-შევესებული. ხალხის ყოფა-ცხოვრებასა და ჩვეულებათა გადმოსაცემად იგი, ასევე, უყურადღებოდ არ ტოვებს ისეთ მოვლენებს, როგორცაა ახალი წლის დღესასწაული, მიცვალებულთა დამარხვა, ქორწილი, ღვთისმსახურება, სახლების აგება, ჩხუბი, პურის ცხობა, კარაქის დღეობა, ღვინის დაყენება, ვაზის სხვლა, ცხენების მოვლა, აკვანი და სხვ. ამჯერად მკითხველს ვთავაზობთ გიულდენშტედტის ქართლში მოგზაურობის ჩანაწერებს.



გიულდენსტადტი — ქართლში

გაბრძელება (დასაწყისი ის. „ისტორიული მემკვიდრეობა“ №1; №2)

■ საქართველოს პოლიტიკური და გეოგრაფიული უმჯობესების

დღევანდელი საქართველო, ანუ რუსულად გრუზია, როგორც ცნობილია, არის ძველი გეოგრაფიის მიერ აღწერილი იბერია და ნაწილობრივ — ალბანია. სპარსელები ქვეყანას საერთოდ, და განსაკუთრებით მის აღმოსავლეთ ნაწილს, უწოდებენ გურგესტანს; თურქები — გურჯის; ქართველებს კი პროვინციებისათვის აქვთ საგანგებო სახელები, რომელთაგან ყველათვის საერთოა „ქართველი“, აგრეთვე, „ქართული“, რომელსაც მთელ ქვეყანასაც უწოდებენ.

საქართველო მდებარეობს კავკასიონის სამხრეთით, ორ ზღვას შორის (აღმოსავლეთით კასპის ზღვა, დასავლეთით შავი ზღვა); ჩრდილოეთით საზღვრავს მაღალი ალპები, სამხრეთით კი გადაჭიმულია არარატის მთიანეთამდე. ჩრდილოეთით — აღმოსავლეთიდან დასავლეთისკენ — ესაზღვრებიან ლეკები, ანუ ლეკეთი, ქისტეთი, ოსეთი, ბასიანი და აფხაზეთი; დასავლეთით — შავი ზღვა; სამხრეთ-დასავლეთით — თურქეთი და აღმოსავლეთით — სპარსული მხარეები. დასავლეთით — საერთოდ, კასპის ზღვა და ამჟამად მის ნაპირებზე მცხოვრები თათრები.

წინათ მთელ საქართველოს განაგებდა ერთი მმართველი; უმჯობესი — სხვადასხვა პროვინციის თავისი საკუთარი მმართველი კყავდა. თურქებმა ნაგლიჯას მას ზემო ქართლი; სვანეთი კი თავისუფალი იყო.

ახლა ეს ქვეყანა, რომელსაც აქვს შესანიშნავი მდებარეობა და ბუნება, თურქებისგან, სპარსელებისა და, ნაწილობრივ, კავკასიელთაგან ისე ხშირად განიცდის შემოსევებს და, გან-

საკუთრებით, პირველი ორისაგან ისეა დაჩაგრული და გაუდაბურებული, რომ დაქუცმაცებული მმართველობისა და მრავალრიცხოვანი გამანადგურებელი თავდასხმების გამო ნაკლებ გაშენებულ, მცირედ დასახლებულ და ყველაზე სუსტ ქრისტიანულ სახელმწიფოს წარმოადგენს.

საქართველოს პროვინციები:

1. ზემო ქართლი, მტკვარზე, ზემოთ;
2. ქვემო ქართლი, მტკვრის ქვემო წელის მარჯვენა მხარეს;
3. სომხეთი, აგრეთვე, მტკვრის ქვემო წელის მარჯვენა მხარეს, ქვემო ქართლის აღმოსავლეთით. ძველად ის ეკუთვნოდა არა საქართველოს, არამედ სომხეთის ნაწილი იყო; ახლა კი ემორჩილება ქართლის მეფეს;
4. კახეთი, საქართველოს ყველაზე აღმოსავლეთი პროვინცია, ალპებსა და მტკვარს შორის;
5. შიდა ქართლი, ანუ შუა ქართლი, დასავლეთიდან — კახეთით, აღმოსავლეთიდან — იმერეთით, ჩრდილოეთიდან — ალპებით, სამხრეთიდან კი მტკვრითაა შემოსაზღვრული;
6. იმერეთი, აღმოსავლეთიდან ესაზღვრება ქართლი, დასავლეთიდან — სამეგრელო და გურია, ჩრდილოეთით — ალპები, სამხრეთით კი — კავკასიის მთისწინეთის განშტოება;
7. გურიას აღმოსავლეთით აკრავს იმერეთი, სამხრეთით — ქოროხი, დასავლეთით — შავი ზღვა, ჩრდილოეთით — სამეგრელო;
8. სამეგრელო — აღმოსავლეთით ესაზღვრება იმერეთი, სამხრეთით — გურია, დასავლეთით — შავი ზღვის პირას მდებარე თურქული ოლქები, ხოლო ჩრდილოეთით — სვანეთი და მთის სხვა ოლქები;
9. სვანეთი მდებარეობს მაღლა მთებში, ზევით — ცხენის-წყალზე, სამეგრელოს ჩრდილო-დასავლეთით.

ეს პროვინციები ახლანდ, სომხეთის გამოკლებით, უმჯობესი ქართველებითაა დასახლებული.

საქართველოს გარეთ ქართველები არიან, აგრეთვე, სპარსეთში — ფერიაში, ისპაჰანში, რომლებიც შაჰ-აბასმა გადაასახლა ქართლიდან.

სპარსულ პროვინციაში არის კოლონიები, რომლებსაც ჯერ კიდევ, იმათ მსგავსად, რომლებიც სპარსეთში არიან, უმომუნახავთ ენა და ჩვევები, მაგრამ ქრისტიანული რელიგია უმჯობესი უმჯობესი რელიგიით.

კავკასიელ მთიელთა შორის, განსაკუთრებით ლეკებსა და ოსებში, ბევრი ქართველია, რომლებმაც, რელიგიასთან ერთად, ენაც დაივიწყეს.

მხიკა რაოდენობა ახალწინა სსოვრობს რუსეთში, უმთავრესად, ასტრახანში; მათ ჯერ კიდევ კავშირი აქვთ საეპოპოსტოსთან.

ამავე დროს საქართველოს პროვინციებში ქართველებთან ერთად ცხოვრობენ:

1. თათრები, უმთავრესად თურქმანები, ანუ თარაქამა (თათრები); განსაკუთრებით — სომხეთში, რომლის მოსახლეობის უმეტეს ნაწილსაც შეადგენენ; ცხოვრობენ, აგრეთვე, ზემო ქართლსა და გურიაში; უფრო ცოტანი და გაბნეულნი არიან სხვა პროვინციებშიც; ამას-

თან, კახეთში ხუთი მთლიანად თათრული სოფელია. ისინი თათრული ენის თურქულ დიალექტზე ლაპარაკობენ და მაჰმადიანები არიან;

2. არმენიელები (ქართულად სომეხი) ცხოვრობენ მთელ საქართველოში, ნაწილობრივ — საკუთარ სოფლებში, ნაწილობრივ ქართველებთან არიან შერეულნი. ერთმანეთს თავიანთ ენაზე ელაპარაკებიან, ხოლო რომლებიც ქართველებთანერთად ცხოვრობენ, საუბრობენ ქართულად. ისინი მთლად იგი-

ვე უფლებებით სარგებლობენ, როგორც ქართველი ხალხი; რელიგიის მიხედვით კი ნაწილი სომეხ, ნაწილი რომაელ ქრისტიანებს ეკუთვნის;

3. ოსები ცხოვრობენ ოსურ მხარეებში, რომლებიც მთებშია, და ემორჩილებიან ქართველ მეფეს ან თავადებს და ცხოვრობენ თავისთვის (და არა ქართველებს შორის);

4. ებრაელები (ქართულად „ურია“) ცხოვრობენ საკუთარ სოფლებში; უმეტესწილად გაბნეულნი

არიან ქართულ, სომხურ და თათრულ სოფლებში და არა — ოსურ სოფლებში. ისინი ბევრნი არიან, მაგრამ, ზემოთ დასახელებულ ხალხებთან შედარებით, — ყველაზე ცოტანი. ისინი ისევე იკვებებიან, როგორც ქართველები, ისინი აქ არ განიცდიან განსაკუთრებულ ჩაგვრას, არამედ, როგორც ქართველები, ისინიც ყველაფერს აძლევენ და იღებენ.

რაოდენობით ეს ოთხივე ხალხი (ერთად აღებული) ქართველობას ცოტათი აღემატება.

■ საქართველოს ისტორიისათვის

მე მაჩვენეს 650-გვერდიანი „ქართული ქრონიკა“, რომელიც, ცოტა ხნის წინათ რუსეთში გარდაცვლილმა ვახტანგ მეფემ, ლეონის მე-5 ვაჟმა და გიორგის ძმისშვილმა შეადგენინა სახელმწიფოს ორივე მთავარი ეკლესიის (გელათის — იმერეთშია, ქუთაისიდან დაახლოებით 10 ვერსის მანძილზე, — და მცხეთის — ქართლშია, თბილისიდან დაახლოებით 10 ვერსზე) არქივებიდან. ეს ქრონიკა თავის 70 თავში შეიცავს გადმოცემებს ხალხის წარმოშობის შესახებ, ასევე, გადმოცემებსა და ცნობებს მათი მმართველების რიგის (გენეალოგიის) თაობაზე, საიდანაც მე გეტყვით შემდეგს.

1792 წელს, შემდგომად ადამისა, ცხოვრობდა **თარგამოსი**, ძე თარაშისა, ძისა ავანანისა, ძისა იაფეტიისა, ძისა ნოესა, მამა 8 ვაჟისა, **არარატზე** 6500 წელი ერთ გამაგრებულ ციხეში. ეს ვაჟები არიან: აოს, ქართლოს, ბარდოს, მოაკან, ლეკოს, ეროს, კავკას და ეგროს, რომლებიც გახდნენ მამამთავრები სომეხთა, ანუ არმენიელთა, ქართველთა, რაანთა, ანუ შირვანელთა, მოვაკნელთა, ანუ ახლანდელ ერივანელთა, ლეკთა, ანუ ლეზგიელთა და დაღისტნელთა, მინგრელთა, ე.ი. მიგრელთა, კავკასიანთა, ანუ კავკასიელთა, კახთა და იმერელთა, რომლებიც ყველანი დაძმობილებულნი არიან.

მათ შვილთა შორის ყველაზე სახელგანთქმული იყო ქართლოსი. მცხეთოსი, გარდაბოსი, კახოსი, კუხოსი, გაჩიოსი იყვნენ ქართლოსის ვაჟები.

თარგამოსა ქართლოსისა არაგვის მილანოუბი გტკრაგაუ. ვაჟის სიკვილის შაფაბ, მსხეთოსა არაგვის შესართავთან ააჟანა სიხა მსხეთა. მსხეთოსს ჰჟავდა საჟი ვაჟი: უფლოსი, მოკოსი, ჯავახოსი, რომაუბის მუჟანი გახდნა.

ოდროსოს მან მისცა მხარე ტაშისკარიდან შავ ზღვამდე, რაც ახლანდელ იმერეთს და სამეგრელოს წარმოადგენს. ჯავახოსს მისცა მხარე ფარვანიდან მტკვრამდე (ეს უნდა იყოს ახლანდელი თრიალეთი და ჯავახეთი). უფლოსს მისცა მდ. არაგვისა და მცხეთის მიდამოები და თბილისიდან ტაშისკარამდე (ე.ი. ახლანდელი ქართლი).

საზარანი და საარსნი ფლოგან ყველაფარს ზღვის ქარ დარუბანდილან არაგვის ქარ დარიულაფა (ე.ი. დარუბანტილან დარიულაფა).

ალექსანდრე მაკედონელი ქართლში ჩრდილოეთიდან მოვიდა. მაშინ უაღრესად იყო გამეფებული გარყვნილება, სირცხვილეულობდნენ და-ძმას შორის და პირუტყვევებთან.

ალექსანდრე მოვიდა ჯერ ხერთვისთან და აიღო ქალაქები ოძრხე, ჩაროხი, უფლისციხე — ძალიან დიდი ქალაქი, სარკინე, სამშვილდე,

მცხეთა, ურბნისი, კასპი, ციხე-დიდი, ურიათუბანი, სადაც ებრაელები (იუდეველები) ცხოვრობდნენ; რუსთავი, დედა-ციხე, მტკვრის ციხე, ხუნანად ნოდებულები და კახეთის ყველა ქალაქი; ყველგან ჩააყენა გარნიზონები და თვითონ მცხეთაში გაჩერდა; შემდეგ შეჩერდა ქსანზე, ნასტაკისში; სარკინეთში განყვიტა ყველანი, ვინც კი 15 წელზე მეტისა იყო, და მხოლოდ ასი ათასი კაცი დატოვა.

რომის დარსაგის შაფაბ, აღაჟის შაფაბ 3233 წელს, რიგის მიხაღვით მუჟოგდნენ შაფაბი შირაბი:

1. ფარნავაზ პირველი, მეფე ქართლისა;
2. სურმაკ მეორე, ძე ფარნავაზისა;
3. მეფე მირვანოზი, ნებროთიანი;
4. მეფე ფარნაჯომი, ნებროთიანი;
5. მეფე არშაკუნიანი;
6. მეფე არატაკი, არშაკუნიანი;
7. მეფე ბარტომი, არშაკუნიანი;
8. მეფე არშაკი, ძე მირვან მეფისა, ნებროთიანი;
9. მეფე ადრევი, ძე ბარტომისი, არშაკუნიანი;
- 10-11. მეფე ბარტომი და აქართამი, ადრევის ძენი, არშაკუნიანი;
12. მეფე იყვნეს შვილი მათნი არმაზს — მეფენი ფარსმანი და კაოსი, ძენი ბარტომისი და აქართამისი, არშაკუნიანი;
13. მეფენი აზორკი და არმაზელი, ძენი ფარსმანისა და კაოსისა, არშაკუნიანი;
14. მეფენი ამაზასპი და დეროკი,



ძენი აზორკისა და არმაზელისნი, არშაკუნიანი;

15. მეფენი ფარსმან ქველი და მირდატი, ძენი ამაზასპისა და დეროკისი, არშაკუნიანი;

16. მეფე ადამი, ძე ფარსმან ქველისა, არშაკუნიანი;

17. მეფე ფარსმანი, ძე ადამისი, არშაკუნიანი;

18. მეფე ამაზასპი, ძე ფარსმანისი, არშაკუნიანი;

19. მეფე რენვი, არშაკუნიანი;

20. მეფე ვაჩე, ძე რევისი, არშაკუნიანი;

21. მეფე ბაქვარი, ძე ვაჩესი, არშაკუნიანი;

22. მეფე მირადატი, ძე ბაქვარისი, არშაკუნიანი;

23. მეფე ასპაკური, ძე მირდატისი, არშაკუნიანი;

24. მეფე მირიანი, ძე სპარსთა მეფისა, ხოსროიანი;

მის მეფობაში, 338 წელს ქრისტეს მიცვალების შემდეგ, მოვიდა წმიდა ნინო ქართლში. მას მხარში ამოუდგნენ წმიდა აბიათარი და წმიდა სიდონია, ქრისტიანული სარწმუნოების დამფუძნებლები;

25. მეფე ბაქარი, ძე მირიანისი, ხოსროიანი;

26. მეფე მირდატი, ძე ბაქარისი, ხოსროიანი;

27. მეფე ვარაზ ბაქარი, ძე მირდატისი, ხოსროიანი;

28. მეფე ტარადატი, სიმამრი ბაქარისი, ხოსროიანი;

29. მეფე ფარსმანი, ძე ვარაზ ბაქარისი, ხოსროიანი;

30. მეფე მირდატი, ძე ფარსმან მეფისა;

31. მეფე არჩილი, ძე მირდატ მეფისა, ხოსროიანი;

32. მეფე მირადატი, ძე არჩილ მეფისა, ხოსროიანი;

33. მეფე ვახტანგი, ძე მირდატისი;

34. მეფე დაჩი, ძე ვახტანგ გორგასალისა, ხოსროიანი;

35. მეფე ბაქვარი, ძე დაჩი მეფისა, ხოსროიანი;

36. მეფე ფარსმანი, ძე ბაქვარ მეფისა, ხოსროიანი.

37. მეფე ფარსმან, ძმისწული ფარსმან მეფისა;

38. მეფე ბაქვარი, ძე ფარსმან მეფისა, ხოსროიანი;

39. ქართლის კურაპალატი გუარამ ბაგრატიონი;

40. ერისთავთ-მთავარი ქართლისა სტეფანოზი, ძე გუარამ კურაპალატისა, ბაგრატიონი;

41. მთავარი ქართლისა ადრანასე, ძე მესამე ბაქვარ მეფისა, ხოსროიანი;

42. მთავარი ქართლისა სტეფანოზი, ძე ადრანასე მთავრისა, ხოსროიანი;

43. მეფე მირი და ძმა მისი არჩილი, ძენი სტეფანოზ მთავრისა, ხოსროიანი;

44. მეფე არჩილი, ძე სტეფანოზ მეფისა და ძმა მეფე მირისა, ხოსროიანი;

45. მეფე ქართლისა იოანე და ჯვანშერი, ძენი წმიდისა მონამისა არჩილ მეფისანი;

46. კურაპალატი ქართლისა აშოტი, ძე ადრანასესი, ბაგრატიონი;

47. კურაპალატი ბაგრატი, ძე აშოტ კურაპალატისა და ძმა ადრანასესი და გუარამისი, ბაგრატიონი;

48. კურაპალატი დავითი, ძე ბაგრატ კურაპალატისა;

49. მეფე ადრანასე, ძე დავით მეფე-კურაპალატისა, ბაგრატიონი;

50. მეფე ქართლისა კონსტანტინე, ძე აფხაზთ მეფისა (კონსტანტინე, მეფე ქართლისა);

51. მეფე ბაგრატი, ძე გურგენ მეფეთ-მეფისა, ბაგრატიონი;

52. მეფე გიორგი, ძე ბაგრატ

აფხაზთა და ქართველთ მეფისა, ბაგრატიონი;

53. მეფე ქართლისა და აფხაზეთისა ბაგრატი, ძე გიორგი მეფისა, ბაგრატიონი;

54. მეფე ქართლისა და აფხაზეთისა გიორგი, ძე ბაგრატისი, ბაგრატიონი;

55. მეფე ქართლისა და აფხაზეთისა, დავით აღმაშენებელი;

56. მეფე დიმიტრი, მეფე დავითის ძე;

57. მეფე დავითი, ძე დიმიტრი მეფისა, ბაგრატიონი;

58. მეფე გიორგი, ძე დიმიტრი მეფისა და ძმა დავით მეფისა, ბაგრატიონი;

59. მეფე თამარი, დასაბამიდან ქვეყნისა 6686, ქრისტესით 1156;

60. მეფე ლაშა გიორგი, ძე თამარ მეფეთ მეფისა, ბაგრატიონი;

61. მეფე რუსუდან, ძე თამარ მეფეთ მეფისა, და მეფე ლაშა გიორგისა, ბაგრატიონი;

62. მეფენი: დავითი — ძე ლაშა გიორგისა და დავითი — ძე მეფე რუსუდანისა, ბაგრატიონი;

63. მეფე ქართლისა დიმიტრი, ძე დავით მეფისა, ბაგრატიონი;

64. მეფე ქართლისა ვახტანგი, ძე დავით იმერთა მეფისა, ბაგრატიონი;

65. მეფე ქართლისა დავითი, ძე დიმიტრი მეფისა, ბაგრატიონი;

66. მეფე ქართლისა გიორგი, ძე დიმიტრი მეფისა და ძმა დავით მეფისა, ბაგრატიონი;

67. მეფე ქართლისა ვახტანგი, ძე დიმიტრი მეფისა და ძმა დავით მეფისა და გიორგი მეფისა;

68. მეფე გიორგი, ძე დიმიტრი მეფისა, ბაგრატიონი;

69. მეფე ბაგრატი, ძე გიორგისა და ძმა მეფე ალექსანდრესი, მისი მეუღლეა დედოფალი ელენე;

70. მეფე ალექსანდრე, ძე დიმიტრი მეფისა.

■ ცნობები

ბაგრატიონთა სამეფო საგვარეულოს (როგორც კახეთის, ისე ქართლის) გენეალოგიის შესახებ XVII საუკუნიდან 1773 წლამდე.

კახეთის შტო

ალექსანდრე;

თეიმურაზი;

ერეკლე ანუ ნიკოლა(ოსი). ის იყო დაბადებით ქრისტიანი და ერეკლე კონსტანტინე, მიიღო მაჰმადი-

ანობა და მასთან ერთად სახელიც — ერეკლე.

მაჰმეტ ყული ხანი. ის იყო მეფე ერეკლეს ნამდვილი ვაჟი და განაგებდა მამის სიკვდილის შემდეგ კახეთს, ჯერ სპარსეთის, ხოლო შემდეგ თურქეთის მფარველობის ქვეშ. მისი ცოლი იყო ასული ტარკუს შამხლისა. ის 1724 წელს მუხანათურად მოკლეს თურქულ ბანაკში ოირზე, კახეთში, საგარეჯოს

ქვემოთ. მისი 2 ვაჟიდან — მაჰმეტ მურზა და ალი ხანი — ერთი მის სიკვდილამდე გარდაიცვალა სპარსეთში, მეორე კი — კახეთში, მალე, მისი სიკვდილის შემდეგ;

იმამ ყული ხანი. ის გარდაიცვალა კახეთის მმართველ მაჰმეტ ყული ხანამდე უძეოდ;

თეიმურაზი. წინა მეფის ძმა. 1740 წ. ის დანიშნა თამაზ ხანმა, ანუ სპარსეთის შაჰმა ნადირმა კახეთის



და, აგრეთვე, ქართლის მეფედ, მას შემდეგ, რაც მისი ძმა, რომელიც კახეთს მართავდა, გარდაიცვალა და ქართლის მეფე ვახტანგი, რომელსაც თურქები ჩაგრავენ, მთელი თავისი ოჯახით რუსეთში გაიქცა, ხოლო თურქები ნადირ შაჰმა გარეკა ამ პროვინციებიდან.

ის გაემგზავრა რუსეთში, რათა ეთხოვა დახმარება და მფარველობა ლეკებისა და თურქების წინააღმდეგ, რომლებმაც შაჰ ნადირის სიკვდილის შემდეგ კვლავ დაიწყეს მისი ჩაგვრა. ის გარდაიცვალა პეტერბურგში 1761 წლის ბოლოს;

7. ელენე, რომელიც თათრულ ტიტულს ატარებდა, იყო ასული ერეკლესი და თეიმურაზის და. ბეგუნა არის მხოლოდ ტიტული თათრულ ენაზე, რაც ნიშნავს თავადის ქალს ან პრინცესას (სიტყვიდან) ბეგ-ი — პრინცი, ანუ თავადი. ის იყო ცოლი იასესი, ქართლის შტოს რიგით მე-თერთმეტე შთამომავლისა;

8. მაჰამეტ მურზა;

9. ალი ხანი;

10. ერეკლე, ახლაც (1772 და 1785 წ.) მმართველი მეფე ქართლისა და კახეთისა. ის მართავდა ჯერ კიდევ თეიმურაზის სიცოცხლეშიც, მისი საქართველოდან რუსეთში ყოფნისას. მისი დედა იყო თამარი, ასული საქართველოდან გადახვენილი და რუსეთში გარდაცვლილი მეფე ვახტანგისა. 1772 წელს მას ჰყავდა მეორე ცოლი და ორივესგან მ უფლისწული და 6 პრინცესა.

ქართლის შტო:

- 1. მეფე ლუარსაბი;
- 2. მეფე სიმონ I, ლუარსაბის ძე;
- 3. მეფე სიმონ II, სიმონ I-ის ძე;
- 4. როსტომ ხანი, მეფე სიმონ II-ის ნაშვილები. ის იყო კახეთიდან.
- 5. შაჰნავაზი, როსტომის (№4) ძე;
- 6. არჩილი, შაჰნავაზის ძე;
- 7. სოლიმანი, შაჰნავაზის მეორე ვაჟი;
- 8. ლევანი, შაჰნავაზის მესამე ვაჟი;
- 9. გიორგი, შაჰნავაზის მეოთხე ვაჟი;

შაჰნავაზის ქალიშვილი;

10. ხოსრო ხანი. არა ხუსრევ ხანი, ლევანის (№8) ძე. ის, როგორც პრინცი სპარსეთის შაჰმა გაგზავნა ყანდაარში ავღანთა წინააღმდეგ და იქ დაიღუპა.

მას დარჩა ქალიშვილი ანნა, რომელიც 1772 წ. ცხოვრობდა მოსკოვში ჯერ კიდევ გაუთხოვარი;

11. იასე, ლევანის (№8) მეორე ძე, რომელსაც მცირე ხანს თურქთა ხელქვეით ეკავა ქართლის მმართველობა, გარდაიცვალა თბილისში მაჰმადიანად და დაკრძალულია გარეთუბანში. ის დიდხანს ცხოვრობდა ისპაჰანში და ცოლის, ელენესაგან (კახეთის მეფის, ერეკლეს, ანუ ნიკოლაოსის ქალისაგან) და ხარჭ(ებ)ისაგან აქ შეძენილი ვაჟები ამდენად მაჰმადიანები იყვნენ და შემდეგში ზოგი მათგანი მოინათლა, ამის გამო მათ ორი სახელი აქვთ;

12. თეიმურაზი, ლევანის (№8) მე-3 ვაჟი, მოკვდა 30-ოდე წლისა, უცოლოდ ქართლში, პრინცად;

13. ვახტანგი, ლევანის (№8) მე-4 ძე, იყო მეფედ ქართლში, მაგრამ თურქებმა ნაართვეს მას ქვეყანა და ამიტომ ის თავისი ოჯახით წავიდა რუსეთში. ის გარდაიცვალა ასტრახანში და დატოვა სამი ვაჟი — ბაქარი, გიორგი და ვახუშტი და ერთი ქალი;

14. მეფისწული სიმონი, ლევანის (№8) მე-5 ძე, მოკვდა რუსეთში და მისი ორივე ვაჟი ახალგაზრდები გარდაიცვალნენ ევროპაში მოგზაურობისას;

15. დომენტი, ლევანის (№8) მე-6 ვაჟი, მოკვდა როგორც ქართლის და კახეთის პატრიარქი, 70 წლის მოხუცი;

16. არჩილი, იასეს (№11) უფროსი ვაჟი, ახალგაზრდობაში ერქვა აბდულა, როგორც მაჰმადიანს. ის მართავდა ქართლს ცოტა ხანს და მოკვდა შაჰ ნადირის ჯარში მყოფი, უშვილოდ;

17. ალექსანდრე, იასეს (№11) მეორე ძე მანამდე შაჰნავაზი. ბავშვობაში ერქვა ისაკ ბეგი, ხოლო მონათვლის შემდეგ — ალექსანდრე; იასეს ნამდვილი ვაჟი. ის ცხოვრობდა ჯერ კიდევ 1772 წ. ყიზლარში რუსეთის პენსიით, უფროსი ლეიტენანტის ჩინით. მისი ვაჟებიდან ერთი არის არქიმანდრიტი ყიზლარში; ერთიც რუსეთის არმიის ლეიტენანტია, ხოლო მესამე ცხოვრობს ყიზლარში, როგორც მოქალაქე (კერძო პირი) და ჰყავს ერთი ვაჟი;

18. ლევანი და

19. მუსეინგები, ორივე იასეს (№11) ვაჟები, გარდაიცვალნენ ქართლში უშვილოდ;

20. ანტონი, იასეს (№11) მეხუთე ვაჟი, ადრე ერქვა თეიმურაზი; ამჟამად ქართლ-კახეთის პატრიარქია;

21. ბაქარი, ვახტანგის ვაჟი. მას შემდეგ, რაც მისი მამა, მეფე, თურ-

ქებმა ჩამოაგდეს, გამაჰმადიანდა და მიიღო სახელი შაჰნავაზი, რათა გამხდარიყო ქართლის ფაშა. ის ამ თანამდებობაზე ცოტა ხანს იყო; მაგრამ მალე უარი თქვა ამ პატივსა და მაჰმადიანობაზე და თავის მამასთან ერთად, რომელიც ამ დროს ოსეთში იყო, წავიდა რუსეთში. ის მოკვდა რუსეთში გენერალ ან-შეფის ჩინში და დარჩა ორი ვაჟი: ლევანი და ალექსანდრე. ორივე იყვნენ გვარდიის ოფიცრები; პირველი მოკვდა სანკტ. პეტერბურგში; მეორე ამჟამად სპარსეთში ქერიმ ხანთანაა შირაზში, სადაც ფარული განზრახვით წავიდა, რათა მეფე ერეკლეს წინააღმდეგ შეაგროვოს მომხრეები და გახდეს ქართლის მმართველი (რაც მას არ ეკუთვნოდა). მაგრამ, ჩანს, არ არის ბედნიერი;

22. გიორგი, ვახტანგის (№13) მე-2 ვაჟი. 1772 წ. ის ცხოვრობდა მოსკოვში უძეოდ, როგორც სამსახურისთვის თავდადებულ სარდალი;

23. ვახუშტი, მეფე ვახტანგის (№13) მესამე ვაჟი. ის გარდაიცვალა მოსკოვში როგორც კერძო პირი, დატოვა ორი ვაჟი: ნიკოლაი და ივანე. პირველი ცხოვრობს როგორც კერძო პირი მოსკოვში, მეორე ამჟამად მსახურობს გენერალ-მაიორად რუსეთის არმიასში.

პრინცესა თამარი, ვახტანგის ქალი, იყო მეუღლე თეიმურაზისა და ახლანდელი მეფის ერეკლეს დედა;

24. ლევანი, ალექსანდრე — ამჟამად (1772 წ.) მმართველი მეფე ქართლისა და კახეთისა, ერეკლე, ვაჟი მეფე თეიმურაზისა (იხ. ზევით, კახეთი შტო, №10), იყო დაახლოებით 60 წლისა.

სხვადასხვა უბედური შემთხვევებისა და გაჭირვების მიუხედავად, თავის მმართველობის დროს, მან არა თუ არც სამფლობელო და არც ერთი პროვინცია არ დაკარგა, არამედ ხელიდან გაუშვებლად, თუმცა ხანდახან საკმაო გაჭირვებით, შეინარჩუნა ტახტი.

მისი ცოლი იყო თამარი, ქართლის მეფის — ვახტანგის ქალიშვილი.

ახლანდელი — დარეჯანი, არის ქალი წინა მმართველი დადიანისა და სამეგრელოს ახლანდელი მმართველის დადიანის (მისი მოსისხლე მტრის) და.

**მოამზადა
დარეჯან ანდრიაკე**

გაბრკილება შემდეგ ნომერში



ადიპის „მაცხოვარი“ მიძაელ
ჩეხიანის ფრესკა და წარწერა

მერაბ ბერკენიშვილის
წვირაც აუფეთქებელი ძეგლი
„წარისკაცის მამა“ გურჯაანში

